

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XXXIX

უ ს ტ ა ნ ე ს ი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს უმცაობა არსებულ უცხოური წყაროების
კომისია

უ ხ ტ ა ნ ე ს ი

ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან.

სომეხური ტექსტი ქართული თარგმანითა და
გამოკვლევით გამოსცა ჯ ა ჯ ა ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1975

9 (C 41)

9 (47.522) (001)+90 (47.525)

უ 994

X ს-ის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის თხზულება „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ პირველი ცდაა VII ს-ის დამდეგს ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შესწავლისა დოკუმენტური მასალის საფუძველზე. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო აღნიშნული ხანის ამიერკავკასიის ისტორიის შესასწავლად, არამედ X ს-ის II ნახევრის სომეხთაგან-ხეთქილების საკითხებზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრის გამოსავლენადაც.

წიგნში სომხური ტექსტი ქვეყნდება ქართულ თარგმანთან ერთად. გამოკვლევაში განხილულია საეკლესიო განხეთქილებასთან დაკავშირებული წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური საკითხები. ავტორი კვლავ უბრუნდება ისეთ მნიშვნელოვან წყაროთმცოდნეობით პრობლემებს, როგორც არის ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხები ძველ სომხურ მწერლობაში, ცნობები ცურტავის საეპისკოპოსოს სამღვდელთმსახურო ენის შესახებ და სხვ.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე, ს. ყაუხჩიშვილი (მთ. რედაქტორი), ო. ცქიტიშვილი, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია
სომხური წყაროების სერიის რედაქტორი: ნ. ჯანაშია

10^F01—000
უ M C07 (03)—75

109—73

© გამომცემლობა „მეცნიერება“ 1975

წინასიტყვაობა

1. კავკასიაში საეკლესიო განხეთქილება VI ს-ის მანძილზე მსადღებოდა და VII ს-ის დაშლევს დასრულდა: დასრულდა ისე, რომ მომდევნო თაობების ცხოველი ინტერესი არ დაუკარგავს. ახალი თაობების ასეთი დანტერესება განხეთქილების პრობლემით მას შესიერებაში კვლავ და კვლავ აცოცსლებდა, თანადროული საჭირბოროტო საკითხებით ავსებდა (ასე მიეწერა VII საუკუნეს ცხრასარისხიანი საეკლესიო სისტემის გამო სომეხ-ბერძენთა გაცილებით უფრო გვიანი ხანის დავა) და ზოგჯერ რამდენიმე საუკუნით დაცილებულ ამბებს საზოგადოებას საკუთარი თავგადასავალივით განაცდევინებდა.

რაზე იყო დამყარებული ასეთი უწყვეტი კავშირი უკვე დამთავრებულ ისტორიულ მოვლენასა და შთამომავლობას შორის? რა კვებავდა ასეთ ცოცხალ ინტერესს?

VII ს-ის დამდეგს კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილება დიდად იყო დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციასა და სიმპათია-ანტიპათიებზე, ხოლო შემდეგ თვითონაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის ქვეყნების მიერ საგარეო ორიენტაციის კურსის განსაზღვრაში. თუ VII ს-ის დამდეგს აბრაამ სომეხთა კათალიკოსი შემოფოთებული სწერდა კირონ ქართლის კათალიკოსს — „დაუჯერებლად გვეჩვენა, რომ უცხო სამეფოსთან (მიზანტიასთან) შექმნას მეფეთა მეფის მონათაგანმა სიკვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს (სწარსეთს) გაშორდესო“, X ს-ში უსტანესი არანაკლებ ღელავდა — „მიეტოვებინა ღმერთი და დანდობოდა კაცთ — ბერძენთა მეფეს და იერუსალემის მამამთავარსო“.

საეკლესიო განხეთქილება მნიშვნელოვნად იყო განსაზღვრული მონაწილე ქვეყნებისა და ეკლესიების მიერ მთელი კავკასიის მანშტაბით პრიმატობის მივებით, ხოლო შემდეგ თვითონვე უწყობდა ხელს რომელიმე ორგანიზმის მიერ მისი დაჩემებისათვის ბრძოლას. VII ს-ის დამდეგს მოსე ცურტაველი ლოცავს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს: „დაე, თქვენც იამაყოთ ქრისტეს მიერ, რომ: მომეცა მადლი უფლისაგან, რათა მექადაგა ქართლიდან აღბანთა ქვეყანამდე გამოუკვლეველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა“. ხოლო XI ს-ში ეფთვიმე გრძელი მკაცრად მიმართავს სოსთენს: „ესრეთ არს წესი, რამეთუ თქვენნი მეფენი წინაშე მეფეთა ჩუენთა და მღუდელთ-მოძღუარნი მღუდელთ-მოძღუართა და მთავარნი მთავართა შიშით და ძრწოლით წარმოღებნიან და შეკრდომით თაყუანის-სცემენ“.

საკლესიო განხეთქილება შედეგად მოჰყვა ქართლის მესვეურთა მიერ მთელი VI ს-ის მანძილზე გარე საფრთხისა (ხპარსეთი) და მისი იდეოლოგიური იარაღისგან (მონოფიზიტობა) თავდაცვის საშუალებათა მიებას. ამ მიებაში ქართლმა იდეოლოგიურ ფარად ქალკედონური მრწამსი აირჩია. მაგრამ ასეთი მისიის წარმატების, შესრულებას იგი მხოლოდ მაშინ შესძლებდა, თუ ეროვნული თვითშეგნების გამომხატველიც გახდებოდა, თუ ქვეყნის კონსოლიდაციას და პოლიტიკურ ცენტრალიზაციას ხელს შეუწყობდა. გასანებია, რომ ქალკედონური მრწამსისათვის ამ მისიის დაცვისრებაში გამოიწვია „უცხო ქვეყანაში“ მოსახლე სომხების თავდადებული დეა, შეენარჩუნებინათ თავისი ეთნიკურ-იდეოლოგიური სახე. შეენახათ მონოფიზიტური მრწამსი. VII ს-ის დამდეგს ქართლის კათალიკოსის საეკლესიო პოლიტიკით შეფიქრიანებული ცურტავის საპატრიარქოსის სომხურენოვანი თემი წერდა: „ან უნდა დაერჩეთ ამ ქვეყანაში და ამის სურვილისამებრ მოვიქცეთ, ან უნდა დატოვოთ და გავეცდლოთ“. X ს-ში კი იმავე მოსახლეობისათვის უკვე სომხეთია „უცხო ქვეყანა“, ხოლო გიორგი მერჩულე ამაყად აცხადებს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ეოველი აღესრულების“.

2. ეოველ ახალ თაობას თავისი მსახური ისტორიოგრაფია ჰყავს, რომელსაც ვვალეა წარსულის ფაქტები აწმეოს სამსახურში ჩააქენოს, მით უფრო მაშინ, როცა წარსულს თანამედროვეებისათვის ცოცხალი ჰროცენის მნიშვნელობა აქვს. ასე წინასწარ არის განსაზღვრული რეკონსტრუქციის სუბიექტურობა: განხეთქილების შედეგებს და მონაწილე გმირებს შუასაუკუნეების მწერლები აფასებენ იმ კრიტერიუმებით, რომლითაც შეაიარაღა ისინი თანადროული საზოგადოების დაინტერესებამ; ამ სავარაუდო ჰოზიციებიდან, რომლებსაც დაიკავებდნენ თვითონ, განხეთქილების ფინალური სტენის მონაწილენი რომ ეოფილიევენ. ვინაიდან კავკასიაში საეკლესიო განხეთქილების მონაწილეთა შთამომავლობა ორ მთავარ იდეოლოგიურ ბანაკად გაიყო (ქალკედონურ და მონოფიზიტურ), ბუნებრივია, რომ ისტორიკოსებმაც განხეთქილების ისტორიის ორი მთავარი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული მოდელი ჩამოაქალიბეს. თუ ქალკედონური მოდელის რეკონსტრუქცია ერთი ეთნიკურ-კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმის (ქართლის) ეკლესიამ იკისრა, მონოფიზიტურის შექმნაში ორი ქვეყნის (სომხეთისა და ალბანეთის) ეკლესიამ მიიღო მონაწილეობა— შედეგად მონოფიზიტური მოდელის ორი განშტოება მივიღეთ.

3. რაც უნდა სუბიექტური იყოს შუასაუკუნეების პოლემისტი ისტორიკოსი თავისი საკლევო ობიექტის მიმართ, იგი წარსულის რეკონსტრუქციისას მაინც წყაროებს ეერდნობა. მაგრამ ეველა დოკუმენტი, რომელსაც იგი ივენებს, უკვე გამოვლილია იმავე ეკლესიის მსახური რედაქტორებისა და გადაამწერების ხელში. უფრო მეტიც, ისტორიკოსი თვითონ არის ერთ-ერთი ასეთი რედაქტორი. ასე რომ, დოკუმენტები ჯერ თვითონ

განიცდიან ცვლილებებს აღსადგენი ისტორიის შესაბამისად, შემდეგ კი ამავე ისტორიის შენევაში მონაწილეობენ.

ასეთი ვითარება ამწელებს შუასაუკუნეების პოლემისტი მწერლის ტექსტის კრიტიკას, ართულებს გზას წყაროს ფაქტიდან ისტორიულ ფაქტამდე, მაგრამ კვლევის შედეგებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომვე, საეკლესიო განხეთქილების ისტორიის წერისას წყაროთა ყოველმხრივი კრიტიკა უნდა ჩაითვალოს პირველი რიგის ამოცანად.

4. კოლექტიური მესხიერება ერთი თავისებურებით ძალიან წააგავს ინდივიდუალურ მესხიერებას. ეველახე უფრო ძლიერი შთაბეჭდილებები ზოგჯერ ხალხში მრავალსიტყვაობით ჰოულობს გამოხატავს, ზოგჯერ კი დუმილით. კავკასიის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების ისტორიის ორი მოდელი ამ მხრივაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან: მონოფიზიტურმა მოდელმა იშვიათი მრავალსიტყვაობით აღადგინა განხეთქილების ფინალური სცენა, ხოლო ქალკედონურმა თითქმის სრულიად დაივიწყა იგი. ამიტომ მონოფიზიტური მოდელის შინაგანი კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე ქალკედონურისა: მრავალსიტყვაობისას მკვლევარს მეტი შესაძლებლობა აქვს გამოავლინოს წყაროს შინაგანი წინააღმდეგობები, დაადგინოს დოკუმენტების ავთენტურობა თუ ნატუარობა, შენიშნოს რედაქტორთა და გადამწერთა შემოქმედების კვალი, დაუპირისპიროს ერთმანეთს პირველადი და მეორადი წყაროები. ცხადია, დუმილიც არ არის მრავალსიტყვაობაზე ნაკლებ მეტყველი, მაგრამ მისი წაკითხვაა უფრო ძნელი („Торжество исторической критики—из того, что говорят люди известного времени, подслушать то, о чем они умалчивают“ — ვ. კლუჩევსკი). მიუხედავად ცალკეული (ზოგი თვალსაზრისით იქნებ წარმატებულიც) ცდებისა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ნათელი ამ მცირე და მრავალსიტყვაობის საფუძველი.

5. რაც უნდა სუბიექტური და ფანტიკოსები იყვნენ შუასაუკუნეების პოლემიკოსი მწერლები და ისტორიკოსები, მათ შორის მანც გამოირჩევა პროგრესული ფრთა, რომელიც ტონს აძლევს იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრს. ამ ფრთის საუკეთესო წარმომადგენლების შეხედულებით, კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილება ფატალურად კი არ არის წინასწარ განსაზღვრული საწინააღმდეგო აღსარების მქონე ხალხის თანდაყოლილი ბუნებრივი თვისებებით (სტეფანე მტბევარი), არამედ შედეგია გარეშე ძალის დაწოლით უმადლეს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ არჩეული მცდარი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაციისა. ასეთი რეალისტური თვალსაზრისის მქონე ისტორიკოსების პოზიცია ზუსტად და ლაკონურად გამოხატა არსენი საფარელმა: „სპარსთა მეფენი აიძულებდენს ღამესთა, რათა განეშორნენ ბერმენთა სარწმუნოებასა.... რათა სიძულილი შთავარდენს შორის მათსა განშორებითა სჯულისათა და ამით უმეტეს

მორჩილ იკვნენ საშეფოსა სპარსთასა...“ ქალკედონიტი ისტორიკოსის აზრით, ნერსე კათალიკოსმა და მისმა მომხრეებმა „ფიცხელი ეკალი ნებისით განაწონეს სულია მათთა და ერსა მას უბრალოსა“. დაახლოვებით ასეთივე პოზიცია უკავია უსტანესსაც, რომელიც განხეთქილების გამო მთელ ჰანუსისმკვებლობას კირონ კათალიკოსსა და ბერძენთა კეისარს აკისრებს. ამით ისინი არა მარტო ანგარიშს უწევენ ორივე ქვეყნის ხალხების რეალური თანამშრომლობის ფაქტს, არამედ უკან დასახევენ უსტანესს იტოვებენ გათიშულ ეკლესიების კვლავ დასაასლოვებლად.

6. უსტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ კავკასიის ისტორიის ერთი ქრონოლოგიურად მცირე (ექვსიოდე წლიანი), თემატურად განსაზღვრული (იდეოლოგიური პოლემიკა) გამოკვლევაა და არა ჩვეულებრივი „უწება“ (ყაჰამაჰჩხუ). იგი პირველი ცდაა მონო-ფიზიკური თვალსაზრისით აღადგინოს კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების ფინალური ისტორია თანადროული დოკუმენტების, წინაპარ ისტორიკოსთა ნაშრომებისა და ზეპირი გადმოცემების მიხედვით. უფრო ზუსტად რომ განვსაზღვროთ, უსტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ არის პირველი კომენტირებული კრებული წერილობითი და ზეპირსიტყვიერი დოკუმენტების ერთი ჯგუფისა, პირველ-წყაროთა კრიტიკული გამოცემის პირველი ცდა. იგი შეიძლება ერთადერთი საისტორიო თხზულებაც კი იყოს მთელ სომხურსა და ქართულ მწერლობაში, რომლის ეველა წყარო არა მარტო ვიცით, არამედ ხელთაც გვაქვს. ეს ბედნიერი შემთხვევა შესაძლებლობას გვაძლევს, ჩავინედოთ ისტორიკოსის (პოლემისტის, წყაროთმცოდნის, ტექსტოლოგის, ფოლკლორისტის) სამუშაო ლაბორატორიის ეველა კუნტულში; დავაკვირდეთ, როგორ ამზადებს იგი მასალას თავისი ნაშრომის დასაწერად; გავადევნოთ თვალი იმ ცვლილებებს ეთნო-სოციალურ და რელიგიურ-პოლიტიკურ აზროვნებაში, რაც მოხდა წყაროდან ავტორამდე გასული დროის მანძილზე; შევისწავლოთ, როგორ იკვნებენ მის თხზულებას როგორც უკვე პირველ-წყაროს მომდევნო ხანის ისტორიკოსები და სხვა მისთ. ტექნიკური მიზეზების გამო წიგნში გამოკვლევის ავტორის მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებულთაგან მხოლოდ ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი საკითხები შევიდა.

7. ამ წიგნის მეორე ნაწილის მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ გამოკვლევის წერისას ზემოთ მოცემული პოსტულატები ავტორს მუდამ მხედველობაში ჰქონდა. ეს წანამძღვრები მას ჩამოუეალიბდა V-VII სს-ის კავკასიაში იდეოლოგიური სიტუაციისა და შესაბამისი წყაროების მრავალწლიანი კვლევის დროს, რომლის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია კიდევ „ეპისტოლეთა წიგნისათვის“ დართულ გამოკვლევა-კომენტარებისა და ცალკე წერილების სახით. ამიტომ დაინტერესებულ სპეციალისტს აქ მხოლოდ ნახსენებ ან ნაგულისხმევ ბევრ საკითხზე ავტორის შესვლეულებათა გათვალისწინება თუ დასჭირდა, მათში ჩახედვაც მოუხდება.

„მატენადარანის“ ღირეკციის თავაზიანი ხელშეწყობით, ტექსტზე მუშაობისას 1871 წლის გამოცემასთან ერთად ხელთ გექონდა № 1774 და № 3732 ხელნაწერების მიკროფილმები. ამოსავალ ტექსტად დავტოვეთ 1871 წლის გამოცემა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ვასწორეთ № 1774 ხელნაწერითა და, შესატყვის ადგილებში, „ეპისტოლეთა წიგნისა“ და მოსე კალანკატუელის „აღბანეთის ისტორიის“ მიხედვით. № 3732 აშკარად გადაწერილია № 1774 ხელნაწერიდან, ოღონდ ლაფსუსები ნასწორებია და ზოგჯერ აღდგენილია პუბლიკაციის მდგომარეობა (მაგ., მკლარ *გიიჟან*-ს ზევიდან დამატებული აქვს *ქ—გიიქან*; *აიილანჩე* წაშლილი და გადაკეთებულია *აიილანჩე*-ად და სხვ.). ვინაიდან № 1774 ხელნაწერის ვარიანტები არ არის ბევრი და მნიშვნელოვანი, სქოლიოში მათი ჩატანა აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ. შედარებით მნიშვნელოვან განსხვავებებს, შესწორებებსა და მათ საფუძველს აქვე ვაჩვენებთ.

2. ვარიანტები უმეტეს შემთხვევაში ფონეტიკურია: მონაცვლეობენ მკლერი და ყრუ თანხმოვნები (*რ-ღ-ყ, რ-თ, რ-ჩ, რ-ჯ* და სხვ.). მაგ.: *რნორსაქ—რნერსაქ, შაააიიე—შაააიიე, რანთ—რანჯ; ქაღიღესაქ—ქაფიღესაქ, ქირღ—ქირჯ; ქიქაიიიქ—ქიქაიიიქ* და სხვ., ასეთ შემთხვევებში უპირატესობას უფრო გავრცელებულ ფორმებს ვანიჭებდით, ან კიდევ ისეთს, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნიც“ უჭერდა მხარს.

ძველი გამოცემის -ო- № 1774 ხელნაწერის მიხედვით ყველგან შევასწორეთ *აღ-ით: აგიქ—აგაქ, მისბარანიღ—მისბარანაღ, ირინასქ—აღრინასქ*. ზოგჯერ გამოცემაში *Nomen agentis* სუფიქსის -იი ნაცვლად გვხვდება -იი, ხოლო ხელნაწერში -აღ³. ასეთი ადგილებიც შესწორებულია: *ჩხრბოსაბიი (ჩხრბოსაბაღ) — ჩხრბოსაბიი, რბიქსაბაბანაღნიიღნიი — რბიქსაბაბანაღნიიღნიი*.

როგორც გამოცემაში, ისე ხელნაწერში არ იყო დაცული ერთგვაროვნება ირიბ ბრუნვებში დაყენებული სახელების დაწერილობისა: *შიიქსაბი, ქრქმანქაბი — შიიქსაბი, ქრქმანქაბი*. ჩვენს გამოცემაში ყველგან ერთგვარობა და ძველი ფორმა დაცულია—*შიიქსაბი, ქრქმანქაბი*. ამისდა კვალად ხელნაწერის მიხედვით გავასწორეთ პუბლიკაციის *ხრქეხი (ხრქეხი)*.

საინტერესოა ჩვენებებს გადაძლევენ ხელნაწერები „კვრონ“ სახელის დაწერილობის თვალსაზრისით. № 1774—*ქიქრიონ (კვრონ), ქიქლიონ (კიქრონ), ქიქლიონ (კვრკონ), ქიქლიონ (კვრკონ)*; ზოგჯერ, ტექსტის დასაწყისში, ეს ფორმები გადაშლილია და წერია *ქიქრიონ (კვრონ)*,

³ ზოგი ავტორი -აღ-ს უფრო ძველ, სუფიქსად მიიჩნევს. ამ საკითხზე იხ. *Ա. Աբրահამյան, Հայերենի դեբეჟანები, სრ., 1953, გვ. 228-230.*

თანჯნოყაყაღჲ, ჸ სრკსრქრცუნ (var. სრკსრქრცუნ)՝ որ ქსქსთთ (22); Սորա թագաւորեցելոյ (var. թագաւորեցեսալ) ըստ յանդճնու-
 թիան անձին... (26); ...քանզի բազում խառնութիւնք եղեսալ (var.
 կլեսալ) ի ժողովդականաց (28); ...նախ սրտիւք մերովք և սպա
 մատանաւք (var. մարմնաւք) մերովք (33)¹⁰; թղթոյս (var. թղթոյն)
 ձերոյ՝ որ գրեալ էիք՝ հասու եղև (45); Մի՛ պարծեսցուք... անու-
 ամբ (var. անուն) սրբոյ քաղաքին Նրոսաղէմի (47); ...նախ առ
 ողորմութեանն (var. ողորմութիւնն) Աստուծոյ (52); ...կաթուղիկոս
 անուանն (var. անուանեալ) առ մեր աստուածասպասիւ տէր (58);
 պատունաս գայն (var. զոր) արժան է (58); ...թուղթս տայր աւ-
 նել յաշխարհին (var. աշխարհին) և զինքն ինքեան յանպիմանէ
 (59); ...յառաջագոյն աշխարհականաց (var. աշխարհականաց)
 լուեալ էր (59); ...միաւորելոյն ընդ մեզ բնութեամբ (var. բնու-
 թեան)՝ յերկուս բաժանէր բնութիւնս (61); ...և զունայն (var. զնոյն)
 տալով սկրմ (59); ...վասն այնորիկ բարձեալ թողան՝ երթան
 (var. կրթալ) (59); ...այլ դարանակալ (var. դարան կալ) նասու-
 ցանել (61); ...իսկ սա և ոչ յառաջ զզջացաւ (var. զջացաւ) և ոչ
 յստոյ (62); ...զլալն (var. զզլալն) ի գթոյ; ...և ի նոցունց զժոխա-
 ժառանգեցուցանող փոխմանցն (var. փոխմանցն), զամբիծ (var.
 զանբիծ) հաւատան զառաքեալ ի մեզ պահելով (70); ...մի ազու-
 թիւք (var. ազութեամբ) երթալով ի խաչն (70); ...զմբուր դեկացն
 (var. դեկոյ) պահեցին (70).

ზემოთ მოტანილი შესწორებების უმრავლესობა შესრულებულია
 „ეპისტოლეთა წიგნისა“ და № 1774 ხელნაწერის ვარიანტების დამ-
 თხვევის საფუძველზე. ზოგ შემთხვევაში (თავი 65) შესწორების სა-
 ფუძველი მოგვცა მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიამ“:

Յանამ սեղևոջ կղև սկիզբն սուկեկաց եկեղեցեաց մայրաքա-
 ղաքաց և լուսաւորութեան սեղևոց (var. տիեզերաց, սեղև)՝¹¹.

პუბლიკაციაში გვაქვს წინადადება: *Քահանայք՝ ասէ Տէր՝ ոչ
 ասացին...* (14). ხელნაწერში *Տէր* გადაშლილია. ჩანს, გადამწერს
 ზედმეტად მიუჩნევია (ასეც არის) და ამოუშლია. ვინაიდან „ეპისტო-
 ლეთა წიგნშიც“ აღნიშნულ ადგილზე *Տէր* არა წერია, ახალ გამოცე-
 მაში წინადადება ამეთი სახე მცოდნე: *Քահանայք՝ ասէ՛, ոչ ասացին...*

¹⁰ იხ. M. Brosset, Deux historiens arméniens, II, გვ. 311, შენ. 2;
 გვ. 316, შენ. 1, იხ. აგრეთვე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 59.

¹¹ ა შჯრ. Մ ս Վ ի Ւ Ւ Ւ Վ ա զ ա ն կ ս ա ո լ ո ս ա զ ի, გვ. 17. აღნიშნული ადგილი
 მ. ემინმა ბუნდოვნად მიიჩნია და კალანკატუელის ტექსტიდან ამოიღო. უხტანესის ვარი-
 ანტს უპირატესობას ანიჭებს გ. აბგარიანი. იხ. Գ. Ա Բ Գ ս Ր Կ Վ Ն, „Սեբևոսի
 Պատմություն“ ხվ անանունի առեղծվածք, სერქამ, 1965, გვ. 132, შენ. 230.

მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით გაიმართა უ-ტანესის ერთი გაუგებარი წინადადება, მიუხედავად პუბლიკაციისა და ხელნაწერის ჩვენების სოლიდარობისა:

...*և առակ զան զնասագահին (var. զսინարհին) զՍուանայ ի Վաղարշակայ տանն Սյուսանից...* (65)¹².

რამდენგანმე საჭირო ვახდა ხელნაწერისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტების გათვალისწინებით წინადადებებში ცალკეული სიტყვებისა თუ წინდებულების ჩამატება:

...*միշտ եղիցի [քիզ] արիանայ և անքակիլի մսայ* (12); *Հաստատեցան դրով սրբոյն Գրիգորի և իս Հայաստանსայես...* (14); ...*խաւար [և] յոյս կերպարան իւր..* (61); ...*իսկ նոքա [სრკოს] ասեն զնობիւն մարմնացելոյ Բանին Սասառծոյ* (70).

ერთგან გამომკემელს, ჩანს, მთელი ფრაზა ვერ ამოუკითხავს ხელნაწერში:

...*և այլ ինչ բանք և խաւսք չէին լսալ ի ներքս* (52)¹³.

ვფიქრობთ, გამოკემისას უნდა გამოჩვენოდათ მთელი წინადადება ორ *იხიքრაგოცგანს*-ს შორის. ახალ გამოკემაში წინადადება აღდგენილია № 1774 ხელნაწერისა და „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით:

...*և ի մեծի մաքառման լսալ ընդ մերս կողմ առ ի Կիքრა-ցոցանს [զմիզ: Զոր ապա Հայք վասն մեծաբանութեանն Սունաց, որ Կիքრაგოցանს] ջանացան զկայս հանգստեան սրբոյն Թագ-նոսի առաքելոյ* (64)¹⁴.

4. „ეპისტოლეთა წიგნში“ ერთ წერილად წარმოდგენილი ვრთანეს ქერდოლის პასუხი მოსე ცურტაველის მესამე ეპისტოლეზე უხტანესის თხზულებებში ორად არის გაყოფილი (26 და 28 თავებში). ივ. ჭავჭავიძე უპირატესობას აძლევდა „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციას, რადგან მეორე ნაწილის დასაწყისში ვრთანესი კვლავ იმეორებს ცნობას წერილის მიღების შესახებ. ასეთი გამეორება კი ზედმეტია, რადგან აღრესატი და ავტორი იგივენი დარჩენნო. ივ. ჭავჭავიძეული ლიად ტოვებს საკითხს, ასეთი დანაწილება

¹² Մ ի վ ա է ս կ ա դ ա ն կ ս ա տ ի ու ս ց ի. გვ. 16. Մժր. 3. Բրոսես տარգմանի „შეუსწორებელი ტექსტისა: ...l'humiliation de la maison des Aghovans par Arhan, au temps de Vaghachac“. Deux historiens arméniens, II, § 65.

¹³ Մժր. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

¹⁴ Մ ի վ ա է ս կ ա դ ո ն կ ս ա տ ի ու ս ց ի. გვ. 312.

ისტორიკოსს ეკუთვნის. თუ უკვე იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ნუსხაში, რომელიც უხტანესს ჰქონდა ხელთ¹⁵.

უხტანესის თხზულების ახალ გამოცემაში ძველი პუბლიკაციის მდგომარეობაა დატოვებული, რადგან: 1. ხელნაწერები სოლიდარული არიან გამოცემასთან. 2. უხტანესს, როგორც რედაქტორს, საფუძველი არა ჰქონდა (სუბიექტური ან ობიექტური), ორად გაეყო ვრთანესის ეპისტოლე. თუ იგი ამას გააკეთებდა, კომენტარებში სადმე აღნიშნავდა. 3. უხტანესს ხელთ ჰქონდა „ეპისტოლეთა წიგნის“ რამდენიმე ნუსხა. ჩანს, ვრთანესის პასუხი ყველგან ასეთი რედაქციით იყო გადაწერილი. სხვა შემთხვევაში უხტანესი აღუნიშვნელს არც ამას დატოვებდა. 4. წერილის პირველი ნაწილი უხტანესთან დასრულებული სახით არის მოცემული და გამოსათხოვარი ფორმულით მთავრდება. სათაურად მას აქვს „პასუხი ვრთანესს ქერდოლისა მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე“. სრული აგებულებისაა ამ წერილის მეორე ნაწილიც, ოღონდ მას სათაურად უკვე აქვს არა „პასუხი“, არამედ „ვრთანესს ქერდოლის ეპისტოლე სარწმუნოებისა და კვლავ განმტკიცების შესახებ მოსე ცურტავის (რომელიც ახლა გაჩინია) ეპისკოპოსისადმი“. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უხტანესი თვლიდა არა პასუხად, არამედ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ დაწერილ განმარტებით ბარათად, რომელიც ვრთანესმა მოსეს გაუგზავნა პასუხთან ერთად, ან იქნებ ცოტა მოგვიანებით. 5. ვრთანესის ამ ორ ეპისტოლეს შორის უხტანესს ჩასმული აქვს მცირე კომენტარი (თავი 27), რომლის საშუალებითაც ყველაფერი ცხადი ხდება: „პასუხის შემდეგ [ვრთანესი] წერს [მოსეს] სხვა ეპისტოლესაც მართლმადიდებელ მეფეთა ზენონისა და ანასტასის დროს სარწმუნოების დამტკიცების შესახებ“. აშკარაა, უხტანესს იმის თქმა უნდა, რომ ვრთანესმა მოსეს ორი წერილი გაუგზავნა: ერთი მიმდინარე ამბების შესახებ და მეორე, დამატებით, მსოფლიო საეკლესიო ისტორიის გარკვეული პერიოდის შესახებ. 6. ზუსტად ასეთივე ვითარება გვაქვს „ეპისტოლეთა წიგნში“ სხვა შემთხვევაში: მოსე ცურტაველის საყოველთაო ეპისტოლე ცურტავის სომხურენოვანი მრევლისადმი და მისი დამატებითი ბარათი IV მსოფლიო კრების შესახებ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

¹⁵ И. А. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, Известия Императорской Академии Наук, VI, № 5, 1908, гл. 438-439.

ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩვენ უპირატესობას უყოყმანოდ უხტანესის რედაქციას ვანიჭებთ და ახალ გამოცემაში ტექსტს ხელუხლებლად ვტოვებთ¹⁶.

ივ. ჭავჭავიძის ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა განსხვავებამ „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის რედაქციებს შორის. კირონის მეორე პასუხის დასასრული (ბოლო აბზაცი)¹⁷ უხტანესთან მოთავსებულია მის მესამე პასუხში (თავი 51). ივ. ჭავჭავიძის ვარაუდით, აღრევა უხტანესის ბრალი უნდა იყოს და არა „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ეგზემპლარისა, რომელიც მას ჰქონდა ხელთ: ეპისტოლეების შემოკლებისას ისტორიკოსს ადვილად შეიძლებოდა შეშლოდა ერთი ეპისტოლე მეორეში¹⁸.

განსახილველი ტექსტი უხტანესის რედაქციით ასეთია: „ხოლო თუ ერთობისა და სიყვარულის დაცვა გსურთ და ჩვენთან მშვიდობიანი ცხოვრება, როგორც ჩვენი და თქვენი მამები ცხოვრობდნენ, ჩვენ მზად ვართ მშვიდობისათვის. ხოლო უკეთეს სხვაგვარად გსურთ ფიქრი, მეტად ნუ გაირჩებით და ამის შესახებ ნულარ მოგვწერთ, რადგან ეხლა მე სომხეთზე გზად გავლა თუ მომიწევს ოდესმე, თორემ სხვა საქმე [მანდ] არაფერი მაქვს“.

მოტანილი ტექსტი გაცილებით უფრო შეეფერება კირონის პასუხს აბრაამის მესამე ეპისტოლეზე, ვიდრე — მეორეზე. მისი მეორე ეპისტოლეს პასუხის საერთო ტონი არ არის ასეთი მკაცრი და შეურთხველი. აბრაამის მესამე ეპისტოლეც, სადაც კირონის მეორე პასუხი საკმაოდ ვრცლად არის ასახული, არა ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მის ავტორს ასეთი პასუხი წაკითხული ჰქონდეს. სულ სხვა ვითარება იქმნება მესამე პასუხის შემდეგ, რამაც გამოიწვია აბრაამის საყოველთაო ეპისტოლეში კირონისა და საერთოდ ქართველთა დაწყევლა. თუნდაც მხოლოდ ამის გამო, ჩვენ არა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ უპირატესობა „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციას უნდა მიენიჭოს¹⁹.

უხტანესის კომენტარებიც ცხადად მოწმობენ, რომ მას კირონის მეორე და მესამე პასუხები სწორედ ისე ჰქონდა წაკითხული, როგორც თვითონ შემოინახა. 52-ე თავში იგი თითქმის მთლიანად გადმოსცემს კირონის მეორე პასუხის იმ ადგილებს, რომლებიც დოკუმენტში არ შეიტანა და ზემოთ მოტანილი ტექსტის შესახებ

¹⁶ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 145, შენ. 1.

¹⁷ იქვე, გვ. 91.

¹⁸ История церковного разрыва..., გვ. 439-440.

¹⁹ შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 159, შენ. 6.

არაფერს ამბობს. ამიტომ, სავსებით მართალი იყო უხტანესი, რო-
დესაც წერდა: „როცა წავიკითხეთ კირონის მესამე ეპისტოლე,
პასუხი აბრაამის წერილზე, რომელიც არა ჰგავდა პირველ ან მეორე
ეპისტოლეს, არამედ სხვაგვარი ცბიერებითა და ცილისწამე-
ბით [იყო] აღსავსე, უკუვადეთო“. ცოტა ქვემოთ უხტანესი პირ-
დაპირ მიუთითებს: „იმ ბოროტ ეპისტოლეში“ კირონი ამბობდა:
„სარწმუნოების შესახებ თუ მომწერთ, პასუხს ჩემგან ვერ მიი-
ღებთო. სომხეთში გზად თუ მომიწევს გავლა, თორემ სხვა არაფე-
რი იქნებაო“.

ცხადია, უხტანესს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომელ
წერილში რა ეწერა. ისიც ცხადია, რომ მას ხელთ ჰქონდა „ეპის-
ტოლეთა წიგნის“ ის ნუსხა (თუ ნუსხები), სადაც სავარაუდო
რედაქციული ცვლილება უკვე შეტანილი იყო („როცა წავიკითხეთ
კირონის მესამე ეპისტოლე“), თუ კი იგი თავიდანვე ასე არ და-
წერა ეპისტოლეთა ავტორმა. ასეთი მოსაზრებების გამო ეს ეპის-
ტოლეს ხელუხლებლად დავტოვეთ უხტანესის თხზულების ახალ
გამოცემაში.

უხტანესის რედაქციაში ორ ნაწილად არის გაყოფილი „ეპის-
ტოლეთა წიგნის“ მიხედვით მთლიანი ტექსტი სათაურით: „ხელწე-
რილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის შარჰპანმა ეპისკოპო-
სებს, რომლებიც კვლავ, შეიკრიბნენ მისი ბრძანებით დვინს... და
ეს ხელნაწერი მისცა მათ“²⁰. უხტანესთან პირველია ხელწერილი,
რომელიც მისცეს ეპისკოპოსებმა სმბატ ბაგრატუნის (თავი 12) და
მეორე — ხელწერილი, რომელიც უკვე მან მისცა სომხეთის ეპის-
კოპოსებს (თავი 13). უხტანესის ვარიანტი არ უნდა იყოს პირვან-
დელი. ამას მოწმობს ორივე მხრისაგან საერთო დამტკიცება, რო-
მელიც სმბატისა და მის თანამზარხველთა პირობას მოსდევს უშუ-
ალოდ. მაგრამ რედაქცია მაინც შეგნებულად არის გაკეთებული,
რასაც უხტანესისეული სათაურიც მოწმობს, რომელიც დაყოფის
შესაბამისად არის შეცვლილი. ნაცვლად წინადადებისა „და ეს
ხელწერილი მისცა მათ“, წერია: „და თავისი ხელწერილი მისცა
მათ“. სმბატის ხელწერილის დასაწყისიც ისეა გაკეთებული, რომ
მექანიკური გაყოფა არა ჩანს²¹. ამის გამო ახალ გამოცემაში ის
ვითარება დავტოვეთ, რაც გვაქვს ხელნაწერებსა და ძველ პუბ-
ლიკაციაში.

²⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 59-61.

²¹ იქვე, გვ. 147, შენ. 1.

სულ სხვა ვითარება გვაქვს მოსე ცურტაველისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიმოწერასთან დაკავშირებით. უხტანესის გამოქვეყნებულ ტექსტში „მოსე ცურტავის ეპისკოპოსის ეპისტოლეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს“ (თავი 41) მთავრდება სიტყვებით: „იმედი გვაქვს ქრისტე ღმრთის მოწყალებისა, რომ აღსრულება კიდევ უკეთესი იქნება“. ეპისტოლეს არა ბოლოვდება გამოსათხოვარი ფორმულით, როგორც ბუნებრივი იქნებოდა უხტანესისეული რედაქციისათვის. ეპისტოლეს მთელი დაწარჩენი ნაწილი კი მექანიკურად ებმის აბრაამ კათალიკოსის პასუხს მოსე ცურტაველისადმი (თავი 42), რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრდება სიტყვებით — „მრთელად იყავ“. უხტანესის მიერ მოსეს წერილისადმი წამძღვარებული კომენტარიდან კარგად ჩანს, რომ მას წერილის შინაარსი ბოლომდე სცოდნია და მთლიანად მოტანასაც აპირებდა: „მისწერა აბრაამს და აცნობა თავისი შეუიწროების ვასაჰირი და დევნა კირონისგან, აგრეთვე ცურტავის შესახებ, შეევედრა კირონის გამო, და სხვა ცნობები კი ვრთანესისაგან ისმინეო“ (თავი 40). ეპისტოლეს სწორედ ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია „თუ ჩვენი უღირსობის შესახებ იკითხავთ, ვრთანეს ქერდოლისგან შეიტყობთო“, გადატანილია აბრაამ სომეხთა კათალიკოსის პასუხში (თავი 42). ამჟამად, რომ შეცდომა უხტანესს არ ეკუთვნის. არ უნდა იყვნენ დამნაშავენი არც გადაწერები, რადგან ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ასეთი მოსაზრებების საფუძველზე ახალ გამოცემაში ის მდგომარეობა აღვადგინეთ, რაც „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით არის ცნობილი და როგორც იყო, უეჭველია, უხტანესის მიერ რედაქტირებულ ტექსტში.

5. უხტანესის თხზულება დღემდე მხოლოდ ფრანგულად იყო თარგმნილი მ. ბროსეს მიერ²². მ. ბროსეს მუშაობა უხდებოდა ერთადერთი და გვიანდელი (1847 წ.) ნუსხის მიხედვით. ჯერ კიდევ არ იყო სპეციალისტებისთვის ცნობილი „ეპისტოლეთა წიგნი“, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა უხტანესის ტექსტის გაკონტროლება. ყველაფერმა ამან თავისი დალი დაასვა მის თარგმანს, თუმცა მ. ბროსე რიგ შემთხვევაში მაინც ახერხებდა ტექსტში ისეთი შესწორებების შეტანას, რომლებიც შემდეგში დაადასტურა „ეპისტოლეთა წიგნმა“.

ზოგჯერ მ. ბროსე ტექსტს თავისუფლად თარგმნის და საკუთარ სახელებსაც (კირონი, ქართველები და სხვ.) უმატებს აღდგე-

²² M. Brosset, Deux historiens arméniens...

ნის ნიშნების გარეშე. ასეა თარგმნილი მაგ. 62-ე თავის პირველი აბზაცი, მთლიანად 70-ე თავი და სხვ.

ფრანგული თარგმანი ყოველთვის არ არის სრული, რაც ჩვეულებრივ მითითებულია სქოლიოებში, თუმცა არის შემთხვევა, როცა ეს წესი არ არის დაცული. მაგ., 61-ე თავში გამოტოვებულია 9 გვ. (1871 წლის გამოცემის მიხედვით), 66-ში — 2 გვ., 70-ე თავია 5 გვ. გადმოცემულია ერთ გვერდზე. ყველა გამოტოვებული ადვილი განსაკუთრებით ძნელია სათარგმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ბროსეს თარგმანი თავის დროზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, დღეს მისით სარგებლობა მხოლოდ მკაცრი კონტროლის შემდეგ შეიძლება. სწორედ ისეთ ზაკითხებთან დაკავშირებით, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საეკლესიო განხეთქილების ისტორიის შესასწავლად, უბტანეის ტექსტის ფრანგულ თარგმანში ვხვდებით შეცდომებსა და უზუსტობებს.

ფრანგული თარგმანის უზუსტობებსა და, ზმირ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეცდომებს აქ არ აღვნიშნავთ. დაინტერესებული მკითხველი ადვილად შეადარებს ამ ორ თარგმანს და, საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინებს განსხვავებებს. მიუეთითებთ მხოლოდ იმ განსხვავებებზე, რასაც მ. ბროსეს თარგმანში ვხვდებით ქართული ეპისკოპოსების სიის გადმოცემისას: დავით ბოლნელი—David, évêque de Mogni; ენეს მარუელი ეპისკოპოსი—Enes Taronel; იოსებ აღსუნელი—Hoseph Adounel; მეორე იოსებ კუმურდოს ეპისკოპოსი—un autre Hohannes de Coumourd; ზაქარია კასტელი ეპისკოპოსი—Zakaria de Kartha.

6. უბტანესის თხზულების ქართულად თარგმნისას დაცულია იგივე პრინციპები, რის შესახებაც ლაპარაკია „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემაში²³. მკითხველი ადვილად შეამჩნევს განსხვავებებს „ეპისტოლეთა წიგნის“ და უბტანესის „ისტორიაში“ დაცული ერთი და იმავე წერილის თარგმანებს შორის. ჩვეულებრივ, ეს განსხვავებები გამოწვეულია უბტანესისეული ტექსტის თავისებურებებით: ცვდილობდით არ დაგვეკარგა არც ერთი ნიუანსი, რაც კი ამ ორ რედაქციას ერთმანეთისაგან განასხვავებს, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც „ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტის გამოყენებით თარგმანი უფრო გამართული გამოვიდოდა. ზოგჯერ განსხვავებები შედეგად მოჰყვა მთარგმნელის ცდას, გაეუმჯობესებინა ადრინდელი თარგმანი. ამიტომ იმ ეპისტოლეების გამო-

²³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 068.

ყენებისას, რომლებიც გვაქვს ორივე გამოცემაში, სპეციალისტი მკითხველები, იმედი გვაქვს, მეორე თარგმანსაც გაითვალისწინებენ.

უხტანესის სტილი მაღალფარდოვანია და, ზოგჯერ, ძალიან ბუნდოვანი. ვცდილობდით შინაარსობრივად ადეკვატურ თარგმანთან ერთად მისი სტილის მხატვრული თავისებურებანიც შეგვენარჩუნებინა. ძნელია, მაგალითად, შინაარსის დაუზიანებლად გადმოსცე უხტანესის ცდა გარკვეული განწყობილების შესაქმნელად შეარჩიოს სიტყვების ისეთი ჯგუფი, რომელშიც ყველა სიტყვა ერთი თანმგონით ან მარცვლით იწყება: *Իսկ այժմ և յայժմու ժամանակս հնչ և հնազանդ հարցն հաւատոյ, և հաւան և հպատակ ուղղապիսու հաւատոյ սուրբ հարցն և վարդապետացն, և կարի պէտ և կարեկից ամենաչն կարითեւելի...* (თავი 31).

ისე აქვს ევ მაჟიმუ ჟამანაკს ჰეზ ევ ჰნაზანდ ჰარცნ ჰავატო, ევ ჰავან ევ ჰპატაკ ულღაფარ ჰავატო სურბ ჰარცნ ევ ვარდაპეტაცნ, ევ კარი პეტ ევ კარეკიც ამენაჲნ კაროტელოც...

7. ციტატები ძველი და ახალი აღთქმიდან ჩვენ მიერ არის დაძებნილი. თავები და მუხლები მითითებულია მხოლოდ ქართულ თარგმანში. ციტატებს, ჩვეულებრივ, ვიძლევი „წმიდა წერილთა“ ძველი ქართული თარგმანების მიხედვით, თუ უხტანესის ტექსტი მათ დიდად არა სცილდება. სხვა შემთხვევებში ვთარგმნით ჩვენი სიტყვებით.

Ի ժամանակս թագաւորութեանն Հոսմալեցւոց Մուրկայ, և ի բռնակալութեան Պարսից և Թնեկտասներորդ ամի Ապրուէզ-Սոսրովու արքայից արքայի, և ի տէրութեանն տևաւն Սմբատայ Վրկան Մարզպանի Հայոց Մեծաց՝ ևկայ յաթոռ հայրապետութեան Հայոց՝ Աբրահամ. որ էր քսաներորդ վեցերորդ ի սրբոյն Գրիգորէ, ի գաւառէ Ռշտունեաց: Սա կիցեալ ամս քսան և կրկը: Ի սորա ժամանակս ևղև բաժանումն Վրաց ի միաբանութենէ Հայոց ի ձևն Կիւրոնի Վրաց առաջնորդի, և հստեցան լինել կցորդակից չար աղանդւոյն Բաղկիդոնի, փոխեալ դաւրէնս սրբոց հարցն, և մտացեալ զուխտն աստուածեղէն: Իսկ Կիւրոնի ընկալեալ էր ձեռնադրութիւն ի Մովսիսէ Հայոց կաթուղիկոսէ. զորոյ վննի մահուան նորա յաջորդէ գաթոռն Աբրահամ, զոր վիրապոյն ասացաք: Իսկ զԿիւրոնէ, թէ ուստի՞ կամ յորմէ՞ դաւառէ և ի դեղջէ է, և կամ որո՞վ օրինակաւ եկեալ ի Հայս՝ ասացից սակաւիկ զպատճառն:

Սա էր աշխարհաւ և ազգաւ ի Վրաց՝ ի դաւառէ Զաւախոց՝ ի գեղջէ՝ որ կոչի Սկուտրի. և ունէր զպարութիւն վասն Վրաց և Հայոց: Եւ երթեալ լկրկիրն Հոռոմոց բնակեցաւ անդ ամս հնգետասան ի գաւառին՝ որ կոչի Կողոնիայ. և բնակի անդ ի մեծ քաղաքակն Նիկոպոլիս կոչեցեալ՝ լկզր գետոյն՝ որ կոչի Գայլ: Եւ վարժեալ և ուսեալ զպարութիւն նոցա, և զայլ ևս չարարուեստ գիտութիւն, որով որոշեցաւ ի մէնջ: Եւ ելեալ անտի դնաց ի Հայս առ Մովսէս կաթուղիկոսն Հայոց, և բնակէ առ նա ի սուրբ Կաթուղիկէին որ ի Դուին քաղաքի, քանդի յայնմ ժամանակի անդ էր աթոռ հայրապետութեանն Հայոց: Եւ նա կացուցանէ դնա Վանաց երէց սրբոյ Կաթուղիկէին, այլև քորեպիսկոպոս՝ տալով նմա զվիճակ զգաւառն Ալլարատեան: Եւ կացեալ ի նմին ամս հինգ. ապա ընդ այն ժամանակս մեռանի կաթուղիկոսն Վրաց: Եւ առաքեն իշխանք աշխարհին և նախարարքն հանդերձ եպիսկոպոսաւքն առ Մովսէս կաթուղիկոսն Հայոց՝ խնդրէ իւրեանց առաջնորդ: Իսկ

რომაელებზე მავრიკეს მეფობის დროს, მეფეთა-მეფის აპრუ-
ეზ-ხოსროს სპარსელთა მპყრობელობის მეჩვიდმეტე წელს დადიდ
სომხეთში უფალ სმბატ ვრკანის მარზპანის ბატონობისას, სომეხთა
პატრიარქის საყდარი დაიკავა აბრაამმა, რშტუნთა გავარიდან, რომე-
ლიც წმიდა გრიგოლიდან ოცდაშეექვსე იყო. მან ოცდასამ წელს
იცხოვრა. მის დროს მოხდა ქართველთა გამოყოფა სომხებთან
ერთობისგან კირონ ქართველთა წინამძღვრის მიერ. [ქართველებ-
მა] მოინდობეს, რომ ქალკედონის ბოროტი წვალეების მოზიარე-
ნი ყოფილიყვნენ, შეცვალეს წმიდა მამათა სჯულნი და დაივიწყეს
ღვთაებრივი აღთქმა. კირონს ზელდასხმა მიღებული ჰქონდა მოსე
კათალიკოსისგან, რომლის სიკვდილის შემდეგ საყდარი იმ აბრა-
ამმა დაიკავა, რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვი. ხოლო კირო-
ნის შესახებ, თუ საიდან, ან რომელი გავარიდან და სოფლიდან
არის [წარმოშობით], ან როგორ მოვიდა სომხეთში, ცოტა რა-
მეს გეტყვი.

ის იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველთაგან, ჯავანთის გა-
ვარიდან; სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება, და ქართ-
ველთა და სომეხთა მწიგნობრობა იცოდა. რომაელთა ქვეყანაში
რომ მივიდა, ცხოვრობდა იქ თხუთმეტ წელს გავარში, რომელსაც
კოლონია ეწოდება, დიდ დაბა-ქალაქ ნიკოპოლისში, მდინარის
პირზე, რომელსაც გაილი ჰქვია. გაიწაფა და ისწავლა მათი მწიგ-
ნობრობა და სხვაც ბოროტი მეცნიერება, რომლითაც ჩვენ გავვე-
მიჯნა. წამოვიდა იქიდან და მოვიდა სომხეთს მოსე სომეხთა კა-
თალიკოსთან და დასახლდა წმიდა კათოლიკეს, რომელიც ქალაქ
ღვინშია, რადგან მაშინ სომეხთა საპატრიარქო საყდარი იქ იყო.
მან დააყენა იგი წმიდა კათოლიკე მონასტრის უხუცესად, აგრეთვე
ქორეპისკოპოსად და მისცა აირარატის გავარი სამწყაოდ. ხუთი
წელი იყო ამ [ხარისხზე]. იმ ხანებში გარდაიცვალა ქართველთა

նա խորհուրդ արարեալ՝ զի ի տանէ իւրմէ տացէ նոցա առաջ-
նորդ յաղագս հաւատարմութեանն և միտքանութեան հաւատոյ
երկոցունց կողմանցն, միանգամայն և վստն հաստատելոյ զուխտ
առաջնոց հարցն՝ որք նախ քան զնա, ձեռնադրէ զԿիւրոն՝ որպէս
յառաջն սասցաք՝ իւր համարելով զնա, իբր թէ հաւատարիմ զնա
վարկանելով և միամիտ ի դրան իւրում, անդիտացեալ զծածուկ
նորա սրտին: Առաքէ զնա ի ձեռն Պետրոսի եպիսկոպոսի՝ որ էր
ի Վրաց աշխարհէն՝ և այլ ևս նախարարաց եկեալ ընդ նմա մե-
ծաւ պատուով: Իսկ յորժամ եհաս Կիւրոն ի վիճակ իւրոյ իշխան-
ութեանն և ի քաղաքն իւրեանց՝ որ կոչի Մցխեթայ, ժողով ևս
իւնքն զեպիսկոպոսունսն հանդերձ լաւաւք աշխարհին և զիշխանս
և զնախարարս, և նուաճէ նոքաւք հանդերձ ասուտարակ զամե-
նայն աշխարհն ընդ իւրով իշխանութեամբ: Իսկ ապա յորժամ
տեսանէր զամենայն յաջողեալ ըստ կամաց իւրոց, այնուհետեւ
խորհուրդ նենդութեան ի միտ արկեալ՝ ձեռնադրէ եպիսկոպոս մի
խուժիկ նկատորական. որում անուն Կիս կոչիւր, որ է խստու-
թիւն: Քանզի և էր իսկ խիստ, և խստութեամբ վարեցաւ ի տե-
առնակողմն կոչս, և ի ցամաքութիւն ցասմամբ բարկացոյց զՏէր:
Սա եկեալ առ նա յաշխարհէն Հոռոմոց՝ ի գաւառէն Կողոնիայ՝
քնակութեամբ ի զեղջէն՝ որ կոչի Զուտարիմայ, մերձ ի Նիկոպո-
լիս: Եւ են երկոքեան յեզր Գալլ գետոյ, որպէս նախասացեալ
եզև. որ կարծեմ ոչ միայն գաւառակից միմեանց լեալ՝ կամ դե-
ղակից, այլև ուղանդակիցք և ուսումնակիցք չար ուսմանց ի չար
վարդապետաց. և ձեռնադրէ զնա աւտարատեսուչ՝ այսինքն աղան-
դաւոր եպիսկոպոս. և միաբանեալ ընդ դէմ միմեանց՝ որպէս
Արամն ընդ Եփրեմի, և դարձեալ՝ որդին Արամայ և որդին Հոռ-
մեղալ խորհեցան խորհուրդ չար, և զարհուրեցաւ անձն նոցա:
Զոր ասէ Տէր զաւրութեանց՝ մի՛ կացցէ խորհուրդն այն, և դարձե-
ալ՝ այլ խորհուրդ չար հանդոյն Կիւրոնի և խուժիկին այնմիկ: Զոր
Տէր սպառնայ մարգարէին, մի կալ խորհուրդն այն հաստատուն
և կամ թէ հաւասար նոցա: Ծանեաւ, ասէ, այս Վասակ զայն Վա-
սակն. որ նենգեաց առ ի սպանումն սրբոցն լի նենգութեամբ և
գաւաճանութեամբ հակառակ ճշմարտութեան զինքեանս սրեալ:

კათალიკოსი. გამოაგზავნეს იმ ქვეყნის მთავრებმა და ერისთავებმა ეპისკოპოსებთან ერთად [კაცი] მოსე სომეხთა კათალიკოსთან წინამძღვრის სათხოვნელად. ხოლო მან განიზრახა, რომ თავისი სახლიდან მისცეს მათ წინამძღვარი ერთგულებისა, ორივე მხარის სარწმუნოების ერთობისა და, აგრეთვე, პირველ მაშათა, რომლებიც მასზე ადრე იყვნენ, აღთქმის განსამტკიცებლად. [ამიტომ] ხელი დაასხა კირონს, როგორც ადრე ვთქვით, რომელსაც თავისად თვლიდა, სანდო და თავისი კარის ერთგული ეგონა და არ კი იცოდა მის გულს დაფარული. გააყოლა იგი პეტრე ეპისკოპოსს, რომელიც ქართველთა ქვეყნიდან იყო, და სხვა მასთან მოსულ ერისთავებს დიდი პატივით. ხოლო როცა მიაწია კირონმა თავისი სამთავროს სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შემოიკრიბა ეპისკოპოსები, ქვეყნის წარჩინებულები, მთავრები და ერისთავები და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფების ქვეშ. ხოლო მერე, როცა დაინახა, რომ ყოველივე მისი სურვილისამებრ მოეწყო, ამის შემდეგ გულში მზაკვრული ზრახვა გაიფლო: ხელი დაასხა ერთ ზუფიკ ნესტორიან ეპისკოპოსს, რომელსაც სახელად კისი ეწოდებოდა, რაც სისატიკეს ნიშნავს, რადგანაც მკაცრი იყო, სისასტიკით წარიმართა უფლის მხარეს და სიფიცხიზ განარისხა უფალი. იგი მასთან მოვიდა რომაელთა ქვეყნიდან, კოლონიის გავარიდან, წარმოშობით იმ სოფლიდან, რომელსაც ეწოდება ზუტარიმა, ნიკოპოლისის მახლობლად. ორივე მდინარე გაილის ნაპირებზე მდებარეობს, როგორც ადრე იყო თქმული. ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ერთი გავარიდან, და გინდაც ერთი სოფლიდან, [იყვნენ], არამედ — თანამწვალებელნიც და ბოროტი სწავლის ბოროტ მოძღვართაგან ერთად მოსწავლენიც. ხელი დაასხა მას უცხოთა ზედამხედველად, ესე იგი მწვალებელ ეპისკოპოსად, და შეუთანხმდნენ ერთმანეთს «ვითარცა არამ ეფრემისა თანა»¹, და, კვლავ, «ქემან არამისმან და ქემან რომაელისმან განიზრახეს განზრახვა ბოროტი»² და «განკრთა სული მათი»³. როგორც იტყვის უფალი ძლიერებათა: „ნუ იყოფინ ზრახვაჲ იგი“ და კიდევ სხვა მსგავსი ბოროტი ზრახვა კირონისა და იმ ზუფიკისა, როგორც უფალი იქადის წინასწარმეტყველის [პირით]: „არა გქონდეს ზრახვა იგი მტკიცე, ან კიდევ თანსწორი მათი“. იცნოვო, ამბობს, ამ ვასაკმა ის ვასაკი, რომელმაც იცრუა მოსაკლავად წმიდანთა; საესემ მზაკვრობითა და სიცრუით ჭეშმარიტების

1 ესაია 7,2. 2 ესაია 7, 4-5. 3 ესაია 7,2.

Եւ այնպէս լծակից լիալ Կիւրոնի անհաւատութեան ժողովոյն Քաղկեդոնի՝ ունելով ի ծածուկ յինքն ինքեան հաւանութեամբ գհաւատս նոցա, վաղուրեմն ներկեալ ի գոյն երկարնսկացն, թէպէտ և խուժկէն դարձեալ նորոգումն կել:

Արդ ձեռնադրէ զխուժիկն զայն կախիկոպոս՝ որպէս սասցաւք՝ զանխլաբար ունելով ի Մովսիսէ ի Հայոց կաթուղիկոսէ՝ մինչև յայտնեցաւ խորհուրդ նենգութեան նոցա. զոր ի վաղնջուցն էր ծածկեալ: Իսկ երանելի հայրապետն Մովսէս՝ նմանեալ մեծին Մովսիսի նախամարգարէին՝ քաղցր և հեղ առ ամենեկեան: Սա էր ի գաւառէ Արադաժոսաւնէ, ի գեղջէ Եղիփարայ: Սա կացեալ յաթոռ իւրոյ հայրապետութեան ամս երեսուն: Ի սորա տասներորդի ամի աթոռակալութեանն՝ ի սորին իսկ հրամանէ եղաւ թուականութիւնս Հայոց թորդոմեանն՝ և պատճէն տաւմարի Հայ ամսոց: Ի սորա քսանհինգերորդ ամի կալաւ Կիւրոն զաթոռ կաթուղիկոսութեանն տանն Վրաց. որ և Սաւղաբար երկրորդ ամ եղև նմա հնազանդել ճշմարտութեան: Ապա այնուհետև սկսաւ ամբարշտել և սակ ճշմարտութեան. ձեռնադրէ զխուժիկն ի յերորդ ամի իւրոյ հայրապետութեան: Ապա իմացեալ զայն կախկոպոսին Մովսիսի՝ որ ի Յուրտաւ, որ այժմ կոչի Գաչէնք. որ և նա ընկալեալ էր ձեռնադրութիւն ի Կիւրոնէ՝ մինչդեռ յուղղափառութեան էր, յառաջի ամի իւրոյ հայրապետութեան. զոր և յիւր իսկ ի թուղթան յիշէ Կիւրոն սոյն բան: Արդ ծանուցանէ կախիկոպոսն Յուրտաւայ բանիւ և ի ձեռն գրոյ հայրապետին Մովսիսի զեղեալսն ի Կիւրոնէ՝ որ վասն խուժիկն կախիկոպոսին և որ այլ ինչ գործք ի նմանէ գործեալ էր: Զոր տեսութեամբ և իմացութեամբ ի վերայ հասեալ ստուգիւ, և իթէ զՔաղկեդոնին ունի զհաւատ՝ պատրուակեալ զինքն կեղծաւորութեանք՝ որպէս պատմէ ինքն իսկ յիւր թուղթան: Արդ երանելի կախիկոպոսս այս՝ զորմէ ասացաւ ճշմարտասէր և բարեփառ՝ ունել զինքն միջնորդ խաղաղութեան ի մէջ երկոցունց կողմանց Հայոց և Վրաց՝ իբրև թէ միջնորդ խաղաղութեան գոլ և հաստատութեան հաւատոյ ի մէջ երկոցունց՝ որպէս պատմի ի Գիրս թղթոցն:

Քանզի և էր միջնորդ խաղաղութեան և ունէր զպրտութիւն զՀայոց և զՎրաց: Քանզի երթեալ էր ի տիս տղայութեան իւրոյ ի զեղաքաղաքն Յուրտաւ. և ի նմա սնեալ և ունեալ զգպրտութիւն զմերս և զՎրաց՝ աշակերտեալ երանելի կախիկոպոսացն՝ որք զաթոռն զայն ունէին որք նախ քան զնա. որ ապա և իւրն շնորհեցաւ ի Տեառնէ՝ յաջորդեալ զաթոռն երեսնամէ գոլ: Արդ իբրև լուաւ կաթուղիկոսն Մովսէս զեղեալսն ի Կիւրոնէ, ի տարակուսի

საწინააღმდეგოდ, ერთმანეთი მოსრეს. ასე მეუღლე იყო კირონი ქალკედონის ურწმუნო კრებისა, ინახავდა რა ფარულად თავის თავში მოწონებით მათ სარწმუნოებას, აღრევე შეფერილს ორბუნიანთა ფერით, თუმცა ხუეიკისაგანაც კვლავ აღორძინდა.

ხოლო როგორც ვთქვით, ხელი დაასხა იმ ხუეიკ ეპისკოპოსს ფარულად მოსე სომეხთა კათალიკოსისგან, ვიდრე გამოაწკარავდებოდა მათი ცბიერი ზრახვა, რომელიც აღრიდანვე იყო დაფარული. ხოლო ნეტარი მამამთავარი მოსე, დამსგავსებული დიდ წინასწარმეტყველს, ტკბილი და ნაზი ყველას მიმართ, იყო არაგაწოტნის გავარიდან, სოფელ ელივარდიდან. საპატრიარქო საყდარზე იყო ოცდაათ წელს. მისი საყდრისმპყრობელობის მეათე წელს, მისივე ბრძანებით დაიღო სომეხ თორგომეანთა წელთაღრიცხვა და სომხურ თვეთა კალენდრის ნუსხა. მის ოცდაშვითე წელს იპყრა ქართველთა სახლის საკათალიკოსო საყდარი კირონმა, რომელიც საელეს მსგავსად ორ წელს ემორჩილებოდა ჭეშმარიტებას, ხოლო ამის შემდეგ იწყო უღმრთოება და ჭეშმარიტების მოტყუება: ხელი დაასხა ხუეიკს თავისი მამამთავრობის ნესავე წელს. ეს შეიტყო იმ მოსე ეპისკოპოსმა, რომელიც ცურტავში იყო, ახლა რომ გაჩიანი ეწოდება. მასაც ხელდასხმა კირონიანგან მიეღო მისი მამამთავრობის პირველ წელს, როცა ჯერ მართლმადიდებელი იყო. ამ გარემოებას კირონი თავის პირველ წერილში თვითონ იხსენიებს. ცურტავის ეპისკოპოსმა აცნობა სიტყვიერად და წერილის საშუალებით მამამთავარ მოსეს კირონისგან ქანილი: ხუეიკი ეპისკოპოსის შესახებ და რაც სხვა მსგავსი საქმეები ჩაიდინა, რომელთა ნახვითა და გაგებით შეიტყო ჭეშმარიტად, რომ ქალკედონის სარწმუნოება ჰქონდა [და] სიყალბით ფარავდა, როგორც თვითონვე გვაუწყებს თავის წერილებში. ხოლო ეს ნეტარი ეპისკოპოსი, რომლის შესახებაც ვთქვით, ჭეშმარიტებისმოყვარე და მართლმადიდებელი, თავს ორივე მხარეს შორის — სომეხთა და ქართველთა — მშვიდობის შუამავლად, მშვიდობისა და სარწმუნოების სიმტკიცის შუამავალად თვლიდა, როგორც მოგვითხრობს «ეპისტოლეთა წიგნი».

მშვიდობის შუამავალი იყო და იცოდა სომხური და ქართული მწიგნობრობა, რადგანაც სიყრმეში მოსულა დაბა-ქალაქ ცურტავს, იქ აღზრდილა და უსწავლია ჩვენი და ქართული მწიგნობრობა, დამოწაფებულა ნეტარ ეპისკოპოსებს, რომელთაც მასზე აღრე ჰქონდათ ის საყდარი, რაც მერე უფლისგან მას მიემადლა და დაუმკვიდრებია საყდარი ოცდაათი წლისას. ხოლო როცა მოსე კათალიკოსს ესმა კირონისგან ჩადენილი, ექვით შეპყრობილი ზრუ-

լիալ հոգալը, և սուգ առևալ որպէս Սամուէլ ի վերայ Սաւուդայ՝
ասելով զբանս գրոցն, և թէ զղջացեալ, զի թաղաւորեցուցի զՍա-
ւուդ թագաւոր ի վերայ Իսրայէլի: Եւ այնպէս սուգ առևալ սակս
Կիւրոնի կորստեանն՝ խնդրէր ի մտի իւրում զիւր իրացն: Ապա այնու-
հետեւ գրէ թուղթ առ Կիւրոն սիրոյ պատճառաւ, և առաքէ ի ձեռն
Ստեփաննոսի կալիսկոպոսին, որ էր ի գրան իւրում, սակաւ ինչ
անգիտանալով զկղեալսն ի նմանէ. զի թերևս կարասցէ շահել
զնա, և իմանալ զմեղկ միտս նորա: Արդ զրէ նախ զգուշանալ ի
վարս և ի գնացոս, և կալ հաստատուն ի հաւատս ճշմարիտս՝ և
հեռանալ ի հայնոյութենէ աղանդոյն Քաղկեդոնի, միանդամայն և
վասն խոժիկ նատորին գրէ, գիտելով ի նմանէ ստուգել: Իսկ
նա տակաւին ևս ծածկէր խաբելով զպարզամիտսն, և առժամայն
շինէլով զմիտս կաթուղիկոսին Մովսիսի: Եւ այս լինէր լանխը-
խանութեանն Հալոց. քանզի բարձեալ էր թագաւորութիւնն լազգէ
Արշակունեաց. և զաշխարհս լերկուս բաժանեալ էին Պարսկիք
և Հոռոմք:

Գ Լ Մ Խ Բ

**ԹՈՒՂԹ ՏԵԱՌՆ ՄՈՎՍԻՍԻ ՀԱՅՈՑ ԿԱԹՈՒՂԻԿՈՍԻ
ԱՌ ԿԻՒՐՈՆ ՎՐԱՑ ԿԱԹՈՒՂԻԿՈՍ**

Կիւրոնի վրաց կաթուղիկոսի և այլ կալիսկոպոսաց աթոռակ-
ցաց քոց՝ ի Մովսիսէ Հալոց կաթուղիկոսէ և լայլ կալիսկոպոսաց
աթոռակցաց իմոց՝ սիրով ողջոյն:

Յառաջագոյն իսկ՝ մինչդեռ առ մեզն էիր՝ իսաւեցաք ընդ
քեզ բան խրատու և մխիթարութեան. որպէս սիրելի եղար և
աթոռակից՝ որպէս և եսդ, և եղիցիս արժանապէս գնալ քեզ ի
ճանապարհս Տեառն, և պահել զպատուիրանս նորա սուրբ սըր-
տիւ և անկեղծաւոր հաւատով, և զպուշանալ ի վարս և ի գնացոս,
և բարիոք հովուել և հովուապետել, և զգոյշ լինել հաւտիդ՝ որ
քեզ հաւատացաւ. և այլ ամենայն պատուիրանք Տեառն՝ որ յայդ
բան բովանդակին: Եւ դարձեալ զնոցն գրեմ՝ գնալ արժանապէս ի
ճանապարհս Տեառն. և երանելի լինել ըստ մարգարէին ձայնի, և
ոչ գնալ ի խորհուրդս ամբարշտաց, և լիշել զամենայն բանս
Աստուածաշունչ Հին և Նոր Կտակարանաց, որ պատուիրեն մեզ՝
պահել զպատուիրանս Տեառն ուղիղ մտաւք և ճշմարիտ խոստո-
վանութեամբ, և ոչ խոտորել ի ճանապարհաց Տեառն յաջ կամ
յահակակ. և ես զնոցն խնդրէի լսել ի քէն: Բայց արդ լսեմ, թէ

ნავდა და წუხდა ვითარცა სამუელი საულზე და ამბობდა [წმიდა] წერილის სიტყვებს: „ვნანობ, რომ გავამეფე საული ისრაელზე“¹. ასევე დარდობდა კირონის წარწყმედის გამო და გუნებაში გამოსავალს ეძებდა. მაშინ მისწერა კირონს წერილი სიყვარულის საბაბით და გაუგზავნა სტეფანე ეპისკოპოსის ხელით (რომელიც მის კარზე იყო და სულ მცირე რაიმეც კი არ იცოდა მისგან ჩადენილთა შესახებ), რათა ეგების შეძლოს მოგება და შეიტყოს მისი გონების უსუსურობა. ჯერ მისწერა, რომ გაფრთხილებულიყო ქცევასა და სვლაში, მტკიცედ მდგარიყო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და განწორებოდა ქალკედონის წვალების ღვთისმკნობელობას; აგრეთვე, ხუციკი ნესტორიანის შესახებ მისწერა, უწყოდა რა მისგან ჭეშმარიტად. ხოლო იგი ჯერ კიდევ მალაგლა და ატყუებდა გულუბრყვილოებს და იმავე დროს ამშვიდებდა მოსე კათალიკოსს. ეს მოხდა სომხეთში უმეფობისას, რადგან აღეფხვრა მეფობა არშაკუნიანთა ნათესავთაგან და ეს ქვეყანა ორად ჰქონდათ გაყოფილი სპარსელებსა და რომაელებს.

თ ა ვ ი 2

მოსე სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლე კირონ ქართველთა კათალიკოსს

კირონ ქართველთა კათალიკოსს და სხვა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსებს მოსე სომეხთა კათალიკოსისა და სხვა ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებისგან სიყვარულით მოკითხვა.

წინათაც, როცა ჩვენთან იყავი, დაგარიგეთ და განუგეშეთ როგორც საყვარელი და თანამოსაყდრე, როგორც შენა ხარ, რათა ღირსი შეიქნე უფლის გზაზე სვლისა, დაიცვა მისი მცნება წმიდა გულით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, გაფრთხილდე ცხოვრებასა და სვლაში, კეთილად მწყემსო, უმწყემსთაგრო და გაუფრთხილდე მაგ სანწყსოს, რომელიც შენ მოგენდო, [დაიცვა] უფლის ყოველი მცნება, რომელთაც ეგ სიტყვა შეიტყავს. კვლავ იმასვე გწერ, რომ ღირსეულად ვიდოდე უფლის გზაზე და ნეტარი გახდე წინასწარმეტყველის სიტყვის მსგავსად; არ იარო უღმრთოთა რჩევით და მოიხსენიო ყოველი სიტყვა წმიდა წერილთა, ძველ და ახალ აღთქმათა, რომელნიც გვიბრძანებენ დავიცვათ მცნებანი უფლისა წრფელი გონებით და ჭეშმარიტი აღსარებით; არ გადა-

¹ შტრ. 1 მეფეთა, 15, 11.

հերձուածք գոն ի քեղ. և ստիաւ ինչ հաւատացի: Բայց հաւատա
ցի, վասնզի ի հաւատարիմ վկայից կղև ծանուցիաւ: Եւ լուաք
այսպէս, եթէ այլ մի խուժիկ նկատորական եկն առ քեղ, և ի քէն
առկալ ձեռնադրութիւն կպիտկոպսութեանն. և զարմացայ յոյժ,
զի զայնպիսին ոչ միայն ի պատիւն յայն ածել արժան էր, այլև
պատժել, և ի ժողովս հաւատացիլոց ոչ ընդունել. զի գայլ ոչ
կրբէք բնակի ի մէջ ոչխարաց, այլ եթէ կրբէք բնակել հանդիպի՝
աւձտէ և ցրուէ զնոսա: Նմանապէս և զողք. զի Կող ոչ գայ՝ եթէ
ոչ զի զողացի և սպանցէ և կորուսցէ՝ սասաց մկզ Տէրունական
բանն: Վասնզի աչնպիսիքն զողք են և աւտղակք և գայլք յափշ-
տակողք. և դարձեալ սուտ առաքիալք և մշակք նկնգաւորք, և
կերպարանին զգեստիւք ոչխարաց, և ի նկրքոյ գայլք են յափշ-
տակողք. յայնպիսեացն զգուշանալ մկզ հրամայեաց Հովիւն քաջ-
որ կռ զանձն իւր ի վերայ ոչխարաց. և ապա յաւուր վրիժուց
հատուցման հատուցանէ նոցա որոշելով ի ձախակողմն կոյս՝ ասե-
լով, երթայք անիծեալք յինէն, և որ ի կարգին է բան: Եւ դար-
ձեալ, եթէ ի բաց կացէք յինէն սամնայն մշակչ սնիրաւութեան.
զի ոչ Կիտեմ դձեկ: Նաև ընդ մէջ կտրուցէ զնոսա, և զմասն
նոցա ընդ անհաւատսն դիցէ. զի և առաքէ ի տեղին, զոր պատ-
րաստեալ է սատանայի և հրեշտակաց նորա:

Արդ զիտեմք, զի անգիտութեամբ արարեր զայդ: Արդ՝ գար-
ձի՛ր և ապաշաւեա՛ հանդերձ ապաշխարութեամբ. և արտասուաք
ասա՛ դու զմարգարէին. Տէր, մի՛ յիշեր զմկզս մանկութեան իմոյ
և զանգիտութեան. և այլ մի՛ հս տացես տեղի բնակութեան
խուժիկն այնորիկ ի մէջ հաւատացիլոց: Եւ պատուիրեա՛ մեծաւ
սաստիւ, զի մի՛ ոք իշխեսցէ ընդունել զնա ի լարկս իւր, և մի՛
տալ նմա ողջոյն ամենեկն, և մի՛ տեղի բնակելոյ նմա ընդ իշ-
խանութեամբ քոյ: Եւ դարձեալ՝ մի՛ կրբէք ողջոյն սալ նմա ի
հաւատացիլոց քոց. վասնզի հրաման սուաք յաստուածային պա-
տուիրանաց՝ այնպիսեացն ողջոյն ոչ տալ. այլ դու ապաշաւեա՛
հանդերձ արտասուաք և ողորմութեամբ աղքատաց, և ապաշխա-
րեա՛ մեծաւ զղջմամբ. զի ապաշաւելն [է] դադարելն ի մեղացն:
Զի եթէ մեղիցես, դարձցիս ասէ, և թէ ուղղուցես, յերկար ձեռ-
ցիս. և յորժամ դարձցես և յողոց հանիցես և հեծեծիցես: Արդ
դարձցին առ Աստուած՝ որ խնդրին զնա, դրեալ է: Վասնզի

ვუხვიოთ უფლის გზიდან მარჯვნივ ან მარცხნივ. მეც იმას ვთხოვდი, რომ შენგან გამეგო. ოღონდ ეხლა მესმის, რომ «მწვალებელნი არიან შენთან»¹, და ძლივს ვირწმუნე; მაგრამ დავიჯერე, რადგან სანდო მოწმებმა შემატყობინეს. გავიგეთ, რომ ერთი ხუთიკი კაცი ნესტორიანი მოვიდა შენთან და შენგან მიიღო ეპისკოპოსად ხელდასხმა. ფრიად განეცვიფრდი, რადგან ასეთი პატრივისციემის ღირსი კი არ იყო, არამედ განპატიყებასა და მორწმუნეთა შეკრებულებაში შეუწყნარებლობას [იმსახურებდა], რადგანაც მგელი არასოდეს დამკვიდრდება ცხვართა შორის, ხოლო უკეთეს მოხდება და დამკვიდრდება, «წარიტაცნის იგინი და განაბნინის ცხოვარნი»². ასევეა ქურდებიც: «რამეთუ მპარავი იგი არა მოვიდეს, არამედ რაჯთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს»³ — გვითხრა ჩვენ საუფლო სიტყვამ. რადგან ასეთნი ქურდები, ავაზაკები, მტაცებელი მგლები და, აგრეთვე, ცრუმოციქულნი და მზაკვარი მუშაკები არიან. იმოსებიან «სამოსლითა ცხოვართაჯთა, ხოლო შინაგან არიან მგელ მტაცებელ»⁴. გვიბრძანა „მწყემსმან კეთილმან, რომელმან სული თვისი დაღვის ცხოვართათს“⁵, ვუფრთხილდეთ ასეთებს. ხოლო შურისგების დღეებში საზღაურს მიუზღავს მათ, გამოჰყოფს მარცხენა მხარეს და ეტყვის: „წარვედით ჩემგან წყეულნი“ და ასე შემდეგ. და კვლავ: «განჰეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი ეგე უსჯულოებისანი, რამეთუ არა გიცნი თქუნენ»⁶. აგრეთვე: «ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დაღვას ორგულთა თანა»⁷, რათა წარავლინოს ადგილსა მას, «რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათს და ანგელოზთა მისთა»⁸.

ვიცით, რომ უმეტრებით ჩაიდინე ეგ. აწ მოიქეც, შეინანე და ცრემლით თქვი წინასწარმეტყველის [სიტყვები]: «უფალო, ნუ მოიხსენებ ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეტრებისა ჩემისათა»⁹, და ნულარ მისცემ სამკვიდრო ადგილს იმ ხუთიკს მორწმუნეთა შორის. ამცნე დიდი მუქარით, რომ არავინ გაბედოს მისი შეფარება თავის ჰერქვეშ და სრულიად არ მოიკითხონ იგი, არ მისცენ დასამკვიდრებელი ადგილი შენს სამფლობელოში და, აგრეთვე, არასოდეს მოიკითხონ შენმა მორწმუნეებმა, რადგან ბრძანება მივიღეთ ღვთაებრივ მცნებათაგან, რომ ასეთები არ მოვიკითხოთ. ხოლო შენ მოინანიე ცრემლებითა და გლახაკთა მოწყალეებით; მოინანიე დიდი ღინანულით, რადგან მონანიება [არის] ცოდვათა-

¹ შტრ. 1 კორინთელთა 11, 19. ² იოანე 10, 12. ³ იოანე 10, 10. ⁴ მათე 7, 15. ⁵ შტრ. იოანე 10, 11. ⁶ მათე 7, 23. ⁷ მათე 24, 51. ⁸ მათე 25, 41. ⁹ ფსალმუნი 24, 7.

զդարձն միայն խնդրէ Աստուած. և դարձարու՛ք առ իս՝ և ևս դարձաց առ քեզ: Արդ մի՛ լինիր չարի յիշատակ, և մի՛ գտիչք չարեաց. վասնզի ունիս բազում պատուիրանաց յիշատակ. դրարի գործովք մի դանց տուներ: Արդ այսոքիկ քեզ պատուէր ի դրոց սրբոց. զի սիրեցես զՏէր Աստուած քոյ. քանզի այն է պատուիրանն Աստուծոյ՝ զի սիրեմք զնա ի սուրբ սրտէ և յանկեղծաւոր հաւատոյ. զի գրեալ է, սիրեցես զՏէր Աստուած քոյ յամենայն սրտէ քումմէ և զաւրութենէ, և որ այլն ևս: Այս է առաջին պատուիրանն. և ամենայնն Գիրք աստուածայլնք յայս բան բովանդակին: Արդ պահեա՛ զհաւատ և զխոստովանութիւն սրբոց հարցն. զոր ինքեանք դաւանեցին, և զնոյն մեզ աւանդեցին երեք հարիւր տասն և ութքն՝ որ ի Նիկիայ, և հարիւր և յիսունքն՝ որ ի Կոստանդնուպաւսին, և երկերիւրքն՝ որ յԵփեսոս, իմա՛ զայն՝ որ ի ժամանակս Կալատայ արքայաց արքայի խնդիր ևղև քննութեան հաւատոց. և Հոռոմք զԲաղկիդոնին ընկալան զհաւատս. և մեր աշխարհս և ձեր հրոժարեցին՝ և հեռացան. և դեռ ևս գրով կայ և պահի մեր և ձեր միաբանութիւն հաւատոյ: Արդ մի՛ ստեր ուխտի հարցն մերոց՝ որ եղին ի մէջ երկոցունց. և մի՛ մեկնեցիր ի միաբանութենէ մերմէ. և մի՛ թողուր զուսումն մանկութեան. և մի՛ մոռանար զուխտն աստուածիդէն. և մի՛ ձայնակից լինիր Հոռոմոց. և մի՛ դառնար սրտիւք քոյ յԵգիպտոս. այլ յիշեա՛ ուստի ելեր ի նոր Եգիպտոսէ, և ի փչողէ քեզ զփարաւոնի դառն տանէն Հոռոմոց, և ի չար վերակացուացն, և ի դառն ծառայութենէ. մի՛ յանդիմանիր ի մարդարէին, թէ ոչ կացին նոքա յուխտին Տեառն, և ըստ իրանց նորա ոչ կամեցան զնալ: Եւ այլուր թէ՛ դարձան սրտիւք իւրեանց յԵգիպտոս: Արդ մի՛ չնուր ի ցուպն ևղևզնէ ի ջախջախեալն. զի թէ չնուցուս, մնաս ոչ սակաւ առնիցես անձին քում: Մի՛ քակեր զցանկ հայրենի, զոր հաստատեցին սուրբ հարքն յիմաւք հաւատոյ: Զի որ քակէ զցանկ, հարցէ զնա աւձ. և որ գլէ վէմ, կորուստ անձին իւրոյ առնէ: Արդ հաստատուն կա՛լ զխոստովանութիւն երկոց սուրբ ժողովոցն. զոր հարքն մեր և ձեր միաւորական գրով հաստատեցին ի մէջ իւրեանց, որ դեռ ևս

1. XIII საუკუნემდე სომხურ მწერლობაში უხტანესის სახელი არა ჩანს. კირაკოს განძაკელი უხტანესს სომეხ ისტორიკოსთა სიაში მოსე კალანკატუელსა და ასოლიკს შორის ათავსებს: „...ალბანთა ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი, უხტანეს ურპას ეპისკოპოსი, რომელმაც დაწერა კირონის მიერ ქართველთა გამოყოფა სომეხთაგან, სტეფანოს მოძღვარი მეტსახელად ასოლიკი“¹. სხვაგან, როდესაც ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხზე ჩერდება, კირაკოსი უფრო ვრცლად ლაპარაკობს უხტანესის თხზულების შესახებ: „ამას ყველაფერს ქეშმარიტად გასწავლის უხტანეს ეპისკოპოსი, რადგან მან ყველაფერი სრულად აღწერა: წერილები და პასუხები, გაბედული ლაპარაკი პეტრე ეპისკოპოსისა, რომელიც უფალ აბრაამის მოციქული იყო კირონთან, [და] რომელსაც ქართველებმა გაბედულების გამო მგელი უწოდეს“².

მხითარ აირივანელი ასეთსავე სიაში უხტანესს ლევონდსა და იოანე დრასხანაკერტელს შორის ათავსებს³. სხვა ჩვენამდე მოღწეულ სიებში ასეთი სურათი გვაქვს: მოსე კალანკატუელი, უხტანესი, ასოლიკი; მოსე ალბანელი, უხტანესი, ასოლიკი; ლე-

¹ ს ი რ ა კ ი ა ზ ა ნ ც ა კ ხ ე ჯ ი, *ყათონიქინ ჯაიე, აქსათოასიქიოკამა* 4. კ. *სხიქ-მნანგაწყანსი*, ტრ. 1961, გვ. 7.

² ი ქ ე ე, გვ. 64.

³ *ს ხ ი ქ ა რ ა ე ა კ რ ი ქ ა ნ ხ ე ე ი ე* *ყათონიქინ ძამანსაკაფრასან*, *ს. ზხოხრფ.* 1867, გვ. 37.

ტექსტის ის ადგილები, ქართულ თარგმანთან ერთად, რომელთაც შეიძლება ისტორიული ღირებულება ჰქონდეთ. გამოვეტოვეთ მხოლოდ ვრცელი აბელაციები „წმიდა წერილებზე“ და ბიბლიურ სიუჟეტებზე.

*ღაი ზ ღარნ ლილი ღნირავ
ღნიღინასიქ' & ვსქაბნიჩ ჩანჩი ნო-
რა ჩნასკარანსი' & ღწამაგო-
ჯასკეჩ ღილიჯნ ღნიღინიჯი'
ღთხანნ ჩიჯი აყათოიასკანსი &
ღწარნ ჩიღსორიჩ ღსკალჯ ვგრნ-
აღსა ლათარხლასქა აარწნი-
ქხამაჲ, & გაღიამ გქიქ & ჩი-
ღსორ იღჯინჩი. ღორ ქი სჩიქიქ სასკა
ჩანჩიჯინ ხსხალ აი მსღ' ღორ ქი
სორე ართქ & ქი მთავ ჩარხავ
ჩიქსხალ ჩანჩი ღრქხანგ ჸიგ & მხ-
ბარანგ ქი ჸიამქ მხბანბნიქხ-
ნქგ აი ჩამნ ლრთახრიქჩინ, ღორ
ჩხრალ ქი ბხინ სჩიჩიქ & ჩაათა-
ჩიმ ხეჩარი მხრიქ ფიქიყიყიჩ
ჩაჩანსაქი;*

*სქი ირ ღნიღქემ ḡარბაქ ჩრა-
მანჩი ჸიამ' ḡთქაროიქჩინა ჩამ
აილავი არქხალ, ირავა მჩი იამნ ჩი
ჩნიოამნ ḡნიღრიქჩინ ბაქჩინ &
ღბანრიქჩინ ლღიჩინ აილავი არ-
ქანხიქიქ სხანნ, & აქი იამნ ქხ-
თიქ ჸან ḡწა' ḡმანსკიქჩინ თჩი-
იქ აყათწანიქიქ. ქლანსღჩ ჩარჩი
ქ & თხიჩ თალ სსათიბიქიქ ფიღე
ჩინქ, ḡჩ იჯ აქნ მჩაქნ ქე აყათ-
წაი, აქი & აქი ჩამნ, ḡჩ ḡწაი-
თარმიქჩინ ჩანჩიქჩი თსიანხიქ იჯ
მჩაქნ ქი ḡრიქ ...ჩათჩი აილავ-
ხაი ქი ḡჩინ, აქი & ქიქიქ & ქიჩიქ
ქლავიქ ḡათათხიქიქ მჩანსღა-
მაქნი;*

*ხღ ლიხალ ჩიქ ქე ჩამ ḡგალნ ჸი
მჩილანსღამ აი მსღ, & აქამ ან-*

მივიღე მამის სინათლისაგან შე-
საწყენარებელ მადლთა, მისი მხო-
ლოდშობილი ძის სამკვიდრებლი-
სა და თანაარსი სულის შემწყენა-
რებლის, ჩემი პატროსანი უფლი-
სა და სულიერი მამის კურთხე-
ვით, მრავალი შეწყალებითა და
მოკითხვით სავსე ნაწერები, რო-
მილიც სიყვარულით სავსე მოვი-
და ჩვენთან სათხოვნელად შენი
წმიდა გულიდან და გონებიდან,
სიკეთეთა მჩქეფარე სიტყვის ბა-
გეთაგან და მოგვიტანა ჩვენი საყ-
ვარელი და სანდო ძმის ფილიპე
მღვდლის ხელით ჩემი უმრწემე-
სობის განდიდება შენი მაღალი
გვამისაგან.

შენს ბრძანებას წინ რომ აღვე-
დგეი უძლურების მომიზეზებით,
როგორც ძველად ვილაცამ მოუმი-
ზეზა უფალს ხმის სისუსტე და
ენის სიმძიმე (და იმის შემდეგ კი-
დევ სხვაშეცდამით სიყრმე მოი-
მიზეზა)... გვედრები, ბრალს ნუ
დამდებ, რადგან მიზეზი მარტო ის
არ იყო, არამედ სხვადასხვა რამ,
რადგან ვეძებდი, რომ ნდობა და-
მენახა არა მხოლოდ შენგან გა-
მოგზავნილ წერილში, არამედ
ლარი-საპი მოწმის დამტკიცებაში
მანც.

ხოლო როდესაც შევიტყვე შენი
კვლავ მოსვლა ჩემთან, დავთანხმ-

ანդაგარ ანდამს ანხლ ან Աს-
თოლად, ეჩ მხრს კარაფხვ ხმოძს
თკაროქმხამრ ესთ კამაფ ვიფ
კათარხალ ვკამა ვი კაკამჩკ
კაძაროქმხამრ, ირ ვეღოქჟ მთღ-
ლოქ კითს რაკხვარ. ეჩ ვაკითხჩკ
რამაქხალს ხ ქენჲ ვხვ აყართ ლრ
კათარხლ ან ხამს ხნეჩორ, ირაკჲს
კათაჯადიჯნ ვრხეჩ ან ვხვ სა-
კალ ხნვ ვაკათძანონ კაკით არა-
რხალ აყათოქმხანსა. ეჩ კაკით
ამხნაკენჩ რხალ ხსკ თვ იონქჩ, მქ
ქინჩეჩ, აკლ სასკალიფ კაკითარა-
როქმხამრ ქიჯათოქხლ ხ ძხონ
ვროქნ ხმოქჲ ირ ვხრალ ან ვხვ:

სრე ვანეჩი ხნეჩეხეხეჩ ხ
სკეფანს ხ ძხონ ხნეჩოქ, ს საყა
ვხრანს ხ ვხრანს ხალხელოქ ეჩამს
კორეჩეხეხეჩ ვამხთს, ირ კრითხეხე
ხმ იოსამამრჲ ს კხთხინ ვან ვა-
მხნხანს, ხსკ ძამანსკალ ვან
ვფადიამ არეანხსკაქიფა ხამ, ს
ეჩთხამჲ ასჲ, სხროქ ს ხონარნი-
ქხანს ხეღს აკა ხნძ ან ხ ქენჲ
სრე სკასაქჲს აკითნიხთსჲ სკეფენ
ენხელოქ ვსეჩრ ს ექინსარნიქინჲ
იორაკჲს ქაკელ ჲ ვიამ სრეოქხანსე
ს აყარკხვთ ქარიოვჲჲ იქლ აყა-
თოლსკანს ვლიქს ს აყათოქმხეჩ.
ეჩ ხეჩრს რნე რაკხეჩი რაკხელოქ ხ
ვხვ თხანხამრ ვამხნაკენს ვარხ-
კარეოქმხანს ძს ს ნამანოქმხინჲ ს
ხრ ს ალჩინსკ ნახა ათაჯნორეჲს-
კანს აქთოქმხამრეჩ ვარედალ-
ანხალ, ს საყა ხორრეჩოქ კახეხალ
კალადონჩის ხსკ ასთოლადაკ-
ნარხს ათახლ სს აყაქბათოვხალ
ქათოლად ს მსბადიჯნს აყათოლოქ
აკანბადხალ ხ აყარბანსა მხვჲ ს ხ
ქათოლად ვრხითოქ...

შენი ნება აღვასრულო გულმოდ-
გინედ, შენი თავი მიატოვე და
ფერხთ მიმართე, რადგან ეს შე-
ნი ბრძანება თვითონ უნდა შე-
გესრულებინა, რაც მე მთხოვე,
როგორც აღრეც მოგწერე და გა-
მოგიცხადე მცირეოდენი მიზეზი
ამ ისტორიისა, რომ ამას [გარდა]
სრულიად არაფერი მქონდა. თუ
შექნებოდა, პატარა განმარტებით
შეგახსენებდი წერილში, რომე-
ლიც ჩემგან მოგივიდა.

ხოლო რადგან ჯერ მთხოვე.
ხოლო შემდეგ პირისპირ საუბ-
რით დამაჯერე, რომ სიბრძნით
მრწემი და ყველაზე უკანასკნელი
ვარ, წინათ კი, ბევრ ჩემ თანამსა-
ხურზე (ვიცოდო, ამბობს [წმი-
და წერილი], რომ სიყვარულისა
და სიმდაბლის გამო [მეწია] ეს
ყოველივე შენგან), აქედან დავი-
წყე და დავუღე დასაბამი სიყვა-
რულსა და სიმდაბლეს, როგორც
შეპფერის შენს სიწმიდესა და
მწვიდ ცხოვრებას, ჰოი პატიოსანო
და საპატო მეთაურო, ვინაიდან
შენში ვხედავთ, როგორც სარე-
ში, ყოველგვარი კეთილმსახურე-
ბის სახეს, მსგავსებას, საქმესა
და მაგალითს, ჯერ საწინამძღვრო
უფლებით შემკულო და შემდეგ
ფიქრით უმშვენიერესად შემატე-
ბულო, ხოლო საღმრთო დიდებო-
თა და უმაღლესი პატივით კი-
დეგ უფრო გაბრწყინებულს,
ჩვენთვის სასიქადულოდ და ქრის-
ტეს სადიდებლად განდიდებუ-
ლო...

Արդ զայս փոքր ի շատէ գրի-
ցաք առ քեզ յաղագս սիրոյ՝
վստահացեալ ի քոյին հեղութիւնդ՝
ո՛հայր հոգևոր. քանզի գիտեմք
զքեզ ճշմարիտ աշակերտ գոլ
Քրիստոսի հեղոյն և մարդասիրին,
և ուսեալ ի նմանէ հեղութիւն և
արդարութիւն և խոնարհութիւն.
զոր սկսաւ ինքն առնել և ուսուցա-
նել. ուսարո՛ւք յինէն, զի հեզ եմ
և խոնարհ սրտիւ. և ես յո՛ւ բնա-
կեցայց, եթէ ոչ ի հեզս և ի խո-
նարհս: Իբրևս բնակարան են
այնպիսիքն սրբոյ Նրբորդութեան.
Ես և Հայր իմ ի նմա եկեացուք՝
ասէ, և աւթեանս առ նա արաս-
ցուք. զի ուր Հայր և Որդի բնա-
կին, և Հոգին սուրբ անմեկնելի
իսկ լինի. քանզի որ խոնարհե-
ցուցանէ զանձն իւր, բարձրացի
նորաւք. զոր սիրէ զԱստուած,
Աստուած ի նա բնակէ, և նա յԱս-
տուած: Եւ պարտ և արժան է
սուրբ սրտիւ և հաստատուն հաւա-
տով սիրել և պաշտել զսուրբ և
զանբաժանելի և զերկրպագելի
Նրբորդութիւնն:

Այլ վասն եղբայրսիրութեան
չէր ինչ պիտոյ գրել առ քեզ՝ ըստ
առաքելոյ բանին. զի դու ինքն
աստուածուսուցց ես, կարող ես և
զայդոսիկ զգրեալսդ ուսուցանել
հասարակաց, վասնզի ուսեալ
յաստուծոյ՝ և ուսուցեալ զբազու-

նոլո յես ցոտաօրդենի մոգնորդ
սուցարտուլի. Գամ, մինձօբիլմա
Յեն մօքրձալեբաս, Յօի մամօ սը-
լիերօ, րաձգան յիւիտ, րօմ յէմ-
մարիտի մօնօտք Էար յրիստէսի,
Մնիւլիսա ձա յաւտմօյցարիս, ձա
ցիսնօւլիա միսցան սիսնարք, սի-
մարտլե ձա սիմձաբլե, րիս յէմնա
ձա սնօւլեբա տիտօնաւ ձալիսնօյ:
«սիսնօւլետ րիմցան, րամետք մնջձ
ցար ձա մձաբալ ցլիտօ» (մատք
11, 29); «ձա յիս Յեձա միւրիւլօ,
արամեձ անք մձաբալսա Յեձա ձա
Յիսլեձրօսա» (յեսաիա 66, 2). յէմմա-
րիտալ մնիւլա սամեբիս սամյեւիձրե-
բլեւնի արիան սիսնի: Յե ձա մամ
րիմի «մօւլիձետ միսա ձա միս տանա
ձաւաձգրետ» (իօանյ 14, 23), ամ-
Յօբն [մնիւլա մրիւլօ], րաձգան
սաձաւ Յիւլեձրօբեն մամ ձա յի,
սլիլի մնիւլաւ մատան արիս ցա-
նիսրլեալ, յինալձան: «րօմլե-
ման ձալիմձաբլօս տալի տէսի, ամալ-
լլեց» (լալիա 14, 11; 18, 14): յի-
սաւ յիսլարն ձալմերտի, «լմերտի
միս տանա յիցիս ձա յիւլ ձալմրտիսա
տանա» (1 իօանյ 4, 15-16). յիւլ արն,
րօմ մնիւլա ցլիտօ ձա մէլիւլե
սարմնիւլեոբիտ ցիցիսարլեց ձա
յեմսանիւլօտ մնիւլաս, ցանիսրլեւս
ձա սատալեանօ սամեբաս.

նօլօ յիւլի սուցարտուլի Մե-
սանեբ րօմ մօմեմրօրա Մենտիս, սա-
լիւլօ ար յիս, մօլիւլիւլի սիլիս-
լիսամեբր. րաձգան Մեն տիտօն
Էար ձալմրտիցանձալմօբիլի ձա Մե-
լիւլիա յե [մնիւլա] մրիւլիս յիւլ-
լաս ասնօւլալօ, յինալձան ձալմրտի-
սալան ցիսնօւլա ձա մրալլիսաւ-

მრე წადილ ანდამ, ღ ჯ მანსკი-
ქსნტ ათხალ ელიტ ჯონარნი-
ქხანს, ღ ნამ ანხალ ღ იახალ...
ღამხსაქნ ფორტა ათაქრნიქხანს,
ღ ასთილათაქნ წარხაყაჯთი-
ქხამაქ ოქახსხალ ღ ოასთარა-
ქხალ ოამანსკილსა ოასთიქ ნორ
სქიქსი:

სარე ოაქთიქსიქ ფრხალა ჯ ფხვ
თხსანსამქ ღასთარხალ, ღ ას-
თილათაქნ ონიორქილ ოაქთაოა-
ფხალ, ღ ბრქლ სორქ ღიღიქნ ათრ-
ფხალ ოთილქხამაქ, ღ ოიღორა-
ქანს ხრედიქ ოფრეღქამაქ ობრ ჯ
ქლრიქ ფან ოამხნხსხანს, ღ ამხ-
საქნ ოასთიქრანაფ ለასთილთიქ
ოასხალ ღ ოასთათხალ ფან ოფა-
ღილამ, ለ ለასთილათაქარეღ ለქს-
მასკანს თქრ ჯამ, თქრ ღ თიხღირა-
ქანს ქარეღაქხთ, ჯრე ბაო ჯამ
წადამაქთილ, ღ წარბრ ჯ მქე
ქახქილ ღ ასთილათათილქ
ორასთიქ ለარხსაქ კიღეფხალ
ოქათ, ለ ለარქს ათხალ ღ ქარ-
სათრხალ ქარილ ለთაქრნი-
ქხამაქ, ღ ለაქა ბაღქხალ ჯ თან
სხანს ღ ჯ ოაქქს ለასთილთიქ, ღ
ფრხალ ለთილ ለარეარნიქხან, ღ
ღნე მქიქ ለარქი, ღ ለნე მქიქ
ქაქსილ, ღ ለნე მქიქ ხრხილ...

სარე ለ ለ ለაქრ ለასთილასკანს,
ღორ ለახსქი სქრიქნს ღ ღარასთი-
ქხანს ለიღიქნ თამ ჯ ღრქსთილ
ღარქანს სქრიქ, ღ ለასთილ-
ათაქარეღ ለანბქნე ለთიღიქსქანს
ქანღრხამ ለილანსქ...

სარე ለორე ለარბხალ ქბრსთინ
ღრხამ ለანღასქაქ სქრიქ სორქ ღ
წადმხრეჯანსქ სხანს ჯამიქ ለარ

ვის მრავალქერ გისწავლებია,
სიყრმიღანვე გიტვირთია სიმღაბ-
ლის უღელი, მას აღუზრდხარ
ღა უსწავლებია ყველა მხნე საქ-
მიანობა, ღვთაებრივი კეთილსა-
ბურებით გაუზრდხარ ღა გაუწე-
რთინხარ აბალი სიონის სარწმუ-
ნობის მსახური.

ამ ნაწერს შენში ვხედავთ აღს-
რულებულს, ღვთაებრივი მად-
ლით გაბრწყინებულს, სული წმი-
დის მონიქებით სიბრძნით აღსა-
სეს, სულიერი გალობითა ღა საქ-
ციველი ხმით ყველას აღმატე-
ბულს, ღმრთის ყველა მცნებას
მიღწეულსა ღა განმტკიცებულს
მრავალზე უფრო მეტად, ჰოი
ღმრთივემეველო ღა დიდებულო
უფალო ჯემო, უფალო ღა მსოფ-
ლიო მოძღვარო, ამღლებულო,
ვითარცა ძელი, მაგ ღირსეულ ღა
ღმრთივედანერგილ სამოთხეში,
რომელსაც ნარევი ეწოდება; ფო-
თლოვანო ღა განტოტვილო მხნე
ღეაწლით, აყვავილებულო უფლის
სახლსა ღა ღმრთის ბაქში, სიბარ-
თლის ნაყოფის მომტანო — ზო-
გისთვის ასის, ზოგისთვის სამო-
ცისა ღა ზოგისთვისაც ለცდაა-
თის (შღრ. მათე 13, 23).

ჰოი, მამაო პატროსანო, მოგი-
კითხავ ქერ სიყვარულითა ღა სუ-
რვილით, ქრისტეს მიერ სიყვარუ-
ლის ღირსო, ღა შენი ღმრთი-
ვემეველი გვამის სიმრთელის შე-
ტყობას ვითხოვ...

ხოლო კვლავ რომ გწერ ნაზი
სიყვარულით ჯემს წმიდა ღა ყო-
ლადნეტარ უფალს, მამასა ღა სა-

და ყათობაჲ ქარყაყხარჲ, მან-
ნაღანჲ ხმჲ ხრკნაკჲნ ჯიჲთჲ და
სიჲრჲ უნორჲგჲ ბაკრაგოჲს აიღნ-
ღიწანაკჲრ, ჲამარბაკჲმ ბაღა-
კაკანჲ რანხიჲ ჲო კხიჲნ და სოიჲკ
აუაკხროთჲ ჲამჲ მჲ ირჲჲჲ მჲ
აქიოქბიჲ ჲ ჲომჲ ყათობაჲქრო-
ბხანჲ, და ჲამჲ მჲ ხნბ ჲამარ-
ბაკხიჲ ანთიწანაკჲ იქათანჲს.
ღორ და იღოჲს აიღჲ ჲრამანჲ ა-
უაკხროთარჲ თაჲ ირჲყჲს აიღნ
ჲ ჲრაკუქათიღოღიწიჲ ქარჲყაყხ-
თი. ანსკანჲმ ბიწიწარჲჲრ და ყა-
ქათანჲს ჲარათობხანჲრ, და ჲ
ქიწიწარჲ ხრკჲრყაყანჲმ სიჲრჲ და
ყარკხუთ ანბჲნიჲ, და ჲ ანბი-
ქიწიწან ანმბიწიწი ხრკხიჲ ჲ, და ჲ
ბხიწი წიოჲჲ ჲაკჲგანჲმ იღიღიწი
ღრხუთაკანღბთ ანბჲნიჲ. და ა-
ღაკჲმ დკხნაგჲ თიოიწი, დჲ
მუთიწიწანთი დკხნგხი დბამა-
ნაკჲ კხნაგჲ ჲიგ...

სიღჲ ჲანდჲჲ ჲ ბამანაკჲს
კაკჲმჲქი, კიოქამჲ ხიქიწი აიღ ას-
თობბაკყათიწი და სიჲრჲ ჲაკჲრ-
ყბთიწი მნიწიჲქიჲ რხიქიოქჲ წამ-
[სიქი] იწიბაკჲ და ყათარაკჲ ჲიღსიწი
ღკჲრჲ ჲათიწიწარჲმთჲ ირ ჲნიჲ დჲმ
ხრკარნაკანგჲ, ჲიწი ჲი ხნგჲს
ქათანაკჲ ჲ ქიოქიწიღი ჲათიოჲჲ ჲ
ბხიწი ჲიღსიწი სიწიოჲჲ ჲ ჲიღჲ რნ-
აკხიოჲ, და რხიწი ჲ რხიწი ქათან-
გარ ჲნიჲ ჲი კიღაკჲ ყათობი-
ბხანჲს. ჲიწი ხმჲ ქიწიღრხი დთხიქი
იღსანხი, ასაყიწი წი და ჲრანჲიწი
ნიწიწი თაკჲჲ მჲ აქიოქბი. და
ღკხიღანაკჲ ბამანაკჲს კაკჲ
არარჲიწი. დჲ კიოქამჲ ანგხაკჲ
დნაგხაკჲ ჲ მქათიწი და ნითარჲ
კხიღი დბთიწიწი ირ კიოქი Ἀქიოქბიწი,
და ასჲარჲ დყათარაკანამათიოჲს
Sხიანჲ დარობხანგჲ, ჲიწი აიწი

პატიო მოძღვარს, მით უფრო კი-
დეჲ ციური ნათლისა და უმაღლე-
სი წმიდა მადლის მიმღებს, გიწე-
დაჲ მსახურებრივი სიტყვით შენი
ბოლო და მრწემი შევიწიდი, თუ
გინდაჲ შეილი, რომ შენი პატივ-
მოყვარობისათვის სასურველია:
იუმცა ჲემთვის თავხედურია უხ-
ტანესად წოდება. რომელიც მო-
იციტხეთ და უბრძანეთ როგორც
მოწადეს დიდებული მოძღვრის
წესისამებრ. დავვარდები მუხლ-
მოყრილი და საწადელი სიგლახა-
კით თავყანსაცემ შენს წმიდა და
მოკრძალებულ გვამს, გოდებისას
უხბო საგალობელს, ამ წერილით
მოიციოტხავ შენს ანგელოზებრივ
სულს და ვევეღრები მაცხოვარს,
რომ საუკუნოდ ვანავრკოს ჲა-
ნი შენი ცხოვრებისა...

ხოლო რადგან ეძიებ, რომ იყო-
დე დრო და ადგილი, როცა მოხ-
ვედი ჲმრთიეპატიოსან და წმიდა
მამამთავარ ხაჩიკთან და მოიბანე
ძღვნად წერილი(?) და სულიერი
საწიარავი წიგნი „სარწმუნოების
საბიოკველი“ — თრბუნებინთა
წინაღმდეგ, რომელიც შენ თვი-
თონ გამოთქვი, შენში ჩასახლე-
ბული სული წმიდის მიერ, სარწ-
მუნოების რჩევისათვის და პირის-
პირ მესაუბრე ისტორიის შესახებ,
გეტყვი ნიშანდობლივად (თუ
გსურს — ნიიღე) ჲა ჲამთა ვითა-
რებასაც გავიწიკვე. როდესაც
ერთად წავედით და [გალმა] გა-
დავედით, დავსხედით მდინარის
პირას, რომელსაც ანთიანი ეწო-
დება და ვისაუბრეთ უფლის ძლი-

ԱՅնասի, և էր յաւուրս ամա-
րայնոյ, յամսնանն Տրէ, որ ար-
տանս ու մին էր ամսոյն, յաւուր
կիրակէի յիններորդ ժամուն:

Արդ այս քեզ նշան առ ի յինն և
կնիք սիրոյ և յուխտ յանձնառու-
լեան կատարել զհայցուածս քո
յաղագս պատմութեանս: Իսկ ի
քէն առ իս, զի յիշեսցես զուխտս
մեր և զնշան բանին, միանգամայն
և զկնիք սիրոյ, զի ի սուրբ տե-
ղիսդ՝ որ մակագրեալ ունիս զպե-
տական անուն, յիշատակաւ սիրոյ
մշտընջենատրեսցես՝ յիշելով յա-
ղաւթս քո, զի շնորհք սուրբ Հոգ-
ւոյն հասարակ քեզ և մեզ՝ բարե-
խաւսութեամբ ամենայն սրբոց՝
պարգևեսցի ծնունտու լինելով
մեզ ի գործս, յորում կամք և
պարծիմք յուսովն Աստուծոյ...

Արդ քանզի լուեալ էր մեր յա-
ղագս պատմութեան քո՝ սակաւ
հատուածով աննել իսկզբան թա-
գաւորացն Հայոց մինչև ի մեզ, և
զքո բանիբուն պուետիկոս դաս-
տաշարժիդ վարծս իստագիս աս-
պարէղ առ քո իսաղաղութին, և
զընթացս լեզուիդ՝ որ քնար է հոգ-
ւոյն, և որպէս կամի շարժէ զդս.
և զուրախարար զիր պատմութեան
Հայոց փոքր հատուածաւք, որպէս
վերագոյն ասացաք, զոր արա-
րեալ առ ի մխիթարութիւն ըն-
թերցողաց՝ և ի լուսաւորութիւն
լսողաց՝ և ի պայծառութիւն սրբոյ
եկեղեցւոյ յիշատակեալ զայս ևս
պատմութիւն, հայցէք փոքր ի շա-
տէ գրով իմով՝ որ բերաւ առ քեզ
սակաւ ինչ յայտարարութեամբ ի

երեւոթա յամնի շեսաքեք, რომელ-
սაც աთანեսեսսս უწოდებენ, ზაფ-
ხულის დღეები იყო, ტრეს თვის
11. კვირადლის მეცხრე საათი.

შენ ეს [გქონდეს] ჩემგან — სი-
ყვარულის აღთქმისა და თანხმო-
ბის ბეჭედი, რომ შევესარულებ
შენს თხოვნას ისტორიათა შესა-
ხებ. ხოლო შენგან მე [ვიკმარებ],
ოუ მოიხსენებ ჩემს აღთქმასა და
ნიშანდობლივ სიტყვას სიყვარუ-
ლის ბეჭედთან ერთად და მაგ
წმიდა ადგილს, რომლისთვისაც
შერქმეული გაქვს საუფლო სახე-
ლი, სიყვარულის მოხსენიებით გა-
აუქუნებ, მოიხსენიებ ლოცვაში,
რათა შენცა და მეც თანაბრად
მოგვენიჭოს სული წმიდის მადლი
ყველა წმიდანის შუამდგომლო-
ბით, და წარმატებული გყოს იმ
საქმეში, რომელიც გესურს და
ვიქაღლით უფლის იმედით...

ხოლო რადგან გვესმა შენი ის-
ტორიის შესახებ, რომ უნდა მცი-
რე ნაკვეთებად გავაყეთო სომეხ-
თა მეფეთა დასაბამიდან ჩვენ
დრომდე და შენი პოეტური... ხე-
ლოვნება... ასპარეზია შენი მშვი-
დობიანობისათვის, შენი ენამკე-
ვრობა ქნარია სულისა (რომელსაც
შესძრავს როგორც სურს), სასი-
ხარულო საქმე სომეხთა ისტო-
რიისა მცირე ნაკვეთებად, რო-
გორც ზემოთ ვთქვი, რომელიც
შეიქმნა მკითხველთა სანუგეშებ-
ლად, მსმენელთა გასანათლებლად
და წმიდა ეკლესიის გასაბრწყინ-
ვებლად მოსახსენებელი ეს ის-
ტორია, გვედრები (ჩემი პატა-

დჯარაყბთაგნ მხრივ, **ს** ღრ-
ძანოძან უღრავ **ქ** ჴაივ მჩაფა-
ნიოქსნტ. **ს** კხთ აკნორჩქ დმკღრ-
თოიწჩან ადღჩნ¹ **ორ** შაღნ კიღჩ.
ნა **ს** დღაღაღა, **ს** დღხღა დქსა-
ღორა, **ს** დღაღაღა, **ს** დღხღა **ქ**ღრ-
ღანღჩორ დაღაღაღ² **ორ** ხნ კაღ-
ქარჩინ კაქნმჩქ³ **ორ**ღა **ს** კამღ
ღი ჴიღამაქხეჩნ, **ს** დქღნორაქ
ღანღხღღ ქღანსკანაღ⁴ ანოღამღ
ქღრღანსკიღიღ, **ს** დღანაღათო
მჩაქნაღორაღ, **ს** **ორ**ღ რაღამ-
ქ[ა]ქღღ⁵ **ს** **ორ**ღ მჩაქნსკხნსღღ
რნსკხსკ ქაღათო **ს** კანსაღათო,
ს დღარჩნსკ გიღვანხღ დღარო-
ქხანს ათოიღი, **ორ** **ქ** ბაბიღს
ს **ქ** კაქნსჩ დორბღქ **ქ** მკრთხაღნ⁶
ხრღამამღ ნღანსღ **ს** არიღსაღიღ⁷
თსღსღამღ **ს** კაქნოიქხამღ,
მჩანსღამაქნ **ს** დღორბა ჴიღორა.
ს დღრან, **ს** დღვან, **ს** დქღსაღსკ **ს**
დღანსღღ ხრანსხღ ხაქსკიღათოაღნ
ღრჩღორჩ⁸ **ს** ქორიღ აღაღათანღქღნ,
დღორბაღსღიქღნ **ს** დღრამან ქა-
ღაღორჩნ შამღათაქ, **ს** დღნაქანსღ
ნაქაღარაღნ **ქ** ჴიღღორ დორბნ,
ს დღანსღღ ხღქანსაღნ **ღ**ათ **ქ**-
ღრღანსკიღ ხღქანსიქხან, **ს** დღაქ
ს აღათოღორაღნ **ღ**ათ **ქ**ღრ-
ღანსკიღ აღათოიღ, **ორ**ღ დორბა-
ქღღღ **ქ**ჩნღჩნ მხღ **ქ** რანა **ს** **ქ**
დორბ ჴიღღორი. **ნ**ა **ს** დღა **ს** დღრჩქიღ
ს აღაღანაქღ დღღანსამჩით **ს** ქხ-
ქღსღაღათ [ღ] ჴიღაღაღაროქ
მარღღკან აქნიღჩქ **ქ** ქღრაქ მხრი

ღვით [ასე დავაღაღებთ]. ჴერ —
ჩვენ მეღეთა და მამამთავართა რი-
ცხვი და ქართველთა გამოყოფა.
სომხებთან ერთობისაგან, შემდეგ
—ნათლისღება ტომისა, რომელსაც
წადი ეწოდება. აგრეთვე, [აღ-
წერა] გავარებისა, მთავარი სოფ-
ლებისა, ქალაქებისა და ციხეები-
სა. თვითეული გავართ, რომელიც
იმ ქვეყანაშია, როგორც შენი ნე-
ბა გვიბრძანებს, მონასტრებისა
ბერებით — თვითეულის სანღ-
ღებით, უღაბნოებისა მარტო-
ნიყოფებით, ბევრნი რომ ცხოვ-
რობენ დაბებსა და უღაბნოებში,
უჩვენებენ მაგალითს საღმრთო
სქულისა, რომელიც ფარულად
და ამჟარად მოქმედებს ნათელღე-
ბუღებში სასწაულთა და ხეღოვ-
ნებათა გამოვღენით, ხიღვითა და
გაპოცხადებით, განსაკუთრებით
სულიერი საქმეებით. [შემდეგ] —
სიტყვა, ღონე, მოწამეობა და
ბრწყინვალეობა გრიგოლის ნეტარ
ეპისკოპოსთა, თვის მსახურთა შე-
წევნა და სმბატ მეფის ბრძანება,
დიღებუღთა თავგამოღება სული-
ერ საქმეთათვის, თვითეული სამ-
თავროს მთავართა ბრწყინვალე-
ობა და თვითეულის პატივის მი-
ხედვით სხვა პატიოსანთა ბრწყინ-
ვალეობა, რომლებიც შეგვეწივნენ
ჩვენ სიტყვასა და სულიერ საქმე-
ში. აგრეთვე — ზარი, შიში და
მხეღური მუქარა სარწმუნოება-
სუსტი და ურჩხული აღამიანე-

* კონიექტურა ეკუთვნის ნ. ბიუზანდაცის. იხ. მისი წერილი ნ. აკინიანის-
აღმი: ჴანღღსა მსაიღრსაქ, 1908, გვ. 221.

იძლება: 1. ის ორი პირი, რომლებსაც წერილები მიაკვთ ნარეკის წინამძღვართან, მოხსენებული არიან უბრალოდ სახელებით — სიმეონა და ბარუტი. მათი მღვდლობა არსად არ არის ხაზგასმული. 2. თუნდაც მღვდლებად მივიჩნიოთ სიმეონი და ბარუტი, შორს შიშვალ დასკვნებს მაინც ვერ გავაკეთებთ. ნარეკელის მოციქული ფილიპე ხომ ნამდვილად მღვდელი იყო, ხოლო მისი გამომგზავნი. კი არ იყო ეპისკოპოსი. ბოლოს და ბოლოს უხტანესს შეეძლო წერილები გაეტანებინა სრულიად შემთხვევითი პირებისათვის, რომლებიც ისედაც მიდიოდნენ ნარეკის მონასტერში.

მთელი წინასიტყვაობა ისეა გაქლენილი ნარეკის წინამძღვრისადმი ავტორის მოწიწებითა და ქედმოხრით, რომ ძნელია იგი ეპისკოპოსის დაწერილად მივიჩნიოთ¹⁶. ვერც ნარეკის მონასტრის წინამძღვარი გაუბედავდა, ალბათ, ეპისკოპოსის ხარისხზე მყოფ პირს ამდენჯერ შეწუხებას და ასე ჩაცეებას, თუნდაც იგი მისი ნამოწაფარი ყოფილიყო. ვფიქრობთ, თუ კი ოდესმე იყო უხტანესი ეპისკოპოსი, არა თხზულების შექმნის დასაწყისში, თუნდაც პროცესში: იგი კათალიკოსის კარზე იმყოფება და არსაიდან ჩანს, რომ დროებით. მიმოწერა კარგა ხანს გრძელდება და უხტანესი მაინც კათალიკოსთან არის არგინაში (არა სებასტიაში ან ურჰაში).

6. როგორც ვნახეთ, გვიანდელი წყაროების ნაწილი უხტანესს სებასტიის ეპისკოპოსად აცხადებს, ნაწილი კი — ურჰასი (ედესა). მ. ბროსემ უხტანესს ურჰაელი (d'Ourha) შეარქვა, ნ. აკინიანმა კი უპირატესობა სებასტიას მიანიჭა. არც ერთს ეს საკითხი სერიოზულად არ უკვლევია. ყველაზე უფრო გულმოდგინედ საკითხი შეისწავლა პ. პეტერსმა. მისი ვარაუდით, უხტანესის თხზულების პირველი ნაკვეთი („ისტორია სომეხთა მეფეთა და მამამთავართა“) ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მისი ავტორი სებასტიასთან უფროა დაკავშირებული, რაზეც მიგვითითებს სებასტიის ტაძრების ტაოგრაფიის ცოდნა, სებასტიაში ორმოცთა ყრმათა მარტვილობის თარიღის დადგენის ცდა (I, თავი 61)¹⁷.

3. პეტერსი სავსებით მართალია, თუმცა უხტანესი არც ურჰას ტოვებს უყურადღებოდ (თავი 35), მაგრამ სებასტიის აღწერი-

¹⁶ P. Peeters, Sainte Sousanik, გვ. 251.

¹⁷ იქვე, გვ. 247-248. ამავე არგუმენტებით მიანიჭა უპირატესობა სებასტიას ნ. აკინიანმა. იხ. სიცილინ კაპიიქლია ქსავ, გვ. 53-54.

ლობა მას უფრო დაწვრილებით აქვს და თვითმხილველის შთაბეჭდილებადაც ტოვებს. მაგალითად:

„...წავიდა და დასახლდა ერთ ქებაში მდინარის პირას, რომელსაც ალისი ეწოდება, ერთი ციხის ადგილზე, რადგან ის ადგილი მაშინ დაუსახლებელი იყო. ეხლა კი ნაშენია და ეწოდება ქაჯ-ვაჰანა, სადაც დღემდე კიდევ არსებობს წმიდანთა სამარტვილე ადგილი, ქვის დაფებზე თვითელი მათგანის სახელი წერია; იმავე ქვის სვეტზე აღბეჭდილია ჯვარი, ნიშანი ძლევისა და ეხლაც პატივსაცემენ მათი მკვიდრობის ადგილებს ეკლესიებითა და მსახურებით“¹⁸.

ვფიქრობთ, ასეთი ცნობები ჯერ კიდევ არ იძლევა საკმარის საფუძველს უხტანესის სებასტიის ეპისკოპოსად გამოსაცხადებლად. ჯერ ერთი, იგი არანაკლები დეტალებით აღწერს თბილისსა და, განსაკუთრებით, ცურტაეს, რადგან ნამყოფია ამ ქალაქებში, ოლონდ, რა თქმა უნდა, არა როგორც მათი ეპისკოპოსი; მეორეც, სებასტიის შესახებ ლაპარაკისას უხტანესს მაინც ემჩნევა, რომ შიგ ქალაქში არა ზის და გარედან აღწერს. მაგალითად:

„მათ მიიღეს ბრძანება დუქსისა და მსაჯულასა, რომლებიც იყვნენ იმ ქალაქ სებასტიასში (ქალაქსა მას სებასტიას), რათა გამოიძიონ ორმოციანი... ხოლო მოვიდნენ გამომძიებელნი, იპოვეს ისინი იმ ადგილას, რომელიც ზემოთ ვთქვით, წაიყვანეს და წავიდნენ ქალაქსა მას სებასტიასს“¹⁹.

სავსებით მართალია პ. პეტერსი, როცა არა სჯერა, რომ ამიერ-კავკასიის დიოფიზიტურ სამყაროს ასე დაცილებული (ტერიტორიულად) მოღვაწისათვის შეიძლებოდა ეთხოვათ „ქართველთა გამოყოფისა“ და „წათების ნათლისღების“ ისტორიის შექმნა²⁰. ამ საკითხებზე სებასტიასში მუშაობა რომ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ჩანს იქიდანაც, რომ უხტანესს მართლაც მოუხდა ქართლში მასალების ძებნა.

ამრიგად, ვფიქრობთ, თხზულების წერის პროცესში უხტანესი არ უნდა ყოფილიყო ეპის-

¹⁸ ი. ს. ი. ა. ნ. ს. I, გვ. 86-87.

¹⁹ იქვე, გვ. 87.

²⁰ P. Peeters, Sainte Sossanik, გვ. 253.

კოპოსი, მით უფრო კი სებასტიისა ან ურპასი (ედესა).

7. თხზულებაში ანანია ნარეკელი დასახელებული არ არის. არც გვიანდელი წყაროები გვატყობინებენ რაიმეს უხტანესსა და ანანიას შორის მიმოწერის შესახებ. ანანია დასახელებულია მხოლოდ უხტანესის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერის სათაურში: „...რომელიც გამოთქვა სე[ბასტიის] ეპისკოპოსმა უხტანესმა ნარეკის მონასტრის წინამძღვრისა და უპირველესი მოძღვრის მამა ანანიას თხოვნით“²¹.

მართალია, უხტანესის თხზულების სათაური გვიანდელი გვეგონია (შეთხზული შთამომავლობის მიერ, რომელმაც უკვე იცოდა უხტანესის მიერ საეპისკოპოსო საყდრის დაკავება), მაგრამ წინასიტყვაობაში ისტორიკოსის კორესპონდენტად მაინც ანანია ნარეკელი უნდა იგულისხმებოდეს. მასში ნათქვამია, რომ ისტორიის შექმნის ინიციატორი ნარეკის მონასტერში ზის („პოი, ღმრთივშემკულო და დიდებულო უფალო და მსოფლიო მოძღვარო, ამალღებულო, ვითარცა ძელი, მაგ ღირსეულ და ღმრთივდანერგილ სამოთხეში, რომელსაც ნარეკი ეწოდება“); იგი მოძღვარია („გწერ ნაზი სიყვარულით ჩემს წმიდა და ყოვლადნეტარ უფალს, მამასა და საპატიო მოძღვარს“), თხზულებაში დასახელებული პირები და თარიღები მის მოღვაწეობას ემთხვევა.

წინასიტყვაობის მიხედვით, ნარეკის მონასტრის წინამძღვარი კათალიკოს ხაჩიკ ეწვია საკათალიკოსო რეზიდენციაში და ძღვნად მიართვა დიოფიზიტების წინააღმდეგ დაწერილი თხზულება „სარწმუნოების საფუძველი“. თავის თანამედროვე სომეხთა მეფედ უხტანესი ასახელებს სმბატს. ასეთი სახელების მქონე მეფისა და კათალიკოსის დამთხვევა მოდის მხოლოდ X ს-ის ბოლო ოცეულზე: ხაჩიკ I კათალიკოსი ზეობდა 972-992 წწ-ში ასოლიკისა და 985-992 წწ-ში მათე ურპაელის ცნობით, ხოლო მეფე სმბატ II — 977-989 წწ-ში. ნარეკელი უხტანესს „ისტორიის“ დაწერის თაობაზე ესაუბრა ხაჩიკთან ყოფნისას, ზაფხულში 11 ტრეს, კვირადღის მეცხრე საათზე. მ. ბროსეს გამოანგარიშებით, ეს შეხვედრა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 973, 980 ან 987 წწ-ში, როდესაც ტრეს 11 კვირადღეზე მოდის²². მ. ორმანიანი და პრ. აქარიანი ამ სამი შესაძლებელი თარიღიდან უპირატესობას 973 წელს

²¹ Ուխտանեսի, Մուսախան, 33. Ա.

²² Deux historiens... Oukhtanès d'Ourha, Intr. 33. IX.

ანიკებენ²³. ნ. ავინიანმა სპეციალური მსჯელობის შემდეგ ხაჩიკის წეობა ურპაელის თარიღებით განსაზღვრა და დაასკვნა, რომ შეხვედრა 987 წელს შედგა²⁴.

3. პეეტერსს უხტანესის წინასიტყვაობაში მოცემული ისტორიული ფონი და თარალები ნაყალბევად მიაჩნია შემდეგი გარემოებების გამო: 1. ნ. ავინიანის მიერ განსაზღვრული ანანიასი და უხტანესის შეხვედრის შესაძლო თარიღი სწორეა, მაგრამ 987 წელს ანანია ცოცხალი აღარ იქნებოდა, ვინაიდან ნარეკის მონასტერში ამ ხანებში უკვე წამყვანი მღვთმარეობა უკავია გრიგოლ ნარეკელს, რომელიც თავს უფლებას აძლევს დაწეროს „ქებათა-ქების თარგმანება“. 2. არ არის ცნობილი ანანია ნარეკელის სახელით დიოფიზიტების წინააღმდეგ დაწერილი თხზულება სათაურით „სარწმუნოების საფუძველი“, როგორც მას უხტანესი მიაწერს. ანანიას ეკუთვნის თონდრაკელთა წინააღმდეგ დაწერილი ტრაქტატი. 3. ნარეკის მონასტერი იყო სომხეთის ინტელექტუალური კერა, სადაც დიდი პატივით სარგებლობდა ბერძნული კულტურა და მწერლობა. უხტანესის თხზულების პათოსი საწინააღმდეგოა იმ სულისკვეთებისა, რომელიც ნარეკის მონასტერში იყო გამეფებული. 3. პეეტერსის აზრით, ნარეკის მონასტრის წინამძღვრების ქალკედონიტებისადმი სიმპათიების შედეგი იყო გრიგოლ ნარეკელის დევნა მისი მოწინააღმდეგეებისაგან²⁵. ამიტომ შეუძლებელია ანანიას თავის თანამშრომლად გაეხადა „გაბოროტებული პამფლეტისტი, ქალკედონის მიმდევართა შეურიგებელი მოძულე“. 4. ანანია ნარეკელს არა სჭირდებოდა „ამდენი ემუდარა საცოდავი კაკოგრაფისთვის, რომელიც უღეკავს უკვე ძალიან მოძველებულ ზღაპრებს“ (პეეტერსს მხედველობაში აქვს უხტანესის თხზულების პირველი ნაკვეთი). სომეხთა და ქართველთა საეკლესიო განხეთქილების მასალებითაც („ეპისტოლეთა წიგნი“) ანანიას თავისუფლად შეეძლო უხტანესის გარეშე ესარგებლა. 5. უხტანესი რომ X ს.-ის მეორე ნახევრის მოღვაწე იყოს, იგი მოხსენიებული იქნებოდა XI საუკუნის სომეხ ავტორებთან (ასოლიკი, მათე ურპაელი). 6. უხტანესის გამოცხადება სებასტიის ეპისკოპოსად კიდევ ერთი მაჩვენებელია ძეგლის ნატყუარობისა. ი. მარკვარტის ნაშრომზე²⁶

²³ М. Шрѣпанѣн, *Ազգաստուիւմ*, § 791; ლ. Անսույან, *Աննանონენքի քառարան*, I, გვ. 151.

²⁴ სიქრიჩინ კაპოიქსი *Արաց*, გვ. 49-51.

²⁵ იბ. შ. Զատչեսანց, *Պատմութիւն Հայոց*, *Աննեո*, 1785, II, გვ. 852-853.

²⁶ J. Markwart, *Skizzen zur historischen Topographie und Geschichte von Kaukasien*, *Հանդես Ամսօրեայ*, XLI, 1927.

დაყრდნობით პ. პეტერსი აჩვენებს, რომ სებასტიის ეპისკოპოსად 1016 წლამდე სომეხი მონოფიზიტი ვერ დაჯდებოდა²⁷.

პ. პეტერსის არგუმენტებს მხედველობაში უნდა მიღება, მაგრამ ყველა დამაჯერებელი არ არის. ნ. აკინიანის მიერ დადგენილი თარიღი უხტანესისა და ნარეკელის შეხვედრისა (987), უყოყმანოდ გასაზიარებელი არ არის, როგორც ამას პ. პეტერსი აკეთებს, და არც არის დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული. ნ. აკინიანს არა აქვს საკმარისი საფუძველი, როცა ხაჩიკ პირველის ზეობის განსაზღვრისას უპირატესობას მათე ურპაელის ცნობას (985-991) ანიჭებს. ამიტომ გამორიცხული არ არის არგინის საკათალიკოსო რეზიდენციაში ანანია ნარეკელის გამოცხადება 973 წელს, როდესაც გრიგოლ ნარეკელს ჯერ კიდევ არა ჰქონდა დაწერილი „ქებათა-ქების თარგმანება“ (977). მართალია ჩვენამდე არ მოუღწევია ანანია ნარეკელის თხზულებას ორბუენებიანთა წინააღმდეგ, მაგრამ განა სხვა ერთი და ორი ნაწარმოები დაჯარგულა ამ ათი საუკუნის მანძილზე? უხტანესი ანანიას თანამედროვე რომ არც იყოს და წინასიტყვაობა დაწერილი იყოს უფრო გვიან, როგორც ამას პ. პეტერსი ვარაუდობს, მის ცნობას მაინც ანგარიშის გაწევა დასჭირდებოდა, ისევე როგორც ანგარიშს ვუწევთ ნარეკელთა შესახებ კიდევ უფრო მოგვიანო ხანის ისტორიკოსების ცნობებსაც კი.

შეუძლებელია დაბეჯითებით მტკიცება, რომ ნარეკელების კონფლიქტი სომხურ ცენტრალურ ეკლესიასთან, გამოწვეული იყო მათი ქალკედონური განწყობილებებით. საამისო აშკარა დოკუმენტები არ არსებობს. ასეც რომ იყოს, ანანია და გრიგოლ ნარეკელები არიან სპეციალურად თონდრაკელთა წინააღმდეგ დაწერილი თხზულებების ავტორები, მაგრამ მათი ბიოგრაფია და თვით ამ თხზულებების შექმნის ასტორია კი გულისხმობს მათ სიმპათიებს თონდრაკელთადმი²⁸. ვფიქრობთ, სანამ ერთხელ კიდევ არ იქნება სპეციალურად შესწავლილი ნარეკელთა სკოლის იდეოლოგიური შემკვიდრება, ძნელი იქნება გადაჭრით მტკიცება, დაწერდა თუ არა ანანია ნარეკელი ორბუენებიანთა წინააღმდეგ ტრაქტატს. აკი აიძულეს იგივე ანანია დაეწყევლა თონდრაკელები!

ასეა თუ ისე, პირველი ანტითონდრაკისტული თხზულებები შეიქმნა ნარეკის მონასტერში ჯერ ანანიას და შემდეგ გრიგოლ ნა-

²⁷ P. Pecters, Sainte Sousanik, გვ. 247-260.

²⁸ Манук Абебян. История древнеармянской литературы. Ер., 1948, გვ. 452.

რეკელის მიერ. საყურადღებოა, რომ სულ სხვა იდეური ამოცანების წინაშე მდგარი უხტანესი არ ივიწყებს თონდრაკელთა ერესს. ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების პირველ მიზეზად უხტანესი ასახელებს კირონ ქართლის კათალიკოსის განრისხებას იმის გამო, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა სერობისას პირველი სასმისი აღბანელთა კათალიკოსს მიართვა²⁹. უხტანესი არც თუ დიდად მოხერხებული ბიბლიური პარალელებით ცდილობს უჩვენოს მკითხველს, რომ კირონმა ამიერ-კავკასიის ქვეყნების ეკლესიათა ერთიანობა მსხვერპლად მოუტანა ერთ ჭიქა ღვინოს. ვინაიდან სულაერ საქმეებზე წინ დააყენა ხორციელი შვება — ჭამა და სმა. იგი წერს: „[გავისენოთ] გლახაკთა (გლეხთა) და მდაბიოთა საიგავე (საარაკო) სიტყვა: «ვჰამოთ და ვსვათ, რადგან აღრე მოკვედებით»... ხოლო ჩვენ გაუწყეთ [განხეთქილების პირველი მიზეზი] არა სოფლელთა და გლახაკთა (გლეხთა) იგავებიდან, არამედ ფრიად სიბრძნისმოყვარე კაცთაგან გაგებულნი“.

უხტანესს აქ თავისებური გააზრებით გადმოცემული აქვს თონდრაკელთა მოძღვრების ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი: უარყოფა საიქიო ცხოვრებისა, ამქვეყნიურ სიამეთა დაუთმობლობა, რის გამოც გრიგოლ მაგისტროსმა (გარ. 1059 წ) მათ ეპიკურიელები უწოდა³⁰. თონდრაკელთა ერესი გადაიქცა სოფლის გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის იდეოლოგიად³¹, რაზეც არც ერთი წყარო ტერმინოლოგიურად ისე ზუსტად არ მიუთითებს, როგორც უხტანესი: „სოფლელნი“ *ყსიყსიკე* და „გლახაკნი“ („მდაბიონი“) *ყინჩიკე*. ამ ტერმინთაგან პირველი თავისთავად ნათელი მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე კი დღეს საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და დადასტურებულია, რომ ძველსომხურ ტექსტებში, ჩვეულებრივ, ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენებს აღნიშნავს³².

²⁹ უხტანესი, გვ. 181-185.

³⁰ Իրիգոր Մազիստրոսի Թղթերը, ի լուս ընծայեց Կ. Կոստանենց, Ալեքսանդրապոլ, 1910, გვ. 158-159.

³¹ იხ. Ա. Մ Ն ա գ ա կ ա Ն յ ա ն, Թինერასკյան ჯარძმან մի բանի գլխավոր հարցերի մասին, ԳԱ „Տեղեկագիր“, 1954, № 3; А. Г. Иоанисян. Движение толдракидов в Армении в 9-11 вв., Вопросы истории, 1954, № 10; Ս. Գ. Պ ո ղ ո ս յ ա ն, Դյուղաղիւնի նորոսցումը եվ գիւղացիական շարժումները Հայաստանում IX-XIII դարերում, Եր., 1956; Ս. Ն. Հ ա կ ո բ յ ա ն, Հայ գյուղացույթյան պատմություն, Եր., 1964, თავი VIII.

³² ილია აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1959, I, გვ. 168-169; იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა.

ნარეკის სკოლასთან გვაახლოვებინებს აგრეთვე უხტანესს მისი სტილის მსგავსება გრიგოლ ნარეკელის ნაწარმოებების სტილთან. უხტანესის თხზულების პანეგირიკული და საგინებელი თავები დაწერილია რიტმული პროზით (რითმის ელემენტების შეტანითაც კი), მდიდარი ალიტერაციებით. ერთი ასეთი ადგილი მითითებული გვაქვს³³, აქ კიდევ ორს მოვიტანთ:

*...სიხსამ კ სიორიყასან მათად ღირიქ სიორიორ
არისაღ სიამანსაგ ყსარიქსიოქსან სიორიყიგნ ქხლ-
რსაღ სიქისიყიასაგნ:*

...ხოვემ ევ ხორპრდაკან მტავქ მუროვექ | ხორპურდ
არეალ, | ზაფანეაც ზხარდახუთაუნ ხორპრდოცნ | თაუ-
რეალ ეპისკოპოსადაცნ.

*...ჯარანყას კ ჯარანარ ჯარ მათამანსა ჯარ-
ქამაგ აინ, რიქანყას ისოგანსნ ძიქ ქოღქდ ღარ
კ რანღ:*

...ჩარანდაკ ევ ჩარაპნარ | ჩარ მტაწმუნს ჩარიმაც
არნ, | ბოვანდაკ უსუცანენ | ქეზ თულთ იურ ევ ბანქ.

გვინდა შევნიშნოთ, რომ უხტანესს თხზულების შექმნის დროს, ჩანს, მხედველობაში ჰყავდა მკითხველის გარდა მსმენელიც. სხვაგვარად ძნელია აიხსნას მისი ასეთი ყურადღება ტექსტის ეფფონური მხარისადმი. როგორც ჩანს, იგი ვარაუდობდა, ან იცოდა, რომ მის მიერ დაწერილი ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია სამონასტრო საკრებულოებში ხმამაღლა საკითხავი იქნებოდა. ამიტომ წერს იგი წინასიტყვაობაში: „შეიქმნა მკითხველთა სახუგეშებლად, მსმენელთა გასანათლებლად და წმიდა ეკლესიის გასაბრწყინებლად მოსახსენებელი ეს პატარა ისტორიაც...“ იქნებ ამ მომენტსაც ითვალისწინებდა ისტორიკოსი, როცა თავისი ძირითადი წყარო „ეპისტოლეთა წიგნი“ შემოკლებით შექმნდა თხზულებაში.

ამრიგად, ვფიქრობთ, უხტანესი არა ტყუის, როცა თავს ნარეკის სკოლიდან გამოსულად აცხადებს.

უხტანესის თხზულების პირველი ნაკვეთი (სომხეთის მეფეთა და მამამთავართა ისტორია დასაბამიდან სომეხთა მოქცევამდე), რომელმაც პ. პეტერსის გამანადგურებელი შეფასება დაიმსახურა, მართლაც არა დგას სხვა სომხური საისტორიო თხზულებების დონეზე და მისი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება საკმაოდ შეზღუდულია. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ თხზულებ-

³³ იხ. გვ. 19.

რისთვისაც ანისის საეკლესიო კრებამ იგი დაწყევლა. ვაპანი კრებამ არ დაესწრო, ვასპურაკანში გაიქცა და მის ეკლესიას ჩაუდგა სათავეში. აქედან იგი განაგრძობდა მის ადგილზე კათალიკოსად არჩეული სტეფანოს IV სივნიელის შევიწროებას³⁹. შემონახულია, აგრეთვე, ცნობები ქართველთა და სომეხთა შორის რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი შეჭახებების მსხვერპლით დამთავრების შესახებ. ასოლიკთან ვკითხულობთ: „მას (ხაჩიკ I კათალიკოსის — 972-992) დროს იყვნენ მოძღვრები იოანე — ქრისტეს ჯვრისმტვირთველი, რომელმაც უძღური სიტყვით და დიდი მეცნიერებით ამხილა წმიდა წერილთა უვიცობა. ის მოკვდა გაცოფებული ქართველთა ტომისგან მახვილით და დაეფლა ვანში, რომელსაც აკსიგომა ეწოდება“⁴⁰.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. პეტერსის ბოლო არგუმენტი უხტანესის თხზულების X ს-ის II ნახევრით დათარიღების წინააღმდეგ იყო ვარაუდი, რომ სებასტიის ეპისკოპოსად 1016 წლამდე ვერ დაჯდებოდა მონოფიზიტი. მართლაც, სწორედ იმ ხანებში (ან სულ ცოტა ადრე), როცა წინასიტყვაობის მიხედვით უხტანესის „ისტორია“ უნდა იწერებოდეს, სებასტიისა და ლარისას სამიტროპოლიტოებში ქალკედონიტები ძლიერ უტევენ მონოფიზიტებს. მიტროპოლიტებმა აიძულეს ამ ქალაქების სომხური კოლონიების ეპისკოპოსები სიონ (სებასტიელი) და იოანე (ლარისელი) ქალკედონიტობაზე მოქცეულიყვნენ⁴¹. ასოლიკი ამ აქტს 986/7 წლით ათარიღებს, რის გამოც წინასიტყვაობის დათარიღება 987 წლით (ნ. აკინიანი) და ამავე ხანებში უხტანესის სებასტიის ეპისკოპოსობა ერთმანეთთან ვერ შეთანხმდება. მაგრამ უყოყმანოდ მისაღებად პ. პეტერსის არც ამ არგუმენტის ჩათვლა შეიძლება. ხომ იყო სიონ სებასტიელი მონოფიზიტი ეპისკოპოსი, სანამ იძულებით მოაქცევდნენ ქალკედონიტობაზე? ცხადია, მთლიანად სომხურ მრევლს ბერძნები ასე იოლად ვერ დაიყოლიებდნენ თავის ნებაზე, რაც ყველა ხელსაყრელ მომენტში მათ საეპისკოპოსო ტახტზე, დროებით მაინც, მონოფიზიტის დასმის შესაძლებლობას დაუტოვებდათ. გარკვეული ალბათობით შეიძლება გვევარაუდა, რომ თხზულების დაწერამდე (ან შემდეგ) უხტანესს ეკავა სებასტიის ეპისკო-

³⁹ Ս ո ხ Ի ս ա ն ի ս Տ ա Ր Ո Ն Ե Ն Ե լ յ Ա ս ի ղ Կ ա Ն Պ ա տմուկիւն տիხեկերական. Պետ., 1885, გვ. 181; Կ ի Ր ա կ ի ս Գ ա Ն ժ ա կ Ե յ ի, გვ. 87; Վ ա Ր ղ ա Ն, გვ. 121; Ս ո ხ Ի ս ա Ն Ո ս Օ Ր Ի Է Լ Ե ա Ն, გვ. 289-290. Ս ա մ ու Է Լ Ա Ն Ե յ ի, გვ. 101.

⁴⁰ Ս ո ხ Ի ս ա ն ի ս Տ ա Ր Ո Ն Ե Ն Ե ի, გვ. 201-202.

⁴¹ Ի թ յ յ Ե.

.პოსის ტახტი მცირე ხნით და ეს გარემოება აისახა ზოგ გვიანდელ წყაროში და, აგრეთვე, ერთ-ერთი ხელნაწერის სათაურში.

ამრიგად, უხტანესის X ს-დან XI ს-ის II ნახევარში, ან XII ს-ში გადმოსაყვანად ურყევი საფუძველი არ მოგვეპოვება, თუმცა ასეთი შესაძლებლობა მკვლევარს მუდამ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს.

8. გავათავისუფლოთ უხტანესის წინასიტყვაობა მრავალსიტყვაობისაგან და ვნახოთ, რა დაგვრჩება.

ნარეკის წინამძღვარმა, როგორც ჩანს, სამკერ მისწერა წერილი არგინაში მყოფ უხტანესს და სამკერ მიიღო მისგან პასუხი. პირველად ეპისტოლე უხტანესს მიუტანა და პასუხი წაიღო ფილიპე მღვდელმა. მეორედ და მესამედ სიმეონმა და ბარუტმა წაუღეს ნარეკელს უხტანესის პასუხები, ოღონდ არ ვიცით, ესენიც ნარეკიდან იყვნენ გამოგზავნილები, თუ უხტანესმა თვითონ გაატანა წერილი გზად მიმავალ მღვდლებს (ბერებს?). ამას გარდა, ნარეკელი ორჯერ ჩავიდა პირადად არგინაში. პირველად, ჩანს, უხტანესმა შეხვედრა აიცილა თავიდან, მეორედ კი დათანხმდა პირისპირ შეხვედრასა და საუბარს. უხტანესი დიდ ხანს არა კისრულობდა „ისტორიის“ დაწერას. იგი თვლიდა, რომ ასეთი მისია მის მასწავლებელს, ნარეკის მონასტრის წინამძღვარს უფრო შეეფერებოდა. მდ. ახურიანის პირას, ზაფხულში (973 წლის 6 ივლისს, 980 წლის 4 ივლისს ან 987 წლის 3 ივლისს), ივლისის თვეში, კვირადღეს, საღამოს 9 საათზე, სომხეთის ეკლესიის ორი მოღვაწის პირადად საუბრისას გადაწყდა „ისტორიის“ დაწერა შემდეგი გეგმით: 1. სომეხთა მეფეთა და მამამთავართა რიგი, 2. ქართველთა გამოყოფა სომხებთან ერთობისაგან, 3. წათების მათლისება. უხტანესისათვის დასახული ამოცანის შესრულება იოლი არ აღმოჩნდა. მხოლოდ სმბატ სომეხთა მეფის, სომეხი ეპისკოპოსების, მთავრებისა და დიდებულების დახმარებით შეძლო მან გადაელახა ყველა დაბრკოლება, მოწინააღმდეგეთა მუქარა და აშკარა შეჯახებები.

9. წათების საკითხს ჩვენ სხვაგან აღარ შევხვებით. ამიტომ რამდენიმე სიტყვით აქვე გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა დასკვნების გაკეთება შეიძლება უხტანესის წინასიტყვაობის მიხედვით.

წათები („წადები“) უხტანესთან ეთნიკური ტერმინია და არა ერეტიკოსებისთვის შერქმეული სახელი. ეს არის ტომი, რომელსაც აქვს თავისი ქვეყანა მისთვის დამახასიათებელი ყველა აღმინისტრაციული ერთეულით: გავარები (ხევები), დიდი სოფლები, ქალაქები, დაბები, ციხეები თავისი სანახებით. წათების ქვეყანა ცხოვრობს სრული რელიგიური ცხოვრებით. აქ მოქმედებენ ეკლე-

სიები, მონასტრები დაბეჭდესა და უდაბნოებში, მოღვაწეობენ ბერე-
ბის ძმობები და მარტოიდმოყოფი ბერები. სათაურის მიხედვით, უხ-
ტანესის „ისტორიის“ ამ მესამე ნაკვეთში ასახული უნდა ყოფი-
ლყო წათების ნათლისღება, ე. ი. მათი გაქრისტიანება და
არა ქალკედონიტობაზე მიქცევა⁴². უხტანესის აზრით, წათი ბერე-
პი ნამდვილ სულიერ ცხოვრებას ეწევიან, „უჩვენებენ მაგალითს
საღმრთო სჯულისა“. ამრიგად, არც ნაკვეთის სათაური („წადების
ნათლისღება“), არც უხტანესის მიერ მოცემული მისი მოკლე ანო-
ტაცია არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უხტანესის, ამ
ღაუძინებელი ანტიქალკედონიტის, თვალსაზრისით წათები ქალ-
კედონიტები არიან. ამიტომ, არა ჩანს სწორი ვარაუდი, თითქოს
უხტანესის თხზულების მესამე ნაკვეთი სომხურმა ოფიციალურმა
ეკლესიამ გაანადგურა⁴³. ასეთი ვარაუდი მაშინაც კი არ იქნებოდა
გასაზიარებელი, თუ უხტანესის წარმოდგენით წათები მართლაც
ქალკედონიტები იქნებოდნენ. მის თხზულებაში ხომ წათები ისევე
იქნებოდნენ დაწყევლილნი; როგორც ქართველები (თუ უფრო მე-
ტად არა) მეორე ნაკვეთში. რა ექნებოდა ამის საწინააღმდეგო სომ-
ხურ ეკლესიას?

10. რატომ აირჩიეს უხტანესი ასეთი რთული მისიის შესასრუ-
ლებლად? რატომ მაინცდამაინც მას დაავალეს ისეთი სამნაწილიანი
წიგნის დაწერა, რომელიც ფაქტიურად მთელს კავკასიის ისტორიას
მოიცავდა? რატომ ელოდნენ მისგან, რომ კავკასიაში შექმნილი
რთული რელიგიური სიტუაციის ახსნას მოახერხებდა და მრავალ-
მრწამსიანობის მიზეზებს გასაღებს მოუძებნიდა? ამ კითხვებზე
პასუხის გაცემა მაშინ უფრო ადვილი იქნება, როცა უკვე შესწავ-
ლილი გვექნება მისი წყაროთა გამოყენების პრინციპები. ჯერ კ-
შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. უხტანესმა, როგორც ჩანს სუსტად, მაგრამ მაინც იცოდა.
ქართული ენა. ისტორიკოსმა სწორად ივარაუდა, რომ „ეპისტოლე-
თა წიგნს“ მოსე ელივარდელსა და კირონ ქართლის კათალიკოსს.
შორის მიმოწერა აკლდა. სომხურ ენაზე არსებულ სათანადო კრე-
ბულებში მან იგი ვერ აღმოაჩინა და გადაწყვიტა მათი ქართული შე-
სატყვისები მოეძებნა თბილისში. საეჭვოა ასეთი გადაწყვეტილება
მიედო და წარმატების იმედი ჰქონოდა ქართული ენის უცოდინარს.

⁴² იხ. Н. Адонц. О происхождении армян-Цадов: Журнал Министерства народного просвещения, XXXII, 1911, гв. 243; აგრეთვე. Հանդես Ամսո-
րիայ, XXVI, 1912, შტ. Н. Я. Марр, Цаты (iaθ) палеонтологически:
კრ. «Մարր եւ հայագիտության წარცხեր» სტ. 1968, გვ. 195-204.

⁴³ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 204; თ. პაპუაშვილი, ჰერეთის-
ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 71.

ქართული ვარიანტები უხტანესმა აღმოაჩინა სომეხი მღვდლის ვინმე კირაკოზის დახმარებით, მასვე ათარგმნინა სომხურად და თავის თხზულებაში შეიტანა. კირაკოზს იმიტომ ვათარგმნინე, რომ „ძალიან კარგად იცოდა ქართველთა ენა და წიგნიო“ — დასძენს უხტანესი⁴⁴. ამ სიტყვების მთქმელს, ჩვენი ფიქრით, თვითონაც უნდა სცოდნოდა ქართული ენა, ოღონდ „ძალიან კარგად“ — არა.

უხტანესი ნამყოფაა თბილისში და, ჩანს, ხანგრძლივად, რადგან საკათალიკოსო ბიბლიოთეკიდან დაკარგული ქართული ეპისტოლეების პოვნა „საკვირველნაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედა-ქალაქ თბილისში“ აგრე ადვილი საქმე არ იქნებოდა⁴⁵. ყოფილა იგი („მრავალჯერ“) ცურტავშიც შუშანიკის შესახებ ზეპირი გადმოცემების შესაგროვებლად⁴⁶. უხტანესმა იცის, აგრეთვე, პეტრე ეპისკოპოსის შესახებ ქართული თქმულებები⁴⁷. ცხადია, ყველაფერი ეს გულისხმობს თანადროული ქართლის საქმეებში და ქართულ ენაში მეტ-ნაკლებად გარკვეულ პირს.

2. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნ. აკინიანის ვარაუდით, უხტანესი წარმოშობით ალბანეთის მხარიდან უნდა ყოფილიყო. ძნელია თქმა, რამდენად სწორეა ეს ვარაუდი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ უხტანესი კარგად იცნობს ალბანეთის ისტორიას და ისტორიკოსებს, უხედვად იყენებს მათ ქართულ ეკლესიასთან პაექრობაში⁴⁸.

3. ქართული და ალბანური სამყაროს მცოდნე ანტიქალკედონიტი მწერალი იმყოფება საკათალიკოსო რეზიდენციაში — არგანაში, სადაც, ასოლიკის ცნობით, ხაჩიკ კათალიკოსმა მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნა⁴⁹.

ცხადია, მხოლოდ ეს სამი გარემოებაც კი უხტანესს სხვა შესაძლო კანდიდატურებთან შედარებით მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებდა და, არ არის საკვირველი, თუ მას სასურველ ავტორად მიიჩნევდნენ. როგორ გაართვა მან თავი დასახულ ამოცანას და რამდენად გაამართლა თავისი მეცენატის იმედები, ვეცდებით ქვემოთ ვაჩვენოთ.

⁴⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 015-025; უხტანესი, გვ. 37.

⁴⁵ უხტანესი, გვ. 37, 69.

⁴⁶ იქვე, გვ. 37, 199.

⁴⁷ იქვე, გვ. 147.

⁴⁸ იქვე, თავები 63, 64, 65 და 69.

⁴⁹ Սոხիանու Տարեցիկ, გვ. 135.

„ასტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ საყურადღებოდ ძეგლია არა მხოლოდ იმით, რომ ასე თუ ისე ყოველთვის ასახელებს გამოყენებულ წყაროს, არამედ იმითაც, რომ მასში საკმაოდ გამჭვირვალედ მოჩანს ისტორიკოსის წყაროთმცოდნეობითი პრინციპები, მაშინდელი საეკლესიო წრეების დამოკიდებულება წყართა კრიტიკისადმი.

ზოგადი მითითება, თუ როგორი წყაროების საფუძველზე უნდა დიწეროს თხზულება, უხტანესმა წარეკელისგან მიიღო: „ბრძანება მივიღე შენგან, რომ ყოველნაირად ვიზრუნო და გადმოვცე ამ უწყებაში, რაც ვიცი სანდო ზეპირად და წერილობით“¹. უხტანესი პირობას აძლევს თავის მოძღვარს, რომ ზუსტად შეასრულებს მის მითითებას: „...არასოდეს გადავიდეთ შენს ბრძანებას, არამედ ყოველი ღონე ვიხმაროთ და დაუზარელად ვიზრუნოთ, რამდენიც კი ჩვენს გონებას და აზრს ძალუძს“².

შეთანხმება დადებულია. ისტორიკოსმა თხზულების წერისას თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს წერილობით და ზეპირსიტყვიერ მასალას, თუ კი სანდოდ მიიჩნევს მათ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწორედ ამ შეთანხმებამ განსაზღვრა უხტანესის ნაწარმოების მთავარი მეთოდოლოგიური ნაკლი: X ს-ის ზეპირი გადმოცემებით VI-VII სს-თა მიჯნაზე მომხდარი მოვლენების ახსნის ცდა³. მაგრამ ამავე შეთანხმებამ, ვფიქრობთ, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ გაცილებით უფრო საინტერესო გახადა, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა: მისი წყალობით ჩვენ არ დაგვეკარგა საეკლესიო განხეთქილების ისტორიის ის მოდელი, რომელიც მოგვიანებით შექმნა კავკასიაში მონოფიზიტურმა ეკლესიამ.

ამრიგად, უხტანესი ორგვარი წყაროთი სარგებლობს: წერილობითი და ზეპირსიტყვიერი.

¹ უხტანესი, გვ. 179.

² იქვე.

³ И. Джавахов, История церковного разрыва..., გვ. 435.

ეპისტოლეთა წიგნი

უბტანესი გამოირჩევა შუასაუკუნეების სხვა ისტორიკოსებისაგან გამოყენებულ წყაროებზე ზუსტი მითითებით. იგი თავის თხზულებაში არა მარტო ბევრგან ასახელებს „ეპისტოლეთა წიგნს“, როგორც ძირითად წყაროს⁴, არამედ ყოველ შესაფერის მომენტში ცდილობს აღნიშნოს, რომელ ეპისტოლეშია ლაპარაკი მისთვის მნაშენელოვან საკითხზე⁵.

უსტანესის ტექსტოლოგიური ძიებანი

როგორც კი ისტორიის დაწერის გადაწყვეტილება მიიღო, უბტანესმა გულდასმით შეისწავლა „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნუსხა, რომელიც მის განკარგულებაში იყო. იგი ცდილობდა გაერკვია, სრულად იყო მასში დაცული ქართველთა და სომეხთა შორის მიმოწერა, თუ აკლდა რამე.

1. უბტანესის ყურადღება მიიპყრო კირონ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლემ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი, რომელშიც შემდეგი სიტყვები ამოიკითხა: „მოსე სომეხთა მამამთავარმა, რომელიც მაგ საყდარზე იყო, მოგვწერა ხუეიკის შესახებ და არა რამე სარწმუნოების საქმეთა გამო“⁶. „ეპისტოლეთა წიგნში“ ასეთი მიმოწერა დაცული არ აღმოჩნდა. ისტორიკოსმა გამოიკითხა „სანდო კაცებში“ და დარწმუნდა, რომ გადმოცემების მიხედვით, საეკლესიო საკითხზე კამათი ქართველებსა და სომეხებს შორის მართლაც მოსე ელივარდელის დროს დაწყებულა⁷. ამის შემდეგ უკვე, როგორც გამოცდილ წყაროთმცოდნეს შეშვენის, უბტანესმა გადაათვალიერა „ეპისტოლეთა წიგნის“ ყველა ნუსხა, რომელზეც კი ხელი მიუწვდებოდა. მოსე ელივარდელსა და კირონ მცხეთელს შორის მიმოწერა არცერთ მათგანში არ აღმოჩნდა.

უბტანესს ასეთი წარუმატებელი ძიების შემდეგ ხელი არ ჩაუქნევია. მან ხომ იცოდა, რომ მიმოწერა ქართველებსა და სომეხებს შორის იყო; მაშასადამე, დაკარგული ეპისტოლეები შეიძლებოდა

⁴ უბტანესი, გვ. 25, 37, 49, 51, 83, 95, 115, 147, 163, 179, 181, 199.

⁵ იქვე, გვ. 25, 37, 83, 85, 93, 129, 135 და ა. შ.

⁶ იქვე, გვ. 37;

⁷ იქვე.

აღმოჩენილიყო ქართლშიც და არა მარტო სომხურად, არამედ ქართულ ენაზეც. ისტორიკოსმა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ. დაუყოვნებლავ მოაწყო „ექსპედიცია“ ქართლში და მიმოწერის ქართული ვარიანტიც, რომელიც ხელთ ჩაეპარდნოდა სომეხ მღვდელს კირაკოზს, აღმოაჩინა თბილისში. უხტანესმა ეპისტოლეები სომხურად ათარგმნინა და თავის ისტორიაში შეიტანა⁸.

მთელი ეს ისტორია ეპისტოლეთა აღმოჩენისა და თვითონ ეპისტოლეებიც, სათანადო კვლევის შემდეგ, ნატყუარად მიიჩნია იე. ჯავახიშვილმა⁹. ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება გვეცადა დაგვესაზუთებინა, რომ აღნიშნული ეპისტოლეების შინაარსი, აგებულება და სტილი მათ ზოგადად სანდოობაში დაექვევების საფუძველს არ იძლევა, თუმცა უხტანესის ტექსტებზე მუშაობის მანერის გათვალისწინებით ცალკეულ დეტალებს ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოკიდება¹⁰. მაშინ ჩვენს წინაშე არ დამდგარა საკითხი, შეაძლებოდა თუ არა უხტანესს აღმოეჩინა ქართველ და სომეხ კათალიკოსებს შორის მიმოწერის ტექსტები ქართულ ენაზე? უკეთ რომ ვთქვათ, ეპისტოლეები ორივე ენაზე იქმნებოდა, თუ მხოლოდ სომხურზე?

ასეთი საკითხი დასვა ა. მნაცაკანიანმა წიგნში „კავკასიის ალბანეთის ლიტერატურის შესახებ“¹¹. მან VII ს-ის დამდეგს მომხდარი საეკლესიო განხეთქილებისა და მასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაციის შესახებ ასე იმსჯელა:

«Причиной споров было проникновение в Армению, Грузию и Агванк халкедонизма, против которого армянская церковь вела яростную борьбу как внутри страны, так и в сопредельных Армении странах, тем более, что грузинская и агванская церкви входили в сферу ее господства».

ალბანელებთან კამათი მხოლოდ სარწმუნოების საკითხებს ეხებოდა, ვინაიდან მათი ენა სომხური იყო. ქართველებთან სადავო იყო როგორც რელიგიის, ისე ენის საკითხები.

⁸ უხტანესი, გვ. 37.

⁹ И. Джавахов, История церковного разрыва..., გვ. 440-444.

¹⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 05-025; იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა. დასახელებულ ეპისტოლეებს სანდოდ თვლის პ. პეტერსიცი. იხ. P. Peeters, Sainte Sousanik, გვ. 260.

¹¹ А. С. Мнацаканян, Արվանից աշխարհի գրականության հարցերի շուրջ, Եր., 1966, გვ. 135-139; А. Ш. Мнацаканян, О литературе Кавказской Албании, Ер., 1969, гв. 104-107.

ცურტავიდან გაქცეული მოსე ეპისკოპოსი წერდა ვრთანეს ქართულს: „...тогда же написал я руководству церкви Цуртава на языке армянском“. ვრთანეს ქერდოლი საპასუხო ეპისტოლეში ატყობინებდა მოსე ცურტაველს: „Письмо, о котором ты просил, составил я на армянском языке...“ „Да и письмо самого епископа Мовсеса в Цуртав—განაგრძობს ა. მნაცაკანიანი—адресовано Руководству армяноязычному церкви Цуртава...“ (ხაზი ყველგან ავტორისაა, — ზ. ა.).

კამათში ჩაერია აბრაამ სომეხთა კათალიკოსი, წერს ა. მნაცაკანიანი, მან სომეხურად (ხაზი ჩვენია, — ზ. ა.) მისწერა კირონ ქართლის კათალიკოსს: „Дошла до меня весть, что установленный армянский порядок почитания святой Шушаник, вытесняя заменили: горьким как смерть и даже горше этого показался нам поступок этот...“ ქართლის კათალიკოსი პასუხობს: „Епископ Цуртава во имя православия изгнан, ритуал церковный армянский упразднен, а наш (грузинский, — А. М.) неизменен“.

პოლემიკაში მონაწილეობა მიიღო სმბატ ვრკანის მარზპანმა, რომელიც ქართლის კათალიკოსს საყვედურობდა: „...служба и порядок армянскими среди вас были, и смещением его вы вражду сеете...“ (ხაზი ყველგან ა. მნაცაკანიანისაა, — ზ. ა.).

მთელმა მოტანილმა მასალამ დაანახვა ა. მნაცაკანიანს „какая упорная борьба ведется во имя преобладания грузинского или же армянского языка, грузинских или армянских обрядов, причем язык в этом споре всегда рассматривается как важнейший фактор“. ამავე მასალამ ჩვენც უნდა დაგვანახოს, თითქოს „ეპისტოლეთა წიგნში“ სპეციალურად არის ხაზგასმული, რა ენაზე უნდა მიეწერა წერილი სომხური ეკლესიის მესვეურებს ცურტავის ეკლესიის მეთაურთა და ქართლის კათალიკოსისათვის: მიმოწერის ენა სომხური უნდა ყოფილიყო, უეჭველია იმიტომ, რომ „грузинская и агванская церкви входили в сферу ее (სომხეთის ეკლესიის, — ზ. ა.) господства“.

განვიხილოთ ყველა ციტატა ცალ-ცალკე.

1. „...առ ժամս գրեցի և ևս ...тогда же написал я руководству церкви Цуртава
ի հայ[ա]լիկու գիշխանութիւն նա языке армянском“.
Յուրիսաւայ եկեղեցւոյն¹².

¹² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 3.

ა. მნაცაკანიანის თარგმანით მივიღეთ, რომ ცურტავის ყოფილმა ეპისკოპოსმა მოსემ ვრთანეს ქერდოლს შეატყობინა: სომხურად დაწერილი ეპისტოლე გავუგზავნე ცურტავის ეკლესიის მეთაურებს. ტექსტის ასეთი გააზრება ექვს იწვევს: 1. გაუგებარია, რატომ უნდა აღენიშნა მოსეს სპეციალურად სომხურად დაწვერე წერილიო, თუ ეს ბუნებრივი და კანონიერი საქციელი იყო; თუ ქართლის ეკლესია იერარქიულად მართლაც ემორჩილებოდა დვინის საპატრიარქოს. 2. მოსე ქართლიდან რომ გამოიქცა, შვიდ დღეში ჰოვანავანქში ჩავიდა და მაშინვე გაუგზავნა ეპისტოლე ვრთანეს ქერდოლს¹³. ამ შვიდ დღეში მცხეთაში ვერც კი შეიტყო ბდნენ მისი გაქცევის ამბავს, და მით უფრო ახალ ეპისკოპოსს ვერ დასვამდნენ, მაშ რა „руководство церкви Цуртава“ უნდა ეგულისხმა მოსეს, როცა ცურტავის ეკლესია უმწყემსმთავროდ იყო დარჩენილი?

ვნახოთ ახლა, რა ტერმინებით არის გადმოცემული სომხურში ის ცნებები, რომელთა შესატყვისადაც ა. მნაცაკანიანმა „руководство“ და „на языке армянском“ მიიჩნია.

Руководство-ს ადგილას სომხურ დედანში გვაქვს სავსებით ნათელი და ცნობილი საეკლესიო ტერმინი *իქსანოქჩიან*, რომელიც აღნიშნავს „თემს“, „მრევლს“, „სამწყსოს“¹⁴. მეორე ტერმინი — *հայակզու* — ნიშნავს არა „на языке армянском“, არამედ „სომხურენოვანს“¹⁵. ერთად *հայակզու იქსანოქჩიან* ქართულად იწნება „სომხურენოვანი (სომხურად მოლაპარაკე) თემი (მრევლი, სამწყსო)“. მაშასადამე, თუ გვსურს სიზუსტე დავიცვათ, მოსე ცურტაველის სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: „... მივწერე მე ცურტავის ეკლესიის სომხურენოვან თემს (მრევლს)“¹⁶.

2. *Զթուղիքն, գոր խնդրեցեր ի հայակզուսն, արարի:* „Письмо о котором ты просил, составил я на армянском языке“.

¹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 81.

¹⁴ Սո. Մ ա լ խ ա ս յ ա ն ց, Հայկական բացառական բառարան, II, სრ., 1944; օ. ავრთე, Մ. Ա. զ Ե ր Ե ս ու Ն. Առձին բառարան, Վեն., 1846; Նոր բարգիւր հայկագեան լեզուի, Վեն., 1856.

¹⁵ Սո. Մ ա լ խ ա ս յ ա ն ց, Հայկական բացառական բառարան, III, სრ., 1944.

¹⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 3, 136, 235-237.

¹⁷ იქვე, გვ. 4.

მაგალითი ანალოგიურია ზემოთ განხილულისა, ოღონდ აქ უფრო აშკარაა, რომ *Հայալեզուսն* „სომხურენოვანთ“-ს აღნიშნავს და არა „სომხურ ენაზე“, ვინაიდან იგი დასმულია მრავლობითი რიცხვის ადგილობით ბრუნვაში და ახლავს მსაზღვრელი ნაწილაკი -*ն* („იგი“). ზუსტი თარგმანი ექნება: „წერილი, რომელიც მთხოვე იმ სომხურ ენოვანთათვის (სომხურ ენაზე მოლაპარაკე მრევლისთვის) შევასრულე“.

საყურადღებოა, რომ იგივე ტექსტი, რომელშიც ა. მნაცაკანიანმა წერილის „სომხურ ენაზე“ დაწერის თხოვნა დაინახა, სწორად ესმოდა უკვე უხტანესს, რომელიც წერდა: „სთხოვს (მოსე ცურტაველი ვრთანეს ქერდოლს), რომ ჭერ მისწეროს ცურტავეის ეკლესიაში მათ, რომლებიც სომხურ ენოვანთ იყვნენ (*որք Հայալեզուք էին*), რათა ანუგეშოს ისინი“¹⁸.

მ. „... Հայալեզուսն իշխանութիան Յուրառակ նկեղեցույք“¹⁹ „... руководству армянско-церковному Цуртава“.

თუ პირველ ორ განხილულ მაგალითში ა. მნაცაკანიანმა ტერმინი *Հայալեզու* გადათარგმნა „на языке армянском“, აქ უკვე ისე თარგმნის, როგორც ზემოთ გვჩონდა ნაჩვენები — „армяноязычный“ (სომხურენოვანი).

ამრიგად, ა. მნაცაკანიანის თარგმანების მიხედვით ლოგიკური სურათი იქმნება: სომხეთის ეკლესიის მესვეურები და ცურტავის ყოფილი ეპისკოპოსი სომხურ ენაზე სწერენ წერილებს ცურტავის ეკლესიის „მეთაურებს“, ვინაიდან ისინი „სომხურენოვანნი“ არიან. ლოგიკის თვალსაზრისით, ასეთ ნათელ სურათს ხელს მხოლოდ ის უშლის, რომ გაუგებარი რჩება, რატომ არის საჭირო დაუინებით აღნიშვნა ყველა ეპისტოლეში, რომ სომხურად მოლაპარაკე პირებს წერილს სომხურად ვწერთო.

მოტანილი ციტატა ივ. ჯავახიშვილმა რუსულად ჭერ კიდევ 1908 წელს თარგმნა სავესებით სწორად: „...К [области] с армянскою речью епархии в Цуртавской Церкви“. იცვ, ჩველევარი განმარტავს: „Вртанес обращается к тем из цуртавской епархии, для которых армянский язык был родным“²⁰.

¹⁸ უხტანესი, გვ. 49.

¹⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 5.

²⁰ И. А. Джавахов, История церковного разрыва..., გვ. 516.

ვრთანეს ქერდოლის ეპისტოლეში ზუსტად არის ნაჩვენები, რაც იგულისხმება „ცურტავის სომხურენოვან მრევლში“: „სიწმიდის-მოყვარე მართლმადიდებლებსა და ჭეშმარიტებს, მონასტერთა ხუცეებს, სოფლის მღვდლებს, აზნაურებსა და გლეხებს, მოხუცებსა და ჭაბუკებს, ყველა და ყოველ ერისკაცს მაგ სომხურენოვან ქვეყანათა, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის გამგებლობის ქვეშ“²¹.

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ მოსე ცურტაველისა და ვრთანეს ქერდოლის ეპისტოლეებში არსად არ არის ხაზგასმული, რაენაზე უნდა დაწერილიყო ეპისტოლე. ამას სპეციალურად აღნიშვნა არც იყო საჭირო, რადგან ცურტავის სომხურ მოსახლეობას სომეხი მოღვაწეები, რა თქმა უნდა, სომხურად დაწერილ ეპისტოლეს გაუგზავნიდნენ. მაგრამ ა. მნაცაკანიანი ვარაუდობდა, რომ მთლიანად ცურტავის ეკლესიის „ხელმძღვანელობას“ სწერდნენ წერილებს სომხურად მოსე და ვრთანესი, რის შემდეგაც ძნელი არ იყო ამ დებულების გავრცელება სომხეთისა და ქართლის კათალიკოსების მიმოწერაზეც.

4. *„Յուրտաւայ եպիսկոպոսն վասն ուղղափառութեան հալածեալ է, և գպաշտան հալხերէն ի բայ իոխեալ է՝ մեր գպաշտանն չէ իոխեալ“*²²

„Епископ Цуртава во имя православия изгнан, ритуал церковный армянский упразднен, а наш неизменен“.

ა. მნაცაკანიანის თარგმანით, ქართლის კათალიკოსი ატყობინებს სომხეთის პატრიარქს: ცურტავის ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო გავაძევე, სომხური მღვდელთმსახურება მოვსპე და ჩვენი მსახურება კი არ შემცივლიაო.

ძნელი წარმოსადგენია, ასეთი უცნაური რამ მიეწერა ქართლის კათალიკოსს თავისი საქმიანობის შესახებ მეზობელი კათალიკოსისთვის და შემდეგ გაეგრძელებინა: ეპისკოპოსად ვინც დაესვით, მოსეს შემდეგ, ქართულიც იცის და სომხურიც, მღვდელთმსახურებას ორივე ენაზე ასრულებსო.

საქმე ის არის, რომ ა. მნაცაკანიანმა კირონის მიერ ციტირებული აბრაამის სიტყვები შეცდომით ქართლის კათალიკოსს მიაწერა. კირონ კათალიკოსმა თავისი ჩვეულებისამებრ, ჯერ აბრაამის ეპისტოლედან მოიტანა ციტატა, ხოლო შემდეგ მასზე გასცა პასუხი. სრული ტექსტი ასეთია:

21 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 31-32.

22 იქვე, გვ. 70.

„რომ ეწერა [თქვენს წერილში], ცურტავის ეკლესია დაბტკი-
ცებულ იქნა ჩვენ ორ ქვეყანას შორის სულიერი ზიარებისა და ხორ-
ციელი სიყვარულისათვის და ეხლა ცურტავის ეპისკოპოსი მართლ-
მადიდებლობის გამო დევნილია და სომხური მსახურება შეცვლი-
ლიო, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია (უხტანესის ვარიანტი: „ცურ-
ტავის ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო დევნილია და სომ-
ხური მსახურება შეგიცვლიათო — მსახურება უცვლელია“). ვინც
ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც აგ-
რეთვე; მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდება. ხოლო ცურ-
ტავის ეპისკოპოსის დევნის შესახებ მისი საქმეები გვამცნობენ,
წრფელი სარწმუნოებისათვის არის წასული, თუ სხვა საქმეთა გა-
მო... მე ის არ მიდევნია“.

5. „... պաշտօանդ և կարգդ „... служба и порядок ар-
հայերէն ի ձևը միջի էր, և փո-
խակ. թշնամութիւն ի մէջ ար-
կանէք...“²³ „... среди ар-
мянскими среди всех были, и
смещением его вражду се-
ете...“

ა. მნაცავანიანის მიხედვით, ამ სიტყვებს სწერს სმბატ მარზპა-
ნი კირონ ქართლის კათალიკოსს. ცხადია, ამის წამკითხველი
მართლაც იფიქრებს, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე ქართულ
ეკლესიაში „მღვდელმსახურება და წესი“ სომხური იყო, ხოლო
ქართული ეკლესია ოფიციალურ დოკუმენტაციას სომხურად ქმნი-
და, ვინაიდან იგი „შედიოდა სომხური ეკლესიის ბატონობის
სფეროში“.

მაგრამ საკმარისია მრავალწერტილს თავი დაეანებოთ და ტექს-
ტი სრულად მოვიტანოთ, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს.

„Այդ սուրբ վկայարան, „ეგ წმიდა სამარტვი-
որ ի Յուրտաւ, պատուա-
կան სկսիցիդ հաստատուցաւ և
պաշտանդ և կարգդ հայերէն ի
ձևը միջի էր“; „... лев, ромелиц цурта-
вშიа, პათიოსან ეკლესიად და-
ემტკიცა და სომხური მსახურება
და წესი იყო თქვენში“.

მაშასადამე, „სომხური მსახურება და წესი“ გულისხმობს არა
მთლიანად ქართულ ეკლესიას, ან თუნდაც ცურტავის საეპისკოპო-
სოს, არამედ მხოლოდ შუშანიკის ნეშტზე აგებულ სამარტვილეს,
სადაც ღვთისმსახურება სომხურ ენაზე სრულდებოდა კირონ კათა-
ლიკოსამდე, ხოლო მან სომხურის გვერდით ქართულიც დანერგა.

²³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 75.

აი, ამ სამართლებრივ გარემო დაჯგუფებული სომხური მოსახლეობა იყო ორგანიზაცია, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნში“ „სომხურენოვანი თემი (სამწყსო)“ ეწოდება. ამათ გაქართველებას ისახედა მიზნად კირონ ქართლის კათალიკოსი და ესენი წერდნენ ვრთანეს ქერდოლს (არა მთელი გუგარეთის მოსახლეობა): გვიშველეთ, თორემ ისეთ მძლავრსა და გოროზს შევყრივართ, რომ ან უნდა დავემორჩილოთ, ან უნდა ავიყაროთ აქედან და გადავსახლდეთო²⁴. შესაძლოა, ამ თვალსაზრისით, დამახასიათებელიც იყოს ქართული ტრადიცია კირონის მიერ შუშანიკის ნეშტის თბილისში გადმოტანის შესახებ²⁵. ასეთი ღონისძიება კარგად ეფარდება კირონის მთელს რელიგიურ-ეროვნულ პოლიტიკას. საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ამით იგი დასაყრდენს მოუშლიდა გუგარეთში მონოფიზიტურ ეკლესიას.

როგორც დავინახეთ, „ეპისტოლეთა წიგნში“ არ არის დაცული ისეთი ცნობები, რომელიც გვაპარაულებინებდა, რომ მიმოწერა კავკასიის ეკლესიებს შორის მხოლოდ სომხურ ენაზე წარმოებდა²⁶. ამდენად, საფუძველი არა გვაქვს ექვი შევიტანოთ უხტანესის მიერ მოსე ელივარდელსა და კირონ მცხეთელს შორის მიმოწერის ქართული დედნების თბილისში აღმოჩენის შესაძლებლობაში.

2. უხტანესმა დაადგინა „ეპისტოლეთა წიგნში“ წერილების დალაგების პრინციპი. ისინი განლაგებული აღმოჩნდა ქრონოლოგიის გათვალისწინებით²⁷. ისტორიკოსი მოელოდა, რომ აბრაამის პირველი ეპისტოლეს შემდეგ უნდა ყოფილიყო სმბატ მარზპანის წერილი კირონ ქართლის კათალიკოსისადმი, მაგრამ მისი ნუსხა ამ მხრივაც ნაკლები აღმოჩნდა. უხტანესმა საძიებელი ეპისტოლე სათანადო გარჯის შემდეგ სხვა ეგზეგეზიკალურ ნაშრომებში იპოვნა²⁸.

მიუხედავად იმისა, რომ უხტანესი ცდილობს „ეპისტოლეთა წიგნის“ თანმიმდევრობა დაიცვას, მან სმბატის ეპისტოლე შინც აბრაამის სამივე წერილის შემდეგ მოათავსა. რატომ? საქმე ის არის, რომ უხტანესი თავის ნაშრომს ნარეკელს ნაწილ-ნაწილ უგ-

²⁴ ეპისტოლეთა წიგნი. გვ. 34-35.

²⁵ М. С а б и н и н, История грузинской церкви до конца VI века, СПб., 1877, гл. 125.

²⁶ იხ. ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, მაცნე (ისტორიის... სერია), 1973, № 2, გვ. 162-165. ასევე არასწორად არის გაანალიზებული ა. მნაცკანიანის მიერ ის მასალა, რომელიც ალბანეთის ეკლესიის ოფიციალური მიმოწერის საკითხებს ეხება. იხ. О литературе..., 104-105.

²⁷ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 028-029.

²⁸ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 147; ეპისტოლეთა წიგნი გვ. 029.

ზავნიდა. როდესაც სმბატის ეპისტოლე აღმოაჩინა, აბრაამის წერილები სათანადო კომენტარებით უკვე ფაგზავნილი ჰქონდა, მაგრამ რამ გამოიწვია ასეთი შეცდომა?

უხტანესმა სმბატის წერილი ვერ იპოვა „ეპისტოლეთა წიგნის“ ამ ნუსხაში, რომლითაც ხელმძღვანელობდა. ვერ აღმოაჩინა იგი სხვა ნუსხის გათვალისწინების დროსაც. ამიტომ წერს იგი: „სმბატ ვრკანის მარზპანის ეპისტოლე თავის ადგილზე დაწერილი ვერ ვიპოვნე „ეპისტოლეთა წიგნში“, რომელიც ხელთ მქონდა. ამიტომ აქაც გადავცდით და გამოგვრჩაო“. შემდეგ, როგორც ჩანს, კვლავ დაუბრუნდა იგი ამ ეპისტოლეს საძიებლად ნუსხებს და აღმოჩნდა, რომ ერთ ნუსხაში „შუა ჩართვოდა აბრაამის პირველ წერილს. ჩვენ ამიტომ გამოვაცალკევეთო“, — წერს ისტორიკოსი.

8. ვრთანეს ქერდოლმა ორი წერილი გაუგზავნა ქართლის ეკლესიის მეთაურებს: ერთი კირონ კათალიკოსსა და მთავრებს, ხოლო მეორე — პეტრე ეპისკოპოსს. „ეპისტოლეთა წიგნში“ ამ წერილთა პასუხები არ არის დაცული. უხტანესმა ყველგან დაძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა „ვერც რიგზე, ვერც სხვა ადგილას და ვერც სხვაგან სადმე“²⁹. არსებობდა კი პასუხები? უხტანესმა მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეში ვრთანეს ქერდოლისადმი ამოიკითხა, რომ კირონს არც თვითონ დაუწერია პასუხი და სხვებისთვისაც აუკრძალავს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო განრისხების პირველ წუთებში. შემდეგ ზოგიერთ აზნაურს საპასუხო წერილი მაინც დაუწერია³⁰. ვრთანესის საპასუხო წერილი ცხადყოფს, რომ მას იგი წაუკითხავს, შინაარსს საშინლად გაუოცებია და აღუშფოთებია³¹.

მაშასადამე, დაასკვნა უხტანესმა, საპასუხო წერილები დაწერილა. ვრთანესისათვის პასუხი გამოუგზავნიათ პეტრე ეპისკოპოსსაც და აზნაურებსაც. მაგრამ ეს პასუხი „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენლებს კრებულში არ შეუტანიათ, რადგან იგი, უხტანესის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იყო სომხური ეკლესიისათვის „სასარგებლო“, „ღირსეული“, „შესაფერისი“ და „შესაწყნარებელი“³².

ამრიგად, უხტანესმა განსაზღვრა „ეპისტოლეთა წიგნის“ ხასიათი და დანიშნულება. ი გ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ უ რ ი ე კ ლ ე ს ი ო ს ა თ ვ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო. ცხა-

²⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი გვ. 83.

³⁰ იქვე, გვ. 83, 87; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43-44.

³¹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 78; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 45.

³² უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 85.

დია, მთელი მისი შემდგომი მუშაობა, როგორც რედაქტორისა და ისტორიკოსის, ამ ნიშნით წარიმართებოდა. გამოიკვეთა უხტანეს-სა, როგორც ეკლესიის ისტორიკოსის, თეორიული მრწამსი.

უხტანესი რედაქტორი

მას შემდეგ, რაც უხტანესმა საბოლოოდ დაადგინა „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტი და შეავსო ნაკლები ეპისტოლეებით, დაიწყო მისი დამუშავება და მომზადება თავის „ისტორიაში“ შესატანად. 61-ე თავში იგი განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობდა ეპისტოლეების რედაქტირებისას.

„რამდენადაც შესაძლო იყო, მრავალ ამბავთაგან შერჩეული კუმარიტი გავაწყეთ ამ წერილებში. მაგრამ სხვაც ბევრი იყო თვითეული წერილის ბოლოსა და შუაში, ამბებს რომ მოგვითხრობდა, რაც საჭიროდ და აუცილებლად არ ჩავთვალეთ“³³.

მამასადამე, უხტანესს თავის „ისტორიაში გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ „ეპისტოლეთა წიგნიდან“ წერილები შემოკლებით შეუტანია. შესამოკლებლად მას ზოგი „ამბავთა მთხრობელი“ ადგილი ამოუღია შუა წერილებიდან, ზოგი კი — ბოლოში ჩამოუკვეცია. უნდა ვიფიქროთ, რომ წერილების დასაწყისისთვის უხტანესს ხელი არ უხლია³⁴.

როგორც ჩანს, „ისტორიის“ მოკლედ და კომპაქტურად დაწერაზე მითითება უხტანესს უკვე თხზულების დამკვეთისაგან მიუღია. ამიტომ უსვამს ხშირად ხაზს, ამა თუ იმ ეპისტოლეს მოკლედ გადმოკცემ; ამა თუ იმ პირის შესახებ მოკლედ ან „რამდენიმე სიტყვით“ გოყვებიო³⁵.

ამრიგად, უხტანესმა წინასწარ იცის, რომ ეპისტოლეები უნდა შემოკლდეს, მაგრამ რას ხარჯზე? იმის, რასაც უხტანესი „საკვიროდ და აუცილებლად“ არ მიიჩნევდა.

უხტანესს აწუხებს, რომ შემოკლებას ყველგან ვერ ახერხებს, ზოგჯერ ერთი და იმავეს გამეორებაც უხდება. იგი ცდილობს თავი გაიმართლოს ნარეკელის წინაშე: ხშირად სხვადასხვა წერილში მეორდება საკითხები, ზოგჯერ კომენტარებშიც, მაგრამ გამეორებე-

³³ უხტანესი გვ. 163.

³⁴ ქვემოთ ვნახეთ, რომ მცირე ცვლილება უხტანესს აბრაამ კათალიკოსისა და კირონ კათალიკოსის მეორე ეპისტოლეების დასაწყისშიც შეუტანია, იხ. გვ. 284, 287.

³⁵ უხტანესი, გვ. 51, 67, 89, 95 და ა. შ.

ბი მწერალს ისევე სჭირდება შვებისათვის, როგორც სწეულს ხშირი თხერაობა³⁶.

უხტანესის მსჯელობა და წუხილი, ერთი და იმავეს გამეორებასთან დაკავშირებით, გვაფიქრებინებს, რომ იგი შეეცდებოდა, სადაც კი ამას შესაძლებლად მიიჩნევდა, თავიდან აეცილებინა გამეორებები, და ტექსტი მათ ხარჯზე შეემოკლებინა.

სრულიად თავისებურია უხტანესის მეთოდი მოწინააღმდეგე მხარის ეპისტოლეთა რედაქტირების საქმეში. აქ უკვე მისთვის ამოსავალი აღარც „საჭირო და აუცილებელია“ და არც გამეორებების თავიდან აცილების სურვილი.

„როცა წავიკითხეთ კირონის მესამე ეპისტოლე, პასუხი აბრაამის წერილზე, რომელიც არა ჰგავდა პირველ ან მეორე ეპისტოლეს, არამედ სხვაგვარი ცილისწამებითა და ცბიერებით იყო სავსე, უკუვადგდეთ, რადგან იმ ორში მისი ბოროტება მზაკვრულად იყო დაფარული..., ხოლო მესამეში მისი ზრახვის ავადმოსასმენი სიტყვები გასაგონი გახდა მკითხველის სასმენელთათვის“³⁷.

რას ნიშნავს უხტანესის სიტყვები „უკუვადგდეთ“, მაშინვე ცხადი გახდება, როცა ვნახავთ, თუ რა უმნიშვნელო ნაწილი დატოვა ისტორიკოსმა თავის თხზულებაში კირონ კათალიკოსის ვრცელი ეპისტოლედან. ასე „მოიშორა და მოკვეთა“ მონოფიზიტმა პოლემიკოსმა ქალკედონიტი მოღვაწის „უგუნური და ბრყვეული აზრები, შეაჩერა მისი ერეტიკოსი ენა ცბიერი ლაპარაკისას, მიატოვა მისი სასაცილო და დამთხვეული ფიქრების სიტყვები, როგორც რამ ნამუსრევი გადარწყუელი“³⁸.

უხტანესმა უკვე 52-ე თავში აღნიშნა, რომ ის მცირე, რაც მან მოიტანა კირონის მესამე ეპისტოლედან („უღირსი პასუხი“) მას საკმარისად მიაჩნდა³⁹.

ამრიგად, უხტანესის, როგორც რედაქტორის, პროგრამა ნათელია: „ეპისტოლეთა წიგნში“ დატოვლი მასალა უნდა შეემოკლდეს გამეორებების, უმნიშვნელოს და მოპაექრე ეკლესიის წერილების არსებითად უემციარების ხარჯზე.

36 უხტანესი, გვ. 145, 155.

37 იქვე, გვ. 165.

38 იქვე, გვ. 177.

39 იქვე, გვ. 143.

ისტორიაში უნდა დარჩეს ყველაფერი, რასაც უხტანესი „სარწმუნოდ და საპიროდ ჩათვლის“. ასეთი შეიძლება ერთხელ კი არა, ორჯერ და სამჯერაც დაიწეროს: ვცდილობთ მათ ერთ სიტყვას ათასი სიტყვით მივუვგოთ და გავიმეორროთ ერთი ორჯერ და, თუ გნებავს — ორი სამჯერ“⁴⁰.

ახლა, როდესაც უკვე ვიცით, ზოგადად რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა უხტანესი „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის რედაქტორებისას, ვადავიდეთ ამ ორი რედაქციის დეტალურ შედარებაზე. ქვემოთ წერილები შედარებული იქნება „ეპისტოლეთა წიგნში“ მოცემული რიგის მიხედვით.

I. მოსა ცურტაველის პირველი ეპისტოლე ვრთანეს კირდოლს

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„ხოლო როცა შევიტყვეთ ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრების განდიდება და გინება ღმრთის ძის მიმართ, აღარც მწვანე ფოთოლი აღმოაჩნდათ მაშინ. ამიტომ ხმა ავიმალეთ და მტერი გავხდით. კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა“⁴¹.

„ხოლო როცა შევიტყვეთ კირონისგან განდიდება ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრებისა და ღმრთის ძის გმობა, მწვანე ფურცელიც კი აღარ აღმოაჩნდათ. ამის გამო ავიმალეთ ხმა, მაგრამ მტრად შექცა კათალიკოსად წოდებული, ყველა მთავარი, ერისთავი და მთელი ქვეყანა“⁴².

2.

„მეც წერილით რჩევა-დარიგება გამომიგზავნეთ“⁴³.

„მისწერეთ კირონს და იმ ქვეყნის მთავრებსაც და წერილით რჩევა-დარიგება გაუგზავნეთ“⁴⁴.

უხტანესის ინტერპოლაციების შემჩნევა შესაღარებლად მოტანილ ტექსტებში ადვილია. მთელი მიმოწერის მანძილზე მოსეცურტაველი კირონ ქართლის კათალიკოსს სახელს არსად უწო-

40 უხტანესი, გვ. 155.

41 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 2.

42 უხტანესი, გვ. 53.

43 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 3.

44 უხტანესი, გვ. 53-55.

დებს და ყველგან როგორც „კათალიკოსად წოდებულს“ იხსენი-
ებს. უხტანესი, ჩანს, ვერ მიხვდა, რომ მოსე ამას ცხელ გულ-
ზე აკეთებდა და ამითი თავისი უკმაყოფილობის გამოხატვა სურ-
და. ამიტომ, სადაც კი ჩათვალა საჭიროდ, ტექსტში ყველგან
შეიტანა ქართლის კათალიკოსის სახელი⁴⁵.

მოტანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ ტექსტი ერთ-
სა და იმავე დროს ინტერპოლირებულიც არის და, ამასთანავე,
უხტანესი ცდილობს ერთგვარი სტილისტური ცვლილება
შეიტანოს თხრობაში. მოსე ეპისკოპოსი წერდა ვრთანეს ქერ-
დოლს: იმდენად აღვშფოთდი, როცა ქართველთაგან ქალკედონის
კრების განდიდება შევიტყვე, რომ კათალიკოსს, ყველა მთავარ-
სა და იმ ქვეყანას მტრად გავუხდიო. უხტანესთან პირიქით, რო-
ცა მოსემ ზმა აიმაღლა ქალკედონის კრების წინააღმდეგ, მაშინ გა-
დაეკიდნენ მტრად. ასეთი სტილისტური სწორება უხტანესს გაკე-
თებული აქვს თავისი კონცეფციის შესაბამისად და მთელს თხზუ-
ლებას გასდევს. მხოლოდ ერთგან, საყოველთაო ეპისტოლეში,
დარჩა მას ხელუხლებლად მოსეს სიტყვები: „ვერ შეეძლით გავ-
ჩუმებოდით სნებას, რის გამოც ყველას მტრად ვიქუციო“.

მეორე მაგალითში უხტანესის მიერ შეტანილი ცვლილება კი-
დეც უფრო თვალსაჩინოა. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით მო-
სე ცურტაველი ვრთანეს ქერდოლს თავისთვის სთხოვდა რჩევა-და-
რივებას. უხტანესის რედაქციით მივიღეთ, რომ მოსე კირონ
ქართლის კათალიკოსისთვის სთხოვს რჩევა-დარივების ეპისტოლეს
ვრთანეს ქერდოლს. ცვლილება უხტანესს ეკუთვნის და არა მის
გადამწერებს, რადგან აღნიშნული ეპისტოლეს კომენტარი (თავი 10)
გავრცელებულია უკვე დანართის გათვალისწინებით: „სთხოვს (მო-
სე ვრთანეს ქერდოლს), რომ მისწეროს ცურტავის ეკლესიას სა-
ყოველთაო ეპისტოლე სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომისათვის და
ამის შემდეგ — კირონსა. და იმ ქვეყნის მთავრებს“⁴⁶. საქმე რომ
დანამატთან გვაქვს, აშკარაა იმითაც, რომ ვრთანესმა ცურტავის
სომხურენოვან სამყაროს კი გაუგზავნა ეპისტოლე, მაგრამ ქართ-
ლის კათალიკოსისთვის არაფერი მიუწერია. ქართველთათვის
ეპისტოლეს გაგზავნა მოსემ ვრთანესს მეორე ეპისტოლეში სთხო-
ვა: „ამჯერად ბრძანეთ და მისწერეთ ერთი წიგნი კათალიკოსად
წოდებულს, ატრნერსეს, ვაჰანს და ბრზმიპრს“⁴⁷. საპასუხო წე-

45 იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 135, შენ. 13; გვ. 136, შენ. 19.

46 უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 51.

47 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 5; უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 75.

რილში ვრთანესი ატყობინებს მოსეს: „წერილი, რომ გვთხოვეთ კათალიკოსად წოდებულისა და იმ ქვეყნის სხვა მთავართა მიმართ, დავწერეთ როგორც ჯერ იყო“⁴⁸.

ამრიგად, უხტანესის როგორც რედაქტორის საქმიანობა მხოლოდ ტექსტის შემოკლებას არა გულისხმობდა. მას ტექსტში დამატებებიც შეჰქონდა. დამატებები, ცხადია, მოემსახურებოდა თავისი ეკლესიის „საპიროებას“, რასაც ემსახურებოდა, ფაქტიურად, შემოკლებებიც. ამ შემთხვევაშიც მას ინტერპოლაციის საშუალებით სურს აჩვენოს თავის მკითხველს, რომ დვინის საკათალიკოსოს ადგილის მცველს უფლება ჰქონდა „ემხილებინა“ მცხეთის კათალიკოსი და „რჩევა-დარიგება“ მიეცა მისთვის. უხტანესის ისტორიული კონცეფციით ეს უკანასკნელი დვინის კათალიკოსს ექვემდებარებოდა იერარქიულად.

გვაქვს კიდევ რამდენიმე განსხვავება: უხტანესთან გამოტოვებულია მოსეს ცურტავეში აღზრდის, ხოლო „ეპისტოლეთა წიგნთან“ შედარებით მეტია მოსეს პიტიახშის კარის ეპისკოპოსის ხარისხზე ასვლის შესახებ ცნობები. ასეთი განსხვავებები შეიძლება გადამწერთა შეცდომებით აიხსნას.

II. ვრთანეს აპოლოლის პასუხი მოსეს პირველ ეპისტოლეზე

ეპისტოლეთა წიგნი

„წერილი რომ მთხოვე სომხურენოვანთათვის, შევასრულებ“⁴⁹.

უხტანესი

„წერილი რომ მთხოვე სომხურენოვანთათვის, ღმრთის მადლით შევასრულებთ. ვუგზავნით აგრეთვე კირონსა და იმ ქვეყნის მთავრებს“⁵⁰.

მოსე ცურტაველის ეპისტოლეში ჩანამატებს გაცნობილი მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ ხაზგასმული სიტყვები ვრთანესის პასუხშიც ინტერპოლაციაა. მაგრამ აქ კიდევ ერთი განსხვავებაა საინტერესო. თუ „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხის მიხედვით ვრთანესი ამბობს, ცურტავის სომხურენოვან სამწყსოს უკვე მივწერეო წერილი, უხტანესის ვარიანტში გვაქვს — ახლა ვწერ ან მივწერო (აწმყოში დასმული ზმნა *აღწერე* შეიძლება მყოფადსაც გულისხმობდეს). ცვლილება, ჩვენი აზრით, ისევე უხტანესს ეკუთვნის

⁴⁸ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 37; უხტანესი, გვ. 27.

⁴⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 4.

⁵⁰ უხტანესი, გვ. 50.

ნის. მისთვის მნიშვნელოვანი იყო მომდევნო ფრაზა, რომლითაც ვრთანესი ატყობინებდა მოსეს: უუგზავნით (ან გაუუგზავნით) წერილს (ორივე შემთხვევაში გამოყენებულია შესიტყვება *קְרָאָה* *აინსაფ*), აგრეთვე, კირონ კათალიკოსსა და იმ ქვეყნის მთავრებს. რედაქტორმა იცის, რომ მოსესა და ვრთანესს შორის გაცვლილ პირველ ეპისტოლეებს ქართველთაღმი წერილი არ მოჰყოლია. მაგრამ პირველ ეპისტოლეში გაკეთებული ინტერპოლაციის გამართლება საჭიროა ისე, რომ დანამატი აღვილად არა ჩანდეს (თუ უკვე გააგზავნა, სად არის? ხოლო თუ ჯერ არ გაუგზავნია და მხოლოდ აპირებს, ხომ შეიძლება არც გააგზავნოს?).

III-IV მოსა ეპისკოპოსის საოვალთაო ეპისტოლე და

IV ორგანიზაციის კრების მიზანმიმართული

1. უხტანესი ძლიერ ამოკლებს მოსეს ენციკლიკას. იგი ჭოვებს მხოლოდ განხეთქილების ისტორიისათვის არსებითს, და ტექსტის გადასაბმელად, ლაყუნების დასაფარავად მცირე რედაქციულ ცვლილებებსაც მიმართავს. მაგალითად, ვრცელი მსჯელობა დიოფიზიტების მრწამსის შესახებ მას გადმოკეცილი აქვს სულ რამდენიმე სიტყვით: „ჩვენს უფალი იესუ ქრისტე ორბუნებიაანიაო“.

2. უფრო საყურადღებოა უხტანესის მიერ მოსეს ენციკლიკის ბოლო აბზაცის შემოკლება. ისტორიკოსმა გამოტოვა შემდეგი წინადადება:

„ხოლო ჩვენ, საყვარელნი, ჯეროვანი სიბრალულით აღძრულნი მოძმე ადამიანთა წარწყმედისა და აღსასრულის მიმართ, გავფრთხილდეთ როგორც ჯერ არს და მათთვის ვილოცოთ, როგორც წესია, რომ მოვამცილოთ ისინი შემცდარი გონებიდან და მოვიდნენ წრფელ სარწმუნოებაზე...“⁵¹.

უხტანესი ითვალისწინებს, რომ პოლემიკის პირველ ეტაპზე მიმოწერის ტონი თავშეკავებულია. სომეხი მოღვაწეები ბრალს პირდაპირ არა სდებენ კირონსა და მის თანამოაზრეებს და მათი ფრაზეოლოგიაც ამას ასახავს: „მტრად გავუხდი... (და არა — „მტრად გამიხდა... როგორც ეს უხტანესსა აქვს), „მოსე იღვენა...“ (და არა — „მოსე სდევნე...“) და მისთ. სომხურმა ეკლესიამ პოლემიკის დასაწყისში ქართლში მომხდარი რეფორმები კირონ ქართ-

51 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 14.

ლის კათალიკოსისა და მისი უშუალო თანამზრახველების ინდივიდუალურ იდეად გაიგო. ამიტომ მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი ქართული ეკლესიის მონოფიზიტობაზე მიქცევისა. X ს-ის მიწურულს მონოფიზიტი მოღვაწის ისტორიული კონცეფცია კი სხვაგვარია. მან უკვე იცის, რომ დიოფიზიტური მრწამსი ქართლში სიცოცხლისუნარიანია, მოსახლეობის ყველა ფენას მოიცავს, ყველა ფენა საბოლოოდ დაკარგულად მიაჩნია და თავის საკვლევ ტექსტს ამ თვალსაზრისის შესაბამის რედაქციას უკეთებს.

3. მოსე ეპისკოპოსი წერს თავის ლომხურენოვან სამწყსოს:

„გამოვატანე მიზეზნი კრებისა და მსგავსი წერილნი ნეტარ მოძღვართა საჩრწმუნოებისა და მოწინააღმდეგე მწვალებელთა, უმეტესი აქედან შეიტყუეთ“⁵².

უბტანესიეულ რედაქციას მოტანილი წინადადება აკლია. საქმე ის არის, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მოსეს ენციკლიკას უშუალოდ მოსდევს ტრაქტატი IV (ქალკედონის) კრების მიზეზების შესახებ. ცხადია, მოსეს სიტყვებშიც სწორედ ეს ტრაქტატი იგულისხმება. უბტანესის „ისტორიას“ იგი მთლიანად აკლია, რამაც საფუძველი მოგვცა გვევარაუდა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველ რედაქციაში ეს ტრაქტატი არ შედიოდა. ეჭვი გამოვთქვით, აგრეთვე, რომ „IV კრების მიზეზები“ მოსე ცურტაველს მცდარად მიეწერება. ამ საკითხს სხვაგან უფრო ვრცლად შევხებით. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უბტანესის მიერ შესწავლილ „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებში, ჩანს, არ იყო „IV კრების მიზეზები“. ამიტომ იგი ისტორიკოსს არც მოუხსენებია სადმე, თუმცა მოსეს ენციკლიკის ზემოთ მოტანილი ტექსტიდან მას მსგავსი ტრაქტატის არსებობა უნდა სცოდნოდა. ვფიქრობთ, იმიტომ ამოაგდო უბტანესმა მასზე მითითება ენციკლიკის შემოკლებისას, რომ სათანადო ტექსტს ვერ შეხვდა მისთვის ნაცნობ ნუსხებში.

VI ვრთანეს ძეგლის საყოველთაო მაისტორლე ცურტაველის
სომხურენოვან მრავლს

ეპისტოლეთა წიგნი

უბტანესი

„ნურავისაგან დაძაბუნდებით ძრწოლით მომაკვდინებელი შიშისაგან, არამედ გაბედულად გამოვიკვლიოთ ის ქეშმარიტი

„გაეცალეთ უგუერთ, რათა ღირსი შე-

⁵² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 14.

სარწმუნოება, რომელიც დასაბამიდან გვექონ- იქნეთ ღმრთის ნიჭ-
და, რათა ღირსი შევიქნეთ ღმრთის ნიჭ- თა⁵⁴.
თა, ეგების «ხელი საკვანელს დავდოთ» (მღრ.
ლუკა 9,62)... «რამეთუ მიგცეს თქუენ
სულმან ჩემმან, რაჲ სთქუათ»⁵³.

„ეპისტოლეთა წიგნის“ საკმაოდ მოზრდილი ფრაზა უხტანესს
სულ ორი სიტყვით შეუცვლია. ამით მისმა ვარიანტმა უფრო
მკაცრა საბუ მთილო. ვრთანესისაგან განსხვავებით უხტანესისთვის
აღარაფერია „გამოსაკვლევია“, მას უკვე აღარა აქვს იმედი ქალკე-
დონიტების მონოფიზიტობაზე მოქცევისა. ამიტომ მიზა რჩევაც
ნათელი და ლაკონურია: „გაეცალეთ უგუნურთ“.

X ვრთანეს ჰერდოლის ეპისტოლე ვაბრა ეპისკოპოსს

ეპისტოლეთა წიგნი

„ხოლო როგორც მიიღეთ ღმრ-
თის ქომაგობა თქვენს თავზე, ასე-
ვე მტკიცედ იღექით მაგ საქმის
აღსრულებამდე, რათა ღირსი შე-
იქმნეთ ზეციურ ნიჭთა.

მივწერეთ მაგ საქმეთა გამო მაგ კათალი-
კოსს და სხვა მთავრებს, რომ არ იყოს
ახალსახიობა რამ სარწმუნოებისა ჩვენ ორ
ქვეყანას შორის და ნუ მიიჩნევს შენი
პატიოსნება სულიერი და ხორცი-
ელი სიყვარულის გაუცხოებად.
როგორც მასპინძელი იყავ მარ-
თლმადიდებელი სარწმუნოებისა,
რომელიც დაამტკიცა ამ ქვეყანაზე
უფალმა ღმერთმა წმიდა გრიგორის მიერ
მრავალი სასწაულით, ისე უმეტესად შეიქენ
მშვიდობის მიზეზი, რათა ის ახალსა-
ხიობა, რომელიც შემკულია სი-
ცრუით, მოისპოს, ჭეშმარიტება დამყარდეს
და ეს სიწმიდის მოყვარე ეპისკოპოსი,

უხტანესი

„მივწერეთ მაგ საქ-
მეთა გამო მაგ კათა-
ლიკოსსა და მთავ-
რებს, რომ არ იყოს
ახალსახიობა სარწმუ-
ნოებისა ჩვენ ორ ქვე-
ყანას შორის, არა-
მედ იყოს [და]
დარჩეს ის, რაც
მრავალი სასწაულმოქ-
მედებით დაამტკიცა
უფალმა ღმერთმა წმი-
და გრიგორის მიერ,
შენ კი უფრო მეტად
მშვიდობის მიზეზი
იყავ, რათა სიცრუე
მოისპოს, ჭეშმარიტე-
ბა დამყარდეს და ის

53 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 32-33.

54 უხტანესი, გვ. 63.

რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნო- ეპისკოპოსი თავის აღ-
ების ქომაგია, თავის ადგილზე და- გილზე დაბრუნდეს“⁵⁶.
ბრუნდეს“⁵⁵.

უხტანესს ვრთანესის მაღალფარდოვანი ტექსტი ისე ოსტატუ-
რად გაუმარტივებია, რომ ყველა არსებითი და მნიშვნელოვანი მო-
მენტი შენახულია ეპისტოლეში. ფრაზა „ხოლო როგორც მიიღეთ...
შეიქნეთ ზეციურ ნიქთა“ არა ზის თავის ადგილზე „ეპისტოლეთა
წიგნში“ და მისი ამოღება ვრთანესის ეპისტოლეს უფრო მწყობრ
დს ნათელ შინაარსს აძლევს. საყურადღებოა, რომ ამ ეპისტო-
ლეში გამოტოვებული ადგილები არც უხტანესის კომენტარებში
აისახა, მაშინ, როცა იგი უხტანესისეულ ვარიანტს თითქმის მთლი-
ანად მოიცავს⁵⁷.

XI მონა ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლე
ვრთანეს კერძოლს

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1

წერილი, რომელიც მისწერეთ
კათალიკოსად წოდებულს და იმ
ქვეყნის მთავრებს, გავატანე ჩემს
ბიჭს და ეხლა მობრუნდა⁵⁸.

წერილი, რომელიც მისწერეთ
კათალიკოსად წოდებულს, იმ ქვე-
ყნის სხვა მთავრებს და პეტ-
რეს, რომელიც ვითხოვე
თქვენი სიწმიადისაგან,
გავატანე ჩემს ბიჭს და ეხლა მობ-
რუნდა⁵⁹.

ფიქრობთ, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ „ეპისტოლეთა წიგნს“
ხაზგასმული წინადადება აკლია და მასში იგი უხტანესის მიხედვით
უნდა აღდგეს.

2 უხტანესის რედაქციაში გამოტოვებულია:

„ამასაც გთხოვთ უფალო: ნეტარი ტიმოთეს წიგნი
მთლიანად მივიღე და წერილები, რომლებიც მაგ წმი-
და ეკლესიაში და თქვენთან მოიპოვება, ყველა გადავწე-

55 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 39.

56 უხტანესი, გვ. 81.

57 იქვე, გვ. 83-85.

58 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43.

59 უხტანესი, გვ. 87.

რე. მოაღწიეს ჩემთან მთლიანად, სიტყვა-სიტყვით, ნეტარ მოძღვართა სხვა წერილებმაც, რომლებიც ამხილებენ და წყევლიან ორბუნებოვანთა კრებას. ხოლო კეთილმსახურ მეფეთა ნეტარი ზენონისა და ანასტასის მიერ იმ ურიული კრების განსაზღვრების აღფხვრის შემდეგ, ვერსად ვიპოვე, თუ კვლავ როგორ ან ვისგან აღიძრა ახალსახიობა და დაამხო მრავალი ეკლესია. როგორც იცის თქვენმა სიწმიდემ, ბრძანეთ და მოგვეწერეთ ჩვენს სიმდაბლეს⁶⁰.

„ეპისტოლეთა წიგნის“ მკითხველისათვის ამ ტექსტის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მოსე ეპისკოპოსი, რომელიც ეპისკოპოსობამდე, უბტანესისეული რედაქციით, მოძღვარიც ყოფილა, ამ ეპისტოლეს დაწერამდე არ იცნობდა უმთავრეს ანტიქალკედონურ ლიტერატურას. მაშასადამე, ქალკედონური ორიენტაციის ეკლესიასთან კონფლიქტის დროს იგი მზად არ იქნებოდა დოგმატიკის საკითხებზე კამათისათვის და, შესაძლოა, ასეთი კამათი არც მომხდარა. ავი კირონ კათალიკოსი ასეთ განმარტებას აძლევდა მოსე ცურტაველთან მოპხდარ ინციდენტს: „ცურტავის ეპისკოპოსის შესახებ მისი საქმეები გვამცნობენ წრფელი სარწმუნოებისთვის არის წასული, თუ სხვა რამ საქმეთა გამო... მე ის არ მიღვევია. არამედ იყო რაღაც, რაც შევიტყვევ მისი უღირსი საქმეების შესახებ და ვუხმობდი ჩემთან, მინდოდა დამერიგებინა და მესწავლებინა“⁶¹. ამის საწინააღმდეგოდ, უბტანეს სურს დაარწმუნოს თავისი მკითხველი, რომ მოსე ცდილობდა ქართლის ეკლესია და მისი კათალიკოსი დაეჭვრებინა ქალკედონური მრწამსის უსჯულოებაში და „სახარების მიხედვით მრავალგზის დამრიგებლური სიტყვებით ევედრებოდა, გადაუხსნიდა რა წიგნს და მიაწვდიდა სულიერ წვრთნას“⁶². უბტანესი ვერ შესძლებდა თავის „ისტორიაში“ ასეთი ვერსიის გატარებას, თუ მოსეს ეპისტოლეს დედნის შემოცირებისას განსახილველ ადგილს სულ არ ამოიღებდა. მაგრამ მთელი წიგნის რედაქტირებისას ისტორიკოსმა ვერ დაიცვა თანამიმდევრობა და შემოკლება უკვე მომდევნო

60 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 44.

61 იქვე, გვ. 70.

62 უბტანესი, გვ. 73.

ეპისტოლეში გამოქმედდა: საპასუხო წერილში ვრთანესი ატყობინებს მოსეს თხოვნის შესრულების შესახებ⁶³.

XIII. ვრთანესის პასუხი მოსე აპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე

1. უხტანესთან ვრთანესის ეპისტოლე ორი ერთდროულად დაწერილი წერილის (25-ე და 28-ე თავები) სახით არის მოცემული. ჩვენ უკვე ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ უხტანესის რედაქცია შესაძლოა დედნის მდგომარეობას ასახავდეს⁶⁴. აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ უხტანესი ამ ორ წერილს ერთმანეთს არ აცილებდა და ერთად განიხილავდა. როდესაც 27-ე თავში იგი წერს, რომ ის რაც ვრთანესმა მოსეს მისწერა ძლიერ შევამოკლეო, სწორედ მეორე ნაწილს (28-ე თავი) გულისხმობს, რადგან პირველი (26-ე) თითქმის არ შეუმოკლებია.

2. უხტანესთან გამოტოვებულია მოზრდილი აბზაცი თეოდორიტე ჰვირელის სიმეონ მესვეტესთან კონფლიქტის შესახებ⁶⁵. იგივე ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ამავე ისტორიის შემცველ ადგილს მოსე ეპისკოპოსის სახელით შემონახულ ტრაქტატიში ქალკედონის კრების შესახებ („IV კრების მიზეზები“)⁶⁶. შეიძლება გვეფიქრა, რომ უხტანესმა ასეთი რედაქცია გამეორების თავიდან ასაცილებლად გააკეთა. მაგრამ მის თხზულებაში ხომ არც „IV კრების მიზეზები“, ან მისი კვალი ჩანს სადმე?

ვრთანესის პასუხში მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე, „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციით, მითითებული პასაჟის შინაარსი ასეთია: ვილაც ქალკედონიტმა დიდებულებმა იუსტინიანე კისარის უთხრეს, იმას ვერაფერ იტყვის, თითქოს სიმეონ მესვეტემ ქალკედონის კრების გადაწყვეტილებები მოშალა, რადგან იგი ახლაც ქალკედონში წმიდა ეფემიას სამარტეილეში ინახებო. სჯეუბი, პირიქით, არწმუნებდნენ, სიმეონმა ქალკედონის კრების განსაზღვრებებს ხელი მოაწერა და მისი ხელრთვით ახლაც იმავე სამარტეილეში ინახებო. ამ სიტყვების მთქმელი საშინელი ფიცით ულასტურებს იუსტინიანეს, ამის შემდეგ რომ მოგვიყვები, სრული ჭეშმარიტებააო, რასაც „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით მოსდევს მოთხრობა, თუ როგორ დაწვა სიმეონ მესვეტემ ქალკედონის კრების განსაზღვრებები ცეცხლში. წინააღმდეგობა აშკარაა: წინაშემ-

63 უხტანესი, გვ. 89.

64 იხ. ზემოთ, გვ. 21-23.

65 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 48-49.

66 იქვე, გვ. 17.

დგომელი ჯერ უმტკიცებდა იუსტინიანე კეისარს სიმეონი ქალკედონის კრებას დაემორჩილო, ხოლო შემდეგ ფაცის ქ.ეშ უყვება ისტორიას, როგორ დაწვა იმავე სიმეონმა ქალკედონის კრებას განსაზღვრებები. ვფიქრობთ, ეს წინააღმდეგობა შეამჩნია უხტანესმა და, რადგან ტექსტის შემოკლებას მინც აპირებდა, შეამოკლა მისი გათვალისწინებით.

მაგრამ რამ წარმოშვა „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებში ის წინააღმდეგობა, რომლის გადალახვა საგანგებოდ დაჭირდა უხტანესს? ვფიქრობთ, *ბიზანტიის*-ის პოლისემანტურმა ხასიათმა და *რუსიის*-ის მსგავსებამ *რუსიის*-თან. შევადართო ტექსტები.

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

I

„*ხე იმანდ ხი ქანუქიმანსკავს-
ლიენ, ირდ აღანდოენ აწერ ხინ
აჯისკიროდ, ასხნ ვქაფაღორნ,
ქტ ანანარქინ ჭ იამსდ ხი მარდ-
სანს აასიღ ვაკე, ვქი შიმსინი
ბინარქისალ ჭ ხ რასანსალ ჭ
სარამანაფრიქსან ძილილიენ
ჭაღქსიღინი...*“

„ზოგმა წინაშემდგომელმა, რომელიც იმ წვალეზის მოწაფე იყო, უთხრა მეფეს, რომ შეუძლებელია კაცთაგან ვინმემ თქვას ეგ, რომ სიმეონმა ხელი მოაწერა (var. ხელ-ჰყო, გაბედა) და დაემორჩილა ქალკედონის კრების განსაზღვრებასო...“

„*ხე იმანდ ქანუქიმანსკავ
ლიხლიენ' ირდ აღანდოენ აწერ
ხინ აჯისკიროდ' ასხნ ვქაფა-
ღორნ, ხქტ ანანარქინ ჭ იამსდ
ხი მარდქანს აასიღ ვაკე ვქი ში-
მქინი ბინარქისალ ჭ ხ რანსალ
სარამანაფრიქსან ძილილიენ
ჭაღქსიღინი...*“

„ზოგმა წინაშემდგომელმა, რომელიც იმ წვალეზის მოწაფე იყო, უთხრა მეფეს, რომ შეუძლებელია კაცთაგან ვინმემ თქვას ეგ, რომ სიმეონმა ხელ-ჰყო (var. გაბედა, ხელი მოაწერა) და მოსპო ქალკედონის კრების განსაზღვრებაო...“

ამას ვერავინ იტყოდა, აგრძელებენ წინაშემდგომელები, რადგან სიმეონი მართლმადიდებელი იყო და კრების განსაზღვრება ახლაც ქალკედონში, წმ. ეფემიას სამარტვილეში ინახებო.

II

„*ხე იმნი ხი მასთაღორავს ნა-
ქანბაღორ ხეხალ იღღაქიათი რა-
სათიქ, ასტ ვქაფაღორნ, ხქტ
ხრანსქი შიმსინი ბინარქისალ*

„*ხე იმნი ხი მასთაღორავს
ნაქანბაღორ ხეხალ იღღაქიათი
რასათიქ, ასტ ვქაფაღორნ,
ქტ ხრანსქინ შიმქინი ბინ-*

მამების ავტორიტეტის მოშველიებით⁶⁷. მაგრამ ამავე ეპისტოლეს-
თვის დართულ კომენტარში ისტორიკოსი არ ივიწყებს ამ გარე-
მოებას და გამოტოვებულ ტექსტს მოკლედ, იმავე ბიბლიური
ციტატების მოშველიებით, აცნობს თავის მკითხველს⁶⁸.

ამრიგად, ის ტექსტიც კი სომხეთის ეკლეს-
ის მეთაურთა მიმოწერიდან, რომლის შესახ-
ხებაც უხტანესმა საგანგებოდ გახაზა — ძლი-
ერ შევამოკლეთ, ფაქტიურად სულ ოდნავ
არის შემცირებული.

XIV ღვინის სამკლესიო კრების კანონები

უხტანესს „ღვინის კრების კანონები“ არ შეუტანია თავის
„ისტორიაში“. ვინაიდან იგი არც შეეფერება „ეპისტოლეთა წიგ-
ნის“ მსგავს კრებულს, ძნელი სათქმელია, იყო იგი მის პირვანდელ
რედაქციაში, თუ შემდეგ დაუმატეს რედაქტორებმა⁶⁹. უხტანე-
სის კომენტარებიდან ჩანს, რომ იგი იცნობდა „ღვინის კრების კა-
ნონებს“. 30-ე თავში ისტორიკოსი წერს, რომ 10 ეპისკოპოსი,
მღვდლები და უხუცესები შეიკრიბნენ ღვინში აბრაამ რშტუნელის
ხელდასახმელად. გარკვეული დაბრკოლებების შემდეგ „ყველაშ
ერთად მოიპზრა, რატომ არ გავაკეთეთ ახლა ის, რისთვისაც შე-
ვიკრიბეთო და გადაწყვიტეს თავისთვის კანონები დაედგინათ, რომ-
ლებიც დაადგინეს კიდევ და დაამტკიცეს თავისი ერთობის აღთქ-
მა, სწავლასა, აღსარებასა, სულის ხსნასა და სარგებელში“⁷⁰.

35-ე თავში უხტანესი კვლავ ახსენებს ღვინის კრების კანო-
ნებს: „საერთო თანხმობით შევიდი განსაზღვრული
თავითა და მშვენიერი წესით კანონთა დადგენის შემდეგ, რო-
მელიც სული წმიდის მადლით დაამტკიცეს, კვლავ შეიკრიბნენ
ერთად...“⁷¹ „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემებში „ღვინის კრე-
ბის კანონები“ თავებად არ არის დაყოფილი, მაგრამ აბზაცე-
ბი, რომელიც შინაარსის მიხედვით არის გაკეთებული, სწორედ
შვილია. ცხადია, უხტანესი იცნობს „ღვინის კრების კანონებს“,

67 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 50-51.

68 უხტანესი, გვ. 93.

69 შლრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 146, შენ. 1.

70 უხტანესი, გვ. 97.

71 იქვე, გვ. 103.

მკვრამ საკითხავია, რომელი რედაქციით? „ეპისტოლეთა წიგნიდან“ თუ სხვა რომელიმე კრებულიდან?

ამ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ის კია, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ და უხტანესთან დასახელებული კრების მონაწილე ეპასკოპოსების საერთო რიცხვიც სხვადასხვაა და მათი ჩამოთვლის რიგიც⁷².

XV სმბატ მარზპანისა და სომხეთის ეპისკოპოსების ხელწერილები

„ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტი უხტანესთან ორად არის გაყოფილი და ცალ-ცალკეა დასათაურებული, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა და აქ სიტყვას აღარ გვაგარძელებთ⁷³. გოდა ამისა, უხტანესისეულ ტექსტში კიდევ არის ერთი განსხვავება „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციასთან შედარებით.

ეპისტოლეთა წიგნი

როგორც აღრე სომეხთა ქვეყნის მამამთავრებმა, ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა, მთავრებმა და ერისკაცებმა საშინელი წყევლით უარყვეს და განდევნეს ყველა მწვალებელი — არიოზი... ქალკედონის კრება და ლეონის ბილწი ტომარი — განვეშორებით მათთან ზიარებას ჭეშმარიტად. ხოლო თუ ჩვენი სიტყვები რაიმე სიტრუით იყო ნათქვამი, წყეულიმც ვიყოთ...⁷⁴

უხტანესი

როგორც აღრე სომეხთა ქვეყნის მამამთავრებმა, ეპისკოპოსებმა, მთავრებმა და ერისკაცებმა საშინელი წყევლით უარყვეს და განდევნეს ყველა მწვალებელი — არიოზი... ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი, ასევე ჩვენც ვწყევლით ყველა მწვალებელს და უფრო მეტად კი წყეულ ქალკედონის კრებას და ლეონის ბილწ ტომარს, კვლავ ვწყევლით და მათთან ზიარებას განვეშორებით. ჭეშმარიტია ეს სიტყვები, ხოლო უკეთუ სიტრუით ვამბობთ რაიმეს, წყეულიმც ვიყოთ...⁷⁵.

ტექსტების შედარება აშკარად გვიჩვენებს, რომ უხტანესის რედაქციაში ხაზგასმული წინადადება დედნისეულია და აღდგენი-

⁷² იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 146, შენ. 8.

⁷³ იხ. გვ. 16.

⁷⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 58.

⁷⁵ უხტანესი, გვ. 99.

ლი უნდა იქნეს „ეპისტოლეთა წიგნში“. ამის უტყუარი მოწმობაა ფრაზის კონსტრუქცია: „როგორც ადრე . სომეხთა ქვეყნის ზამამთავრებმა... უარყვეს, აყვე ხვენც ვწყველით...“ ეპისტოლეთა წიგნში“ კი მრავალგზისი გადაწერების შემდეგ დარჩენილია მხოლოდ „როგორც ადრე...“

XVI ხელწერილი, რომელიც მისცემს ეპისკოპოსმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს

უხტანესის ტექსტს დასაწყისშივე აკლია დოკუმენტის დათარიღება: „მეფეთა მეფის აპრევზ-ხოსროს მეფობის მეჩვიდმეტე წელს“⁷⁶. შესაძლოა, ეს ფრაზა თვითონ ისტორიკოსის მიერ იყოს გამოტოვებული, რადგან თარიღი მას უკვე ბევრჯერ ჰქონდა აქამდეც დასახელებული (თავები 1, 30, 32, 35).

ეპისკოპოსების სიაში, „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციასთან შედარებით, მხოლოდ მანასე ბასეანის ეპისკოპოსსა და ქრისტაფორ სიენიეთის ეპისკოპოსს აქვთ შეცვლილი ადგილი⁷⁷. ხუცესეზის სიაში კი უხტანესს (თუ მის გადამწერს?) გამორჩენია იუნანეს (იუსანეს) ავანის და ისრაელ პტლავანთა (პტლუნთა) ხუცესები, რომელთა სახელებიც შემდეგ სიის ბოლოს დაუმატებია⁷⁸.

XVII მოსა ეპისკოპოსის ეპისტოლე აბრაამ კათალიკოსს

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„მესმა, მამაო პატროსანო, უფალ გრიგორის მაგ საყდრის ბრწყინვალეობით აღდგენა“⁷⁹.

„შევიტყვე მამამთავრული ბრწყინვალეობით უფალ გრიგორის მაგ საყდრის აღდგენა“⁸⁰.

შეცდომა გრაფიკულ ნიშანგზეა დაშვებული. არეულია ერთმანეთში *რაკრ აყათილასან* და *რაკრ აყხთასან*. ალბათ ტექსტი მიჯრით და ქარაგმით იყო დაწერილი (*რაკრ აყათასან*), ხოლო უხტანესმა (თუ მისმა გადამწერმა) მცდარად გახსნა. არ არის გამორი-

⁷⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 59.

⁷⁷ შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 59; უხტანესი, გვ. 107-109.

⁷⁸ შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 60; უხტანესი, გვ. 109.

⁷⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 62.

⁸⁰ უხტანესი, გვ. 115.

ცხელი, რომ შეცდომა მოსვლოდა „ეპისტოლეთა წიგნის“ გადამწერსაც და უხტანესის ვარიანტი მისი რომელიმე ხელნაწერიდან მომდინარეობდეს, რადგან ორივე შემთხვევაში აზრიან წინადადებასთან გვაქვს საქმე.

2.

„...რადგან, აჰა, უკვე აკურთხა ღმერთმა სომეხთა ქვეყანა შენი ფერხითი“⁸¹. „...რადგან, აჰა, უკვე აკურთხა ღმერთმა სომეხთა ქვეყანა შენი მეშვეობით“⁸²

მოსე ცურტაველი ყოველი ღონით ცდილობს პატრიარქის გული მოიგოს და საქებარ სიტყვებს არ იშურებს. ჩანს, უხტანესს უხერხულად მოეჩვენა მოსეს მართლაც უხერხული გამოთქმა და შეამსუბუქა.

3.

„...აკურთხა ღმერთმა სომეხთა ქვეყანა შენი ფერხითი და ყოველი სიკეთის დაფუძვნების დასაბამად და წინამძღვრად და მაგ მთავრების, მრავალი ზნის განმავლობაში განშორებულების ჩვენი ქვეყნიდან, გაბრწყინებულების მეფეთა პატივითა და მადლიერებით, აქეთ დაბრუნების [მიზეზად გაგხადათ]“⁸³. „...აკურთხა ღმერთმა სომეხთა ქვეყანა შენი მეშვეობით და ყოველი სიკეთის დაფუძვნება, ჩვენი ქვეყნის მეფეთა პატივითა და მადლიერებით გაბრწყინებული, აქეთ მოაქცია“⁸⁴.

როგორც ჩანს, უხტანესმა კარგად ვერ გაიგო მოსეს ეპისტოლეში რომელი მთავრების უკან დაბრუნებაზე იყო ლაპარაკი და გამოტოვა. მართლაც ტექსტი ბუნდოვანია. თუ ლაპარაკია სმბატ მარზპანის სომხეთში დაბრუნების შესახებ, რატომ არის „მთავრები“ მრავლობით რიცხვში? შესაძლოა, მოსე პატივით იხსენიებს სმბატს და იმიტომ იყენებს მრავლობით რიცხვს⁸⁵, მაგრამ როგორ გახდა აბრაამი მისი უკან დაბრუნების მიზეზი, როცა თვითონ მხოლოდ სმბატის დაბრუნების შემდეგ გახდა კათალი-

81 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 62.

82 უხტანესი, გვ. 115.

83 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 62.

84 უხტანესი, გვ. 115.

85 იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 151, შენ. 2.

კოსი? უხტანესის შემოკლებამ გამოიწვია სხვა მცირე გრამატიკული ცვლილებანი და მისი ტექსტი ბოლოს ორიგინალზე უფრო ბუნდოვანი გახდა.

4.

„გვედრებით ჩვენც, შეეწიოთ ქრისტეს ეკლესიას, რომელიც თანამორწმუნე და მოწაფე იყო თქვენი, და ეხლა დასნეულებული შექირვებაშია“⁸⁶.

„გვედრებით ჩვენც, შეეწიოთ ქრისტეს ეკლესიას, რომელიც ((sic) თანამორწმუნე და კირონი მოწაფე იყო თქვენი, და ეხლა დასნეულებულია შექირვებისაგან“⁸⁷.

უხტანესი უადგილოდ უმატებს ტექსტში კირონის სახელს და საკმარისად გაშართულ წინადადებას სტილისტურ-გრამატიკულად საგრძნობლად არღვევს.

5.

„რადგანაც ნიმუშად აქვთ მათი საქმენი და მისდევენ მათ, დაე თქვენც დაიქადოთ (იამაყოთ) ქრისტეს მიმართ, რომ მომეცა მადლი უფლისაგან, რათა გექადავა ქართლიდან აღბანთა ქვეყნამდის გამოუკვლეველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა და ესოდენი ხალხი მომეგო თქვენთვის და ქრისტესათვის შემეწირა“⁸⁸.

„რადგანაც ნიმუშად აქვთ მათი საქმენი, და მათთა მიმდევართ, დაე თქვენც დაიქადოთ (იამაყოთ) ქრისტეს მიმართ და თქვათ, რომ მომეცა მადლი უფლისაგან, რათა მექადავა ქართლიდან აღბანთა ქვეყნამდის გამოუკვლეველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა და ესოდენი ხალხი მომეგო თქვენთვის და ქრისტესათვის შემეწირა“⁸⁹.

უხტანესთან ტექსტში მხოლოდ ერთი სიტყვაა მეტი „ეპისტოლეთა წიგნთან“ შედარებით და შინაარსი გაცილებით უფრო ნათელი ხდება. „ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტით შეიძლება ბოდა გვეფიქრა, რომ ქართლიდან აღბანეთამდე ქრისტეს სარწმუნოების ქადაგების წადილი მოსე ცურტაველს უნებოდა⁹⁰. უხტანესის რედაქციით კი ნათელია, რომ, პირიქით, მოსე წერს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, კარგი იქნებოდა უფლება გქონოდა გეამაყა

⁸⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 63.

⁸⁷ შდრ. უხტანესი, გვ. 117.

⁸⁸ ეპისტოლეთა წიგნი, 63-64.

⁸⁹ უხტანესი, გვ. 117.

⁹⁰ შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 233.

იმით, რომ ქრისტეს სარწმუნოება იქადაგე ქართლიდან ალბანეთამდეო. ამას აღსატურებს აბრაამის პასუხიც მოსეს ეპისტოლეზე: „არ დააცხროთ ვედრების შეწირვა ყოვლადღიერი ღმრთის მიმართ, რომ მომცეს ძალი შეძლებისა მისი ნებისაებრ, რათა სისრულით ვაჩვენოთ მისი განგება ჩვენი ქვეყნის მიმართ, ასევე ქართველთა და ალბანთა ქვეყნისაც“⁹¹. შედარების შედეგად აღდგენილი ტექსტი ასეთი იქნება:

*...ქი იანსილი დნიოჲა ვიობან
აღრისასჲ ჸ ნახსილი ჲიოჲა,
ხიღიჲი ჸ ბსჲ აჲარბსჲ ქი ჲიქითი
აჲსი, ქმჲ ქინბ თილან
ჯნიორჲს აჲი ქი შხაინჲ. ქი
ქიჲაჲ მქინჯ ჸჯსჲარან სიღო-
სანიჲჲ ჲაროიღსჲ დანდნჲს მსბო-
ქსჲს ქილოაჲს ჲიქითითი, ჸ
დჲაქაჯაჲს აიღჲა ჲარსჲ ბსი ჸ
ღრქითითი აჲათჲარაჲსჲ;*

...რადგანაც ნიმუშად გაქვთ მათი საქმენი და მიჰყვებით მათ, დაე თქვენც იამაყოთ ქრისტეს მიერ, რომ: მომეცა მადლი უფლისაგან, რათა მექადაგა ქართლიდან ალბანთა ქვეყანამდის გამოუქველველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა; და ესოდენი ხალხი მოიგოთ და ქრისტეს შესწიროთ.

XVIII აბრაამ აათალიკოსის პასუხი მოსა ეპისკოპოსის ეპისტოლეზე

ეპისტოლეთა წიგნი

უბტანესი

1.

„არ მოველოდი საშინელისა და მძიმე ტვირთის აკიდებას. არ ვიცი როგორ ვიტვირთე და ან როგორ დავთანხმდი უმრავლესობის ნებას: რადგან ზეგარდმო რომ ეგონოს ვისმეს, და აკვირდება რა ჩემს უღირსებას, [მიხვდებოდა], რომ ამ ხარისხის შეუფერებელი ვარ, მაგრამ არც იმათზე ნაკლები [ვარ], რომლებიც ჰყავდათ და თუ გამოსაცდელად და ყველასათვის საჩვენებლად

„ხოლო საშინელი და მძიმე ტვირთის აკიდებას რომ არ ველოდი, არ ვიცი როგორ ვიტვირთე და როგორ დავთანხმდი უმრავლესობის ნებას. ესეც მე არსაიდან მაქვს, თუ არა ღმრთის წყალობით და თქვენი სიწმიდისმოყვარე ლოცვით“⁹².

⁹¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 65.

⁹² უბტანესი, გვ. 119.

დამდო ღმერთმა (?), ამ-
ის იმედო არსაიდან მაქვს,
თუ არა ღმერთის მოწყალების
შემდეგ თქვენი სიწმიდის ლოც-
ვისა“⁹³.

უხტანესმა გამოტოვა აბრაამის თაემდაბლობის გამოხატველი
ფრაზები, რომლებიც, ჩანს, მან გადაჭარბებულად მიიჩნია. უხ-
ტანესი საგანგებოდ აქცევს ყურადღებას მსგავს ადგილებს მიმო-
წერაში. ქვემოთ დავინახავთ, რომ კომენტარებში იგი ყველგან
უკიყინებს კირონ კათალიკოსს თავის თავზე გადაჭარბებულ წარ-
მოდგენას, ხოლო მისი ეპისტოლეებიდან ასეთ ადგილებს სრუ-
ლიად იღებს.

2.

„ნუ დააყოვნებ მოსვლას წმი-
და ზატიკს (აღდგომას), რადგან
მრავალთათვის ეს შვებაა და სუ-
ლიერი საქმენი წინ გვიღვეს. სა-
ნამ უფალი სმბატი აქაა, ვჩქა-
რობთ, რომ რაიმენაირად ჯერ ეგ
საქმე მოვათავოთ ჩვენი ქრისტე
ღმრთის შეწვევით“⁹⁴.

„ნუ დააყოვნებ მოსვლას წმიდა
ზატიკს (აღდგომას), რადგან მრავალ-
თათვის ეს შვებაა, და სუ-
ლიერი საქმენი კირონისა
და ქართველთა წინ გვი-
ღვეს. სანამ უფალი სმბატი აქაა,
ვჩქარობთ, რომ რაიმენაირად
ჯერ ეგ საქმე მოვათავოთ ჩვე-
ნი ბრძანებითა და წე-
რილით, ჩვენი ქრისტე
ღმრთის შეწვევით“⁹⁵.

ხაზგასმული სიტყვები აბრაამის ეპისტოლეში აშკარად უხტა-
ნესის დანართია. ამას უეჭველად მოწმობს შემდეგი: 1. ტექსტში
დამატებულია კირონ კათალიკოსის სახელი. 2. მომდევნო თავში
უხტანესი სიტყვისიტყვით იმეორებს ჩვენთვის საინტერესო ადგილს
აბრაამის ეპისტოლედან და მასში ჩვენ მიერ ჩანართად მიჩნეული
სიტყვები არა გვხვდება: „მისწერა (აბრაამმა) მუშინვე საპასუხო წე-
რილში მოსე ეპისკოპოსს, რომ საჩქაროდ და დაუყოვნებლივ მოსუ-
ლიყო აქ წმიდა აღდგომას, რადგან მრავალთათვის ეს შვება იქნება და

⁹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 65.

⁹⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 65.

⁹⁵ უხტანესი, გვ. 119.

ევ სულიერი საქმე წინ გვიდევსო. და აგრეთვე, უფალი სმბატი [სანამ] აქ არის, ვფიქრობთ რამენაირად ეს საქმე მოვათავოთო“⁹⁶.

უხტანესის დამატების მიზანი ნათელია. მას სურს მკითხველს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მომავალ მიმოწერაში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომი საეკლესიო მოღვაწენი. აბრაამ კათალიკოსს უფლება ექნება ბრძანებით („ჩვენი ბრძანებითა და წერილით“) გადაჭრას სადავო რელიგიური საკითხები. კომენტარის კეთებისას კი ისტორიკოსმა ვერ ვაითვალისწინა თავისივე რედაქტირებული ტექსტი და ეპისტოლეს შინაარსი დედნის მიხედვით გადმოგვცა.

XX კირონ კათალიკოსის პასუხი აბრაამ კათალიკოსის პირველ ეპისტოლეზე

უხტანესის რედაქტორული საქმიანობის შესასწავლად ისტორიკოსის მიერ ამ ეპისტოლეში შეტანილი ცვლილებები განსაკუთრებით საყურადღებოა.

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„სიწმიდისმოყვარე და პატრიოსან უფალს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს, კირონ ქართლის კათალიკოსისისა და ჩემი თანამოსაყდრე ყველა ეპისკოპოსისაგან ამ წმიდა ჯვრის კურთხევით მოკითხვა“⁹⁷.

„ჩემს სიწმიდისმოყვარე უფალს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს კირონ ქართლის კათალიკოსისაგან ღრმა თაყვანისცემა და სიყვარულით მოკითხვა, და ყველა ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსისაგან კვლავ მდაბლად მოკითხვა, და ამ წმიდა ჯვრით კურთხევა“⁹⁸.

უხტანესის ინტერპოლაციები აშკარად ერთ მიზანს ემსახურება: იერარქიულად დვინის კათალიკოსზე უფრო დაბალ საფეხურზე წარმოადგინოს ქართლის კათალიკოსი და ეპისკოპოსები, რომლებიც სომეხთა პატრიარქს „ჩემს უფალს“ უწოდებენ (და არა ზო-

⁹⁶ უხტანესი, გვ. 121.

⁹⁷ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 69.

⁹⁸ უხტანესი, გვ. 125.

გადად „უფალს“, როგორც მიმართავს აბრაამი კირონს), აგრეთვე „ღრმა თაყვანისცემითა და სიყვარულით“, „ეკლავ მღაბლად“ მოიკითხავენ მას⁹⁹. ასეთი შთაბეჭდილება შემთხვევითი არ არის, რადგან ქვემოთ ვნახავთ, რომ ცვლილებები მთელს ეპისტოლეში მსგავსივე სულისკვეთებით არის შეტანილი.

2.

„...სჯული გვიბრძანებს, ირა თუ გაგვეგლო, არამედ შეგვეწყნარებინა ისინი, რომლებიც მოიქცევიან უკეთურებიდან ანუ წვალეზიდან სინანულად. ის სამართლიანი შეწყნარება გავაკეთეთ, მაგრამ როცა შევიტყვეთ, რომ მათ აღსარება სიცრუით ქმნეს და იქვე უკეთურების წუმპეს მიიქცნენ — დავამხეთ, შევაჩვენეთ ისინი და გავაძვეეთ კათოლიკე ეკლესიიდან და ჩვენ გან, ქრისტიანეთა გან. ესლა ვერავინ გაბედავს მათ მოკითხვას“¹⁰⁰.

„...კანონიერად მივიჩნინე, კი არ გამეგლო ისინი, რომლებიც მოიქცევიან სინანულსა და აღსარებაში წვალეზიდან სარწმუნოებაზე. ხოლო როცა შევიტყვეთ მათი მიქცევა თავისი უკეთურების წუმპეს, შევაჩვენეთ და გავაძვეეთ ეკლესიიდან. ესლა ვერავინ გაბედავს მათ მოკითხვას“¹⁰¹.

განსხვავებები გამოთქმებში „სჯული გვიბრძანებს“ და „კანონიერად მივიჩნინეთ“ გამოწვეულია. მათი სომხური შესატყვისების (*սուրբ Կրիստոս* და *սուրբ Կრիսტი*) მსგავსებით. სხვა მცირე სტილისტურ-ლექსიკური განსხვავებებიც გადამწერთაგან უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ უხტანესის ტექსტს აკლია ზოგი ისეთი ფრაზა, რომელთა გამოტოვება მონოფიზიტი რედაქტორის შეგნებულ სწორებას ვარაუდობს: 1. კირონს სურდა ეთქვა, რომ მოქცეული ნესტორიანები მან „სამართლიანად შეიწყნარა“ თავის ეკლესიაში, სანამ შეატყობდა, რომ ისინი მხოლოდ თვალთმაქცობდნენ და აღსარება არ შეუცვლიათ. უხტანესმა „სამართლიანი შეწყნარების“ შესახებ სიტყვები ამოიღო ტექსტიდან. 2. დიოფიზიტი კათალიკოსი თავის ეკლესიას „კათოლიკეს“, ხოლო თავის თავს „ქრისტიანს“

⁹⁹ იხ. ეპისტოლეა წიგნი. გვ. 152, შენ. 1.

¹⁰⁰ იქვე გვ. 69-70.

¹⁰¹ უხტანესი, გვ. 125.

უწოდებს. ორივე ეს გამოთქმა მიუღებელი აღმოჩნდა მონოთეიზტი რედაქტორისათვის.

8.

„რომ მწერდით, ... ც უ რ ტ ა -
ვ ი ს ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო დევნილია და ს ო მ -
ხ უ რ ი მსახურება შეცვლილიო, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და ს ო მ -
ხ უ რ ი ც“¹⁰².

„რომ მწერდით, ... ის ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო დევნილია და მ შ ო ბ ლ ი უ -
რ ი მსახურება კი შეცვლილიო, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა ქართული მოძღვრებაც იცის“¹⁰³.

განსხვავება ტექსტებში გამოწვეული უნდა იყოს უხტანესის ან მისი თხოულების გადამწერთა მიერ გრაფიკულ ნიადაგზე დაშვებული შეცდომით: *հայկերէն ի բայ* (სომხური) — *հայկերնի բայ* (მშობლიური), *հայ ուսուիւն* (სომხური მოძღვრება) — *հասուիւն* (მოძღვრება) ტექსტი, შეცდომების მიუხედავად, აზრიანი გამოვიდა.

4.

„ხოლო ცურტავეის ეპისკოპოსის დევნის შესახებ მისი საქმეები გვამცნობენ წრფელი რწმენისათვის არის წასული, თუ სხვა რამ საქმეთა გამო. რადგან, როგორც წერიდა, «რამეთუ რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი და რომელი ჰყოფნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათელსა». მე ის არ მიდევნია, არამედ იყო რაღაც რაღაც შევეიტყვე მის უღირს საქმეთა შესახებ, მოვეუწოდე ჩემთან, მინდოდა დამერიგებინა და მე სწავლებინა, როგორც ჯერ არს მოწაფისათვის. ხო-

„ხოლო ცურტავეის ეპისკოპოსის დევნის შესახებ მისი საქმენი გვამცნობენ, მართლმადიდებელი რწმენისათვის არის წასული თუ სხვა რამ საქმეთა გამო. მე იგი არ მიდევნია, არამედ მოვეუწოდე ჩემთან დასარიგებლად. მან ეკლესია მიატოვა და ღამე ფარულად წავიდა“¹⁰⁴.

¹⁰² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 70.

¹⁰³ უხტანესი, გვ. 125.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 127.

ლო იგი ჩემს მოწოდებაზე არ მოვიდა, არამედ ეკლესია მიატოვა და ღამე ფარულად წავიდა“¹⁰⁵.

უხტანესის შემოკლების მიზანია, შეასუსტოს კირონ კათალიკოსის ეპისტოლეს მამხილებელი ტონი. ტექსტიდან ამოღებულია ეფექტური და ქართლის კათალიკოსის ეპისტოლარულ შემკვიდრობაში თითქმის ერთადერთი ციტატა ბიბლიიდან (იოანე 3, 20-21), მითითება მოსე ცურტაველის „უღირს საქციელზე“ და კირონის ცდაზე თავისი ქვეშევრდომი ეპისკოპოსი „დაარიგოს ისე, როგორც მოწაფეს შეშვენის“. ასეთი მასალის დატოვება ტექსტში ხელს შეუშლიდა ისტორიკოსს ისეთი სურათი წარმოედგინა, როგორიც მოგვცა თავისი თხზულების მე-6, 7, 8 თავებში.

მე-8 თავში მოცემული კომენტარებიდან ჩანს, რომ უხტანესს კირონ კათალიკოსის პირველი ეპისტოლე აბრაამისადმი სრულად ჰქონდა ხელთ. როდესაც იგი მე-8 თავს წერდა, ჩანს, ჯერ კიდევ ზუსტად არა ჰქონდა განსაზღვრული 45-ე თავში რას შეამოკლებდა:

„...დაწერა კირონმა თავის წერილში აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი, რომ იგი ჩვენ არ გავგიძევებია სამწყსოდან, არამედ ავითონ გაიქცა ღამე თავის დანაშაულთა გამოო. ასეთი უსჯულოებითა და სიცრუით აძლევდა პასუხს თავისიანებსაც და უცხოთაც“¹⁰⁶.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს „ახალი აღთქმის“ ზემოთ მითითებულ ციტატასთან დაკავშირებითაც. მე-5 თავში უხტანესი ცდილობს წმიდა წერილიდან ისეთი კონტრარგუმენტები მოიტანოს („კირონსაც ეწია «ყამი და ხელმწიფეობა ბნელისაჲ»; „უკეთუ კემშარიტად ბნელია, სინათლეთც ორგულებს“. «თუთ იგიცა ეშჳაკი იცვალისვე ანგელოზად ნათლისა») ¹⁰⁷, რომლებიც გააბათილებენ კირონის მიერ ციტირებულს 45-ე თავში.

5.

„ჩვენი და თქვენი მამები მეფის მონები იყვნენ და სარწმუნოება ფეთა მეფის ხელმწიფების ქვეშ

¹⁰⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 70-71.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 47.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 37, 39.

იერუსალემისა ჰქონდათ. ჩვენცა
და თქვენც, თუ მცა მეფე-
თა მეფის მონები ვართ,
სარწმუნოება იერუსა-
ლემისა გვაქვს და გვე-
ქნება“¹⁰⁸.

იყვნენ და სარწმუნოება იერუსა-
ლემისა ჰქონდათ, თქვენცა და
ჩვენც აგრეთვე“¹⁰⁹.

მოტანილ ტექსტს უხტანესი კომენტარებში (თავი 46) სიტყვა-
სიტყვით იმეორებს, მაგრამ წინადადებას „თუ მცა მეფეთა მეფის
მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალემისა გვაქვს და გვექნება“
აქაც გვერდს უვლის¹¹⁰. სასვენ ნიშნებს ისე თუ დავსვამთ, როგორც
ეს „ეპისტოლეთა წიგნის“ 1968 წ. გამოცემაშია, შემდეგ აზრს
მივიღებთ: კირონ კათალიკოსი მიმართავს აბრაამს, რომ თქვენ და
ჩვენ დღემდე იერუსალემის (ქალკედონური) სარწმუნოება გექო-
ნდა და ამის შემდეგაც ასე გვექნებაო. ჩანს, უხტანესმა ტექსტი
ისევე გაიგო, როგორც ჩვენ, და ხაზგასმული ფრაზა ამოაგდო კი-
რონის ეპისტოლედან, რათა მკითხველს არ შეჰქმნოდა შთაბეჭდი-
ლება, თითქოს სომხურ ეკლესიას ქალკედონური „სარწმუნოება
აქვს და ექნება“. ვფიქრობთ, ასეთი გაგების თავიდან ასაცილებ-
ლად დასვეს „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის გამომცემლებმაც
სასვენ ნიშნები შედარებით უხერხულ ადგილას.

6. უხტანესს კირონ კათალიკოსის ეპისტოლედან ამოუღია ის
სიტყვები, რომლითაც იგი უმტკიცებს აბრაამ სომეხთა კათალი-
კოსს, თითქოს ირანის შაჰებმა თავისი უფლების ქვეშ მყოფ ქვეყ-
ნებს, მათ შორის ყველაზე უფრო ქართლს („ჩვენ
თავისუფალ ქვეყანას“), რელიგიის თავისუფლება მისცეს¹¹¹.

7.

„რომ წერდით, გვსურდა
ეპისკოპოსები გამოგვეგზავნა, რა-
თა მოსულიყვნენ და ესწავლები-
ნათო, თუ გსურთ, გამოაგზავნეთ.
დაე მოვიდნენ, რომ გვასწავ-
ლონ და ისწავლონ“¹¹².

„რომ გეწერდით, შეგვეძლო
ეპისკოპოსები და მოძღვრები გა-
მოგვეგზავნა, რომ მოვიდნენ და
გასწავლონო, თუ გსურთ, გამო-
აგზავნეთ, დაე მოვიდნენ“¹¹³.

¹⁰⁸ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 71.

¹⁰⁹ უხტანესი, გვ. 127.

¹¹⁰ იქვე, გვ. 127.

¹¹¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 71.

¹¹² იქვე, გვ. 72.

¹¹³ უხტანესი, გვ. 127.

განსხვავება „გვსურდა“— „„შეგვეძლო“ გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოშობილი: *კამქაღ—კაქაღ*. შესაძლოა, შეცდომა უხტანესის გადაშვების მიერ იყოს დაშვებული. რაც შეეხება „გვასწავლონ და ისწავლონ“-ის ამოღებას, აქ უკვე შეგნებულ რედაქციულ ოპერაციასთან გვაქვს საქმე. უხტანესის აზრით, ქართლის კათალიკოსი სომხეთის პატრიარქს ემორჩილება და მას არ შეიძლება სომეხი ეპისკოპოსების სწავლების პრეტენზია ჰქონდეს.

XXI სმბატ მარზპანის ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს

1. უხტანესს გამოტოვებული აქვს სმბატის საკმაოდ ვრცელი მსჯელობა სომხეთში რელიგიური სიტუაციისა და მისი სამშობლოში დაბრუნების შესახებ. აღნიშნული ტექსტიდან მთავარია შემდეგი: „ხოლო ვნახეთ, რომ არიელთა ქვეყანაშიც ქრისტიანები მართლმადიდებლები იყვნენ, იგოვე პირობის წიგნი ჩვენსა და თქვენ მამებს მათთვისაც მიეცათ მკაცრი ბრძანებით. შემდეგ უფრო მეტად შევიტყვეთ, რომ ჩვენათგანნი, რომლებიც შეუერთდნენ იმ გონებასა ეკლესიას, დახსნოდნენ სარწმუნოებას. ეს ბრძოლები, რომლებიც მტკიცეთა და სუსტთ შორას იყო, უბოროტესი და უმწარესი ჩანდა, ვიდრე სხვა ყველა ბოროტება. როცა კაცთმოყვარე ღმერთიმა წყალობა გვიყო და მეფეთა მეფემ ქველმოქმედებით სამშობლოში დაგვაბრუნა, სარწმუნოებისა და ეკლესიათა უკეთესად წესრიგში მოყვანა გვიბრძანა. როცა სიკეთით ამ ქვეყანას მოვაწიეთ (სანამ... მოვალწევდით?), სული წმიდის წინამძღოლობით პატრიარქი განეწესა და ყველა ის ცილობა და ნაკლოვანება გასწორდა“¹¹⁴.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ უხტანესმა აბრაამ კათალიკოსის ეპისტოლეში მოსე ცურტაველისადმი (XVII) გამოტოვა ბუნდოვანი მინიშნება სმბატის სპეციალური მისიით სომხეთში დაბრუნების შესახებ. ამ ეპისტოლეში უკვე გარკვევით არის ნათქვამი, რომ სპარსეთის ხელისუფლების თვალსაზრისით სომხეთის ეკლესიაში ყველაფერი რიგზე არა ყოფილა და მას საჭიროდ მიუჩნევია ვრკანის მარზპანის გაგზავნა მისთვის სასურველი სარწმუნოების განსამტკიცებლად. ქვემოთ ვნახავთ, რომ უხტანესმა კირონ კათალიკოსის პასუხშიც გამოტოვა სმბატის ზემოთ მოტანილი სიტყვები სომხურ ეკლესიაში აღსარების საკითხის გამო და მისი ამ დავის მოსაგვარებლად სამშობლოში გამოგზავნის შესახებ. არაფერს ამბობს აღნიშნულ საკითხებზე ისტორიკოსი სპეციალურ კომენტარებშიც (თავი 55). ჩანს, მას არა სურდა მკითხველი ხშირად დამდ-

¹¹⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 73.

გარიყო VI ს-ის ბოლოს სომხურ ეკლესიაში სარწმუნოების სხვადასხვაობის ფაქტის წინაშე და მხოლოდ ერთგან (თავი 31) აღნიშნა მოკლედ. სმბატმა „თავისი ბრძენი და მოაზროვნე გონებით მოიფიქრა [და] შემცდარ ეპისკოპოსთა ღალატის განზრახვა შეაფერხა...“¹¹⁵.

უხტანესს მითითებული ადგილების შემოკლების სურვილი შეიძლებოდა გასჩენოდა კიდევ ერთი გარემოების გამო. მან კარგად იცის, რომ ირანის გავლენით და სმბატის უშუალო ჩარევით მოხერხდა სომხეთის ქალკედონური საეპისკოპოსოების მონოფიზიტობაზე დაბრუნება, რასაც შედეგად ორად გაყოფილი საკათალიკოსო ტახტის გაერთიანება და მასზე აბრაამ ალბათანელის ასვლა მოჰყვა. ამოღებული ტექსტების აზრობრივ და სტილისტურ ბუნდოვანებას კი მკითხველისათვის შეეძლო შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს სომხეთის ეკლესიაში ყველაფერი მოწესრიგდა სმბატის ჩასვლამდე, რასაც გარკვევით ეწინააღმდეგებოდა როგორც „ეპისტოლეთა წიგნის“ მიერ შემონახული ხელწერილები, ისე სხვა წყაროთა ჩვენებები.

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

2.

„...ასევე ვიტვირთეთ, რომ მოგვეწერა თქვენი სიწმიდის მოყვარეობისათვის“¹¹⁶.

„...ასევე ვიტვირთეთ, რომ მოგვეწერა თქვენთვის“¹¹⁷.

უხტანესმა აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, გამოტოვა კირონ ქართლის კათალიკოსის მიმართ ნათქვამი საპატიო სიტყვა „სიწმიდისმოყვარე“.

* * *

კირონ ქართლის კათალიკოსისათვის სმბატ მარზპანის მიერ გაგზავნილი ეპისტოლეს დაზიანებული ადგილი 1901 და 1968 წწ-ის გამოცემებში № 296ნ ხელნაწერის მიხედვით ასე აღდგა.

*ჩიქ მჩინჯ მსიყყე ქანაჩილ-
ქილან სიღს აი მჩიქსიანი ხრას* *ჩიქ მჩინჯ მსიყყე ქანა[სო]ქილან
ხიღს აი მჩიქსიანი ხრას [ქხაქ]*

¹¹⁵ უხტანესი, გვ. 97.

¹¹⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 74.

¹¹⁷ უხტანესი, გვ. 151.

. აყითამარხაღე ზ აყითამარხაღე ზ მნიქ სხრანე
 მნიქ სხრანე, ა ანაჲ ქტე ქასან რალოთოქ ჳე რ
 ქასან რალოთოქ ჳე, რ კამ ქასან კამ ქასან კარგაე რ ქაროე ნო-
 კარ ქაროე ნოეა, ეა ჳაღ ზ ქირაქ რაოად . . .
 ნამანდ რ ქტორე ჳინ ამხნხტინ
 ამხნხტინ მირ კარ კსრსაე აჯისარტინ დრქსოთინხაქ-
 აქ თხსანჯად რ კსრსაე აჯ- დინ იღღაქსოქ ჳინ ენიქ აქაქ-
 ქსარტი დრქსოთინხაქდნ იღღა- მან მხრ რ ჳირ რარანუნ რ ნოეა
 ქაოქ ჳინ. ენიქ აქაქმან მხრ [თოხსაღ ჳაღ აყათოქრანაღ
 რ ჳირ რარანუნ რ ნოეა.
 აჯ აყათოქრანაღ

როგორც ვხედავთ, ტექსტის გამომცემლის მიერ აღნიშნული
 ლაკუნა უფრო დიდია, ვიდრე მისი შევსება შეუძლია № 2966 ხელ-
 ნაწერის წაკითხვებს. ამასთან მათ ბუნდოვანი ტექსტის წაკითხვა-
 ში დიდი სინათლე არ შეაქვთ. ყველა ამ ადგილის ასე აღდგენა,
 გადამწერს აზრის მიხედვითაც შეეძლო, თუკი მას ხელთ უკვე და-
 ზიანებული დედანი ექნებოდა.

აღდგენილი ტექსტის თარგმანი:

„ხოლო როცა ცოდვა გამრავლდა და ერთმანეთის
 მიმართ მიაღწია, კიდევ უფრო უკეთ მივხვდი, რომ
 მკვიდრ უფალთაგან სარწმუნოებისა თუ წეს-ჩვეულებ-
 ბის გამო განდგომილნი, უმსგავსონი და ჩვენ წესთა-
 გან განდრეკილნი იყვნენ. ხოლო ვნახეთ, რომ არიელთა
 ქვეყანაშიც ქრისტიანენი მართლმადიდებელნი იყვნენ,
 იგივე პირობის წიგნი ჩვენსა და თქვენ მამებს მათთვის-
 საც მიეცათ მკაცრი ბრძანებით“.

ეს ადგილი სმბატ მარზპანის ეპისტოლედან მეტად მნიშვნე-
 ლოვანია. იგი ადასტურებს ბაბუენ სომეხთა კათალიკოსის მიერ
 სპარსელ ქრისტიანთადმი გავზავნილ ეპისტოლეებთან ერთად ქარ-
 თველთა ანალოგოური წერილების არსებობას.

XXII კირონ კათალიკოსის პასუხი სმბატ მარზპანს

1. კირონ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლეებისათვის დამა-
 ხასიათებელია კორესპონდენტის წერილიდან მისთვის საჭირო ად-
 გილების გამოყოფა, თითქმის სიტყვასიტყვით გამეორება და შემ-
 დგ მათზე თავისი რეაქციის გამოხატვა. ასე გაიმეორა მან სმბატ

მარზპანის სიტყვები მისი სომხეთში დაბრუნების შესახებ „ეკლესიათა, სარწმუნოებისა და ურთიერთშორის მშვიდობის დასამყარებლად“, და, აგრეთვე, „ცილობის აღმოსაფხვრელად“.

უხტანესმა კირონის ეპისტოლედან, ისევე როგორც წინამავალი წერილებიდან, ამოიღო მითითება სმბატის სამშობლოში დაბრუნების მიზეზების შესახებ. შესაძლოა, ასეთნაირი რედაქციის სურვილი გაუძლიერა ისტორიკოსს ქართლის კათალიკოსის შემდეგმა სიტყვებმა: „თქვენი წარჩინებულება და დიდებულება სიდიადესთან ერთად მხოლოდ სომეხთა სიხარული კი არ არის, არამედ ქართლისაც“. მსგავსი წინადადებების ამოღება ისტორიკოსის მიერ შემთხვევითი რომ არ უნდა იყოს, ნათლად ჩანს უფრო ქვემოთ.

2. უხტანესმა მთლიანად გამოტოვა საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რომლის მიხედვითაც ვგებულობთ, რომ სმბატ ბაგრატუნი მის მშობლებს შესძენიათ გვიან, მხოლოდ მცხეთის ჯვრისადმი ვედრების წყალობით. „აღზრდილა და სიკეთეს სწვევია“ იგი ამავე ჯვრის წინაშე, ხოლო ქართლის ეკლესიის მეთაურებს სურვილი ჰქონიათ ვრკანის მარზპანი სალოცავად მცხეთაში ჩასულიყო. ასე უხტანესმა სრულიად წაშალა თავის „ისტორიაში“ კვალი სმბატ ბაგრატუნის მშობლებისა და თვითონ მისი ქართლთან მჭიდრო კავშირის შესახებ. არ მოუხსენებია ეს გარემოება ისტორიკოსს არც სპეციალურ კომენტარში, რომელიც სმბატ მარზპანის შესახებ აქვს დაწერილი¹¹⁸.

3. უხტანესმა კირონის ეპისტოლედან ამოიღო ქართლის კათალიკოსის მიერ თავისი თავის განსადიდებლად ნათქვამი სიტყვები: „უფალთა მეცნიერება, სიბრძნე და სწავლა უფალმა ღმერთმა მრავალ სხვაზე უფრო მოგცა ჯერ შენ, უფალს (სმბატს), და მერემე, რადგან ისეთ წარჩინებულებას ვეწიე უფალთაგან მათი სიკეთის გამო, რომ ყველა ქრისტიანი ზეცას აღაპყრობდა ხელებს და ითხოვდა მათ უკვდავებას“¹¹⁹.

კირონ მცხეთელის წერილებში ისტორიკოსი ასეთ ადგილებს სპეციალურად აქცევდა ყურადღებას და კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ როგორი გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა მას თავისი თავისა და თავისი სარწმუნოების შესახებ¹²⁰. პირიქით, როდესაც მონოფიზიტური ეკლესიის წარმომადგენლები თა-

118 უხტანესი, გვ. 97.

119 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 77.

120 უხტანესი, გვ. 173, 175, 181.

ვიანთ თავს მდაბალ შეფასებას აძლევენ, ზემოთ ვნახეთ და ქვე-
მოთ კიდევ შევხვდებით, უხტანესი არც მსგავსი ადგილების და-
ტოვებას თვლის საპიროდ ტექსტში¹²¹ და ასე, ერთგვარად, აწო-
ნასწორებს მიმოწერის ტონს.

* * *

„ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის გამოცემას კირონ ქართ-
ლის კათალიკოსის საპასუხო ეპისტოლეში სმბატ მარზპანისადმი
აკლდა საკმაოდ მოზრდილი ადგილი, რომელიც 1968 წლის გამო-
ცემაში უხტანესის რედაქციის საშუალებით აღვადგინეთ. იგივე
ტექსტი დაადასტურა № 2966 ხელნაწერმაც ზოგი განსხვავებით.
საბოლოოდ დადგენილმა ტექსტმა ასეთი სახე მიიღო:

*იქ ქაანს ზაღათოი ყრხალ ღერ
ქტ ზარღნ მხრ ღ ღსრ მქარან
იღნქნ, ქტ ირიქსთს სიღრნ
ზრქიორ ვიღღაქიან ზაღათო
იღსიყ მსი, ირ ქსრიღსაქმჩნ
იღსაღ, ვიღღნ ზაღათოთხაგ ღ
ანსქალ მხრ ღ ღსრ ზაღათ
აქღ ღ მსღ ვღიღნ ზრამაქმღ
ვირ იღსქმღ: ქსი სქტ შიქს-
სიღ აქი აქსაღღ ვღიღნქ, ვი
იღ ვღიღნქაღ მსღ ღ ვიღღ' ღ
ვიღღ კამქღ ვიან ზაღანსიღ ღ
ზორაღს აიღსიღ, მსღ აქიღ იღ
ზნაღანქმღ, ქაან ვქი ვქნღ
იღსაღ' იღ ქიღიღმღ, ვანღქ
მხრ სისღსიღქღს აქიღქა ზაღ-
ათოთსიღ ღ ღ იღ ააღანსი' ვიღ-
აქა ღ შიღრიღსაღ სისღსიღსიღ,
იღაქა ღერ ღ კაქიღ ღ კაქიღ ღ
აქაღათოღ სისღსიღსიღსიღ ღ
კაქიღ
ღნ ქნღ ქიღსიღსიღ*

სარწმუნოების შესახებ რომ
ეწერა, ჩვენსა და თქვენს მამებს
საერთო ჰქონდათ, ვინაიდან წმი-
და გრიგოლმა მართლმადიდებ-
ლური სარწმუნოება გვასწავლა,
რომელიც იერუსალემში შეისწავ-
ლა, იგივე დაამტკიცა და უცლო-
მელად ჩვენი და თქვენი სარწმუ-
ნოება ეგ არისო, ჩვენც იმასვე
ვბრძანებთ, რაცა გვაქვს. ხოლო
თუ ეგ მოსე სხვანაირად იწყნა-
რებს, როგორც ჩვენ და თქვენ არ
შეგვიწყნარებია, და თქვენ გსურთ
მას ერწმუნოთ და ახლებურად
მოიქცეთ, ჩვენ მავას არ დავე-
მორჩილებით, ვინაიდან რაც გვის-
წავლია, არ დავტოვებთ, რადგან
ჩვენი ეკლესიები ასეა დამტკი-
ცებული და არ შეირყევა. ასევე
ცურტავის ეკლესიაც: როგორც
იყო, [ისე] არის და იქნება: იმ
ეკლესიის სამსახური და წესი
მცირედაც შეუცვლელია.

121 შდრ. გვ. 279.

ამ ეპისტოლეში უფრო მეტად დამატებებს ვხვდებით, ვიდრე შემოკლებებს.

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„ცხრა დღე თბილისში მის კარზე ვიდექი და არ მიმალე. მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ [ეს] არ იყო სხვა რამ საქმეთა გამო, თუ არა სარწმუნოებისათვის. ცხრა დღის შემდეგ თვითონ მცხეთას წავიდა“¹²².

„ცხრა დღე თბილისში მის კარზე ვიდექი და არ მიმალე. მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ სხვა არაფრისთვის გააკეთა [ეს], თუ არა სარწმუნოებისათვის. მე მრავალი სიტყვა და მცნება შევუთვალე, ვესაუბრე მას და ვაცნობე ყოველივე, რაც შენახა და შემეტყო მის შესახებ, მისგან კი ვერაფერი გავიგე. ხოლო მან არც პასუხი მომცა, არც მიმიღო და ცხრა დღის შემდეგ მცხეთას წავიდა“¹²³.

ხაზგასმული სიტყვები უხტანესის ინტერპოლაცია უნდა იყოს. დამატება მას ჰქირდება იმისათვის, რომ მე-7 თავში ვრცლად ილაპარაკოს, თუ როგორ და რა სიტყვებით ამხილებდა მოსე ეპისკოპოსი კირონ კათალიკოსს. რა თქმა უნდა, მოსეს კიდევ რომ შეეთვალა მამხილებელი სიტყვები კირონისთვის, როდესაც მის კარზე იყო, უხტანესს მათი შინაარსი არ ეცოდინებოდა. ამასთან უხტანესის მიერ აღწერილი ჰურათი (როგორც ცნობებდა ვინმე იაკობთან მოსე ცხრა დღის განმავლობაში; როგორც ამხილებდა იქიდან იგი ქართლის კათალიკოსს; როგორც არ მიიღო იგი კირონმა და ცხრა დღის შემდეგ მცხეთაში წავიდა; როგორც დაბრუნდა მოსე ცურტავში)¹²⁴ სრულიად არ ეთანხმება მოსეს მიერ პირველსავე ეპისტოლეში აღწერილ ცნობებს მისი დევნის შესახებ.

¹²² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 81.

¹²³ უხტანესი, გვ. 159.

¹²⁴ იქვე, გვ. 43-45.

2.

„...შვიდ დღეში წმიდა იოანეს მონასტერში მივედი, ვაპრამთან არ წავსულვარ“¹²⁵.

„შვიდ დღეში წმიდა იოანეს მონასტერში მივედი და მივანდეთ ის კრებულის ულის მადლთ. ვაპრამთან არ წავსულვარ, არც მათ შეუძლიათ მაგის დადგენა“¹²⁶.

3.

„ჩემი ცოდვები მხოლოდ ღმერთმა იცის და მე, მაგრამ ცხადად და საკმარისად [მაგას] არ შეუძლია, რომ უჩვენოს ჩემი უღირსობა ქვეყანას“¹²⁷.

„ჩემი ცოდვები მხოლოდ ღმერთმა უწყის და მე, მაგრამ ცხადად [მაგას] არ შეუძლია, რომ უჩვენოს“¹²⁸.

უხტანესმა, ჩანს, გადაჭარბებულად მიიჩნია მოსე ცურტაველის თავმდაბლური გამოთქმები და შეამცირა.

XXIV სებასტ მარჯანის პასუხი მოსე ცურტაველს

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„...რომ გაოცებულხართ იმ წერილის პასუხთა გამო, რომელიც მოგვწერა ქართლის კათალიკოსმა, ჩვენ კიდევ უფრო გაკვირვებულები დავრჩით ორივე მხრისგან: მის გამო, თუ როგორ გვწერდა ცრუდ ასეთ მომაკვდინებელ სიტყვებს და მეორე დღესვე იმხილებოდა ჩვენგან; თქვენს შესახებ კი —

„...რომ გაოცებულხართ იმ წერილის პასუხთა გამო, რომელიც მოგვწერა ქართლის კათალიკოსმა, ჩვენ კიდევ უფრო გაკვირვებულები ვართ ორივე მხრისგან: მის გამო, თუ რატომ გვწერს ასე მომაკვდინებელ ცრუ სიტყვებს და იმხილება თქვენგან და ჩვენგან. რადგან თვითონ ვერ

¹²⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 81.

¹²⁶ უხტანესი, გვ. 159.

¹²⁷ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 173, 175.

¹²⁸ უხტანესი, გვ. 173, 175, 181.

თ უ აქ ახლოს თვითონ ვერ ბედავ-
და. რატომ იყო, რომ ჩვენ გვა-
გულსებდა და წერილს გვაწერი-
ნებდა იმ ქვეყნისადმი და თავის
თავს ამხილებდა“¹²⁹.

ბედავდა აქ ახლოს. რატომ იყო,
რომ ჩვენ გვაგულსებდა, იმ
ქვეყნისათვის წერილის გვაწე-
რინებდა და თავის თავს თვი-
თონ ამხილებდა“¹³⁰.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტით შემდეგი ვითარება გვაქვს. მოსე ცურტაველმა სმბატ ვრკანის მარზპანს საყვედურის წერილი მიაწერინა კირონ კათალიკოსისადმი. კირონმაც ასევე საყვედურით უპასუხა: ორპირ კაცს უჯერებ და მისი სიტყვით ჩვენთან ჩამოსე-
ლა დაიშალეთო. ასეთმა პასუხმა, როგორც ჩანს, სმბატზე გავლენა მოახდინა (აბრაამ კათალიკოსისაგან განსხვავებით) და ვრკანის მარზპანმა ექვით შეხედა მოსე ცურტაველის საქმიანობას. მოსემ რომ ეს ამბავი შეიტყო, შემკრთალმა მარზპანთან თავის მართლება დაიწყო. მოსეს წერილმა და მისი მეურვეების შუამდგომლობამ გაჭრა. საპასუხო ეპისტოლეში სმბატი უხსნის ცურტაველს, რომ იგი პირველად უკმაყოფილო იყო კირონისაც და მისიც. პირველს იგი ბრალს სდებდა სიცრუეში, ხოლო მეორეს — გაუბედაობაში: თვითონ, როცა ახლოს იყო, ხმის ამოდება ვერ გაბედა და მე რას მაგულსებდა აქედან წერილის მიწერასო. მაგრამ მალე მოსეს მომხრე ეკლესიის მსახურთ და ერისკაცთ დაურწმუნებიათ სმბატი, რომ მოსემ ქართლში ყოფნის დროს ენერგიულად იბრძოლა ქალკედონიტობის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომ სდევნეს იგი.

სმბატის ეპისტოლეს უხტანესისეულ რედაქციაში რაოდენობრივად სულ მცირე განსხვავებაა, მაგრამ ეს განსხვავება მთლიანად უცვლის სახეს ტექსტს. შედეგად, რაც ბრალად დასდო სმბატმა მოსე ცურტაველს, ისიც ქართლის კათალიკოსს მიეწერა. უხტანესისეული ტექსტის დეფექტი სრულიად აშკარაა. მას თუ უპირატესობას მივანიჭებდით, სხვა გაუგებრობებთან ერთად ისიც უნდა დაგვეშვა, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი სმბატ მარზპანს შეაგულიანებდა, ქართველებს წერილი მისწერეთ. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით უხტანესის ტექსტის გასწორება სულ იოლი იყო, მაგრამ ჩვენ იგი მაინც ხელუხლებლად დავტოვეთ. საქმე ის არის, რომ უხტანესს სმბატის ეპისტოლე „ეპისტოლეთა წიგნში“ უკვე ასეთ მდგომარეობაში დახვდა, ხოლო ისტორიკოსმა აქ უკვე თავი ვეღარ გაართვა წყაროთმცოდნეობით სიძნელეებს. უფრო მე-

¹²⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83.

¹³⁰ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 161.

ტიც, აღნიშნული ტექსტოლოგიური კონფუზი მან საკუთარი ფანტაზიით კიდევ უფრო დაამძიმა.

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკისათვის დართულ განმარტებაში, რომელსაც 68-ე თავი აქვს დათმობილი, უხტანესი წერს:

„აუწყებს (აბრაამი თავის მრევლს, — ზ. ა.) კირონის შესახებ იმასაც, რომ მოსე სომეხთა კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ, სანამ აბრაამი ეწინამძღვრებოდა იმ საყდარს, მივიდა კირონი სმბატ ერკანის მარზპანთან სიცრუითა და ცბიერებით ქართველთა ქვეყნისათვის ეპისტოლეს სათხოვნელად, რომ არ დაუჭერონ იმ ხუეიკ ნესტორიანსა და მის თანამზრახველებს, და არ გამოეყენენ სომეხებთან ერთობას. საესე იყო ის სიყალბითა და ცბიერებით თავის მართლების მოჩვენებით, რასაც სმბატი იხსენიებს მოსე ცურტავის ეპისკოპოსისადმი წერილში: თუ თვითონ არა სჯეროდა თავისი თავის, ჩვენ რაღად გვაგულიანებდა და წერილს გვაწერინებდა იმ ქვეყნის მიმართ და თვითონ თავის თავს ამხილებდაო“.

როგორც ვხედავთ, უხტანესმა შეთხზა ისტორია, რომელსაც არავითარი დასაყრდენი არ მოეპოვება არა მარტო სხვა წყაროებში, არამედ თვითონ მის „ისტორიაშიც“. 1. აბრაამის ენციკლიკა მთლიანად არის დაცული „ეპისტოლეთა წიგნში“ და მასში კირონის სმბატთან ეპისტოლეს სათხოვნელად მისვლის შესახებ არაფერი წერია. არაფერია ამის შესახებ ნათქვამი იმავე ენციკლიკის უხტანესისეულ ვარიანტშიც, თუმცა მას ბოლო აკლია და, შესაძლოა, სწორედ ბოლოს ეწერა რაიმე მსგავსი. ასეთ შემთხვევაში ინტერპოლაცია სრულიად აშკარა და ადვილად შესამჩნევი იქნებოდა. 2. კირონი აბრაამს პირველსავე ეპისტოლეში სწერს, რომ ჯერ კიდევ მოსე კათალიკოსის სიცოცხლეში მოითათბირა თავის ქვეყნის ეპისკოპოსებთან და წარჩინებულებთან ხუეიკთა საკითხზე და ისინი, რომლებიც არ მოიქცნენ, გააძევა ეკლესიიდან. ამისათვის მას გარეშე ძალის დახმარება არა სჭირდებოდა. 3. კირონი კათალიკოსი და სმბატ მარზპანი ერთმანეთს საერთოდ არ შეხვედრიან. სომეხთის ეკლესიის მესვეურებსა და კირონი კათალიკოსს შორის კონფლიქტი დაიწყო სმბატის ირანიდან სომხეთში ჩასვლამდე ორი წლით ადრე. სმბატი გამოჩნდა თუ არა სომხეთში, მას მაშინვე გააცნეს მოსე ცურტაველის საქმე და მიაწერიეს კიდევ

სასაყვედურო ეპისტოლე ქართლის კათალიკოსისადმი. კირონმა მას თავისი პოზიციებიდან აუხსნა საქმის ვითარება და გაიკვირვა, რომ იგი ერწმუნა ისეთი კაცის სიტყვებს, „რომელსაც თვითონ არა სჯეროდა თავისი თავის“ და დაიშალა მცხეთაში მოსვლა. კირონი ბოლოს მაინც იმედს გამოთქვამს, რომ სმბატს ღმერთი „ღირსს გახდის“, რომ „მახლობელ დღეებში“ მცხეთას ჩავიდეს და თავყვანი სცეს ჯვარს, რომლის შემწეობითაც „მიენიქა“ თავის მშობლებს. ამასობაში სმბატ მარზპანს ირანში სამეფო კარზე გამოუძახეს და იგი ქართლის კათალიკოსს არ შეხვედრია.

ვფიქრობთ, მთელი ეს გაუგებრობა, რაც უხტანესს დაემართა, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ უხტანესს ხელთ ჰქონდა „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნუსხა კი არა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენამდე მოღწეულ კრებულს, არამედ სხვა. ჩვენ სხვაგანაც არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ძველად „ეპისტოლეთა წიგნის“ რამდენიმე ნუსხა არსებობდა და აქ კიდევ ვუსვამთ ხაზს ამ გარემოებას.

2.

„...ეგ შენი სული და საქმე ჯერ ღმრთის წყალობას მიანდე, მერე უფალ კათალიკოსს. დაე, მისწეროს ორჯერ და სამჯერ“¹³¹.

„...ეგ შენი სული და საქმე ჯერ ღმრთის წყალობას მიანდე, შემდეგ უფალ კათალიკოსს, რადგან მომწერა, კირონს ორჯერ მივწერეო. დაე, [კიდევ] მისწეროს ორჯერ და სამჯერ“¹³².

ცხადია, დამატება („რადგან მომწერა, კირონს ორჯერ მივწერეო“) გვიან არის გაკეთებული. საქმე ის არის, რომ ამ წერილის დაწერის დროს აბრაამს მხოლოდ ერთი ეპისტოლე ჰქონდა გაგზავნილი კირონისთვის. სმბატის წერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ მართლაც აბრაამის პირველი ეპისტოლეს შემდეგ არის მოთავსებული. ინტერპოლატორი, ალბათ, შეცდომაში შეიყვანა ეპისტოლეების უხტანესისეულმა დალაგებამ (მან ხომ სმბატის ეპისტოლეები აბრაამის ეპისტოლეთა შემდეგ გადაიტანა). არა გვგონია, რომ ამ შემთხვევაში ინტერპოლატორი უხტანესი იყოს. მან ხომ

131: ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83-84.

132 უხტანესი, გვ. 161.

მშვენივრად იცოდა მიმოწერის თანამიმდევრობა. ამასთანავე, 54-ე თავში უხტანესი სიტყვასიტყვით იმეორებს სმბატ მარზპანის სიტყვებს, ოღონდ ჩვენს მიერ ინტერპოლაციად მიჩნეულის გარდა.

* * *

1. უკვე რამდენჯერმე მივაქციეთ ყურადღება ერთ ბუნდოვან ადგილს მოსე ცურტაველის პასუხიდან სმბატ მარზპანის ეპისტოლეზე. ეს ადგილი ყველა ნუსხაში დამაზინჯებელია და № 2966 ხელნაწერის გათვალისწინება საბოლოოდ ასეთი ტექსტის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ოილ ასტა, სი ასორნერსჩი შენ ამბობ, მე ძმების ატრნერ-
ს ლარანაკ სიერარენ ჯნჯ ჯა, სესი და ვაპანის რალაც ვარ (რა
ს იჯ ჯარსმ ასორ ასინილ ს ვარ?) და არ შემძლია მახვილი
ღნჯ ამსნაჯნ ქქრს ჯიოსხი ავილო და მთელ ქართლს შევებ-
რძოლო.

2. კირონ ქართლის კათალიკოსის მეორე პასუხში აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეზე ჩამოთვლილია ცურტავის ეპისკოპოსები შუშანიკიდან მოყოლებული. ტექსტს ქართულ თარგმანში ასეთი სახე ჰქონდა:

„მაგაზე ადრე ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავს იყვნენ წმიდა შუშანიკიდან [მოყოლებული]: აფოცი, გარნიკ, საპაკ, ელიშა, იაკობ, იოჰან, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოჰანე და სხვა ეპისკოპოსები, სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან, სომხეთში განსწავლული მეცნიერნი და მოძღვარნი იყვნენ“.

ასეთ კონტექსტში გაუგებარი ჩანდა „სხვა ეპისკოპოსები“. გამოდიოდა, რომ ასი წლის მანძილზე ცურტავში, გარდა ჩამოთვლილი 11 ეპისკოპოსისა, იყვნენ კიდევ სხვა ეპისკოპოსები — ქართველები და სომეხები, რომელთაგანაც ზოგიერთ ქართველ ეპისკოპოსს განათლება სომხეთში ჰქონდა მიღებული. ე. ი. სულ ცოტა ოცი ეპისკოპოსი მაინც ყოფილა ცურტავში დაახლოებით ასი წლის მანძილზე. გაუგებარი იყო ისიც, თუ რატომ დაასახელა ეს თერთმეტი ეპისკოპოსი და დანარჩენის მოხსენიება აღარ ჩათვალა საჭიროდ.

მიუხედავად იმისა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ A და B რედაქციები მხარს ასეთ წაკითხვას უჭერენ, უპირატესობა მაინც № 2966 ხელნაწერს მივანიჭეთ, რომელმაც მოხსნა ყველა გაუგებრობა.

*ხ. კაოაჯ დან დეა სუქი-
კიუიონდ ზ მიორიოაქ სლ სნ
ქ სრრიონ ზიოჯანსკანტ & სუქი-
სიფიო, ზიანსიქ, სსრასიქ, სეჩ-
ჯაქ, შასიქიქ, შიჩანს, შთსიქა-
ნიო, ხსაქიქ, შამილქ, შთსიქა-
ნიო, შიქნანტ. სუქ სუქსი-
კიუიონდ, იმანდ ზ ზაკიო &
იმანდ ზ ზრაფ ზჩნ, ზ ზაკი
ილსაქიქ, დიქიონდ & ქარქა-
სიქსაი;*

მაგაზე ადრე ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავში იყვნენ წმინდა შუშანიკიდან [მოყოლებული] — აფოცი, გარნიკ, სპაპკ, ელიშა, იაკობ, იოჰან, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოჰანე — ეს ეპისკოპოსები, ზოგნი სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან იყვნენ, სომხეთში განსწავლულნი, მეცნიერნი და მოძღვარნი.

XXV აბრაამ კათალიკოსის მეორე ეპისტოლე კიროს
კათალიკოსისადმი

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

1.

„ს ი წ მ ი დ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე
უ ფ ა ლ კ ი რ ო ნ ს, ქ ა რ თ-
ლი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს, ა ბ-
რ ა ა მ ს ო მ ე ხ თ ა კ ა თ ა ლ ი-
კ ო ს ი ს ა გ ა ნ უ ფ ლ ი ს მ ი ე-
რ ი მ ო კ ი თ ხ ვ ა. თ ქ ე ვ ნ ი ს ი წ-
მ ი დ ი ს მ ო კ ი თ ხ ვ ე ს წ ი გ ნ ი მ ი ვ ი-
ლ ე თ...“¹³³.

„თქვენი მოკითხვის მომტანი
წიგნი მივიღეთ...“¹³⁴.

უხტანესის რედაქციაში ამ ეპისტოლესა და მასზე გაცემულ პასუხს აკლია მოკითხვის ფორმულები. შესაძლოა, ისტორიკოსმა იგი მთლიანად მოხსნა, რათა ამოეგდო ისეთი გამოთქმები, როგორცაა „სიწმიდისმოყვარე“ და „უფლისმიერი მოკითხვა“. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წინადადებას მხოლოდ კიროს კათალიკოსის „წმიდად“ მოხსენიება აკლია, რისი ანალოგიაც ზემოთ უკვე ვნახეთ¹³⁵.

¹³³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 84.

¹³⁴ უხტანესი, გვ. 131.

¹³⁵ იბ. გვ. 275.

2. რედაქტორმა მთელს ეპისტოლეს შეუცვალა საერთო ტონი. აბრაამ კათალიკოსის მიმართვაში კირონისადმი, საყვედურების შესარბილებლად, ყველგან გამოყენებული იყო ზმნის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა (ამით თითქოს აბრაამიც იზიარებდა კირონის ცოდვებს), უხტანესმა კი ყველგან მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმებით შეცვალა, ხოლო ნაცვალსახელებში „თქვენობით“ მიმართვა „შენობით“ გადააკეთა. ამოაგდო აგრეთვე მთელი ეპისტოლედან კირონ ქართლის კათალიკოსის მიმართ აბრაამის შიერ ნათქვამი „სიწმიდისმოყვარე“. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ასეთ ადგილს.

„ვევედრებით თქვენ სიწმიდეს ჩვენც, ნუ დაავადლებით უარყოფელთა სნეულებით, რათა მათთან ერთად არ დავისაჯოთ და არ მოვექცეთ მამათა წყევლის ქვეშ, რათა არ დავიმკვიდროთ გენია“¹³⁶.

„გვედრები შენ, ნუ დაავადლები უარყოფელთა სენით, რათა მათთან ერთად არ დაისაჯო, არ მოექცე მამათა წყევლის ქვეშ და არ დამკვიდრო გენია“¹³⁷.

3. უხტანესთან მთლიანად ამოტოვებულია ქრისტეს განმადიდებელი პასაჟი. ამ ტექსტს მართლაც არა აქვს არავითარი კავშირი სადავო საკითხებთან და ზედმეტად ამძიმებს აბრაამის ეპისტოლეს.

4.

„...არ დაიმკვიდრო გენია... სიწმიდისმოყვარე ცურტავის ეპისკოპოსის შესახებ რომ მოგვეწერეთ, კარგად შევიტყვეთ მისი ღვთისმოსავობა და სიკეთე, მეტი მოწმე რა საჭიროა. ხოლო თუ რაიმე ეჭვი

ერთობის სიტყვა მომწერე და იქვე მიჩვენე ადგილი შენს ან ჩვენს საზღვარში, რომ წმიდა ზატიკის (აღდგომის) შემდეგ ერთმანეთი ვნახოთ. დანარჩენს მაგ პეტრე ეპისკოპოსისგან შეიტყობ“¹³⁸.

136 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 87.

137 უხტანესი, გვ. 191.

138 იქვე, გვ. 131-133.

გ ა ქ ე თ მ ი ს გ ა მ ო , მ ხო-
ლოდ წმიდა სარწმუნოების ერ-
თობის შესახებ მომწერე და ამას-
თანავე მაუწყე ადგილის შესახებ
შენს საზღვარში ან ჩვენს საზღ-
ვარში, სადაც წმიდა ზატიკის
(აღდგომის) შემდეგ ვნახავთ ერ-
თმანეთს. და თუ ა მ ა ს თ ა ნ
რ ა ი მ ე ს ი მ რ უ დ ე ა ლ-
მ ო ჩ ნ დ ე ბ ა , და ე ს ა ქ-
ე ე ყ ნ ო დ ი ქ ნ ე ს მ ხ ი ლ ე-
ბ უ ლ ი და ჩ ვ ე ნ უ შ ფ ო-
თ ვ ე ლ ა დ ვ ი ქ . ნ ე ბ ი თ¹³⁹.

„ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით აბრაამი წერდა კირონს,
რომ იგი მზად არის განიხილოს სადავო საკითხები და მათ შორის
ვინც მტყუანი აღმოჩნდება, საქვეყნოდ იქნეს მხილებული. ასეთი
პოზიცია კამათის დასაწყისი ეტაპისათვის არ არის მოულოდნელი.
უხტანესისათვის კი უკვე ყველაფერი გარკვეულია. მისთვის დამნა-
შავეა ის, ვინც ქალკედონის კრებას დაუჭირა მხარი და ამას
კვლევა აღარ სჭირდება. მართლაც აბრაამის მეორე ეპისტოლეს
იგი თავისი რედაქციის მიხედვით უკეთებს კომენტარს: „სთხოვს
(აბრაამი) დრო და ადგილი დაუნიშნოს (კირონმა) შესახვედრად,
რათა ეგების შესძლოს პირისპირ საუბრისას მისი განკუთრება და
მაღამო სცხოს განსაკუთრავ კრილობებს“¹⁴⁰.

პეტრე ეპისკოპოსზე მითითება აქ, ისევე როგორც აბრაამის
მესამე ეპისტოლეში, უხტანესის დანამატი გვგონია, თუმცა ასეთი
ინტერპოლაციის საფუძვლის ახსნა ძნელდება. საქმე ის არის, რომ
პეტრე ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსის კარზე იყო და მის
პოლიტიკას უჭერდა მხარს, მიუხედავად იმისა, რომ მონოფიზიტე-
ბი თავის თანამოაზრედ თვლიდნენ¹⁴¹. უხტანესს კი, ჩანს, ზეპირი
გადმოცემების გავლენით, ჰგონია, რომ მას დააქვს წერილები დვი-
ნიდან თბილისსა თუ მცხეთაში და პირიქით¹⁴².

¹³⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 87-88.

¹⁴⁰ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 135.

¹⁴¹ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 237-239.

¹⁴² შღრ. ქვემოთ, გვ. 403-409.

1. უხტანესს მოხსნილი აქვს მოკითხვის ფორმულა¹⁴³.

ეპისტოლეთა წიგნი

უხტანესი

2.

„შენზე ადრე მაგ წმიდა ეკლესიაში რომ მოძღვარნი იყვნენ და ჩვენ ადგილას რომ მოძღვარნი იყვნენ, მათ შორის მშვიდობა და სიყვარული სუფევდა და ერთი წესი და სარწმუნოება ჰქონდათ, მით უფრო ჩემ დროს“¹⁴⁴.

„შენზე ადრე მაგ წმიდა ეკლესიაში რომ მოძღვარნი იყვნენ, ერთმანეთში მშვიდობა და სიყვარული, ერთი სარწმუნოება და ერთი წესი ჰქონდათ“¹⁴⁵.

ზაზგასმული ადგილებიდან პირველი თუ მექანიკურად გამორჩენია უხტანესს ან მისი თხზულების გადაწერს, მეორე უკვე შეგნებულად გამოუტოვებია ისტორიკოსს: იგი არცერთ ისეთ ტექსტს არა ტოვებს თავის ადგილზე, სადაც ქართლის კათალიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს თავის თავსა და თავის სარწმუნოებას.

3. უხტანესს იმდენად შეუმოკლებია ტექსტი, რომ ერთი მესამედიდა დაუტოვებია. მან ჩამოაკლო ვრცელი მსჯელობა ქართველი და სომეხი მოძღვრების თანამშრომლობის, ორივე ქვეყნის ერისკაცთა მოყვრობის, დვინსა თუ მცხეთის ჯვარს სალოცავად სიარულის, იერუსალიმთან საერთო სარწმუნოების ქონების შესახებ. გამოტოვა აგრეთვე უხტანესმა კირონის არგუმენტაცია მოსეს მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოდ: ქართლში 35 ეპისკოპოსია და როგორ მოხდა, რომ ყველა მწვალებელი აღმოჩნდა და ეგ ერთია მხოლოდ მართლმადიდებელიო¹⁴⁶.

როგორც ჩანს, უხტანესი მთელს ამ არგუმენტაციას თავისი თხზულებისათვის „სასარგებლოდ“ არა თვლიდა და შესაბამის კომენტარებში არც მოუხსენებია გამოტოვებული ტექსტი. მაგრამ შემდეგ, რაღაც მიზეზების გამო, მან საჭიროდ ჩათვალა მესამე ეპისტოლესთვის დართულ კომენტარში დაწვრილებით გაემეორებინა

143 შტრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 88; უხტანესი, გვ. 133.

144 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 89.

145 უხტანესი, გვ. 133.

146 შტრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 89-91; უხტანესი, გვ. 133.

ის, რაც მეორეში გამოტოვა: „იგი მეორე წერილშიც ასე ედავე-
ბოდა და საწინააღმდეგოს ესწრაფოდა. თუმცაღა თავის ადგილზე
ჩვენ არ მოვიხსენიეთ და საკმარისად ჩავთვალეთ მისი უღირსი პა-
სუხი. მაგრამ ახლა ვიტყვით მის სამხილებლადო“, — წერს უხტანე-
სი¹⁴⁷. მიუხედავად ამისა, თავისი საერთო წესის თანახმად, უხტა-
ნესმა მაინც გამოტოვა ის სიტყვები, სადაც ქართლის კათალიკო-
სი მაღალ შეფასებას აძლევდა თავის მოღვაწეობას: „ჩემსობას
ჩვენმა უფალმა ღმერთმა ჩვენი ეკლესია უფრო გააბრწყინვა, ჩვენი
სარწმუნოება უფრო განამტკიცა და მეფეთა მეფის დიდებისაგან მე
უფრო განმადიდა და წარმატებულყო, ვიდრე ჩემი მამები, მით
უმეტეს კი, ვიდრე ჩემი მოყვასნი“¹⁴⁸.

4. ტექსტის დანარჩენი ნაწილი შემოკლებულად უხტანესს
მოთავსებული აქვს კირონის მესამე ეპისტოლეში აბრაამისადმი.

„თუ შემდეგ მე სომხეთზე მო-
მიწევს გზით გავლა ოდესმე—
ღმერთი თუ მადირსებს
იერუსალემს წავიდე
წმიდა ადგილთა თაყ-
ვანისსაცემად, თორემ სხვა
რამ საქმე არა მაქვს — ჩემი
და თქვენი ერთ ადგი-
ლას მისვლის შესახებ
რომ ეწერა, ჩემთვის
თქვენი ნახვა ძალიან
საჭიროა, მაგრამ დროის
გამომოუცლელი ვარ;
ბრალს ნუ დამდებთ“¹⁴⁹.

ახლა მე სომხეთზე გავლა
თუ მომიწევს ოდესმე, თორემ
სხვა საქმე არაფერი მაქვს“¹⁵⁰.

ციტირებული ტექსტი, უეჭველია, მესამე ეპისტოლეს კუთვ-
ნილებათა, რადგან აბრაამი მესამე წერილში კვლავ სთხოვს შესახ-
ვედრი ადგილის დანიშვნას, რასაც არავითარი აზრი არ ექნებოდა.
კირონს მსგავსი პასუხი რომ ზეორე ეპისტოლეში გაეცა.

147 უხტანესი, გვ. 143.

148 შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

149 იქვე, გვ. 91.

150 უხტანესი, გვ. 143.

ეს ეპისტოლე საერთო კავკასიური პრობლემატიკისათვის მთელი მიმოწერიდან ყველაზე მეტ მასალას შეიცავს. სწორედ ამიტომ იგი კარგა ხანია იპყრობს სპეციალისტების საგანგებო ყურადღებას. სწორედ ამიტომვე მისი საგულდაგულო შედარება უხტანესისეულ ვერსიასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შედარებას დავიწყებთ, ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანით; ღოლო ყველა დანარჩენ განსხვავებას „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის ტექსტებს შორის მასთან კავშირში განვიხილავთ.

„ნუ დავიზარებთ, რომ განვააბლოთ სულიერი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო; ის მოძღვრება, რომელიც ერთი წყაროდან მიგვიღია; ჭერ თვითონ მიიღეს ცხოვრების ნათელი, როგორც გვასწავლეს წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენცა და თქვენც საერთო ღმრთისმსახურება დავგვითესეს ჭერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა, და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“¹⁵¹.

„ნუ დავიზარებთ სულიერ სიყვარულს, რომელიც ორივე ხალხს შორის გვექონდა, რომ განვააბლოთ ის, რაც ერთი წყაროდან მივიღეთ; მოძღვრება, რომელიც ჭერ თვითონ მიიღეს—ცხოვრების ნათელი—როგორც გვასწავლეს წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენ დავგვითესეს საერთო მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება ჭერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა“¹⁵².

განსახილველ საკითხში უკეთ გასარკვევად მკითხველს გავახსენებთ იმ შედეგებს, რაც მივიღეთ მოტანილი ტექსტების შედარებითი შესწავლით ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ წყაროთა კრიტიკასთან დაკავშირებით და გამოვქვეყნეთ „ეპისტოლეთა წიგნისთვის“ დართულ გამოკვლევაში¹⁵³.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ჩვენამდე მოაღწია ორმა ვერსიამ. ორივე დაცულია წერილობით. ქართული ვერსიის მიხედვით (რომელსაც მხარს უჭერს ზოგი სომხური ან სომხურ ენაზე არსებული წყარო), ქართული ანბანი III საუკუნეში ძვ. წ.

151 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 92-93.

152 უხტანესი, გვ. 137.

153 იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 030-047.

შექმნა პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა. სომხური ვერსია იმავე ანბანის (სომხურთან და ალბანურთან ერთად) შექმნას ში-წერს სომეხ საეკლესიო მოღვაწეს მამტოცს (მესროპს) და ათარიღ-ებს V ს-ას I ნახევრით.

ქართული ანბანის მამტოცის მიერ შექმნის თეორია და შე-სატყვისი წყაროები კრიტიკულად შეისწავლა ივ. ჭავჭავიძევილმა. მისი დასკვნები ასეთია: მამტოცის ბიოგრაფის კორიუნის ცნო-ბები იმდენად ბუნდოვანი, დაუჭრებელი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა, რომ უკრიტიკოდ და პარალელურ მასალასთან შეუდარებლად მათი ნდობა შეუძლებელია. V საუკუნის სომეხი ის-ტორიკოსის ლაზარე ფარპელის თხზულებაში, რომელიც ერთად-ერთ წყაროდ იყენებს კორიუნის ნაშრომს, ვრცლად არის საუბარი მამტოცის ცხოვრების შესახებ და არაფერია ნათქვამი ქართული და ალბანური ანბანების შესახებ. ცხადია, არაფერი წერებულა ამის შესახებ მის წყაროშიც. არმენოლოგთა ერთი ნაწილის მიერ V სა-უკუნის ავტორად მიჩნეული მოსე ხორენელი ლაპარაკობს მამტო-ცის მიერ როგორც სომხური, ისე ქართული და ალბანური ანბანე-ბის გამოგონების შესახებ, მაგრამ მას ნახმარი აქვს ანბანთა შემოქ-მედის სახელის ის ფორმა (მესროპი), რომელიც გვიანი ხანის წყა-როზე მიუთითებს და VII საუკუნეშიც კი არ გამოიყენებოდა. „მარტო «ეპისტოლეთა წიგნში» მოთავსებული აბრაამ სომეხთა კა-თალიკოსის კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი მიმართულ მესამე წერილში მოგვეპოვება ჩვენთვის საგულისხმო საკითხისათვის მნიშ-ვნელოვანი ცნობა. აბრაამს აღნიშნული აქვს, რომ ქრისტიანობა ორსავე ქვეყანაში — სომხეთსა და საქართველოშიც, ერთი და იმა-ვე წყაროდან მომდინარეობს და იმ პირთაგან, რომელთაც ღვთის-მსახურებმა ჩვენცა და თქვენც საერთო ჩაგვიტესეს: «ჯერ ნეტარმა წა გრიგოლმა და შემდეგ მამტოცმაც სარწმუნოების განსამტკი-ცებლად მწიგნობრობის ცოდნაცაო» ...რაკი ეს წერილი 607 წელს არის დაწერილი და არ ჩანს, რომ მამტოცის შესახებ ცნობა პირ-ველად სწორად აქ იყოს გამომქდავენებული, ამიტომ უნდა დავას-კვნათ, რომ უკვე VI ს-ის დამლევს მამტოცი საქართველოსა და, საფიქრებელია, ალბანეთის მოღვაწედაც და ქართულისა და ალბა-ნური ანბანის გამომგონადაც ყოფილიყო დასახული“.

ამრიგად, ივ. ჭავჭავიძევილის მიერ შესრულებულ კრიტიკულ ნაშ-რომში „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობა გადაულახავი დარჩა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ლეგენდა მხოლოდ VI ს-ის დამლევს წარმო-შობილიყო და VII ს-ის დამდეგს ქართლის კათალიკოსს მისი უარყოფა არ შესძლებოდა, ან არ მოესურვებინა. ამ სუსტი ადგი-

ლის გადალახვა სცადა ს. ჯანაშიამ, რომელმაც ივარაუდა, რომ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ლეგენდა VI ს-ის I ნახევარში წარმოიშვა. ლეგენდის შექმნის დროდ VI ს-ის I ნახევარის ჩათვლამ ის სიძნელე კი მოხსნა, რაც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდსა ჰქონდა, მაგრამ ანბანის შექმნა და ლეგენდის წარმოშობა ისე დაახლოვა ერთმანეთს, რომ კორიუნის ცნობების კრიტიკა გაძნელდა.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს ერთი დაბრკოლებაც რჩებოდა გადასალახავი. წინააღმდეგობაში მოექცა ლაზარე ფარპელისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები ქართული ანბანის გამოგონების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველი წიგნი, სადაც მაშტოცის შესახებ არის საუბარი, გვიანი ხანის დანართია, მაშასადამე, მისი ავტორის ხელთ არის კორიუნის ნაშრომის ისეთი რედაქცია, რომელშიც არაფერი არ არის ნათქვამი ქართული ანბანის შესახებ. ამის გვერდით და პარალელურად უკვე არსებობდა ლეგენდა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ, რომელიც ასახულია „ეპისტოლეთა წიგნში“.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ანტონიანთა ძმობის ნუსხაში ვკითხულობთ:

„ნუ დავიზარებთ, რომ განეაზღოთ სულიერი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო; ის მოძღვრება, რომელიც ერთი წყაროდან მიგვიღია; ჯერ თვითონ მიიღეს ცხოვრების ნათელი, როგორც გვასწავლეს წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენცა და თქვენც საერთო ღმრთისმსახურება დაგვითესეს ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგორმა და შემდეგ მაშტოცმა, და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“.

თუ მოტანილ ციტატას გულდასმით წავიკითხავთ, შევამჩნევთ, რომ მისი ბოლო ნაწილი—„და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“—მთელი წინადადებისათვის ორგანული არ არის. რასაკვირველია, მის გარეშე ტექსტი უფრო გამართული და დასრულებული იქნებოდა. თუ აღნიშნულ ნაწილს გრიგოლისა და მაშტოცის წინ გადავითანთ, ტექსტი უკეთ გაიმართება, მაგრამ აზრი დაირღვევა. გამოვა, რომ სომხური და ქართული დამწერლობა ჯერ გრიგოლს შეუქმნია და მერე მაშტოცს: „როგორც გვასწავლეს წი-

ნასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენცა და თქვენც დაგვითვისეს საერთო ღმრთისმსახურება და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგორმა და შემდეგ მაშტოცმა“.

„ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა კირონ ქართლის კათალიკოსის პასუხი აბრაამის მესამე ეპისტოლეზე. მასში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი მაშტოცის ამ დიდი დამსახურების შესახებ. კირონის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი გულმოდგინედ იკვლევს ოპონენტის ეპისტოლეებს და პასუხს აძლევს ყველა წამოჭრილ საკითხზე. არ უარყოფს იგი ზომბებთან აღრინდელ რელიგიურ ერთობასაც. ამდენად, მას არა ჰქონდა საფუძველი ყური მოეყრებინა ქართული ანბანის შექმნის საკითხში მაშტოცის დამსახურების გამო. ბუნებრივად იბადება კითხვა: კირონის სიჩუმე ხომ არ უნდა აიხსნას იმით, რომ აბრაამის მიერ მისთვის გაგზავნილ ეპისტოლეში დამწერლობის შექმნის შესახებ არაფერი ეწერა და ტექსტში იგი გვიან არის შეტანილი?

აბრაამის მესამე ეპისტოლე შესულია იმ კრებულში, რომელსაც „სარწმუნოების ბეჭედი“ ეწოდება. ამათი ტექსტები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ «სარწმუნოების ბეჭედს» უარესი გადამწერი ჰყავს და «ეპისტოლეთა წიგნის» ტექსტს ზოგჯერ აშკარად ამახინჯებს; თან ისე, რომ ჩანს, პირველი მეორიდან არის გადამწერილი. «სარწმუნოების ბეჭედის» ხელნაწერიც შედარებით გვიანია და იგი საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანს არაფერს აშობს.

ვნახოთ, რას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად უხტანესის თხზულებაში შენახული „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქცია:

„ნუ დავიზარებთ სულიერ სიყვარულს, რომელიც ორივე ხალხს შორის გვქონდა, რომ განვაახლოთ ის, რაც ერთი წყაროდან მივიღეთ: მოძღვრება, რომელიც ჯერ თვითონ მიიღეს — ცხოვრების ნათელი — როგორც გვასწავლეს წინასწამართყვევლებმა და მოციქულებმა და შემდეგ ჩვენ დაგვითვისეს საერთო მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგორმა და შემდეგ მაშტოცმა“.

როგორც ვხედავთ, უხტანესისეულ ტექსტს სწორედ ის ადგილი აქვია, რომელიც ჩვენ საკუთრივ „ეპისტოლეთა წიგნისთვისაც“ არაორგანულად მივიჩნით.

უხტანესმა „სომეხთაგან ქართველთა გამოყოფის ისტორიის“ დაწერამდე ჩაატარა წინასწარი ტექსტოლოგიური მუშაობა. მის ხელთ იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ სხვადასხვა ნუსხა და სხვადასხვა რედაქციაც კი. ჩანს, არც ერთ მათგანში არაფერი არ ეწერა მაშტოცის მიერ სომხური და ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ. შესაძლოა, მას არაფერი სცოდნოდა მაშტოცის ასეთი საქმიანობის შესახებ საერთოდაც, თორემ ეპისტოლეებისათვის დართულ თავის კომენტარებში სადმე აღნიშნავდა.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე ჩვენი დაკვირვებების შემდეგ ასეთი დასკვნები გამოვიტანეთ: 1. ივ. ჯავახიშვილის დებულება იმის შესახებ, რომ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ სომხური ვერსია ლეგენდაა, კიდევ უფრო მტკიცდება. 2. მართალი იყო სომეხი მეცნიერი ნ. აღონცი, როცა წერდა: «Настроения и тенденции последующих веков часто огражались на положение вещей давно минувших времен, и иной ревнитель родного благочестия умышленно или бессознательно вносил коррективы в старину по новому понимая, и соответственно искажая старое: «Книга посланий» не избежала этой участи, не только она разрослась по объему, но и отдельные статьи ея не миновали вмешательства посторонних рук». ცნობა მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილია X საუკუნის შემდეგ. 3. ნ. აკინიანის ვარაუდით, ლაზარე ფარპელის ისტორიის პირველი წიგნი დაწერილია VIII ს-ის I მეოთხედში და მასში ლაპარაკია მხოლოდ მაშტოცის მიერ სომხური დამწერლობის შექმნის შესახებ. 685 წლის ახლოს დაწერილი „ანონიმური ქრონოლოგია“, რომელიც შემონახულია უძველესი (971 წ.) ხელნაწერით (იმ თხზულებებს შორის, სადაც მაშტოცის მოღვაწეობაზეა ლაპარაკი), ცნობას გვაწვდის მხოლოდ მაშტოცის მიერ სომხური ანბანისათვის შვიდი ასოს დამატების შესახებ. ეს გარემოებები მხარს უჭერენ იმ ვარაუდს, რომ ლეგენდა VIII ს-ის დასაწყისში ჯერ კიდევ ცნობილი არა ყოფილა.

ჩვენთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ზემოთ განხილული საკითხები არმენისტთა ყურადღებას შიიპყრობდა და მსჯელობის საგანი გახდებოდა: თუ ქართული დამწერლობის წარმოშობა ქართველოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, მასთან დაკავშირებული წყაროების კრიტიკა არანაკლებ მნიშვნელოვანია არმენოლოგიისათვის. ჩვენთვის ისიც ნათელია, რომ ქართველოლოგიასა და არმენისტიკაში არის სხვაც მრავალი საკითხი, რომლებიც ამ დარგების საერთო პრობლემატიკას მოიცავენ და მათი

ცალ-ცალკე შესწავლა შეუძლებელია. არც გვიკვირს, რომ ასეთი საკითხების შესწავლას სამეცნიერო წრეებში შეიძლება პოლემიკა მოჰყვეს. საქმიანი პოლემიკა კი მხოლოდ ხელს შეუწყობს ჩვენში საერთო კავკასოლოგიური დისციპლინებას კვლავ დაწინაურებასა და აღმავლობას.

ასეთი განწყობილებით შევხვდით პ. მურადიანის მიერ 1968 წელს გამოქვეყნებულ სტატია-რეცენზიას სათაურით: „К критике текста III послания католикоса Авраама“¹⁵⁴.

პ. მურადიანის სტატია-რეცენზია ორ ნაწილად იყოფა, პირველი ორი გვერდი დათმობილი აქვს მთლიანად ჩვენ მიერ გამოცემული „ეპისტოლნთა წიგნისთვის“ დართული გამოკვლევის ზოგად მიმოხილვას მასში დასმული ყველა საკითხისადმი რეცენზენტის ნეგატიური დამოკიდებულების ჩვენებით. ჩვენ აქ მას სრულიად არ შევხვებით. მეორე ნაწილი ძირითადია. მასში კრიტიკულად არის განხილული ჩვენი არგუმენტაცია აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეს ტექსტის ანალიზთან დაკავშირებით.

1. პოლემიკას პ. პ. მურადიანი იწყებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას დაკვირვების მიმოხილვით ქართული ანბანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით სომხურ წყაროებზე და დაასკვნის:

„Оба эти ученые при всё́м своем критическом и отрицательном отношении к повествующим о деяниях Маштоца в Грузии источникам, вернее к той их части где говорится об этом, одинаково считаются с фактами третьего послания католикоса Авраама. А этот факт из послания имеет весьма решающее значение, ибо какими бы критическими методами не пользовались ученые сегодня, деятели конца VI и начала VII века куда лучше были осведомлены о событиях начала V века“ (გვ. 43).

ამრიგად, ჩათვალა რა ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, გარკვეული აზრით, თავის მოკავშირეებად, პ. მურადიანი შეეცადა, უკვე სხვა თვალსაზრისით, ჩვენი შეხედულებები დაეპირისპირებინა მათი მოსაზრებებისათვის:

„3. Алексидзе хорошо сознает значение и серьезность сведения «Книги писем» о Маштоце. По его словам, «в исполненном И. Джавахишвили критическом труде сведение «Книги писем» [о создании Маштоцем Грузинского алфавита] осталось непреоданным» и что «внести подозрение в сведение «Книги писем» казалось почти невозможным», к тому же акад.

¹⁵⁴ იხ. Լրագիր, 1968, № 10, გვ. 41-63.

С. Н. Джанашия «создание алфавита и возникновение легенды [хронологически] так сблизил друг к другу, что критика сведений Корюна стала трудней» (გვ. 46).

1. ს. ჯანაშიას არასოდეს არაფერი დაუწერია აბრაამის მესამე ეპისტოლეს ცნობის შესახებ და ჩვენ არ ვიცით, რამდენად უწევდა იგი მას ანგარიშს.

2. არ არის აუცილებელი, რომ V საუკუნის დამდეგს მომხდარი ამბები VII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე პირებმა უკეთ იცოდნენ, ვიდრე „კრიტიკული მეთოდებით შეიარაღებულმა თანამედროვე მეცნიერებმა“. ჩვენ აქ სხვა მაგალითების მოტანას თავს დავანებებთ და პ. მურადიანს გავახსენებთ თავისსავე ნაშრომს, სადაც იგი ვარაუდობს, რომ გრიგოლ განმანათლებლის მიერ მთელი კავკასიის გაქრისტიანება სინამდვილეს არ შეეფერება და „значительно превосходит действительную сферу его деятельности“¹⁵⁵. იგივე ვარაუდი გამოთქმული აქვს დასახელებულ რეცენზიაშიც: „Каждому понятно, что столь большие масштабы деятельности, каковы приписываются ему, в тогдашних обстоятельствах мало вероятны“ (გვ. 49). მაშასადამე პ. მურადიანმა უკეთ იცის, რაც მოხდა ქართლში IV საუკუნეში, ვიდრე V ს-ის სომხურმა წყაროებმა, ან, თუ გნებავთ, იმავე მესამე ეპისტოლემ აბრაამ კათოლიკოსისა. თუ ასეთი ვარაუდების გამოთქმის უფლებას აძლევს თვითონ თავის თავს, რატომღა უკვირს, რომ ივ. ჯავახიშვილი არ ერწმუნა აბრაამის ეპისტოლეს ცნობას და შექმნილი ლეგენდის ანარქულად მიიჩნია? მაშტოცის მოღვაწეობასა და აბრაამის მესამე ეპისტოლეს ორი საუკუნე აშორებს. ორი საუკუნე კი ლეგენდის შესაქმნელად სავსებით საკმარისი ვადაა.

3. როდესაც ვწერდით, რომ „ივ. ჯავახიშვილის კრიტიკულ ნაშრომში «ეპისტოლეთა წიგნის» ცნობა გადაულახავი დარჩა“ და «ეპისტოლეთა წიგნის» ცნობაში ეჭვის შეტანა თითქოს შეუძლებელი ჩანდაო“, ჩვენ ვლაპარაკობდით არა აბრაამის ეპისტოლესა და მაშტოცის მოღვაწეობის ქრონოლოგიურ სიახლოვეზე, არამედ იმაზე, რომ, თუ ლეგენდა VI საუკუნის დამდეგს წარმოიშვა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, VII საუკუნის დამდეგს ქართლის კათალიკოსის მისი უარყოფა უნდა შესძლებოდა. ჩვენ იმიტომ ვწერდით, «ეპისტოლეთა წიგნის» ცნობა გადაულახავი დარჩაო“, რომ მხედველობაში გვქონდა ლაზარე ფარაბელისა და

¹⁵⁵ ვ. შილერაიკან, ჯაქ-პირფასკან ფრასკან ძუასიოჟაქინ ქილხ-ჩარაქნოიკონინხიყ აყათმიოკონიყ, სნოხყაყჩი, 1964. გვ. 67.

წინადადების საუკეთესო მაგალითად მითითებული იყო ზემოთ ციტირებული მათე 5, 14-6, ან კიდევ სრულიად არ იყო მაგალითობოტანილი და პ. მურადიანმა იგი თვითონ შეარჩია.

2. პ. მურადიანის მიერ მოტანილ მაგალითში დაცული არ არის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „первоначальный вид памятника, с учетом норм языка того периода“: ზმნა *თაჲ* ძველ სომხურში აწმყო, III პ. მხ. რ. იწერება *თაჲ* და არა *თა*, როგორც ზოგჯერ ბეჭდავდნენ ხოლმე გვიან და როგორც გვაქვს მის მიერ ხაზგასმულ ტექსტში. აღნიშნული გარემოება გვაეარაუდებინებს, რომ მისი წყარო გამოუსადეგარია მეცნიერული საჭიროებისათვის.

გარდა ამისა, „ახალი აღთქმის“ იმ გამოცემაში; რომლითაც სარგებლობდა პ. მურადიანი, აშკარად ცუდად არის დასმული სასვენი ნიშნები, რის გამოც სამი მუხლი გადაქცეულია ერთ წინადადებად. თუ მოტანილ ციტატას შევამოწმებთ უკეთეს გამოცემებში, სასვენი ნიშნებს სწორედ ისე ვნახავთ დასმულს, როგორც პ. მურადიანის მიერვე მოტანილ რუსულ თარგმანშია:

14. *წოდებდ იცა აქსარჩი. იკ კარტ ჭაღაღ ქაღ-
ღსქ' ირ ქ ქსრავ ქსრქნ კაქცე: 15. ხს იკ ქოვანსს
წრავ' კ იწსსს რწჟ იროანსა. აქ ქ ქსრავ აქსარავსქ
კ იცა თაჲ ამხსხგონ ირ ქ თან ქვსს:*
16. *სქწყტა ქოსაორისყე ქცა ღხრ აოავქ მარქქან,
ირყტა იქ თხაყსს ვგორბ ღხრ წარქა, კ ქიაოაორის-
ყსს ვღკაქრ ღხრ ირ ქსრქქსა ჿ:*

ამრიგად, ნათელია, რომ მოტანილი ციტატა არ გამოდგება მაგალითად „многосложного предложения, т. е. сложного предложения усложненного типа“. იგი შედგენილია რამდენიმე ნორმალური მარტივი და რთული წინადადებისაგან.

3. პ. მურადიანი განაგრძობს მსჯელობას: „Конечно и тут (ციტატაში „ახალი აღთქმიდან“) как-то можно исключить подчеркнутое предложение или даже переставить его, если не считаться с обстоятельствами логического развития мысли. Но ведь текст этот контролируется многоязычными переводами Св. Писания“.

ჯერ ერთი, მათეს სახარებიდან მოტანილ ციტატაში ყველაფერი რიგზეა და არაფრის გამოკლების ან გადასხმის საშუალება, მით უფრო კიდევ საჭიროება, არ არის, განსხვავებით სადავო ადგილისაგან აბრაამის მესამე ეპისტოლედან. მეორეც, სწორედ იმიტომ, რომ „текст этот контролируется многоязычными переводами

Св. Писания“, იგი არ გამოდგება პარალელურ მასალად „ეპისტოლეთა წიგნის“ კრიტიკისათვის, ვინაიდან, приходится считаться с фактом «перевода», и в особенности фактом исключительной точности, подчас доходящей до подстрочной, т. е. иметь в виду возможности нарушения норм синтаксиса в угоду буквальности текста“¹⁵⁶.

4. 3. მურადიანის მიერ მოტანილ ციტატაში ხაზგასმულია სიტყვები *և լուս տալի ամենցսոս՝ որ ի տանն իցեն* და ჩათვლილია ანალოგიურად აბრაამ სომეხთა კათალიკოსის III ეპისტოლეში სადავო აღვილისა—*և գրոց ծանաւթութիւն ի պնդութիւն հաւատոց* (და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად). 3. მურადიანის მიერ მოტანილი ამ აღვილის რუსული თარგმანი — и свет всем в доме—არ არის ზუსტი. ლიტერატურულად დამოწმებულ თარგმანში ვკითხულობთ: и светит всем в доме“ („და კნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიელ სახლსა შინა“, „και λάμπει πᾶσι τοῖς ἐν τῆ οἰκίᾳ“). განსხვავება რაშია? 3. მურადიანმა რუსულ თარგმანში გამოტოვა ზმნა *տալ* (მიცემა). სიტყვისიტყვით რომ გვეთარგმნა სომხურადან, იქნებოდა: „და აძლევს სინათლეს ყველას, ვინც სახლშია“, ხოლო ლიტერატურული თარგმანი *լուս տալ*-სი უნდა ყოფილყო არა свет всем (თუმცა აზრი ასევე გასაგებია), არამედ — светит всем (კნათობნ, λάμπει).

თუ რატომ გაკრა შემასმენელი შესადაარებლად მოტანილი ტექსტის რუსულ თარგმანში, ცხადი ხდება მომდევნო მსჯელობიდან: „Интересующий нас отрывок из послания Авраама требует разбора не только чисто формального, но и по существу: выражение «*և գրոց ծանաւթութիւն ի պնդութիւն հաւատոց*» лишено сказуемого, а его можно искать только в предыдущем предложении, именно в «*սերմանցին*». Но поскольку речь идет о двух деятелях—о Григории и Маштоце, а знание „письмен“ относится только ко второму из них, то нельзя было обсуждаемое предложение ставить в другом месте“.

ამრიგად, 3. მურადიანმა ხელოვნურად დაამსგავსა ორი წინადადება ერთმანეთს (რუსულ თარგმანში) და შედეგად მაინც ის მიიღო, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ: სადავო წინადადებას არა აქვს საკუთარი შემასმენელი, იგი უნდა ვეძებოთ წინა წინადადებაში,

¹⁵⁶ И. К. Кусикян, Очерки исторического синтаксиса литературного армянского языка, Москва, 1959, гл. 37; см. აგრეთვე, А. Meillet, Altarmenisches Elementarbuch, Heidelberg, 1914, § 3.

სადაც იგი მრავლობით რიცხვში დგას, თუმცა საჭიროა მხოლო-
ბითი, წინააღმდეგ შემთხვევაში ანბანის შექმნა გრიგოლ განმანათ-
ლებელსაც მიეწერება; ყოველივე ამის გამო, „და წიგნის ცოდნა
სარწმუნოების განსამტკიცებლად“ სხვაგან ვერ დაისმოდა, თუ არა
ბოლოში და ინტერპოლატორმაც იქ დაუმატა. სადაცო
წინადადება მთლიანად აბრაამის შეთხზუ-
ლი რომ იყო, იგი შემასმენელს სადაც სურ-
და იქ დასვამდა და იმ რიცხვში, რომელიც
საჭირო იქნებოდა¹⁵⁷.

8. აბრაამის შესამე ეპისტოლეში მაშტოცი ნახსენებია და
პ. მურადიანს ვერ წარმოუდგენია მისი დასახელება ანბანის შექმ-
ნის გარეშე. სწორედ ასევე აზროვნებდა, როგორც ჩანს, ინტერპო-
ლატორიც, როდესაც მაშტოცის სახელს უყოყმანოდ მიაწერა „წიგ-
ნის შექმნა“. პ. მურადიანის მტკიცებით, „О Маштоце говорят
многие древнеармянские источники; никому еще в голову не
приходило считать его лицом, обращающим Армению в христи-
анство“ (გვ. 49).

1. ეთქვათ, აბრაამი დარწმუნებული იყო, რომ ქართული დამ-
წერლობა მაშტოცის შექმნილია და ეს გარემოება ცნობილი იყო
მთელს იმდროინდელ კავკასიაში. ხომ შეეძლო აბრაამს მაშტოცი
დაეწერა და აღარაფერი ეთქვა „он известном Маштоцевском
деянии“, მას ხომ ისედაც გაუგებდნენ! ეს იქნებოდა პ. მურადიანისა-
თვის ერთადერთი მისაღები ჰიპოთეზა, რეცენზია რომ „ეპისტოლე-
თა წიგნის“ აღმოჩენამდე დაეწერა, სანამ მხოლოდ უხტანესის ტექს-
ტით შეიძლებოდა სარგებლობა. 1901 წლამდე „თავში აზრად
არავის მოუვიდოდა“ (არც მოსვლია) ემტკიცებინა, რომ უხტანესის
ტექსტს აღნიშნულ ადგილას რაიმე აკლია, რომ ასეთ შემთხვევა-
ში მაშტოცის როლი გაუგებარი რჩება. ამრიგად, ფორმალურად
რომ მივეუდგეთ და დავეშვათ, თითქოს მაშტოცის სახელის დაწე-
რისას აბრაამი გულისხმობდა კიდევ ანბანთა შექმნას, უხტანესი-
სეული ვარიანტი მაინც ძალაში რჩება და აუცილებელი არ არის
მისთვის მიწერა: „და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკი-
ცებლად“.

¹⁵⁷ ნ. აკინიანი, რომელსაც სურდა „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობის გამარ-
თლება, იძულებული გახდა ზმანაკული ს. ყყიფი ბანირიძის ხ. ყყიფიძის
ჩადათიფი („და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“) შეესწორებინა:
ხმ ყყიფი ბანირიძის ხ. ყყიფიძის ჩადათიფი („მისცა წიგნის ცოდნა სარ-
წმუნოების გასამტკიცებლად“) იბ. ჯაქხინს აქიციენის ქილორ. ჯს, 1938. გვ. 320.

ასეა თუ ისე, ცნობა „ОН ИЗВЕСТНОМ МАШТОЦЕВСКОМ ДЕЯНИИ“ ან დამატებულია „ეპისტოლეთა წიგნში“, ან ამოღებულია უხტანესთან. დამატების ვარაუდის გამართლება შეიძლება, ამოღებისა კი — არა.

2. არ არის მართალი, თითქოს ძველი სომხური წყაროების მიხედვით მამტოცის სომხეთის ქრისტიანობაზე მომქცევად ჩათვლა არ შეიძლება, ვინაიდან სომხეთის გაქრისტიანება მოხდა მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე (გვ. 49). საქმე ის არის, რომ აბრაამის წერილში ლაპარაკია დვთისმსახურების დათესვაზე ჯერ გრიგოლისა, ხოლო შემდეგ მამტოცის მიერ და არავინ არ ამტკიცებს, რომ მამტოცამდე სომხეთი არ იყო მოქცეული ქრისტიანობაზე. საკითხი ეხება გრიგოლის საქმის დასრულებას მამტოცის მიერ.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ძველ სომხურ მწერლობაში მამტოცი მიჩნეულია ამიერკავკასიის ბევრი ტომის მომქცევად ქრისტიანობაზე, ხოლო მწვალებელთა — მართლმადიდებლობაზე. ამისათვის საკმარისია გადავიკითხოთ თუნდაც კორიუნის თხზულება: რომელიც სომეხი სპეციალისტებს მიერ მიჩნეულია უძველეს პირველწყაროდ მამტოცის ცხოვრებისათვის .აი, შესაბამისი ციტატები რუსული თარგმანიდან:

«Вслед за сим блаженный Маштоц получил согласие, чтобы сам владыка-епископ сеял животворное слово в кайенаканских [гаварах] а сам он — всюду кругом среди язычников»¹⁵⁸.

«И вот тех, которые были собраны из отдельных и разрозненных племен, он связал божественными заветами и сделал их единым народом, восхваляющим одного бога»¹⁵⁹.

«И после того, как повсеместно в Иверии наладил дело богослужения, он, протрившись с ними, возвратился в Армению»¹⁶⁰.

«Затем он приступил к расследованию секты бесстыдных и непокорных барбарянов. И когда не нашел никакого средства обратить на истинный путь, он [взялся] за посох усмирителя. и:

¹⁵⁸ К о р ю н, Житие Маштоца, Ер. 1962, გვ. 98.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 101.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 102.

предал [их] тяжелым бедствиям в тюрьмах, пытках и тисках. Но когда [после применения] и этих [мер] оказались они лишенными спасения, тогда сокрушали, предавали огню, мазали сажей и, разными способами опозорив, изгоняли их из страны»¹⁶¹.

«Он разорвал много непосредственных долговых обязательств и своим утешающим учением уготовил многим скорбящим надежду и упование на славное явление превеликого бога и спасителя нашего Иисуса Христа. И всех вообще перевел он на устав богопочитания»¹⁶².

ყველაფერმა ამან, და კიდევ მრავალმა სხვა გარემოებამ, აფიქრებინა ნ. აღონცს, რომ კორიუნმა ბევრი არაფერი იცის დამწერლობების შექმნის შესახებ, ან კიდევ ცოტას მოგვითხრობს; თითქოს მას იმდენად ანბანის გამოგონება კი არ აინტერესებს, რამდენადაც მამუტოცის ქადაგებანი თვით სომხეთში, მის განაპირა მხარეებში, ქართლში და ალბანეთში¹⁶³.

3. ამრიგად, ძველი სომხური წყაროებიდან მამუტოცს ზოგი ანბანთა შემოქმედად თვლის, ზოგი — რეფორმატორად. საერთო და უმთავრესი მომენტი კი მათთვის ის არის, რომ მამუტოცი ცხოველ მონაწილეობას ღებულობს წარმართთა მოქცევაში და მწვალებლებთან ბრძოლაში, ხშირად სწორედ რომ არა „именно в результате внедрения созданного им алфавита“ (შტრ. „...предал [их] тяжелым бедствиям в тюрьмах, пытках и тисках... сокру-

¹⁶¹ იქვე, გვ. 105.

¹⁶² იქვე, გვ. 112.

¹⁶³ ზ. მ. დ. ი. ნ. ც. შაუთიე ხე წრა აჯახხრონხერე ესო იაყარ აყეიორხერი: კრ. შხროყ შაუთიე, ხრ., 1962, გვ. 199. ასევე აფასებს კორიუნის თხზულებას ლ. ხაჩიკიანი: „Автор уделяет больше внимания отшельнической и проповеднической деятельности Маштоца, чем обстоятельствам изобретения армянских письмен и создания армянской литературы“. Очерки истории исторической науки в СССР, I, 1955, გვ. 25. ჩენთვის საინტერესო თვალსაზრისით მოსე კალანკატუელის თხზულების შეფასებისას ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ალბანეთის ისტორიის ამ წყაროს მამუტოცის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე სრულებით განსხვავებული წარმოდგენა ჰქონია. მისი მამუტოცი უმთავრესად მქადაგებელი და მოციქულია (քարիզ և ապხსայ), ქრისტიანობის გამავრცელებელი და ალბანეთის ეკლესიის განმაახლებელი და შემქმნელი“. იხ. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 177.

შალი, გადავანი ოგნუ, მავალი სავეი ი, რავანი სპოსაბანი-
ოპოზრნი, ივგონიანი იხ ივ სტრანი“).

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ მამუტოცის მოღვაწეობაზე მოდის სომხეთის ეკლესიის ისტორიის თითქმის ისეთივე მოასაბრუნი ეტაპი, როგორც იყო ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება: 431 წელს ეფესოს მსოფლიო კრებაზე დაგმობილ იქნა ნესტორიანობა. ეს იყო უკანასკნელი მსოფლიო კრება, რომელიც სცნო სომხეთის ეკლესიამ. ამის შემდეგ იგი უკვე სულ სხვა გზით წავიდა და არამტუე მონაწილეობა არ მიუღია, არამედ მკვეთრად დაუპირისპირდა IV მსოფლიო (ქალკედონის) კრებას. მართალია, სომხური წყაროების მიხედვით, თვითონ მამუტოცი არ დასწრებია ეფესოს კრებას, მაგრამ იმ ხანად იქ მყოფმა მისმა მოწაფეებმა ჩამოუტანეს კრების განსაზღვრებები, რომელიც მან თარგმნა და გაავრცელა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ იოანე იმასტასერი (717-728), სომხური ეკლესიის ისტორიისა და დოგმატიკის დიდი მცოდნე, საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ მამუტოცის მოღვაწეობა ეფესოს დადგენილებათა გამარჯვებით და ნესტორიანობის წინააღმდეგ ბრძოლით აღინიშნა სომხეთში¹⁶⁴. ამასვე ვკითხულობთ გაგიკ ვასპურაკანელის წერილში რომანოზ კეისრისადმი (დაწერილი უნდა იყოს 920-937 წწ.)¹⁶⁵.

მაშ რის შესახებ არის ლაპარაკი აბრაამის შესამე ებისტოლეში? აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სურს უჩვენოს კირონ ქართლის კათალიკოსს ამიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და განმტკიცების სამი ეტაპი: 1. წინასწარმეტყველები და მოციქულები (საერთოდ ქრისტიანობის წარმოშობა). 2. გრიგოლ განმანათლებელი (სომხეთის მოქცევა), 3. მამუტოცი (სომხური ეკლესიის დარჩენა სამი პირველი მსოფლიო ეკლესიის სიმბოლოზე და ნესტორიანულად ჩათვლილი ქალკედონის კრების უარყოფა). აბრაამის აზრით, ქართველებმა და სომეხებმა ეს სამი ეტაპი ერთად გაიარეს, ხოლო კირონს სურს იგი უარყოს და მსოფლიო ეკლესიის განვითარების მამუტოცის შემდეგდროინდელ მიმართულებას (ქალკედონიტობა) შეუერთდეს¹⁶⁶. შევხედოთ ახლა ამ თვალსაზრისით სადა-

¹⁶⁴ ზიქოე კოიგი, 1901, გვ. 220.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 296.

¹⁶⁶ აღნიშნულ სამ ეტაპზე მსჯელობს უხტანესი (გვ. 45), თითქმის იმავე სიტყვებით (წინასწარმეტყველებზე და მოციქულებზე, გრიგოლზე, სამ მსოფლიო კრებაზე მითითებით), ოღონდ მამუტოცს არ ასახელებს.

ბოლოს, აბრაამის მესამე ეპისტოლეს სადავო ადგილის ჩვენებურ ინტერპრეტაციას მთლიანად უჭერს მხარს „სომხეთის კათალიკოსების და მეფეთა სიის“ ცნობა, რომელიც აბრაამის III ეპისტოლეს მსგავსად, VII საუკუნის I ნახევრით თარიღდება, სადაც ვკითხულობთ: „...გრიგოლის მოძღვრების რიგი (წესი) აღადგინა ვინმე ნეტარმა კაცმა ტარონიდან, სახელად მასროპმა“. რა თქმა უნდა, არ იყო მართალი ნ. მარი, როდესაც ამ ციტატას მიხედვით მესროპში ზედავდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების პირველ გადამკეთებელს, ვრცელი ელინოფილური რედაქციის ავტორს¹⁷⁰. უფრო სწორი უნდა იყოს მ. აბელიანის დაკვირვება: Слова «чин деяний» из вышеприведенной цитаты однако могут относиться не к «легенде», «легендарной истории» Григора, а скорее всего к деяниям, совершенным им, к христианскому проповедничеству, которое, действительно, «возобновил» Маштоц»¹⁷¹.

ამრიგად, აღნიშნული წყარო სწორედ იმ ქრისტიანობის გავრცელების ორი ეტაპის შესახებ ლაპარაკობს, რომელიც მხედველობაში ჰქონდა აბრაამსაც, როცა წერდა „ღვთისმსახურება დაგვიოცესეს ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგორმა და შემდეგ მაშტოცმაო“. საყურადღებოა, ისიც, რომ განხილული წყარო სრულიად არ ახსენებს მაშტოცის მიერ ანბანთა შექმნას.

როგორც ვხვდავთ, შესაძლებელი ყოფილა მაშტოცის დაყენება გრიგოლ განმანათლებლის გვერდით დამწერლობის შექმნის მოუხსენებელივ და აზრს კარგავს პ. მურადიანის არგუმენტი: „Маштоц своей проповеднической деятельностью мало бы чем отличался от своих современников—духовных деятелей, если бы ни создание и распространение письменности, если бы ни перевод св. Писания именно в результате внедрения созданного им алфавита“. (გვ. 49): რატომ „именно в результате внедрения созданного им алфавита? განა მაშტოცი არ იქნებოდა სახელგანთქმული, თუ ადრე ანბანს რეფორმას გაუკეთებდა, როგორც წერს ძველი სომხური წყაროების ერთი ნაწილი? თუ „წმიდა წერილებს“ (და არა მარტო

critique et commentaire par Gérard Garitte, Louvain. 1952, გვ. 404; ძველი ქართული თარგმანი ხხ. იქვე, გვ. 407, 408. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1973, გვ. 140, § X.

¹⁷⁰ Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов Св. Григорием, арабская версия, С. Пет., გვ. 157.

¹⁷¹ М. Абегиан, История древнеармянской литературы, т. I, Ер., 1948, გვ. 143.

„წმიდა წერილებს“) გადათარგმნიდა სომხურად? თუ იქნებოდა უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი კრებების ინიციატორი და ორგანიზატორი? თუ ჭერ კიდევ გაუქრისტიანებელ ტომებს მოაქცევდა, შეებრძოლებოდა ნესტორიანობას და მთელი ეს მისი მოღვაწეობა სომხური ეკლესიის მოსაბრუნ ეტაპს (III და IV მსოფლიო კრებებს შორის) დაემთხვეოდა? რა თქმა უნდა, იქნებოდა ისევე, და უფრო მეტად, გამორჩეული, როგორც იყვნენ სპაქ კათალიკოსი, მოსე კათალიკოსი, კომიტასი, იოანე მაირაგომელი, იოანე იმასტასერი, ნერსეს შნორჰალი და სხვ.

4. „სარწმუნოების ბეჭედი“ გამოცემულია 1914 წ. კ. ტერ-მკრტიჩიანის მიერ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ხელნაწერით, რომელიც თარიღდება: I ნაწილი — XIV-XV სს, II ნაწილი — 1648 წლით. გამომცემლის აზრით, კრებული შედგენილია VII ს-ის I ნახევარში კომიტას კათალიკოსის მიერ ან მის დროს¹⁷². ჩვენ აქ არ ვაპირებთ კამათს ასეთი დათარიღების გამო. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ კ. ტერ-მკრტიჩიანის არგუმენტები არ გვეჩვენება იმდენად ურყევად, რათა საკითხი, პ. მურადიანთან ერთად, „საბოლოოდ დადგენილად მივიჩნოთ“ (გვ. 50). ჩვენი აზრით, საბოლოოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ფაქტა, რომ კრებული გვიან არის გადაკეთებული და მასში შეტანილია დამატებები. არ არის ზუსტი პ. მურადიანი, როდესაც მკითხველს კ. ტერ-მკრტიჩიანის კვლევის შედეგებს ისე აცნობს, თითქოს VIII საუკუნეში კრებული შევსებული იქნა „несколькими новыми материалами, переведенными Стефаном Сюнийским“ (გვ. 50). ნამდვილად კი ტექსტის გამომცემელმა გაარკვია, რომ დამატებულ ნაწილებში გვხვდება სტეფანე სივნიელის თარგმანებიც¹⁷³.

დღეისათვის, სანამ ჭერ ხელთ არა გვაქვს ახალი სპეციალური გამოკვლევები „სარწმუნოების ბეჭედთან“ დაკავშირებით, ჩვენ ვუერთდებით მ. აბელიანის პოზიციას, როდესაც მას მოჰყავდა ციტატა კ. ტერ-მკრტიჩიანას ნაშრომიდან სტეფანე სივნიელის მოუხსენიებლივ: „Этот сборник, составленный по образцу «Опровержения» Тимофея Элура, «не остался в том виде, как он был редактирован при католикосе Комитасе, а подвергся изменениям и прибавлен новый материал»¹⁷⁴.

ასეა თუ ისე, „სარწმუნოების ბეჭედში“ მოთავსებულია აბრაამ სომენთა კათალიკოსის III ეპისტოლე კირონ ქართლის კა-

¹⁷² ԿՆԻՐ ԻՍԼԱՄՈՅ, օժ. წინასიტყვაობა.

¹⁷³ օქვე, გვ. XXVIII.

¹⁷⁴ М. А б е г я н, История древнеармянской литературы, I, гл. 304.

თალიკოსისადმი და ამოცანა სამი მთავარი საკითხის გარკვევაში მდგომარეობს: 1. რატომ მაინცდამაინც მესამე ეპისტოლე იქნა არჩეული კრებულისათვის სომხებსა და ქართველებს შორის მთელი მიმოწერიდან? 2. უნდა ყოფილიყო მესამე ეპისტოლე „სარწმუნოების ბეჭედის“ უძველეს რედაქციაში, თუ იგი შედგენილია VII საუკუნეში? 3. რა მიმართებაშია ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ორი კრებულის („ეპისტოლეთა წიგნისა“ და „სარწმუნოების ბეჭედის“) მესამე ეპისტოლე ერთმანეთთან?

1. დავეშვათ კრებულის შემდგენელს მიზნად ჰქონდა (სხვა რამ არც არის მოსალოდნელი) მიმოწერიდან ისეთი დოკუმენტი შეერჩა, სადაც ყველაზე უფრო ზუსტად და სრულად იქნებოდა გამოცემული სომხეთის ეკლესიის სარწმუნოების აღსარება და მისი ხელმძღვანელების ოფიციალური პოზიცია. პ. მურადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „Как один из фактов, доказывающий приверженность армян к истинному вероисповеданию св. отцов“. ასეთ შემთხვევაში მისი არჩევანი არ არის გამართლებული. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი იქნებოდა აბრაამ სომეხთა კათალიკოსის საყოველთაო ეპისტოლე, რომელშიაც სომხური საეკლესიო წრეების საბოლოო დასკვნაა გამოტანილი ამიერკავკასიაში შექმნილ რელიგიურ ვითარებასთან დაკავშირებით. სხვათა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომიტასი, კ. ტერ-მკრტიჩიანის ვარაუდით, კრებულს ადგენს ეპისკოპოსობის დროს, როდესაც ემზადება ე. წ. „სპარსულ კრებაში“ ხოსრო II კარზე მონაწილეობის მისაღებად. ამ ორი ეპისტოლედან რომელი უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა მისთვის? რა თქმა უნდა, „საყოველთაო“ (ენციკლიკური), ვინაიდან იგი დაეგზავნა ყველა ეპისკოპოსს (მათ შორის კომიტასსაც), ხოლო მესამე ეპისტოლეს სავარაუდოდ ორი ცალიდან ერთი ქართლში იქნებოდა და ერთიც სომხეთის საკათალიკოსო სამდივნოში. თუნდაც მხოლოდ ამ უკანასკნელი მარტივი გარემოების გამო, უფრო მოსალოდნელი იყო კომიტასს კრებულში ენციკლიკური ეპისტოლე შეეტანა, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ იგი თავისი შინაარსითაც უფრო უდგებოდა „სარწმუნოების ბეჭედს“.

მაგრამ იქნებ კომიტასი სხვა მიზანს ისახავდა? ვთქვათ, იგი ვარაუდობდა, რომ კრებაზე სპარსეთის მეფეს ხოსრო II დაუმტკიცებდა, რომ სწორედ ქართველები განდგნენ კეშმარიტი სარწმუნოებისაგან, რასაც, მასი აზრით, დაამტკიცებდა თავის დროზე ქართველი სამღვდელოების მონაწილეობით და ხელრთვით შე-

დგენილი დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში III ეპისტოლეს ექნებოდა უპირატესობა სხვა ეპისტოლეებთან შედარებით, რადგან მასში მოცემულია ქართველი ეპისკოპოსების სია აკათალიკოს გბრიელის მეთაურობით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნული დოკუმენტის შედგენაში. მაგრამ საქმეც ის არის, რომ „სარწმუნოების ბეჭედში“ შეტანილ III ეპისტოლეს სწორედ ეს სია აკლია. მაშასადამე, შეიძლება განდგეს ორი ვარაუდი: 1. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე შეტანილია კრებულში მისი შედგენისას (VII ს-ის I ნახ.), მაგრამ გვიან, რედაქტირების დროს, რატომღაც ძლიერ არის შემოკლებული. 2. „სარწმუნოების ბეჭედში“ აღნიშნული ეპისტოლე შეტანილია გვიან (თუ თვითონ კრებულიც გვიან არ არის შედგენილი), როცა ქართველი ეპისკოპოსების სიაში არგუმენტის ძალა დაკარგა (როცა ეკლესიები საბოლოოდ და დიდი ხნის გამიჯნულები იყვნენ ერთმანეთისაგან, ე. ი. VIII ს-ის კარგახნის შემდეგ) და კრებულში იგი შეტანილია სულ სხვა მიზნით.

ჩვენ უურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ „სარწმუნოების ბეჭედში“ შესულ III ეპისტოლეს თავიდანვე აკლია საკმაოდ მზარდილი ნაწილი და იწყება სწორედ იმ სადავო ადგილიდან, სადაც ნათქვამია, რომ ორივე ქვეყანაში სარწმუნოება გრიგოლის დანერგულია, ხოლო მამტოცმა მათ დამწერლობა შეუქმნა.

ამრიგად, დოგმატური მიზნებისათვის მესამე ეპისტოლე არ შეიძლება უკეთეს არჩევნად ჩაითვალოს, დიპლომატიურ მიზნებს იგი ვერ ემსახურება, სამაგიეროდ, შემოკლება ისეა გაკეთებული, რომ მკითხველს მაშინვე თვალში ეცეს გრიგოლისა და მამტოცის დამსახურება ქართველთა წინაშე. ეს მომენტები X-XI საუკუნეებამდე არ იყო აქტუალური, ხოლო განსაკუთრებით თავი იჩინა XII-XIV საუკუნეებში. თავისთავად იბადება დასკვნა: ან აღნიშნული ეპისტოლე შეტანილია „სარწმუნოების ბეჭედში“ X-XIV საუკუნეებში, ან იგი სერიოზულად არის გადაკეთებული ამავე ხანებში. პირველ შემთხვევაში მოსალოდნელია უკვე ინტერპოლირებული ტექსტის შეტანა „ეპისტოლეთა წიგნიდან“, მეორე შემთხვევაში — ინტერპოლაციის გაკეთება ისევე „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით.

2. „ეპისტოლეთა წიგნისთვის“ დართულ გამოკვლევაში ვწერდით, რომ „სარწმუნოების ბეჭედს“ ცული გადამწერი ჰყავს და აბრაამის მესამე ეპისტოლეს ტექსტს იგი ხშირად ამახინჯებს. ჩვენ ამ

საკითხებზე მაშინ ვრცლად არ გვიმსჯელია და საჭირო მაგალითებს ახლა მოვიყვანთ:

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

*საყა მხე ღ ძხე რასარას სხრ-
მანხეჯნ...*

*საყა ჟ მხე ღ ჟ ძხინ აო-
რასარას სხრმანხეჯნ...*

შემდეგ ჩვენცა და თქვენც სა-
ერთო დაგვითვისეს...

„სარწმუნოების ბეჭედის“ ვარიანტი არ ითარგმნება, ვინაიდან *ძხე* (თქვენ) გრაფიკულ ნიადაგზე გადაქცეულია *ძხინ*-ად (ხე-ლი). საყურადღებოა, რომ პ. მურადიანის კითხვა-სხვაობათა სიაში ეს დამახინჯება გასწორებულია.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

*სღაღწხეოდ ნიქიმე კალ მხე
მჩნღ ჟ ფაღოსთნ სათოღიქი მხ-
რიქ სხანჟ შხიოსი ჴრქათოიქი:*

*სღაღწხეოდ ნიქიმე ხეხალ
მხე მჩნღ ჟ ფაღოსთნ სხანჟ
მხრიქ შხიოსი ჴრქათოიქი:*

ვილოცოთ, რომ მითვე ვიდგეთ
(ვიყოთ) ჩვენი ღმრთის უფლის
იესუ ქრისტეს მოსვლამდე.

ვილოცოთ ჩვენ მითვე მოსუ-
ლებმა ჩვენი უფლის იესუ ქრი-
სტეს მოსვლამდე.

გადამწერის მიერ, ისევე გრაფიკულ ნიადაგზე, *კალ* იქცა *ხეხალ*-ად და აზრი დამახინჯდა, ქართული თარგმანი წაძალადე-ვი და უაზრო გამოვიდა. დასაშვებია, რომ პროტოგრაფში იყო *ხხალ* (*სღაღწხეოდ ნიქიმე ხხალ მხე მჩნღ ჟ ფაღოსთნ სათოღიქი...*), როგორც უბტანესსა აქვს. ერთმა გადამწერმა („ეპისტოლეთა წიგნისა“) მიიღო შედარებით უკეთესი *კალ*, ხოლო მეორემ („სარწმუნოების ბეჭედისა“) — უარესი *ხეხალ*.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

*ხღ აქ რადიოდ ნიქნაქა და-
რიოქეჯნ აოღხეღნ, ირ ქსან
ქამიოს აქრანაქ რასასკან რამა-
რხეჯაქ:*

*ხღ რადიოდ დარიოქალ აოა-
ღხეღნ, დირ იღ ღ აქქამ რასა-
სკანააქა მქ რათ მქიოჯ ასხქ:*

კიდევ ბევრს ასე ქადაგებდნენ მოციქულები, რაც ჩვენ ამჟამად საკმარისად მივიჩნით.

ბევრსაც ქადაგებდნენ მოციქულები, რაც ახლა საკმარისი არ არის, რომ ერთმანეთს ვუთხრათ.

კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რისი თქმაც უნდა აბრაამ კათალიკოსს: გარდა იმ ციტატებისა, რომლებიც უკვე მოვიტანეთ წმიდა წერილებიდან, კიდევ ბევრი სხვაც შეიძლებოდა თქვენთვის გვეთქვა, მაგრამ ამჟამად საკმარისად ჩავთვალე, რაც უკვე დაწვერეო. „სარწმუნოების ბეჭედში“ კი სულ ამის საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ („საკმარისი არ არის, რაც გითხარიო“), რამაც გამოიწვია არა მხოლოდ აზრის დამახინჩება, არამედ ფრაზის კონსტრუქციის დარღვევაც.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ბრხაჩა ასტ. შა ჭ ასათოატ მსრ ღუ ირომ იჯ ჰამარსუეჩ აქ იღ!

ბრხაჩა. მტ' ესთ ირომ იჯ ჰამარსუეჩ აქ ასათოატ:

ერემია ამბობს: ეს არის ჩვენი ღმერთი, რომლის გარდა სხვა არაფერი მიიჩნევა [ღმერთად].

ერემია: რომ, რომლის გარდა სხვა არაფერი მიიჩნევა ღმერთად.

ვერც ჩვენ და ვერც ჩვენმა წინამორბედმა გამომცემლებმა ვერ შევძელით ამ ნაწყვეტის ლიტერატურული წყაროს დადგენა. ვერ შესძლო ეს, როგორც ჩანს, „სარწმუნოების ბეჭედის“ რედაქტორმაც, რამაც მას საშუალება მისცა ფრაზა გადაეკეთებინა (ფაქტიურად გადასვა ერთი სიტყვა *ასათოატ*), მეტი სინათლის შესატანად.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ბრკიორე მარე თქრ ქსრქსიე მეორე კაცი უფალი ზეცით

ბრკიორე ადამ უფალი

„ეპისტოლეთა წიგნში“ ციტატა 1 კორინთელთა 15,47 სწორად არის მოყვანილი. „სარწმუნოების ბეჭედში“ იგივე ციტატა მცდარად არის შესწორებული 1 კორინთელთა 15,45-ის მიხედვით. საქმე შემედგშია: 1 კორინთელთა 15,47 არის განმარტება 1 კორინთელთა 15,45-ისა. მთლიანად კონტექსტი ასეთია:

როცა აღიღებენ, რატომ როცა აღიღებენ, რატომ არ ამბობენ: დიდება მამას, ამბობენ ასე: დიდება მათ, ორბუნიანი ძეს და სული წმიდას, ორბუნიანი ძეს და სული წმიდას.

„სარწმუნოების ბეჭედში“ არეულია *ქი ჯასხნი* და *ქ'ჩნი ჯასხნი*, ხოლო წინადადება იმის საწინააღმდეგო მნიშვნელობა მიიღო, რის თქმაც სურდა აბრაამ კათალიკოსს. საქმეც სწორედ ის არის, რომ ქალკედონიტები არ ამბობენ „დიდება ორბუნიანი ძესო“ და ამით, აბრაამის აზრით, წინააღმდეგობაში ვარდებიან: თუ ქრისტეს ორბუნიანიად თვლით, რატომ ამბობთ უბრალოდ „დიდება მამას, ძეს და სული წმიდას“ და არა „დიდება მამას, ორბუნიანი ძეს და სული წმიდასო“, — ასეთია მისი მსჯელობა. „სარწმუნოების ბეჭედის“ მიხედვით კი გამოვიდა, რომ ქალკედონიტები ამბობენ: „დიდება მამას, ორბუნიანი ძეს და სული წმიდას“. ძნელია ასეთი რამ მიაწერო თვითონ აბრაამს, ან კიდევ კომიტასსა და იოანე მაირაგომელს.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

შირიც ღ ღრქათიო, ირ ღ ღ ქიქრაქ ამხნიციონ საათოაბ ას-რჩხხაქ ქაქითხანაო

«რომელთაგან ქრისტე..., რომელ-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე».

შირიც ღ ღრქათიო ესთ მარ-მნიც, ღასქნი ქიქრაქ. საათოაბ ას-რჩხხაქ ქაქითხანაო

«რომელთაგან ქრისტე კორციელად», ზედა შემოქმედი, ღმერთი «კურთხეულ უკუნისამდე».

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტი ბევრად უფრო ახლოა „ახალი აღთქმის“ რომაელთა 9,5-დან ციტირებულ ტექსტთან, ვიდრე „სარწმუნოების ბეჭედისა“. „ახალ აღთქმაში“ ჩვენთვის საინტერესო ადგილს ასეთი სახე აქვს: *შირიც ღ ღრქათიო ესთ მარამნიც, ირ ღ ღ ქიქრაქ ამხნიციონ საათოაბ ას-რჩხხაქ ქაქითხანაო* „რომელთაგან ქრისტე კორციელად, რომელ-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა კურთხეულ უკუნისამდე“.

„ეპისტოლეთა წიგნს“ მხოლოდ „კორციელად“ აკლია, რომ სიტყვა-სიტყვით დაემთხვეს „ახალი აღთქმის“ ტექსტს. „სარწმუნოების ბეჭედს“ „კორციელად“ აქვს, ოღონდ უფრო არსებით ადგილას შეტანილი უზერხული ცვლილება სხვა ნიუანსს აძლევს

წინადადებას. საყურადღებოა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ჩვენებას მხარს უჭერს უხტანესის ტექსტიც. მასაც „ჰორციელად“ აკლია და *ჯასქნ ჰ ქსრყა*-ს ნაცვლად აქვს *ჰ ქსრყა ამხნსეიონს სათოლახ*. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებში X საუკუნემდე ისეთი ვითარება ყოფილა, როგორც შემოინახა თვით „ეპისტოლეთა წიგნმა“ და უხტანესმა. რაც შეეხება „სარწმუნოების ბეჭედს“, მასში გვიან რედაქტირების დროს არის შეტანილი *ღათ მარჩისი* პირველწყაროს მიხედვით და წინადადების გამართვისასაც დაშვებულია შეცდომა.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

სქტ ჯგე ყიისხალ ჰ ჩაყრსნი ჩაღათი, ირყტა რაგომ ანყამ გრესხერ აი მსე...

სქტ ჯგე ყიისხალ ჰ ჩაყრსნი ჩაღათი, ირყტა რაგომ ანყამ გრესხერ აი ჩა...

თუ შეცვლილი არა ხართ მშობლიურ სარწმუნოებისაგან. როგორც მრავალჯერ მოგვწერე...

თუ შეცვლილი არ არის მშობლიური სარწმუნოებისაგან, როგორც მრავალჯერ მომწერე...

კონტექსტიდან ნათელია, რომ აბრაამი ეუბნება კარონ ქართლის კათალიკოსს: მშობლიური სარწმუნოებისთვის თუ არ გიღალატია, როგორც ბევრჯერ მოგვწერე, მოდი, შენც დაგმე ქალკედონის კრებაო. ამის საწინააღმდეგოდ, „სარწმუნოების ბეჭედში“ ვკითხულობთ: მშობლიური სარწმუნოებისთვის თუ არ უღალატია, როგორც ბევრჯერ მომწერე, მოდი შენც დაგმე ქალკედონის კრებაო. რა თქმა უნდა, „სარწმუნოების ბეჭედში“ აზრი დამახინჯებულია, თანაც იმ დროს, როდესაც რედაქტორისთვის ისეთი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა კარონს უღალატია მშობლიური სარწმუნოებისათვის თუ სხვა ვისმეს. კომიტასი თანამედროვე იყო საეკლესიო განხეთქილებისა და მის ბოლო ეტაპზე („სპარსული კრება“) მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდა. უხერხულია, ასეთი უყურადღებობა კონფლიქტში მონაწილე პირებისადმი მას მიევაწეროთ.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ჩაგრჩქლ კაჭიღიქიონს ქრავ ნეიქსავ დნე ხრანსიქ ჩარიან მხრი

ჩაგრჩქლ კაჭიღიქიონს ქრავ ნეიქსავ დნე ხრანსიქ ჩარიან მხრიამ

გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყველა ჩვენ მამებთან ერთად.

გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყველა ჩვენ მამასთან ერთად.

ქართველთა და სომეხთა შორის მიმოწერას გაცნობილი მკითხველისათვის მხოლოდით რიცხვში დასმული „მამა“ („სარწმუნოების ბეჭედი“) აშკარა უაზრობაა.

ფეიქრობთ, მოტანილი მაგალითებით აშკარაა, თუ რა გვექონდა მხედველობაში, როცა ვწერდით, რომ „სარწმუნოების ბეჭედი“ იმეორებს „ეპისტოლეთა წიგნს“ დამახინჯებებით. აქ დავუმატებთ, რომ შეცდომები დაშვებულია არაკვალიფიცირებული რედაქტორ-გადამწერის მიერ გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე მოღვაწეობდნენ კომიტასი, იოანე მირაგომელი და სტეფანე სივნაელი. ქვემოთ ვაჩვენებთ რედაქტირების სხვა შემთხვევებსაც.

„სარწმუნოების ბეჭედს“ აშკარად ატყვია ტექსტის სტილისტური სწორების კვალი. მაგალითად, როდესაც „ეპისტოლეთა წიგნში“ ერთ წინადადებაში ორჯერ არის გამოყენებული გამოთქმა *აქჷმ*, გადამწერი ერთს ცვლის სინონიმით *გხი ხა*:

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ზინსაქ მტ აქჷმ ასტღჷ, მტ მსღ ღსაქისნხი ილხიმღ ჩასათ ხ აქჷმ....

ზინსაქ ღირ აქჷმღ ასტღჷ, მტ გხი ხ ხა ღსაქისნხი ჩასათხ ილხიმღ...

თუნდაც ახლა რომ ამბობთ, რომ მშობლიური სარწმუნოება გვაქვსო ახლა ც...

თუნდაც ახლა რომ ამბობთ, რომ ჯერაც მშობლიური სარწმუნოება გვაქვსო...

„სარწმუნოების ბეჭედის“ რედაქტორი ტექსტიდან „სალმრთო წერილიდან“ მოტანილი ციტატების წინ იღებს ისეთ გამოთქმებს, როგორცაა *გქსაღ ლ* (წერია), და *ასტ* (ამბობს), როდესაც მათი შეცვლა თავისუფლად შეიძლება ორი წერტილით.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ღასან აწიორიქ აქს ხერიორჷ მთღმ გრხეაღ ჰ მტნუ აო ბხრ სრქოლმხანუ, ჟანღი გრსაღ ლ მხრქოღ ხ ქხრქე მქაქიღ ჩასათათხსეღ ამხნაწნ რან:

ღასან აწიორიქ აქს ხერიორჷ მთღმ გრხეაღ ჰ მტნუ აო ბხრ სრქოლმხანუ, ჟანღი მხრქიღ ხ ქხრქე მქაქიღ ჩასათათხსეღ ამხნაწნ რან:

იმიტომ მოვწერეთ ეს მესამე ეპისტოლე თქვენ სიწმიდეს, რომ წერია: „პირითა ორისა და სამისა მოწამისა დაემტკიცების ყოველი სიტყუა“.

იმიტომ მოვწერეთ ეს მესამე ეპისტოლე თქვენ სიწმიდეს, რომ: „პირითა ორისა და სამისა მოწამისა დაემტკიცების ყოველი სიტყუა“.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ჯალათაჲ, ახსენ, ზ მჩ საათოლათ ზ ჯაყრ ამხნასკაჲ...

ჯალათაჲ ზ მჩ საათოლათ ზ ჯაყრ ამხნასკაჲ...

გწამდეთ, ამბობენ, ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი:

გვწამს: ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი ...

საყურადღებოა, რომ ტექსტის დამახინჯებებისა თუ გრამატიკული ფორმების შეცვლის მაგალითები ხშირად იმ წინადადებებზე მოდის, რომელთა სტილისტური გამართვაც უცდია რედაქტორს. ამის მაგალითია არა მხოლოდ ახლა განხილული, სადაც ინფინიტივში მოცემული *ჯალათაჲ* შეცვლილია აწმყოს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის *ჯალათაჲ*-ით, არამედ ზემოთ უკვე განხილული სხვა შემთხვევაც:

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ნრემჩა ახტ. სა ზ საათოლათ მსრ ნნჲ ირიამ იღ ჯამარხსეჲ აჲ იღ:

ნრემჩა. მტ' ესთ ირიამ იღ ჯამარხსეჲ აჲ საათოლათ:

ერემა ამბობს: „ეს არის ჩვენი ღმერთი, რომლის გარდა სხვა არავინ მიიჩნევა“.

ერემა, რომ: „რომლის გარდა სხვა არ მიიჩნევა ღმერთად“.

გვხვდება შემთხვევა, როცა გადამწერები (თუ გამომცემლები?) სხვადასხვაგვარად კითხულობენ დაქარაგმებულ ერთსა და იმავე სიტყვას, მაგრამ ისე, რომ წინადადებოს შინაარსი არ იცვლება:

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

სა დირჲი ქერიოჲილმხნუნ მარანაენსაჲ, მჩ ანხაჲ, მჩ ქსაჲ ჟარიღსეჲ:

სა დირჲი ქერიოჲილმხნუნ მარანაენსაჲ ს მარჲახსაჲ, მჩ ქსაჲ ჟარიღსეჲ:

და ძე სამებისაგან განხორციელებული, შეერთებული, ერთიანი იქადაგეს.

და ძე სამებისაგან განხორციელებული და განკაცებული, ერთიანი იქადაგეს.

აშკარაა, რომ დედანში ეწერა *მწესაჲ*, რის გამოც ერთმა გადამწერმა *მჩახესაჲ* მიიღო და მეორემ — *მარჯახესაჲ*.

„სარწმუნოების ბეჭედის“ გადამწერი-რედაქტორი ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა *აჲლ რაჲიამღ*, *აჲლ ყარბსაჲ*, ტექსტიდან იღებს *აჲლ*-ს, კონტექსტში მას არა აქვს აზრობრივი დატვირთვა.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ხა აჲლ ყარბსაჲ ჰ ყაწიღიქტჷნ, შა ჯ შათილათ...

ხა ყარბსაჲ ჰ ყაწიღიქტჷნ ა მ ზ ს. შათილათ...

და სხვა კვლავ კათოლიკედან: „ესე არს ღმერთი...“

და კვლავ კათოლიკედან ა მ ბ მ ს: „ღმერთი...“

მოტანილ მაგალითში ყურადღებას იპყრობს „სარწმუნოების ბეჭედის“ ერთი დამახინჯებაც. „ეპისტოლეთა წიგნის“ *ა მ ჯ* (ესე არს) მასთან გადაიქცა *ა მ ჯ*-დ (ამბობს), როგორც ჩანს, დედანში ტექსტი მიჯრით ეწერა და გადამწერმა დაუკვირვებლად წაიკითხა. „ეპისტოლეთა წიგნის“ ვარიანტს რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ყველა ნუსხა (გარდა № 63-ისა) და უხტანესიც „სარწმუნოების ბეჭედს“ ემხრობა, ამაში ექვის შეტანა არ შეიძლება. მას მხარს უჭერს „ახალი აღთქმის“ ყველა ტექსტი და ამას გარდა, პ. მურადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „*контроллируется многоязычными переводами*“.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი

ხა აჲლღ რაჲიამღ ნიქსაჲთა ჟაროღსეჩინ ალახსაჲღნ:

ხა ს რაჲიამ ჟაროღსაჲ ჯა-ოაღსიღნ,

და სხვა მრავალი ასევე იქადაგეს მოციქულებმა.

ასევე მრავალი იქადაგეს მოციქულებმა.

მოტანილ მაგალითში ფაქტიურად *აჲლღ* შეცვლილია სინონიმით *ღა*, ხოლო ტაეტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ამოგდებულია *ნიქსაჲთა*.

მსგავს შემთხვევაში სინონიმებით გამოთქმებისა თუ სიტყვების შეცვლის სხვა მაგალითებიც გვხვდება.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი.

Φιλιππικαυ βιβλιον
Φιλιππικαυ βιβλιον

Φιλιππικαυ βιβλιον
Φιλιππικαυ βιβλιον

სამების ნაცვლად ოთხებას ქა-
დაგებენ.

სამების ნაცვლად ოთხება.
შემოაქვთ.

არის შემთხვევა, როცა „სარწმუნოების ბეჭედის“ გადამწერი — რედაქტორი გამოთქმების *აკაყტა*, *სიყნაყტა* და კვლავ *აკაყტა*-ის თავიდან ასაცილებლად *სიყნაყტა* *დ*-ს სრულიად უმტკივნეულად ცვლის *აკ*-ით.

ეპისტოლეთა წიგნი

სარწმუნოების ბეჭედი.

...*გაროიღენ აკაყტა: Πικ-
ναყტა დ სრანსიქ ჩარღენ, ირ ქ
ზიქიქაქ ძიიიქინ, აკაყტა
ილიიქინ:*

...*გაროიღენ აკაყტა: Πικ-
სრანსიქ ჩარღ, ირ ქ. ზიქიქა-
ძიიიქინგან, აკაყტა ილი-
იქინ:*

... არა ქადაგებენ ასე. ისე-
ვე ნეტარი მამებიც, რომლებიც
ნიკეას შეიკრიბნენ, ასე გვას-
წავლიან.

... არა ქადაგებენ ასე.
აგრეთვე, ნეტარი მამები,
რომლებიც ნიკეას შეიკრიბნენ,
ასე გვასწავლიან.

„სარწმუნოების ბეჭედის“ ვარიანტს, როგორც პირვანდელს, ერთხელ ენიჭება უპირატესობა „ეპისტოლეთა წიგნთან“ შედარებით. საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელს აბრაამის მესამე ეპისტოლეს ყველა შემონახულ ვარიანტთან შედარებით აკლია შემდეგი სიტყვები: ...*არარქინ ხიქნი დ ხიქიქი, დ მქ ნქრ მქილია ჴრიითი* (შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, და ერთი უფალი იესუ ქრისტე). რადგანაც უხტანესიცი ამ ვარიანტს უჭერს მხარს, ცხადია, საქმე გვაქვს გადამწერის მიერ უნებლიეთ გამოტოვებულ ფრაზასთან. შესაძლოა ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდეს *ქ ბქნქ* — A ფრაზაში: *მსრ აქქ სნიქიქი ბქნქ გქნქ ნქ*; საერთოდ კითხვა-სხვაობების რაოდენობის გათვალისწინებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ხელნაწერები ხელთ არა გვაქვს და დაზღვეული არა ვართ გამომცემელთა შეცდომებისაგან.

კითხვა-სხვაობების შთამბეჭდავი სიის მოტანა არ აკმაყოფილებს პ. მურადიანს და მკითხველის საბოლოოდ დასაბურობად აცხადებს, რომ დარჩა კიდევ „громадное количество разночтений грамматического типа“, რომელიც მას არ მოუტანია. მაშ რა კითხვა-სხვაობებია ის, რომლებიც მის სიაში უკლებლივ არის მოტანილი, თუ არა გრამატიკულ-სტილისტური? — ქტ — ხქტ, ლკამ — ლამ, ლ დაქ ზ დათსლ — ლ დაქივ ტ დათხლ, კაკ — ტ, მხვ — ზა, ზაქინს — ზაქინსჲ და სხვა.

„სარწმუნოების ბეჭედში“ მართლაც დარჩა კიდევ „разночтения грамматического типа“, რომელსაც, რეცენზიაში გვერდი აქვს ავლილი. საქმე ეხება მსაზღვრელი ნაწილაკების *ჟ, ა, ჟ, ზ* გამოყენებას. თუ ორივე ტექსტს ამ თვალსაზრისით შევადარებთ, მაშინვე თვალში გვეცემა, რომ ისინი „სარწმუნოების ბეჭედში“ ბევრად უფრო ხშირად და უსისტემოდ არის გამოყენებული, ვიდრე „ეპისტოლეთა წიგნში“, რაც კვლავ მის გვიანდლობაზე მიუთითებს. გვიანი და ხშირად მცდარია „სარწმუნოების ბეჭედის“ ორთოგრაფიაც *ა-ს* ან *ა-ს* მაგიერ ზოგჯერ გვხვდება *ო* (შდრ. *ათამარ* || *ათამარ* > *ათამარ*). პ. მურადიანის კითხვა-სხვაობებში არც ეს არის აღნიშნული. სამაგიეროდ მითითებულია: 1—18 *აქსნ...* [ვტქ], 35—12 *აქივ ანონს...* [ჟიქინს], 19—17 *ა ათიქ ლ ათიქ...* [კამქ]. საქმე ის არის, რომ „სარწმუნოების ბეჭედში“ აბრაამის მესამე ეპისტოლეს მხოლოდ ნაწყვეტია შეტანილი და რა აზრი აქვს მთელი იმ გვერდების მითითებას, რაც მასში არ არის, და არც უნდა იყოს. ასეთივე წარმატებით შეეძლო პ. მურადიანს ყველა სხვა ეპისტოლეზე მიეთითებინა და შემდეგ ეთქვა „თავისი მკითხველისათვის“: ნახეთ, რაებს გიმალავთ ზ. ალექსიძე! ამრიგად, ასეა თუ ისე, პ. მურადიანი მართალია, როცა წერს, რომ „სარწმუნოების ბეჭედში“ დაცული მესამე ეპისტოლე განსხვავდება „ეპისტოლეთა წიგნისგან“, ოღონდ ამაში არაფერი ახალი არ არის. ყველა განსხვავება უკვე ნაჩვენები ჰქონდა კ. ტერ-მკრტიჩიანს „სარწმუნოების ბეჭედის“ გამოცემაში. სერიოზული საქმე ამის შემდეგ იწყება. საჭიროა ვუპასუხოთ კითხვაზე: რა ადგილი უნდა მიეჩინოს „სარწმუნოების ბეჭედს“ „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკისას?

„ეპისტოლეთა წიგნსა“ და „სარწმუნოების ბეჭედს“ შორის კითხვა-სხვაობებზე ჩვენი დაკვირვებების შემდეგ ვმსჯელობთ ასე: ჩვენს წინაშეა ერთი ეპისტოლეს ორი რედაქცია. სპეციალისტების

ვარაუდით ორივე კრებული შედგენილია VII საუკუნეში. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან უფრო ძველია „ეპისტოლეთა წიგნის“ ხელნაწერი. ერთ-ერთი რედაქცია აუცილებლად უფრო ახლოს უნდა იყოს იმ ორიგინალთან, რომელიც აბრაამის ხელით დაიწერა. რომელი? პ. მურადიანი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ უპირატესობა „სარწმუნოების ბეჭედს“ უნდა მიენიჭოს (მაშინ უხტანესის რედაქცია, სადაც მაშტოცის მიერ ანბანების გამოგონების შესახებ ცნობა გამოტოვებულია, ძალას დაკარგავს), რადგან იგი VII საუკუნეშია შედგენილი (რომ სპეციალისტების აზრით „ეპისტოლეთა წიგნიც“ VII საუკუნეშია შედგენილი და ზოგი ვარაუდით მოსე ცურტაველისა, ან იმავე კომიტასის მიერ, ამაზე რეცენზიაში არაფერია ნათქვამი). ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითებიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანდა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტი უფრო ადრინდელია, უფრო ახლია ორიგინალთან და „სარწმუნოების ბეჭედში“ მოთავსებული ეპისტოლე მისი შერყვნილი და სტილისტურად აასწორები რედაქციული სახესხვაობაა. მაგრამ იქნება VII საუკუნეში ასწორა და დაამახინჯა კომიტას კათალიკოსმა? ასეთი ვარაუდი შემდეგი მომენტების გამო უნდა იქნას კატეგორიულად უკუგდებული: 1. ცვლილებები შეტანილია დოგმატიკის საკითხებში ცუდად გარკვეული რედაქტორის მიერ. ასეთად კომიტასის მიჩნევა არ შეიძლება. 2. რედაქცია გაკეთებულია ვვიან, საეკლესიო განხეთქილებიდან კარგა ხნის შემდეგ. 3. კ. ტერმერტიანის ვარაუდით „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველი ნაწილიც და „სარწმუნოების ბეჭედიც“ შედგენილია კომიტას კათალიკოსის მიერ, რასაც პ. მურადიანი უყოყმანოდ იზიარებს (ყოველ შემთხვევაში „სარწმუნოების ბეჭედის“ მიმართ მაინც). ხომ არ იქნებოდა უხერხული იმის მტკიცება, რომ ერთმა რედაქტორმა სხვადასხვა კრებულში შეიტანა აბრაამის მესამე ეპისტოლე „უამრავი“ („громадное количество“) კითხვა-სხვაობით? ან კიდევ, რომ კომიტასმა „ეპისტოლეთა წიგნში“ ამ ეპისტოლეს უკეთესი ვარიანტი შეიტანა, ხოლო „სარწმუნოების ბეჭედში“ უარესი? თუ ასე გავაგრძელებთ მსჯელობა, იმის დამტკიცებაც კი დაგვჭირდება, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირვანდელ რედაქციაში კომიტასმა საერთოდ არ შეიტანა აბრაამის მესამე ეპისტოლე, იმ დროს, როდესაც

იგივე ეპისტოლე მოათავსა „სარწმუნოების ბეჭედში“, ხოლო „ეპისტოლეთა წიგნში“ გვიან დაუმატეს იგი.

აი, ასეთ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდეთ, უნდა დავუშვათ: ან „სარწმუნოების ბეჭედი“ შედგენილია VII საუკუნეზე გაცილებით გვიან, ან მესამე ეპისტოლე შეტანილია მასში X საუკუნის შემდეგ. ორივე შემთხვევაში აბრაამის მესამე ეპისტოლე ამოღებულია „ეპისტოლეთა წიგნიდან“ და შეტანილია „სარწმუნოების ბეჭედში“ მნიშვნელოვნად ნარეაქტირები. უხტანეს ეპისკოპოსს შეუძლებელია არა სცოდნოდა „სარწმუნოების ბეჭედი“ არსებობა და არ გაეთვალისწინებინა მასში მოთავსებული მესამე ეპისტოლე, ვინაიდან მან გადასინჯა მსგავსი კრებულები. რადგანაც, მიუხედავად ამისა, უხტანესის ვარიანტში მაინც არ არის ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის შექმნის შესახებ, უნდა ვივარაუდოთ კვლავ ის, რომ ან მის დროს „სარწმუნოების ბეჭედი“ მესამე ეპისტოლეთი არ არსებობდა, ან კიდევ არც მასში იყო X საუკუნემდე ჩვენთვის საინტერესო ფრაზა.

5. უხტანესის თხზულების კრიტიკას პ. მურადიანი იწყებს ცნობით, რომ ივ. ჯავახიშვილი „был далек от мысли, что можно по ухтанэсовскому тексту контролировать текст послания из „Книги писем“, тем более определить степень его изначальности“ (გვ. 53). ამავე შეხედულებისა ყოფილან კ. კეკელიძე და ს. კაკაბაძეც, რომლებიც, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ქართლის საეპისკოპოსოთა სახელების აღდგენისას „ეპისტოლეთა წიგნის“ გარდა უხტანესის ტექსტსაც იშველიებდნენ, მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მისი საშუალებით „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის გაკონტროლება არ შეიძლება. ამის შემდეგ უკვე პ. მურადიანმა შესაძლებლად ჩათვალა შემდეგი დასკვნა გაეკეთებინა: „Все это достаточно хорошо было известно З. Алексидзе, но он не считается с данными фактами и для доказательства интерполятивности слов Авраама о письменах обращается к ухтанэсовскому тексту“ (გვ. 53).

1. კ. კეკელიძეს და ს. კაკაბაძეს არასოდეს არ უკვლევიათ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორიის“ მიმართება. ამიტომ მათი თვალსაზრისის შესახებ წარმოდგენა მხოლოდ ირობი მონაცემებით შეიძლება შევიქმ-

ნათ. ერთ ასე მონაცემად შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ ის, რასაც ზაზი გაუსვა თვით. პ. მურადიანმა: ორივე მეცნიერი საეპისკოპოსოთა საბჭოების გარკვევისას ცდილობდა უხტანესის მონაცემებიც გაეთვალისწინებინა. რეცენზენტის სიტყვებით რომ გამოეთქვათ იგივე აზრი, ორივე მეცნიერი საეპისკოპოსოთა სახელის აღდგენისას ცდილობდა „По ухтанэсовскому тексту контролировать текст послания из «Книги писем»“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კ. კეკელიძე თავის აღრინდელ შრომებში (სწორედ იმ შრომებში, რომლებსაც გულისხმობს პ. მურადიანი) უხტანესის ისტორიის ფრანგული თარგმანათ სარგებლობდა ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა სქოლიოში „ეპისტოლეთა წიგნს“ უთითებდა.

2. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებას უხტანესის ტექსტისადმი, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ პ. მურადიანი საკმარისი ყურადღებით არ გაცნობია მის შრომებს აღნიშნულ საკითხზე. მაგრამ ჩვენი ნაშრომი ხომ კარგადა აქვს შესწავლილი? და აი, სწორედ ჩვენ მიერ გამოცემული „ეპისტოლეთა წიგნის“ წინასიტყვაობაში მოტანილია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომიდან სათანადო აღგილი, სადაც სიტყვასიტყვით შემდეგს ვკითხულობთ: „1901 წელს გამოიცა «*Գիրք թղթից*» — „ეპისტოლეთა წიგნი“, სწორედ ის წყარო, რომელსაც უხტანესი ემყარებოდა... სამწუხაროდ, ეს ძეგლი კრიტიკულად გამოცემული არ არის. უხტანესის ნაშრომისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ შედარება კი ცხადყოფს, რომ მიწერმოწერის ტექსტი ამ კრებულში სრულად არ ყოფილა დაცული და საერთოდ, მეტადრე კი ზოგიერთის აღსადგენად ჭერ კიდევ წინასწარი მუშაობაა საჭირო, რომელიც აქამდე არავის გაუწევია“. იქვე, სქოლიოში ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ასეთი სამუშაოს შესრულება „აუცილებელი, მორიგი საკითხია“¹⁷⁵. ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილი არამცთუ „შორს იყო იმ აზრისაგან, რომ შეიძლება უხტანესის ტექსტით გაკონტროლდეს „ეპისტოლეთა წიგნი“, არამედ სამუშაო გეგმაც უსახავდა სპეციალისტებს: უფრო მეტიც, მის აღრინდელ ნაშრომში «История церковного разрыва между Грузией и Арменией», ვკითხულობთ შემდეგს: «В большинстве случаев Ухтанес выписывает из своего источника точно; есть, конечно, разночтения, но часто, и мен-

¹⁷⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 07; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 376.

ხო უ'უხთანესა ბუაუთ სოხრანენო ბოლენ დრენ-
ლენ ჩენენ; ნერედკო, ვპრეჩენ, პრედპოჩენენ პრეჩენენ
დაუთ «კნენე პენენ». ტაკ კაკ ვ პერვონაჩალენო ვენე ტენსტ
პერენენსკენ დო ნას ნე დოშენ, თო დენ ვოსტანოვლენენ
ენო ნეობხოდენო პოლენოვარენ ბოენენ პანენ-
ნენკენ»¹⁷⁶.

3. 3. მურადენენ მადალ შეფასენბას აძლენეს უბტანენს როგორც
ენსტორენკოსს, ადარენბს მოსენ ხორენენლსა და სტენფანოზ ორბენლ-
ანს, მოგვენთხრობს როგორ იყენენბს იგენ წენაროენბს სათანადო მენ-
თენთენბით, რომ მენს ძენრენთად წენაროს წარმოადგენს „ენენსტოლენთა
წენგენ“ და ამენს დასასაბუნთენბლად სქოლოენოში მოაქენს რუსულ ენა-
ზე უთარგმენლად უამრავენ ცენტატა უბტანენსენს თხზუნენბენდენ, რო-
მენლსაც პეტენრენთ აწენობენლს თენთქმენს ორენ გვერდენ უკავენა. ცენტა-
ტენბს არავენთარენ კავშირენ არა აქენს საკენამთო საკენთხთან და, 3. მუ-
რადენენსენსავენ სენტყვენბით რომ ვთქვენთ, მოტანენლია „ნენ კ მესტუ“.

უბტანენსენს მუშაობენს მეთოდენს დასახანსენათენბლად რენცენზენის ავ-
ტორენ წერს: „В процессе работы он убедился, что должны были
существовать дополнительные послания-источники по интересую-
щему вопросу, каковых нет в «Книге писем», и он их находит
в других источниках и списках“ (გვ. 53)

მენვაქცენოთ ყურადღენბა, რომ ამ სენტყვენბს წერს მკენლენვარენ,
რომენლენც სულ ერთენ აბზაცენთ ზენენთ გვენკრძალავდა უბტანენსენს
ტენქსტენს გამოყენენბას „ენენსტოლენთა წენგენს“ გასაკონტროლენბლად.
რამდენენმენ გვერდენს შემდგენ ავტორენ, რომენლენც გვენმტკენცენბდა
უბტანენსენს გამოარკენვენ, რომ „ენენსტოლენთა წენგენს“ „რალაც აკლდა
და სხვენა წენაროენბსა და ნუნსენბში მოენძენიო იგენ“, კვლავ იმენო-
რენბს: „Теперь мы убедились, что в восстановлении нуждается
именно текст послания у Ухтанеса, а им контролировать
текст из «Книги писем» при всем желании невозможно“
(გვ. 59). ენს კენდენვ არაფერენ. მკენთხვენლს შევენახსენგენბთ, რომ უბ-
ტანენსენს რენდაქცენას სადავო ხაკენთხში იმენტომ ვანენქენბდენთ უბენრ-
ტენსობას, რომ ენსტორენკოსს თავენს დროზე საშუნალენბა პქონდა გ-
დაენსენჩვა „ენენსტოლენთა წენგენს“ სხვენადასხვენა ნუნსენა და, შესაძლოა,

¹⁷⁶ И. А. Джзв а х о в, История церковного разрыва между Грузией
и Арменией в начале VII века, СПб, 1908, გვ. 438.

შაქს ვ ილუსტრაციუ სუი პერვოისტოიჩნიკ ი თ. დ." (გვ. 54). შუმ-
ლეგ პ. მურადიანი არწმუნებს მკითხველს, რომ უხტანესი „სоставляет
не сборник документов, а документированную историю. Это раз-
ные вещи. З. Алексидзе, к сожалению, не считался (или не
хотел считаться) с этим существенным обстоятельством, хотя,
судя по его цитатам, он его хрсршо знал" (გვ. 54-55).

საყურადღებოა, რომ „с этим существенным обстоятельством
не считался (или не хотел считаться)“, ჩვენს გარდა, მ. აბელიანიც,
რომელსაც ძნელად რომ ჩვენმა რეცენზენტმა არაობიექტური უწოდოს.
აი, რას წერს იგი თავის „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორიაში“:
„Она (უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“
— ზ. ა.) представляет собою сборник официальных документов,
почерпнутых из «Книги посланий»¹⁸⁰. კომენტარები, ვფიქრობთ,
ზედმეტია!

ცდება პ. მურადიანი, როცა წერს: „Он (უხტანესი— ზ. ა.) бук-
вально говорит, что ему пришлось пересказывать текст (*կրկնա-
բանիսալ*) сохраняя нужные места (*գպիտանիսն*)“ (გვ. 54) *կրկնա-
բանիսაլ* ნიშნავს არა пересказывать-ს, არამედ „გამეორებას“ და ამას
არსებითი მნიშვნელობა აქვს. პ. მურადიანი ცდილობს დაარწმუნოს
მკითხველი, თითქოს უხტანესს თავის თხზულებაში დოკუმენტები კი არ
შეაქვს, არამედ მხოლოდ მათ შინაარსს გადმოსცემს. გარდა ამისა პ. მუ-
რადიანის მიერ მოტანილი უხტანესის სიტყვები ეგება არა დოკუმენ-
ტებს, არამედ მათთვის დართულ კომენტარს.

უხტანესის შემოკლებებთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია
ასეთია: უხტანესი ტექსტს ამოკლებს ისე, რომ სომხური ეკლე-
სიისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტები შეინარჩუნოს. ყველა-
ფერს, რაც მნიშვნელოვანია, იგი არა მარტო ტოვებს დოკუმენ-
ტებში, არამედ გადააქვს თავის კომენტარებში და რამდენჯერმე
იმეორებს კიდევ: ასეთ ვითარებაში შეუძლებელია მას მათთვის მიერ ქართული დამ-
წერლობის შექმნის შესახებ ცნობა გამოე-
ტოვებინა ტექსტში, ხოლო დართულ კომენ-
ტარებში რამდენჯერმე არ ეხსენებინა. ეს ხომ
სწორედ ის არგუმენტია, რომელიც XIII საუკუნეში გამოიყენა
ვანაკანმა.

¹⁸⁰ М. А б е г я н, История древнеармянской литературы, гв. 447.

3. მურადიანი არ უარყოფს, რომ უხტანესი ტექსტს ამოკლებს. პირიქით, იგი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მკითხველს აგრძნობინებს, რომ ასეთ შემოკლებებში მოყვა ცნობა „Об известном маштоцевском деянии“. აქ იგი ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილს და მიუთითებს: „Акад. И. А. Джавахишвили совершенно точно определено, что Ухтанэс приводит письма «но цитует их не полностью, а эксцерпирует то, что ему необходимо». Он тоже цитует слова Ухтанэса: «...но в конце и середине каждого письма имелись и другие повествовательные слова, которые мы не считали ни важными ни нужными...» (გვ. 54). აქ წყვეტს ივ. ჯავახიშვილის ციტატას 3. მურადიანი და მრავალი წერტილის ანაბარა ტოვებს მკითხველს. რატომ? აი, სინამდვილეში რას „აღიტირებს“ უხტანესის თხზულებიდან ივ. ჯავახიშვილი: „...но в конце и середине каждого письма имелись и другие повествовательные слова, которые мы не считали ни важными, ни нужными, все же доказательное и интересное для нас мы выписали многое по одному разу а часть дважды для того, чтобы точно обследовать вопрос и вам, духовный отец представить в ясном виде“¹⁸¹.

5. 3. მურადიანმა ერთმანეთის პარალელურად დააყენა აბრაამის მესამე ეპისტოლეს ორი ვარიანტი, დაცული „ეპისტოლეთა წიგნში“ და უხტანესის „ისტორიაში“, რის შემდეგ დაასკვნა: „Теперь после этого текстологического сравнения, ясно, что Ухтанэс сокращал не только те места, «где пространно говорится об истории все-ленской церкви или же о догматических вопросах», как уверяет своего читателя З. Алексидзе, но и места, имеющие непосредственное отношение к дискутируемым между католиками вопросам, даже аргументы“ (გვ. 59).

ჩვენი ნაშრომის იმ თავიდან, სადაც სპეციალურად განხილულია უხტანესის რედაქცია, 3. მურადიანს შეეძლო მკითხველისათვის ასეთი ციტატა მოეტანა: „უხტანესის შემოკლებები ძირითადად ქრისტიანული ეკლესიის ისტორიასა და დოგმატიკას შეეხო. ყველაზე უფრო ძლიერ ისტორიკოსს შემოკლებული აქვს კირონის წერილები“¹⁸². ამრიგად, ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ უხტანესი ძირითადად ეკლესიის ისტორიასა და დოგმატიკის საკითხებს ამოკლებს, ხოლო კირონის

¹⁸¹ И. А. Джавахов, История церковного разрыва.... გვ. 438.

¹⁸² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 013.

წერილებში ამ საკითხებზე საერთოდ არც ერთი ზიტყვა არ არის ნათქვამი. მაშასადამე, მათი შემოკლება სხვა რამის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ყველა შემოკლება ჩვენ მიერ ტექსტის სქოლიოშია მითითებული, ისე რომ დაინტერესებული მკითხველი ამომწურავ ინფორმაციას იღებს.

აბრაამის მესამე ეპისტოლეში პ. მურადიანს აღნიშნული აქვს შვიდი შემოკლებული ადგილი. აქედან სამი, მისივე დასკვნით, მართლაც ქრისტიანული ეკლესიისა და დოგმატიკის საკითხებს ეხება „Остальные же, а их больше, относятся к существу послания“ (გვ. 59). ამ დარჩენილი ოთხი ადგილიდან ერთი საკამათოა და ანბანის გამოგონებას ეხება. მაშასადამე, დარჩა სამი შემოკლება, ხოლო, а их больше უბრალოდ ეფექტისათვის იყო ნათქვამი.

რადგან პირველი ჩჯუფის მაგალითებს პ. მურადიანი საკამათოდ არა ხდის, ჩვენც მას თავს დაეანებებთ. რაც შეეხება მეორე ჩჯუფის მაგალითებს, საქმის ვითარება ასეთია:

№ 1. „რასაკვირველია ეკლესიის წინამძღვარმა და მეთაურმა საკმაო ცოდნა უნდა მიიღოს და ისწავლოს, ასე ღმერთი უფრო შეიყვაროს, ვიდრე ძმა და ყველა საყვარელი და მაშინ ღმრთის შვილიერების ღირსი იქნება; უფრო კი იმისათვის, რომ შეინძნებოდეს სიყვარულს მიმართოს, რომ მოგეხათრო და მოციქულის მცნებას ველოდო“¹⁸³.

ამრიგად, აბრაამი კირონის ძმურ სიყვარულს ეძებს, ხოლო უხტანესი და X საუკუნიდან მოყოლებული ყველა სხვა ისტორიკოსი, ცდილობს ქართლის კათალიკოსი ეპისკოპოსობამდე თუ არა, არქიეპისკოპოსობამდე მაინც ჩამოაქვეითოს, აბრაამის ხელქვეითად გამოაცხადოს. გამოტოვებს თუ არა ასეთი ისტორიკოსი აღნიშნულ ადგილს, თუ კი ტექსტის შემოკლებას მაინც აპირებს? რა თქმა უნდა, გამოტოვებს. ასეც რომ არ იყოს, იგი არ არის მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არგუმენტის თანაბარი ღირებულებებისა და საქმე, რასაკვირველია, არ ეხება „ეპისტოლესს არს“.

№ 2. „რომ ამბობთ, ჩვენ ახლაც მამული სჯული გვაქვსო, თუ მამული სჯული გაქვთ, ჩვენ რა გვაქვს გა-

¹⁸³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 92.

მოსარკვევი, ან მთელი ეს შრომა რატომ ვისურვეთ, რომ დაგენახათ, თუ მისგან არ შეიცვალეთ? იმიტომ დაიწერა ჩვენგან ეს მესამე წერილი თქვენი სიწმიდისადმი, რომ წერია «პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცების ყოველი სიტყუაჲ»; რომ ადრე ჩვენი ორივე ხალხის მოღვაწე მამები, რომლებიც ამ სამწყსოში არიან განწესებული, რომლებიც ჩვენა გვაქვს, მათთან ერთად ყოველ სიკეთეს ეზიარებოდნენ და ყველა ბოროტებას განშორდებოდნენ, თქვენი სიწმიდისათვის მგონია ცნობილია“¹⁸⁴.

მკითხველს, რომელიც მთლიანად არ იცნობს უხტანესის თხზულებას, მართლაც შეიძლება გაუჟკირდეს, რატომ შეამოკლა ამ ადგილას ისტორიკოსმა ტექსტი. მაგრამ საკმარისია უხტანესის „ისტორიის“ თუნდაც ზერელე გადაკითხვა, რომ ნათელი გახდეს: ზემოთ მოტანილი საკითხი, სხვადასხვა ვარიანტით, თითქმის ყველა წერილშია გადმოცემული და მეორდება უხტანესის კომენტარებში. ეს კიდევ არაფერი, თვითონ აბრაამის მესამე ეპისტოლეშიც რამდენგანმეა გამეორებული და ქართველი ეპისკოპოსების სიაც ზომ ძველი ერთობის დასამტკიცებლად არის მოტანილი. ცხადია, უხტანესს ტექსტის შემოკლებისას ადვილად შეეძლო ერთი ასეთი ადგილი გაეწირა და მისი შედარება მაშტოცის მიერ დამწერლობების შექმნასთან, რომელიც მთელს წიგნში არც ერთგან არ არის დასახელებული, არ შეიძლება. ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, რომ უხტანესი ჰაკითხების გამეორებას ყურადღებას აქცევდა. ეს მოჩანს ამავე მესამე ეპისტოლესა და კირონის პასუხისათვის დართული კომენტარებიდანაც. როდესაც სწორედ ქართველთა და სომეხთა საეკლესიო მამების ძველი ერთობის შესახებ საუბარს ამთავრებს, უხტანესი მიმართავს თავის „მეცენატს“: „ეს არა ერთხელ და ორჯერ დაგვიწერია სხვა ადგილას. არის [ისეთი] რამ, რაც თვითვე წერილში [წერია] და ისეთიც, რომელიც ჩვენ გავიშეთ. [ასე], რომ, ვფიქრობ, ვერ გადავირჩინთ თავს თქვენი განკიცებისაგან. მაგრამ იცოდეთ, როცა სწეულს მწეავე ტკივილი შეეყრება, მრავალი ოხვრა აღმოხდება“.

¹⁸⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 93. ეს შემოკლება შედის პ. მურადიანის მიერ № 2-ით აღნიშნულ ციტატაში, სადაც ლაპარაკია მაშტოცის მიერ ქართული და სომხური ანბანის შექმნის შესახებ. იმიტომ სამი შემოკლების მაგიერ, ოთხის შესახებ გვიხდება მსჯელობა.

როგორც მოტანილი ციტატიდან (და კიდევ სხვა არაერთი ადგილიდან) ჩანს, უხტანესს ზოგი არგუმენტის ბეგრჯერ გამეორება უხდებოდა, მაგრამ მექანიკურად არც ამას აკეთებდა; ცდილობდა, სადაც შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.

№ 7. ამ ადგილას აბრაამი აცნობებს კირონს, რომ ქართლის ეპისკოპოსების სია, რომელიც მან ქართველთა და სომეხთა ძველი საეკლესიო ერთობის დასამტკიცებლად მოიტანა, გადმოთარგმნილია ბერძნულიდან, ვინაიდან მისი სომხური დედანი დაკარგულია; ხოლო ბერძნულიდან წესიერად გადმოთარგმნა ვერ მოხერხდა და ამიტომ საეპისკოპოსოთა სახელები ძლიერ არის დამახინჯებულიო¹⁸⁵. რატომ უნდა ამოეღო ეს ადგილი უხტანესს დოკუმენტიდან? მისი ამოღებით სომხური ეკლესიის პოზიციას არაფერი აკლდებოდა, საეპისკოპოსოთა სია კი სწორედ ასეთი შემოკლების შემდეგ უფრო ძლიერი არგუმენტის ძალას იღებდა. საქმე ის არის, რომ აბრაამის ზემოთ მოტანილ განმარტებას კრიტიკულად განწყობილ მკითხველში შეეძლო ეჭვი შეეტანა დოკუმენტის სინამდვილეში. ასეთი ეჭვი რომ მოსალოდნელი იყო, გამოჩნდა 13 საუკუნის შემდეგ, „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოქვეყნებიდან პირველსავე წლებში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით: „Сомнение могло бы вызвать еще и третье послание католикоса Авраама на имя грузинского католикоса Кюриона, особенно та часть послания, где приводится список епископов подписавших, совместно с армянскими иерархами, постановление поместного антихалкедонского собора. По словам армянского католикоса Авраама, этот документ представляет из себя перевод с греческого, который со своей стороны, является переводом с оригинала, — перевод же с греческого был сделан потому-де, что армянский оригинал этого памятника утерялся во время восстания“¹⁸⁶. ეჭვი, რომელსაც მართლაც იწვევდა აბრაამის მესამე ეპისტოლეს აღნიშნული ადგილი, გაფანტა თვითონ ივ. ჯავახიშვილმა, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საუცხოოდ შეისწავლა ფილოლოგ-ენაიეცნიერის თვალსაზრისით. ცხადია, უხტანესს არც თვითონ შეეძლო ასეთი კვლევა ეწარმოებინა და არც თავისი მკითხველის იმედი უნდა ჰქონოდა, ხოლო ეჭვების თავიდან ასაცილებლად, რა თქმა უნდა, მისი ამოღება ჯობდა. აქვე ერთხელ კიდევ

¹⁸⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 93.

¹⁸⁶ И. А. Джавахов. История церковного разрыва..., გვ. 445.

გავუსვამთ ხაზს, რომ არც ამ ადგილს აქვს სომხური ეკლესიისათვის არგუმენტის ღირებულება და მისი შედარება საკამათო წინადადებასთან არ შეიძლება.

№ 6. ეპისკოპოსების სიაში უხტანესს გამოტოვებული აქვს სამი საეპისკოპოსო ერთმანეთის მიყოლებით — კისდად, წილკან, მიდამილ¹⁸⁷. 3. მურადიანი ამ გარემოებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და წერს: „Куда сложнее обстоит дело с сокращением епископских имен; считать их интерполяцией в «Книге писем» невозможно (Авраам дает специальное разъяснение этого, выдумывать таковые никакому бы переписчику не пришло бы в голову)“ (გვ. 59).

საქმე კვლავ მცდარად დაყენებულ პრობლემასთანა გვაქვს. 1. აბრაამი განმარტებას იძლევა ეპისკოპოსების საერთო სიის, რიცხვის დაუსახელებლად, და არა ცალკეული წევრების შესახებ. საერთო ჭია აქვს უხტანესსაც და აბრაამის განმარტება გადამწერებს ხელს ვერ შეუშლიდა, სიისთვის რაც უნდოდათ დაეკლოთ ან მოემატებინათ. 2. ის გარემოება, რომ სამივე საეპისკოპოსო ერთმანეთის მიყოლებით არის გამოტოვებული, გვაფიქრებინებს, რომ უხტანესს, ან მის გადამწერს, უნებლიეთ გამორჩა ისინი საერთო დიდი სიის გადამწერისას. ასევე გამორჩა უხტანესის ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერს ეპისკოპოსი იოჰან ცურტავის ეკლესიის მწყემსთა სიაში. გულუბრყვილობა იქნებოდა აქ შეგნებული შემოკლება გვევარაუდა. 3. არც ის არის გამორიცხული, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ სიას შემდეგ ჰქონდეს დამატებული სამი საეპისკოპოსო სხვა წყაროს საფუძველზე. ვინც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ჩვენ კომენტარს დაკვირვებით წაიკითხავს, შეამჩნევს, რომ ზოგი გამოთქმული ვარაუდითა და მოსაზრებით უპირატესობა შეიძლება უხტანესის სიას მიენიჭოს. 4. როგორც არ უნდა იყოს, 24 ეპისკოპოსიანი სიაში სამის დანაკლისი არ შეიძლება მაშტოცის მიერ ანბანებას შექმნის შესახებ ცნობასთან ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ.

სულ ეს არის ის შემოკლებული ადგილები, რამაც 3. მურადიანს ათქმევინა: „3. Алексидзе ни эти имена, ни что либо другое из всех семи приведенных примеров не считает интерполяцией, за исключением одного предложения, т. е. «*ეს ეკრიე ბანსაღწო-
թქუნ...*»“ (გვ. 59). სწორედ რომ ასეთი მოტანილი შვიდი მაგალითიდან ყველა შეიძლება იყოს შემოკლებული და მათ შემოკლებას

¹⁸⁷ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 97.

აზრი აქვს, რადგან საკმაოდ დიდ მონაკვეთებს მოიცავენ. ხოლო მაშტოცის მიერ ანბანების გამოგონების შესახებ ცნობას ვერ ჩავთვლით შემოკლებულად, იმდენად საჭიროა იგი უხტანესისა და მისი გადამწერებისათვის და იმდენად პატარაა მოცულობით (სულ სამი სიტყვისაგან შედგება წინადადება). რომ უხტანესს საერთოდ არ უნახავს ისეთი ხელნაწერი, რომელშიც სადავო წინადადება იქნებოდა, ამაში გვარწმუნებს აბრაამის მესამე ეპისტოლესათვის წამძღვარებული კომენტარი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „იმის შესახებ, რაც მოხდა აბრაამის მეორე ეპისტოლესა და კირონის პასუხის შემდეგ“. კომენტარში დაწვრილებით არის მოთხრობილი მესამე ეპისტოლეს შინაარსი და არსად არ იხსენიება მაშტოცის მიერ ქართული და სომხური ანბანების შექმნა. ჩვენ ერთ-ხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ უხტანესს, შესაძლოა, საერთოდ არა ჰქონდა ცნობები „Об известном маштоцевском деянии“. მე-18 თავში იგი ქართლის ისტორიას ჰყვება და წერს: „ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ [კი] ქართველნი ეწოდებათ. განმტკიცდნენ ტომითაც, ენითაც, და მ.წ. ე რ ლ ბ ი თ ა ც, პატრიარქობითაც და მეფობითაც, რომლებიც ჩვენგან გამოყო, გამოაცალკევა და განაშორა კირონ სკუტრელმა“¹⁸⁸. შესანიშნავი შესაძლებლობაა კვლავ მაშტოცის დამსახურებისათვის ხაზგასასამელად. მაგრამ, ჩანს, უხტანესი ისეთი წყაროებით სარგებლობს, რომლებშიც მსგავსი არაფერი წერია.

ბოლოს, რა დარჩა ხელთ პ. მურადიანს უხტანესის ტექსტის შესწავლის შემდეგ? გამოვიდა, რომ უხტანესმა, რომელიც „приятно отличается от многих других средневековых авторов... умением сопоставить разнотипные материалы... является достойным продолжателем методологии Моисея Хоренского и предшественником Ст. Орбеляна, дополнительные послания-источники по интересующему вопросу... находит в других источниках и списках... обращается к предшествующим историкам, к живым преданиям и рассказам... как пытливый историк не ограничивается даже одними армянскими источниками... не скрывает свою тенденцию... сохраняя нужные места“, საკვებით მოულოდნელად თავის უმნიშვნელოვანეს წყაროში („ეპისტოლეთა წიგნში“) შეამოკლა „места, имеющие непосредственное отношение к дискутируемым между католиками вопросам, даже аргументы“.

აი, ასეთი დებულების ავტორი გვიკვირებს ჩვენ: „У З. Алексидзе было до того большое желание убедить читателя и избавиться от незатронутого до него выражения, что он искажил характер сокращений у Ухтанэса“ (გვ. 59). ერთი ვკითხვით, რა ხასიათის შემოკლებები აქვს ჩვენს რეცენზენტს მხედველობაში? ისეთი, როცა უხტანესი „საჭირო ადგილებს ინარჩუნებდა“, თუ ისეთი, სადაც „არგუმენტბსაც“ კი ამოკლებდა. დამახასიათებელია, რომ ასეთი მოზაიკური მსჯელობის შემდეგაც კი ვერ დაასკვნა პ. მურადიანმა: მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შესახებ ცნობა უხტანესმა ამოიღო აბრაამის მესამე ეპისტოლედან მისი შემოკლების მიზნით. ხოლო სანამ ამას პირდაპირ არ გვეტყვის, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვიკვლიოთ, რა დაემართა უხტანესის ტექსტში აღნიშნულ წინადადებას და ისიც კი „გავბედოთ“, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ გვიანდელ ინტერპოლაციად მივიჩნიოთ.

6. რეცენზიის ბოლოსთვის პ. მურადიანმა შემოინახა, თავისი შეხედულებით, უძლიერესი არგუმენტი: ჩვენება სამი ხელნაწერისა, რომლებშიც ვკითხულობთ ჩვენ მიერ ინტერპოლირებულად შეფასებულ ფრაზას მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობების შექმნის შესახებ.

1. ვენის მხითარისტების კონგრეგაციის ბიბლიოთეკის № 610 ხელნაწერის შესახებ მსჯელობას პ. მურადიანი ნ. აკინიანის მითითებით იწყებს, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ხელნაწერში კირონისა და აბრაამის მიმოწერა უეჭველად ვადწერილია D-დან, ე. ი. 1901 წელს თბილისში გამოქვეყნებული ხელნაწერიდან¹⁸⁹. რეცენზენტი იქვე დაუმატებს, რომ იგივე გამეორებული აქვს ზ. ალექსიძეს (გვ. 59). ამრიგად, პ. მურადიანმა კრიტიკა ისეთი მონაცემებით დაიწყო, რომელიც თითქოს ჩვენი შეხედულების სასარგებლოდ უფრო ლაპარაკობდა. მაგრამ ქვემოთ გამოჩნდება, რომ იგი სიუპრიზს გვიმზადებს. თანდათან „ირკვევა“, რომ ხელნაწერის თარიღი (1788 წ.) და შემდგენლის სრულიად გარკვეული ცნობა, სად და როგორ ადგენდა კრებულს, არაფერს ნიშნავს: „Изучение всего содержания рукописи по описанию А. Воскряна, привело нас к выводу, — წერს პ. მურადიანი — что к концу XVIII века не было необходимости по разным источникам составлять подобный сборник, ибо они уже имелись в более

¹⁸⁹ ნ. ალქიძის, სიღრიცხე კაპიტილია ქრთვ. გვ. 41.

რანний период, хотя записи писца (стр. 9r и 93r) наводят на мысль о составлении его писцом. Пожалуй, вернее было бы предположить, что писцом взяты из других источников лишь те документы, о которых он сам оговорился“ (გვ. 60).

რა შეიძლება ითქვას მთელი ამ მსჯელობის შესახებ? ის, რომ ხელნაწერის მინაწერები არა მხოლოდ „наводят на мысль о составлении его писцом“, არამედ გამორიცხავენ კიდევ სხვა ყველა ვარაუდს. შემდგენელს, რა თქმა უნდა, შეეძლო ესარგებლა და სარგებლობდა კიდევ სხვა კრებულებით (თუნდაც „ეპისტოლეთა წიგნით“), მაგრამ მთლიანად კრებული „ვენა № 610“ შედგენილია სწორედ მის მიერ და სწორედ 1788 წელს კონსტანტინოპოლში¹⁹⁰.

ჩვენი რეცენზენტი კიდევ უფრო აღრმავებს მსჯელობას აღნიშნული ხელნაწერის შესახებ.

«Копируя ответ Кириона на третье послание Авраама, писец счел нужным отметить, что «В этой части [текст] не достает, ибо дефектен оригинал, из-за падения листа», даже оставил место для дополнения. Издатель «Книги писем», специально описавший рукопись с пагинацией и отметивший все недостающие страницы, по состоянию списка не заметил таковое в части письма Кириона. Нужно полагать, что писец рукописи № 610 под рукой имел иной оригинал, неизвестную рукопись «Книги писем» (გვ. 60).

სანამ არსებითად გავარჩევდეთ ამ მოსაზრებას, გვინდა ორი შენიშვნა გავაკეთოთ: 1. პ. მურადიანმა ის კი უთხრა თავის მკითხველს, რომ ნ. აკინიანი ვენის ხელნაწერს „ეპისტოლეთა წიგნის“ D ხელნაწერიდან გადაწერილად თვლიდა, მაგრამ დანარჩენი მისი მსჯელობა აღარ ჩათვალა მოხსენიების ღირსად. საქმე ის არის, რომ ნ. აკინიანმა მშვენივრად იცოდა ყველაფერი ის, რაც ზემოთ გაითვალისწინა პ. მურადიანმა, და მაინც დაასკვნა: № 610 ხელნაწერის გადაწერის დროს „ეპისტოლეთა წიგნი“ უკვე დეფექტური იყო, აკლდა (ამოვარდნილი იყო) ის ივერდი, რომლის გამოც გადამწერმა თავისუფალი ადგილი დატოვა. 2. პ. მურადიანმა დაასკვნა, რომ № 610 გადაწერილია ისეთი ხელნაწერიდან, რომელიც დღეს ცნობილი არ არის და წინ უსწრებდა როგორც D-ს (1298 წ.), ისე C-ს (1271 წ.). ამრიგად, მეკვლევაში, რომელიც ზუსტად ერთი გვერდის წინ გვისაყვედურებდა: „З. Алексидзе... создал

¹⁹⁰ იხ. მიცესიკ ჩაქერენ მხოლოდრე შჩიქარხან მათხნაიარანსინ ქიქხნნა, ნ. პ. კაყმხე მ. იასკხან, ქიქხნა, 1963, გვ. 77-80.

воображаемое изображение рукописей“ მეორე გვერდზე თვითონაც ამ დასკვნამდე მივიდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მის მიერ ნაგარაუდები ხელნაწერი ნამდვილად ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ საინტერესო წინ არის. ნაშრომი უკვე დამთავრებული და შეიძლება აწყობილიც ჰქონდა პ. მურადიანს, როცა ვენიდან მხითარისტმა მ. გრიგორიანმა გამოუგზავნა № 610-ის კითხვა-სხვაობები შედარებით „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წლის გამოცემასთან. ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია, რა გამოუგზავნეს მას ვენიდან, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეფექტისმოყვარე მკვლევარმა ვერ დაწერა ისეთი სიტყვები, როგორცაა: „примеров оказалось утомительно много“, „огромное количество разночтений“. გარდა ამისა, მას სქოლიოში მოუხდა კორექტივიც კი შეეტანა „უცნობ“ ხელნაწერთან დაკავშირებით. „Наша работа была в наборе, когда о. М. Григорян любезно прислал разночтения венской рукописи. Выяснилось, что она восходит к одному с «Книгой писем» оригиналу“ (გვ. 60). ამრიგად, პ. მურადიანის ახალი მოსაზრებით, ვენა № 610 წი ნ კ ი ა რ უ ს წ რ ე ბ ს C-ს (1271 წ.), არამედ D ხელნაწერთან ერთად მის გან მომდინარეობს. ეს იყო მაქსიმუმი კომპრომისისა, რაზეც იძულებით შეიძლო წასულიყო ზემოთ გამართული მსჯელობის ავტორს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ჭერ კიდევ არ ვიცით № 610-ის კითხვა-სხვაობები (ვარიანტები).

დაუბრუნდეთ ახლა ისევ D ხელნაწერის დეფექტურ ადგილს. პ. მურადიანი გაკვირვებულია, რომ ხელნაწერს პაგინაცია თანმიმდევრული აქვს, პირველმა გამოცემულმა ხელნაწერი აღწერა, აღნიშნა სხვა დეფექტური ადგილები და კირონის მესამე პასუხში ნაკლები ადგილი კი ვერ შენიშნა.

რას წარმოადგენდა „ეპისტოლეთა წიგნის“ ხელნაწერი 1901 წლის გამოცემის წინასიტყვაობის მიხედვით? გამოცემლის შენიშვნით ხელნაწერს პაგინაცია გაბმით ჰქონია და არსად არ იყო დარღვეული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგან ფურცლები იყო ამოვარდნილი. მაგალითად, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეს ალბანელთადმი ბოლო აკლია, ხოლო მომდევნო კომიტასის წერილს — დასაწყისი, მიუხედავად იმისა, რომ პაგინაციაში ჩავარდნა არ არის (280-ს მოსდევს 281). ასევე ბოლო აკლია კელესტინოს პატრიარქის წერილს, ხოლო დასაწყისი — მომდევნო პეტრე პატრიარქის ეპისტოლეს, პაგინაცია კი აქაც თანმიმდევრულია (322-ს მოსდევს 323)¹⁹¹. განა ძნელი მისახვედრი იყო, რომ

¹⁹¹ ზიქრე რიგი, გვ. 8.

ამისა, პ. მურადიანმა მაინც იცის, „что эта рукопись... суть «интерполяцией» о грузинских письменах“. რადგან პ. მურადიანს აღნიშნული ხელნაწერის ასე დეტალურად გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდა, მას უნდა შეემჩნია სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც.

საქმე ის არის, რომ № 63 ხელნაწერი, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, გადაწერილია „ეპისტოლეთა წიგნის“ D ნუსხიდან. გარდა იმისა, რომ იგი სიტყვასიტყვით ემთხვევა D-ს, გამორჩენია იგივე წინადადება, რაც გამორჩა მის დედანს (*აჲრარქჲ სრქსჲჲ ლ ხრ-
კრქ ლ ჰ მქ...*), ტოვებს შეუვსებლად იმ ადგილებსაც¹⁹³, სადაც ეს უკანასკნელი დაზიანებულია და ტექსტი არ იკითხება. გადამწერი მოდის სწორედ იმ ადგილამდე, სადაც ერთი ფურცელი აკლია D-ს და ვენა № 610-ს და ასეთ შენიშვნას აკეთებს: დედანს ამ ადგილას გვერდები აკლავ, ვინაიდან ტექსტის მიხედვით ოთხი კრების შესახებ უნდა იყოს საუბარი და წინა ორი არა ჩანსო. თუმცა გვერდების სათვალავი სწორია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან იგი შემდეგ არის გაკეთებული, როგორც ნაწერის განსხვავებულობა გვიჩვენებსო. ასეთი დანაკლისები წიგნში მრავლად მოიპოვება, თუმცა პაგინაციას არ ეთანხმებაო. ამრიგად, № 63 ხელნაწერის გადამწერმა შეამჩნია სრულიად მარტივად შესამჩნევი ვითარება, რაც, რა თქმა უნდა, „ეპისტოლეთა წიგნის“ გამომცემელსაც უნდა შეემჩნია და მით უფრო პ. მურადიანს.

3. ერევნის „მატენდარანში“ ინახება ორი ხელნაწერი კრებული (№№ 3062, 2966), რომლებშიც შედის რამდენიმე წერილი „ეპისტოლეთა წიგნიდან“. ჩვენ თავის დროზე ეს ხელნაწერები ვერ გამოვიყენეთ, რისთვისაც არ ვიხსნით თავიდან პასუხისმგებლობას. რაც შეეხება მკითხველისათვის მათ განზრახ დამალვას, ამას კი გადაჭრით უარვყოფთ. წიგნის ბეჭდვის დროს ჩვენ მაინც მივუთითეთ ნომრების აღნიშვნით, რომ არსებობს ისეთი ნუსხები, რომლების გათვალისწინებაც ვერ შეეძლებოდა¹⁹³, თუმცა დიდ მნიშვნელობას მათ არ ვანიჭებდით თითქმის ისევე, როგორც № 610-სა და № 63-ს ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი ეს ხელნაწერები გვიანდელია (XVII და XVIII სს), რის შესახებაც არაფერს წერს პ. მურადიანი, ხოლო მეორეც, ნ. აკინიანი თავის დროზე წერდა, ეჩმიადინის (ახლა მატენდარანის) ორი ხელნაწერი C-დან (ორიგინალი ჩვენამდე მოღწეული D ხელნაწერისა) ან თვითონ D-დან

¹⁹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 012.

უაზრობაა. ჩანს, დედანი დაზიანებული იყო და გადამწერმა ცუდად გადმოიღო. № 3052-ის გადამწერი დედანში დაზიანებებს ამჩნევს და წერს: *ჩ მნ... მჩ ი.ნ.ჩ.რ...*

ამრიგად, ჩვენი შეხედულებით, აბრაამის მესამე ეპისტოლეს ტექსტის კრიტიკის დროს ერთგვარად ანგარიში შეიძლება გაეწიოს უხტანესის თხზულების გარდა „სარწმუნოების ბეჭედსა“ და № 3062-ს. ეს ორი უკანასკნელი გადმოწერილი უნდა იყოს „ეპისტოლეთა წიგნის“ ისეთი ნუსხიდან, რომელიც დიდად არ უნდა უსწრებდეს წინ ჩვენამდე მოღწეულს (თარიღდება დაახლოებით 1271 წლით). შეიძლება რაიმე ჩვენს ვარაუდში ამით, თუ არა? რა თქმა უნდა, არა.

ჩვენ თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ ინტერპოლაცია გაკეთებულია X საუკუნის შემდეგ, სწორედ X—XIV საუკუნეების მანძილზე, როცა საერთოდ განშირდა ასეთი თვალსაზრისებით ძველი ტექსტების გადასინჯვა. პ. მურადიანის რეცენზიამ მკითხველს შეიძლება მხოლოდ ის აჩვენოს, რომ ინტერპოლაცია 1298 წლამდეა გაკეთებული.

7. თავის რეცენზიას პ. მურადიანი ამთავრებს „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე შემაჯამებელი დაკვირვებით. იგი მცდარად თვლის ნ. ადონცის განმარტებულ დებულებას, რომელიც ჩვენს ნაშრომშიც არის მოტანილი, „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტში გვიანდელი რედაქტორების მიერ ცვლილებების შეტანის შესახებ, პ. მურადიანის აზრით, „Такое обобщающее заключение на том основании, что автор усомнился «в подлинности отрывка об Амплии и Анатолии», представляется неоправданно категоричным“. ჩვენი რეცენზენტი თვლის, რომ „К. Тер-Мкртчян специально коснулся затронутого Адонцем вопроса, обстоятельно доказав неправильность постановки проблемы и дал всему этому совершенно иное объяснение... Так что искать в них подкрепление своих соображений, как это делает З. Алексидзе, нельзя (и не следует)“. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებითაც „ეპისტოლეთა წიგნი“ სანდო დოკუმენტი უნდა იყოს, სადაც „послания и ответы вполне гармонируют по содержанию“ (გვ. 62).

პ. მურადიანი მაინც შესაძლებლად თვლის ერთგვარ ცვლილებებს საუკუნეების მანძილზე „ეპისტოლეთა წიგნში“, მაგრამ რა ზასიათის? „В процессе неоднократных переписываний и копи-

როვანივთ ვთქვთ მტკიცეობის ნიშნად, რომელიც უნდა იყოს სწორად აღწერილი და დადასტურებული. რა თქმაობისა, მისი დასაბუთება უნდა იყოს სწორად აღწერილი და დადასტურებული. რა თქმაობისა, მისი დასაბუთება უნდა იყოს სწორად აღწერილი და დადასტურებული.

1. ნ. ადონცის შეხედულება „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილი გვიანდელი ცვლილებების შესახებ არ არის დამყარებული მხოლოდ ამპელიოსის ტიმოთე ელურთან გაიგივებაზე. იმავე ნაშრომში მას გამოთქმული აქვს სხვა მოსაზრებებიც, რომელთა შესახებაც პ. მურადიანი გაკვრით ამბობს „и другие замечания“¹⁹⁵. გარდა ამისა, ნ. ადონცს „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე არა ერთი დაკვირვება აქვს მოცემული ნაშრომში „მამტოცი და მისი მოწაფეები უცხო წყაროების მიხედვით“, სადაც იგივე დასკვნა გამოტანილი „ეპისტოლეთა წიგნის“ შესახებ. ამიტომ ნ. ადონცთან კამათის დროს, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, მისი ამ ნაშრომის გათვალისწინებაც არის აუცილებლად საჭირო. საჭიროა მისი ყველა შეხედულების დარღვევა, რომ უფლება მოიპოვო თქვა: „Искать в них подкрепление своих соображений как это делает З. Алексидзе, нельзя (и не следует)“.

2. მართალია კ. ტერ-მკრტიანი სპეციალურად განიხილა ნ. ადონცის შემომოტანილი დაკვირვება, მაგრამ ზოგადი სიტყვებით ნეგაციურად შორს არ წასულა¹⁹⁶ და პ. მურადიანის სიტყვები „К. Тер-Мкртчян дал всему этому совершенно иное объяснение“, მეტი რომ არა ვთქვათ, გაზვიადებულია. ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, რომ ნ. ადონცის სწორედ ეს შეხედულება მაინცაღამაინც სწორი იყოს (აკი ამიტომ „ეპისტოლეთა წიგნისათვის“ დართულ გამოკვლევაში არც კი გვიხსენებია ამპელიოსისა და ტიმოთე ელურის იგივეობის საკითხი), მაგრამ კ. ტერ-მკრტიანის მიერ შემოთავაზებული იდენტიფიკაცია (ამპელიოს-ამფილოქიოს) რომ დაუსაბუთებელია, ეს ცხადია. მთავარი კი ის არის, რომ ნ. ადონცის შეხედულება „ეპისტოლეთა წიგნში“ გვიანი დანამატების შესახებ დაფუძნებული იყო არა მხოლოდ ამპელიოსისა და ტიმოთე ელურის სახელების გაიგივებაზე, არამედ ბაბეგ კათალიკოსის II ეპისტოლეში ტიმოთე ელურის ანტიქალკედონური ტრაქტატის გავლენის კვალის აღმოჩენაზე. ნ. ადონცის ვარაუდით

¹⁹⁵ იხ. Н. Г. Адонц, *Апеллий епископ Херсонский* (К критике армянской „Книги посланий“), *Христианский Восток*, т. II, СПб, 1913.

¹⁹⁶ სმ. ნ. ადონცის, გვ. LXII-LXV.

3. ნ. აღონციის რომელიმე დაკვირვება „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე მცდარიც რომ იყოს, ცალკეულ მკვლევარებს მაინც რჩებათ უფლება გაიზიარონ მისი განმაზოგადებელი შეხედულება თავის გამოცდილებასთან შეფარდებით; სწორედ ისე, როგორც შეუფარდა ნ. მარის „формулировка“ ნ. აღონცის თავის დაკვირვებას „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე. ჩვენ აქ გავიხსენებთ მ. აბელიანის სიტყვებს ძველი სომხური წყაროების შესახებ: „Они не хотят признать того, что книги наших древних источников каковымы являются „Истории“ Агат’ангех’оса и Хоренаци, в течение веков подвергались изменениям, многое изъято из этих книг и многое интерполировано“²⁰³. თუ ეს შეიძლება ითქვას ისტორიკოსების შესახებ, რაღა ვთქვათ დოგმატური ხასიათის კრებულებზე, რომლებიც ყველა ისტორიულ ეტაპზე ეკლესიის მსახურთათვის სახელმძღვანელოდ ხელახლა ინუსხებოდა და რედაქტირდებოდა ეკლესიის დოგმატურ და პოლიტიკურ პოზიციებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. ამ ზოგად დებულებას თუ არ მივიღებთ, წელთ დაგვრჩება ისეთივე ბუნდოვანი შეხედულება, რაც გამოუვიდა პ. მურადიანს უხტანესის შესახებ, რომელიც სომხური ეკლესიისათვის „სასარგებლო“ ისტორიას წერდა და დოკუმენტებში „არსებითსა და საჭირო არგუმენტებს“ ამოკლებდა.

4. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება „ეპისტოლეთა წიგნზე“, როგორც სანდო წყაროზე, უეჭველად სწორია და ჩვენ ნაშრომშიც არაერთგან არის აღნიშნული. მაგრამ ასევე სწორად მიგვაჩინა ივ. ჯავახიშვილის სხვა დებულებაც, რომ «Книга писем» представляет из себя как бы оправдательный документ для армянской церкви; вследствие этого, письма в ней должны были быть подобраны с определенной тенденцией; все материалы, которые так или иначе могли служить не в пользу армянской церкви, очевидно, не были-бы помещены в сборнике“²⁰⁴.

თუ ამ დებულებას სწორად მივიჩნევთ პირველი რედაქტორების მიმართ, მისი უარყოფა კი შეუძლებელია, რა უფლება გვაქვს არ ველოდეთ ცვლილებებს კრებულის შემდგომი ექვსეულებისა და რედაქტირებისას. განა გვიანი ხანის რედაქტორები თავისუფალნი

²⁰³ М. А б е г я н, История древнеармянской литературы. I. გვ. 208.

²⁰⁴ И. Дж а в а х о в, История церковного разрыва. გვ. 440-441. იხ. აგრეთვე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 025-026.

იყვნენ ტენდენციურობისა და თავისი ეკლესიის საჭიროებათათვის ზრუნვისაგან? 205.

5. 3. მურადიანის ვარაუდი, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მომხტარი ცვლილებები მხოლოდ გადამწერების მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომებით განისაზღვრება, არ არის დაფუძნებული „რეალურ ვითარებაზე“. უფრო მეტიც, ასეთმა სახელმძღვანელო შეხედულებებმა, საყოველთაო იგაზიარების შემთხვევაში, შეიძლება საერთოდ დაუკარგონ ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინებს ყოველგვარი ფასი. რა თქმა უნდა, ასე არა ფიქრობდნენ ისეთი გამოჩენილი სომეხი მეცნიერები, როგორც იყვნენ და არიან მ. ორმანიანი, ნ. აღონცი, ნ. აკინიანი, ი. მანანდიანი, სტ. მალხასაანი, ვ. ჰაკუნი, ჟ. მესერიანი, ს. კოგიანი, ვ. ინგლიზიანი და სხვ., რომლებმაც არ დაიშურეს ენერჯია, რომ გაერკვიათ „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველ ნაწილში შედიოდა თუ არა საჰაკისა და პროკლეს, პოსე ხორენელისა და იოანე მანდაკუნის სახელებით ცნობილი ეპისტოლეები; საერთოდ არაავთენტურია თუ მხოლოდ ინტერპოლაციებულა ბაბგენის მეორე ეპისტოლე და მრავალი სხვა არსებითი თუ არა არსებითი საკითხი. ვფიქრობთ, დღეს უკვე უხერხულია თავის ისე დაქერა, თითქოს არც ასეთი სპეციალისტები არსებობდნენ როდისმე და არც მსგავსი უკვლევიათ რაიმე.

ან რატომ არის ასე წარმოუდგენელი ცვლილებების შეტანა გვიანდელი რედაქტორების მიერ ძველ საეკლესიო ტექსტებში? განა ერთი და ორი მაგალითი იცის მსოფლიო მწერლობის ისტორიაში მთელი წიგნების და დოკუმენტების შეთხზვისა ძველ და ავტორიტეტულ მოაზროვნეთა თუ საზოგადო მოღვაწეთა სახელით? ჩვენთვის დღეს საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ნიშანდობლივია XII-XIV სს-ში შექმნილი დოკუმენტი „კავშირის წიგნი“ (*Պաշանց թուղթ*), რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, კონსტანტინე დიდსა (324-337) და რომის პაპ სილიბისტროს, ხოლო, მეორე მხრივ, სომხეთის მეფის თრდატ III-სა (298-330) და იგი-გოლ იანმანათლებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას გავლენის სფეროების განაწილების შესახებ²⁰⁶. მეტი დამაჯერებლობის-

²⁰⁵ შტრ. Н. Марр. Крещение... стр. 158: „С наивностью, отличающею всякую молодую культуру, христианская жизнь в Армении без оглядки шла вперед, и ставя ровные вопросы, осуждала на гибель то, что не отвечало на них“.

²⁰⁶ Պաշանց բուղբ, քննութ. ու հերք. արար. Կ. Վ. Շահնազարյանց, Պարիս, 1862.

თვის „კავშირის წიგნში“ ნათქვამია, რომ იგი შედგენილია ლათინურ და სომხურ ენებზე; სომხური ვარიანტის ავტორია სომხეთის მეფის თრდატ III-ის კარის მდივანი და ისტორიკოსი ავათანგელოსი.

ხელშეკრულების მიხედვით კონსტანტინე იბატონებს დასავლეთის ყველა ქვეყანაზე, ხოლო თრდატი — აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაზე. სომხეთის კათალიკოსი გრიგოლი ცხადდება სომხეთის პაპად და პატრიარქად მსოფლიო კრების მიერ და იკურთხვის რომის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის პატრიარქებისაგან. „სომხეთის პატრიარქი ხელს ასხამს კათალიკოსს ქართველთა ქვეყნისა, რომელიც ჩვენს ნუნეს დაემოწაფა, და სადაც (ქართლში, — ზ. ა.) სომეხთა ნათესავი მოდებულია მთელ ქვეყანაში სხვაენოვან ქრისტიანებთან ერთად. უფლება აქვს სომეხთა პატრიარქს ხელი დაასხას მათ ეპისკოპოსს. ალბანთა ქვეყანაც დაემორჩილოს სომეხთა პატრიარქს და ალბანთა მეფის წარდგინებით სომეხთა პატრიარქმა ხელი დაასხას მათ კათალიკოსს. სამმა საპატრიარქომ — იერუსალემმა, ანტიოქიამ და ალექსანდრიამ — პატრიარქებს ხელი დაასხან სომხეთის პატრიარქის ნებითა და რჩევით. ვინც ახლად დაჯდეს საპატრიარქო საყდარზე თავისი საჩუქნოების აღსარება, რომელიც უნდა მე გამაცნონ (რომის პაპს, — ზ. ა.), სომხეთის პატრიარქსაც აცნობონ“. „სომხეთის პატრიარქის ბრძანება გავრცელდეს სომხეთში, საბერძნეთში (*ἡ ἑλλάς*), საქართველოში, ალბანეთში, ასურეთში, სპარსეთში, ზღვიდან ზღვამდე, მდინარიდან ქვეყნის კიდემდე და სამოთხის კარამდე“.

მიუხედავად იმისა, რომ რეალური ისტორიული პირობების დასახელებით (კონსტანტინე, სილიბისტრო, გრიგოლი, თრდატი) დოკუმენტის შემდგენელი ცდილობდა ტექსტისთვის სინამდვილის ელფერი მიეცა, შედეგს მაინც ვერ მიაღწია. აღწერილი სიტუაციები, ენა და ტერმინოლოგია, ქრონოლოგიაში აღრეულობა და მრავალი სხვა რამ, სრულიად უეჭველს ხდის მის არაავთენტურობას²⁰⁷.

წყაროთმცოდნე ტექსტოლოგთა ძნელი და საპატიო ვალი სწორედ ის არის, რომ ასეთი შემთხვევები, მხედველობიდან არ გამორჩეთ, თავი გაართვან წყაროთა თბიექტურ კრიტიკას და ისე ჩააყენონ ისინი თანამედროვე პუბლიცისტარული მეცნიერებების სამსახურში.

²⁰⁷ დაწვრილებით იხ. *ს. შკრუჯან, ჰინგერიე რარჩ რაყ რაყირიკიან. სრხპ., 1968, გვ. 228-237.*

უხტანესს თავის „ისტორიაში“ კირონის პასუხის სულ უმნიშვნელო ნაწილი დაუტოვებია.

1. გამოტოვებულია ვრცელი მსჯელობა კირონისა და მის დროს ქართული ეკლესიის ფანსაკუთრებულად დაწინაურების შესახებ, რომელიც „მთელს ქვეყანაზე ყველაზე მოწინავე და მართლმადიდებელი გამხდარა“²⁰⁸. გამოტოვებულია კიდევ ერთხელ გამოტოვებული საუბარი მოსე კათალიკოსთან მიმოწერისა და ნესტორიანების ჯერ შეწყნარების, ხოლო შემდეგ განდევნის შესახებ; საყვედურები ქართლის კათალიკოსის მიერ კრულყოფილი მოსე ეპისკოპოსის სომხეთის კათალიკოსისგან შეწყნარების გამო. ბოლოს გამოტოვებულია ოთხი მსოფლიო კრების ისტორია და სარწმუნოების სიმბოლო, დარიგება, რომ იცხოვრონ მათი მიხედვით²⁰⁹.

2. კირონ კათალიკოსის შედარებით მორიდებულად ნათქვამს „უნდა თუ არა ვისმეს, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“²¹⁰, უხტანესთან მიღებული აქვს უფრო მკაცრი სახე: „გნებათ, თუ არა გნებათ, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“²¹¹.

XXXIX. აბრაამ კათალიკოსის მნციკლიკური ვაისტოლე

1. ტექსტში ორგან ამოღებულია ვრცელი და ბუნდოვანი მსჯელობა, რომლითაც აბრაამ კათალიკოსს სურს თავმდაბლურად გაამართლოს თავისი ასვლა საპატრიარქო ტახტზე²¹².

2.

„... წვალების ცომი, ვითარცა სირსვილი ჯერაც ძოვს, ვიდრე თითქმის ამ მოსაზღვრე და ერთი სარწმუნოებით განათლებულ ქვეყნებს არ მიაღწია — ქართლსა და ალბანეთს ვიტყვო, რომელთაც მყრალი თესლი ზემო-

„...მწვალებელთა ცომი, როგორც სირსვილი ჯერაც ძოვს, ვიდრე არ მიაღწია თითქმის სიკვდილს, მით უფრო კი, ერთი მოძღვრებით რომ განათლდა, ქართველთა შესახებ ვამბობ, რომლებ-

208 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 100-101.

209 იქვე, გვ. 101-102.

210 იქვე, გვ. 102.

211 უხტანესი, გვ. 143.

212 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 112-114, 117.

თქმულთა დიდებით შეიწყნა- მაც მყარალი თესლი ზემო-
რეს“²¹³ თქმულთა დიდებით შეიწყნა-
რეს“²¹⁴.

უხტანესთან ტექსტი ისეა გადაკეთებული, რომ მისი შინაარსის გაგება „ეპისტოლეთა წიგნის“ გაუთვალისწინებლად თითქმის შეუძლებელია. გადაკეთება კი გამოიწვია უხტანესის სურვილმა ალბანეთი ამოეშალა აბრაამის ენციკლიკიდან. საქმე ის არის, რომ უხტანესის დროს ალბანური ეკლესია უკვე კარგა ხანია მონოფიზიტურია და, ჩანს, ისტორიკოსი მის კრიტიკას მიზანშეწონილად აღარა თვლის. მართალია, ქვემოთ უხტანესს მაინც დასახელებული აქვს ალბანეთი, მაგრამ იქ უბრალოდ მითითებულია იოანე გაბელუნელის მიერ აბას ალბანთა კათალიკოსისთვის ეპისტოლეს გაგზავნის ფაქტზე²¹⁵. უხტანესის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი დეფექტურია სწორედ იქ, სადაც აბრაამ კათალიკოსი ქართულ ეკლესიასთან ერთად წყევლის ალბანურსაც ქალკედონური მრწამსის არჩევის გამო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უხტანესს ეს ადგილიც შეცვლილი ექნებოდა ისე, რომ ალბანეთის ეკლესიის ხსენება შიგ ადარ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მისი თხზულების 68-ე თავი წარმოადგენს სწორედ აბრაამის ენციკლიკის კომენტარს და მისი შინაარსის გადმოცემას, ხოლო მასში ალბანეთის ეკლესია ნახსენები არ არის²¹⁶.

X ს-ში ალბანეთის ეკლესიის ისტორიის გადასინჯვაში უხტანესი მარტო არ იყო. ამ ხანებში მონოფიზიტურმა ეკლესიამ საერთოდ გადახედა თავის ისტორიულ მეხსიერებას და კავკასიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიის ახალი მოდელის შექმნა დაიწყო. კრიტიკულად გადასინჯეს თავისი ეკლესიის ისტორია ალბანეთის ისტორიკოსებმაც. მოსე კალანკატუელი უხტანესზე უფრო შორს წავადა და ასეთი კომენტარი გაუკეთა აბრაამ კათალიკოსის ენციკლიკას:

„აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს გამოეყენენ ქართველნი სომეხებთან ერთობას კირონის მიერ, ხოლო ბერძნები და იტალია — მათთან ერთად. მართლმადიდებლობა და სომეხებთან ერთობა არ დაარღვიეს ალბანელებმა, რომელთაც საყოველთაო ეპისტოლეთი აცნობა აბრაამმა კირონის ურჩობისა და მისი სული წმიდის მახვი-

²¹³ იქვე, გვ. 120.

²¹⁴ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 211.

²¹⁵ ტექსტისათვის იხ. წიქრე რევიე, გვ. 1-88; შ ი ლ ხ ა ხ ი ყ ა ო ა ნ კ ა -
თ ი ლ ა გ ე ლ ე ლ ღ ო მ ი დ ი ს ი ნ ს კ ო ი ა ნ ი ჯ ა ქ ს ა რ ი ჯ, შიქა., 1912, გვ. 137-142.

²¹⁶ უ ხ ტ ა ნ ე ს ი. გვ. 201-203.

ლით მოკვეთის შესახებ: აცნობა ჯერ ალბანელებს, გააგებინა და ასე მისწერა: «ალბანელთა საყდრისმცველობა, სომეხთა საყდრისმცველობაზე აღრე რომ იყო, ჩვენთან თანახმა იყო; მათთან ერთნებობით დავწყველეთ და გავაძევეთ კირონი ჩვენი და ალბანელთა მამების ბრძანებით. იგივე ვბრძანეთ ქართველთა მიმართ: სრულიად არ ვეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მოყვრობაში, არც დედა-მშობეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, არც ჩვენ ეკლესიაში მივილოთ ისინი, არამედ განვქორწინდეთ კიდეც მათგან. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს»²¹⁷.

ცხადია, მოსე კალანკატუელს აღარა აქვს ამის შემდეგ ის სიტყვები, რომელთაც აბრაამის ენციკლიკაში ვკითხულობთ: „ი გ ი ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა უ ც ვ ლ ე ლ ა დ დ ა რ ჩ ე ს ა ლ ბ ა ნ ე ლ თ ა თ ვ ი ს ა ც, რ ა თ ა შ ე რ ც ხ ვ ე თ დ ა მ ი ი ქ ე ნ ე ნ მ რ უ დ ე გ ზ ი დ ა ნ“²¹⁸. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვები არც უხტანესს ექნებოდა, თუმცა მისი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ, აქედან მოკიდებული უკვე დაზიანებულია. ამას ნათლად მოწმობს მისი ისტორიის 69-ე თავი, რომელშიც ისტორიკოსი მოსე კალანკატუელის მიხედვით წერს: „... აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს ქართველები გამოეყვნენ სომეხებთან ერთობას წყეული კირონის მიერ. აგრეთვე ბერძნები და იტალია მათთან ერთად, ხოლო ალბანელებმა არ დაარღვიეს მართლმადიდებლობა და სომეხებთან ერთობა, რასაც საყოველთაო ეპისტოლეში კირონის წინააღმდეგობის გამო აბრაამისული წმიდის სიყვარულით აცნობებს ალბანელებს“. ჩვენ უკვე ვიცით, რომ აბრაამის ეპისტოლეში სრულიად ამის საწინააღმდეგო ეწერა.

* * *

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკური ეპისტოლეს დასაწყისის კრიტიკული ტექსტი და თარგმანი:

*საგლქი ლქი ქრძან დან დჟან
ქ მხრძან აჟარგლქი ღჯნიორ, ღიორ
სთ ჩანს სასთოსაჲ არძანსაგ
მარქილქინაჲ აქიოი თანსქ*

საპატიოა და სიტყვას აღემატება საჭიროებისას ნიჭის მაღლი, რომელიც მისცა სიტყვა-ღმერთნა ღირსეულ კაცებს, მოციქულებზე და მათ მემკვიდრეებზე

²¹⁷ შ ი ა ქ ა ს კ ა ო ი ს ა თ ი ს ა გ ი. გვ. 306-307.

²¹⁸ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 122.

სრცნაქინ, დათადხციენ სახამ
და ვნიყისნ .ქაჯიციყისნ

ვამბობ, რომ ეპყრათ ზეციური
საყდარი.

№ 2966 ხელნაწერის მიხედვით აღდგა კიდევ ერთი დაზიანებული ადგილი აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკური ეპისტოლედან:

ღი ირყუა ხრკირაგიობნ რამ-
მრტ თაყაქსაიან ღირმიქსან
აქსათთანაყ, ქანაოთასანნ¹
ღსრკაქნიღღისაყ თოლასთანა,
ნოლასათინ² ღნიღჟტმ აქსაყნ და
მრრკინ რნარხელ, აქსთაძტინ³ ქ
რიოძიოასკან კიორომს სარ-
მამ მქნჯს ათიყ ქრ... დაღ-
ფოლთნ: სკიყუა და მსღ ქ ნხიო
..... ქჩიენ ქიოქტიქ ნარათა-
ქსაღღ დ ქ რარბანყ
ღსკაყვიოღ და ღქასარხელ
ღქან სკსიყნი:

ღი ირყუა ხრკირაგიობნ რამრ-
ტ თაყაქსაიან ღირმიქსან აჯ-
სათანაყ, ქანაოთასკან⁴ ღსრკაქ-
ნიღღისაყ თოლასთანა, ნოლას-
ათინ⁵ ღნიღჟტმ აქსაყნ და მრრკინ
რნარხელ, აქსთაძტინ⁶ ქ რიოძიოა-
სკან კიორომს სარმამ, მქნჯს
ათიყ ქრ რდან ჯარჯარანღ⁷
დაღფოლთნ. აქსაყუა და მსღ ქ ნხ-
იოქტიქსა ქაღაქტიქენ⁸ ქიოქტიქ⁹
ნარათაქსაღღ ღქტიქტიქინ¹⁰ ქ
რარბანყ ღსკაყვიოღ და ღქასთა-
რხელ ქასქ¹¹ ღქან სკსიყნი:

ახალი თარგმანი:

„აღდგან როგორც მიწისმოქმედი მოითმენს შრომის მცხუნვარე მხურვალეებას, ვაჭარი შორი გზის გაჭირვებას, მენავე ლელვისა და გრიგალის წინააღმდეგ ბრძოლას, სწეული განმჯურნებელ კვეთასა და წვას, სანამ ტანჯვაზე მეტ სარგებელს მიიღებდეს თავისთვის, ასევე ჩვენც, გაჭირვებაში, ლოცვისას, საჩქაროდ, წამებულნი, შებრალებასა და იმედის სიტყვის აღსრულებას უზენაესისგან მივიღებთ“.

2

მოსე ხორენელი „სომეხთა ისტორია“

თავისი თხზულების 18-ე თავში — „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“ — უხტანესი წერს: „ის პიტიახ-

რომელიც მოიყვანა ალექსანდრემ [და] მთავრად დატოვა ტყვე ივერიელთა ტომზე, რომელიც წამოასხა ნაბუქოდონოსორმა, რასაც აბიდენოსი ასე მოგვითხრობს: «ყოვლადძლიერმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა და ივერიელთა ქვეყანას, დაამარცხა-დააქცია, დაიმორჩილა და მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირზე გადაასახლა». ვერია კი არის დასავლეთში ქვეყნის კიდეზე“.

ტომებზე, რომლებიც წამოასხა ნაბუქოდონოსორმა ლიბიელთა ჯარის ძალით, დაამარცხა-დააქცია, დაიმორჩილა და მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირზე გადაასახლა, ამბობს ისტორიკოსი. ის ვერია კი არის ქვეყნის კიდე დასავლეთში“.

უხტანესის ტექსტი ხორენელისაგან შემდეგით განსხვავდება:

1. უხტანესთან გამოტოვებულია აბიდენოსზე მითითება და ნაბუქოდონოსორის ეპითეტი — *მხტაჟიონ* (ყოვლად ძლიერი). ვფიქრობთ, *მხტაჟიონ*-ს უხტანესი იმიტომ ტოვებს, რომ იცის. — ეს არის აბიდენოსისა და მოსე ხორენელის წყაროს ავტორის მეგასტენესის (*Μεγασθένης*) სახელის სომხურად გადმოღება (მღრ. *Chrysostomus—Մսկեքերան—*ოქროპირი და მისთ.). ამიტომ აღარა თვლის იგი მის დასახელებას საჭიროდ, ისევე როგორც არ ჩათვალა აუცილებლად აბიდენოსის მოხსენიება. ასევე შეგნებულად უნდა თარგმნიდეს მეგასტენესის სახელს ევსებოსის „ქრონიკის“ ძველსომხურად მთარგმნელი, ხოლო გაუგებრობა მოსე ხორენელის თხზულებაში (*ააჲ*-ს ამოღება *მხტაჟიონ*-სა და *ჯარო-გიჟინიორ*-ს შორის) გვიანი გადამწერების შეტანილია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომას ვერც უხტანესი აიცილენდა თავიდან²²¹.

²²¹ მოსე ხორენელის ცნობისა და ევსებოსის „ქრონიკის“ მიმართების საკითხებზე იხ. ხუხუჩიშვილი *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 1, გვ. 58-59. ამ ცნობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, სათანადო წყაროებისა და ლიტერატურისათვის იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1962, № 2; მისივე; საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 9-11.

2. მოსე ხორენელის მიხედვით (მასთან სოლიდარულია მეგას-თენესზე დამოკიდებული ყველა წყარო), ნაბუქოდონოსორმა და-იპყრო ლიბია და იბერია. უხტანესი კი წერს, რომ ნაბუქოდონო-სორმა იბერიელები „ლიბიელთა ჯარის ძალით“ დამორჩილა და გადმოსახლავს. უხტანესის კორექტივით მოსე. ხორენელის ტექს-ტი სტილისტურად და აზრობრივად უკეთ გამართული ჩანს, თუმ-ცა კი წყაროს (ევსებოზის ქრონიკა) რამდენადმე სცილდება.

8

„ჰერაკლეს ისტორია“

სმბატ ვრკანის მარზპანის მოღვაწეობის აღწერისას (31-ე თავი) უხტანესი წერს: „იგი არის ჩვენი ტომიდან, ჩვენ მეფეთაგან, გვა-რით ბაგრატუნი და ჩვენი საყვარელი, როგორც მკვიდრი და ჩვენ მეფეთა ერთისხლი, სწორი და ღვიძლი, რომელიც ვრკანის სამ-თავროს მარზპანი გახდა აპრუეზ-ხოსრო სპარსელთა მეფეთ მეფის ბრძანებით, მავრიკე ბერძენთა მეფის ქვეყნისმპყრობელობისას, რომელმაც მრავალი ომი გადაიხადა... სომხეთში, საბერძნეთსა და სპარსეთში, როგორც ვასწავლის „ჰერაკლეს ისტორია“²²².

ბუნებრივია, რომ მკვლევართ უხტანესის წყაროს სახელწოდებ-ბამ („ჰერაკლეს ისტორია“) ავარაუდებინა VII ს-ის სომეხი ისტო-რიკოსის სებეოსის თხზულება; რომელიც ადრინდელი გამოცემების მიხედვით სწორედ ამ სახელწოდებით იყო ცნობილი: სპეციალუ-რი კვლევის შემდეგ სტ. მალხასიანმა სებეოსის თხზულებას მოუხ-სნა სათაური („ჰერაკლეს ისტორია“), როგორც გვიან შერქმეუ-ლი და შინაარსისათვის შეუსაბამო, და მარტივად „ისტორია“- უწოლა²²³. შემდეგში გ. აბგარიანმა ისცადა დაესაბუთებინა, რომ

²²² უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 97.

²²³ იხ. მისი გამოცემის სათაური და წინასიტყვაობა: ՄԵՔԻՍԻ ԻՅԻՍԿՈՒԿՈՒՄ ՊԱՌՄՈՒՆԻՔԻՆ, ԲԱԳԳ. ԶՆՂԱԳՐԱՅ, ԿԱՆԿԵՐԶ ԱՂԱՋԱԲԱՏՆԻԿ Լ ԶԱՌՈՐՈՒԲՏԱՄԲԷ Ի ԶՆԸՆ ՍՄ. Մ ա լ խ ա ս ի ա Ն Ե, Եր., 1839. История епископа Себеоса, пер-Ст. М а л х а с я н ц а, Ер., 1939.

სებეოსის „ჰერაკლეს ისტორიის“ სახელწოდებით ცნობილი თხზულება ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ის ნაწარმოები, რომელიც დღემდე სებეოსს მიეწერებოდა, უნდა ეკუთვნოდეს ძველ ხელნაწერთა სიებში აღნიშნულ ისტორიკოს ხოსროს²²⁴. გ. აბგარიანის თეორიას ბევრი ოპონენტი აღმოაჩნდა. ბოლო ხანებში პ. ანანიანმა დაასაბუთა, რომ ხოსრო ავტორის სახელი კი არ უნდა იყოს, არამედ თხზულების მთავარი პერსონაჟისა²²⁵. კრიტიკას მხარი დაუჭირა თვითონ აბგარიანმაც და ჩათვალა, რომ სებეოსის სახელით ცნობილი „ისტორია“ ჯერჯერობით ანონიმურ ნაწარმოებად უნდა იქნეს მიჩნეული²²⁶.

როდესაც „ჰერაკლეს ისტორიას“ და სებეოსის სახელით ცნობილ „ისტორიას“ სხვადასხვა თხზულებად თვლიდა, გ. აბგარიანის ერთ-ერთი დასაყრდენი სწორედ უხტანესის ცნობები იყო.

1. გ. აბგარიანის აზრით, შედარება უხტანესის ცნობისა სმბატ ბაგრატიუნის მიერ საბერძნეთში, სომხეთსა და სპარსეთში გადახდილი ბრძოლების შესახებ სებეოსისადმი მიწერილი თხზულების ჩვენებასთან, მოწმობს, რომ იგი არ უნდა იყოს ისტორიკოსის მიერ წყაროდ დასახელებული „ჰერაკლეს ისტორია“, ვინაიდან მასში არაფერია ნათქვამი საბერძნეთსა და სომხეთში სმბატის მიერ გადახდილი ბრძოლების შესახებ²²⁷.

ასეთ შეუსაბამობას ხედავს გ. აბგარიანის ოპონენტი ხ. თოროსიანიც, მაგრამ იგი მის ახსნას სხვაგვარად ცდილობს. ხ. თოროსიანის აზრით, უხტანესის ცნობა ლექსიკურ-სტილისტურად თანხვედრა ანალოგიურ ცნობას სმბატის შესახებ იოანე ჯრასხანაკერტელის „ისტორიიდან“, რაც ორივე ავტორის მიერ ერთი წყაროთი სარგებლობის მოწმობა უნდა იყოს. ეს წყარო კი არის სებეოსის „ჰერაკლეს ისტორია“, რომელშიც დაკარგული უნდა იყოს ის ფურცლები (შესაძლოა მთელი თავიც), სადაც სმბატის მიერ საბერძნეთსა და სომხეთში გადახდილი ბრძოლების შესახებ იქნებოდა მოთხრობილი²²⁸.

²²⁴ ზ. მ. ყ ა რ ი ა ნ, «სხეხისი ჳათმირკიონი» ხი სმანიისი ალექ-ბქაბი, 1965, გვ. 15-19.

²²⁵ ჟ. ს. ნ ა ნ ა ნ, ი*ქ ლ სხეხისი ჳათმირკიონი ნიხინსაკ, „ჩაგმალქუა“, 1970, № 1-3, გვ. 5-22.

²²⁶ ზ. მ. ყ ა რ ი ა ნ, ჴარბხაქ სხეხისი მასინ, ჩანჩერ შათხნაგარანის, № 10, ხ. 1. 1971, გვ. 425-442.

²²⁷ ზ. მ. ყ ა რ ი ა ნ, «სხეხისი ჳათმირკიონი», გვ. 19.

²²⁸ ხ. ზ ი რ ი ა ნ, სხეხისი ჳათმირკიონი ს ნი ა ხ რ კ, ჩანჩერ შათხნაგარანის, № 9, 1969, გვ. 80-82.

საპასუხო წერილში გ. აბგარიანმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ იოანე დრასხანაკერტელი სარგებლობს „ფსევდო-სებეოსის“ ცნობებით სმბატის მიერ სპარსეთში გადახდილი ბრძოლების შესახებ და მასში არ იგულისხმება სომხეთი ან საბერძნეთი²²⁹.

არ ვეხებით რა საერთოდ სებეოსის პრობლემას, ვფიქრობთ უხტანესის ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარები გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ძნელია შუა საუკუნეების მეხოტბე მწერალს, რომელსაც სურს. სულ ორიოდე სიტყვით შეამკოს თავისი გმირი, მოვთხოვოთ ასეთი სიზუსტე წყაროს მიმართ. სმბატ მანველოს ძე ბაგრატიუნი და სმბატ ხოსროვ-შნუშად წოდებული ბაგრატიუნი სხვადასხვა პირებიც რომ ყოფილიყვნენ, როგორც ამას დღეს ზოგი მკვლევარი ვარაუდობს²³⁰, უხტანესი მათ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდა (ისევე, როგორც ბევრი თანამედროვე სპეციალისტი არ არჩევს), ხოლო სმბატ მანველის ძას სომხეთსა და საბერძნეთში საქმიანობის შესახებ ცნობები (მართალია მცირე) დაცულია სებეოსის (თუ „ფსევდო-სებეოსის“) თხზულებაში. მასში აღწერილია სმბატის გმირობები საბერძნეთში ცირკის არენაზე, ნათქვამია მისი აფრიკაში ბერძენთა ჯარების ტრიბუნად დანიშვნის შესახებ²³¹. ყველაფერი ეს შეიძლება იმეების მასშტაბები გაეფართოებინა.

მართალია ხ. თოროსიანის პარალელი იოანე დრასხანაკერტელთან სებეოსის თხზულების ნაკლებობის დასასაბუთებლად მოხერხებული არ აღმოჩნდა, მაგრამ თვითონ ვარაუდი კი მაინც ანგარიშგასაწევი. არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს იმ გარემოებამ, რომ სმბატი სებეოსის თხზულებაში მოულოდნელად ჩნდება XVIII თავში, თითქოს ივარაუდებოდეს, რომ მის შესახებ მკითხველმა უკვე იცის რაღაც. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სმბატი სებეოსის ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გმირია, რომლის შესახებ ავტორი ყველაფერს გვოყვება, რაც კი წყაროებში ამოუკითხავს ან ლეგენდებით გაუგონია.

სპეციალისტები, რომლებიც უხტანესის ტექსტის თარგმნის საჭიროების წინაშე დადგებიან, მაშინვე იგრძნობენ, რომ განსახილველ ციტატაში ყველაფერი ნათელი არ არის. უხტანესი წერს: „...*ჟადიჲმ აჟათისრაჟიონსა ქანხაჲლ ლ ქათონხოჲ ჯ ჴაკაჲ*...

²²⁹ Գ. Աբգարյան, Դարձեալ Սեբեոսի մասին, გვ. 462-463.

²³⁰ ლიტერატურისათვის იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 147.

²³¹ Սեբեոսի եպիսկոպոսի Պատմութիւն, § XVIII.

ქ ზიწნა^ა ირყუტა ილიცვანტ ქსიქ შათიოქსინ ჰსრასიქი^ა: მოტანილ წინადადებაში „ყათიხრაყიონს იანსსაქ კ იათონხსაქ“ ბუნდოვანი გამოთქმაა. ალბათ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ასეთი წინადადება რომ გვჭონდეს: „...[ქ] რაჟიოქ იყათიხრაყიონს იანსსაქ კ იათონხსაქ [ყქშწნამქი] ქ ჰაქი, ქ ჰიწნა კ ქ შარასქი...“ („...მრავალ ბრძოლებში დაამარცხა და გაფანტა მტერი სომხეთში, საბერძნეთსა და სპარსეთში...“). მაგრამ რადგან ასეთი კონსტრუქციის წინადადება არა გვაქვს, ამიტომ სერიოზული ტექსტოლოგიური კვლევა სჭირდება თვითონ უხტანესის ცნობას, საწამ მას ისეთ დიდ მნიშვნელობას მივანიჭებდეთ სებეოსის სახელით ცნობილი „ისტორიის“ კრიტიკისას, როგორც ამას აკეთებს გ. აბგარიანი.

2. გ. აბგარიანმა აღნიშნა კიდევ ერთი დაცილება უხტანესისა და სებეოსის ჩვენებებს შორის. სმბატ ბაგრატუნის შესახებ მე-5 თავში უხტანესი წერს: „სმბატმა, რომლის შესახებაც გითხარით, რომ სომეხთა მარზპანი იყო...“ „სებეოსთან“ კი მსგავსი ცნობა არა გვაქვს და სმბატს მხოლოდ „ვრკანის მარზპანი“ ეწოდება²³². ამავე რიგის ცნობად მიიჩნია გ. აბგარიანს უხტანესის მიერ თავისი ისტორიის პირველსავე სტრიქონებში ნათქვამი სიტყვები, რომელიც მკვლევარს თავისებურად აქვს გააზრებული და სასვენი ნიშნებიც შესაბამისად დაუსვამს: „...*ქ თსრიოქსიანს თხაიან შაქათაქ იქიქან მარჟყანსქ ჰაქიე მხბაფ...*“ (ახალი სომხურით: „*შხბ ჰაქექი მარჟყანს თსრ შაქათ იქიქანსქ ქქსანოქსიამქ ირიქ*“; ქართულად: „...დიდი სომხეთის მარზპანის უფალ სმბატ ვრკანის უფლობისას...“)²³³.

ვფიქრობთ, სწორად მიუთითა ხ. თოროსიანმა, რომ მოტანილი ცნობები არ გამოდგება არგუმენტად „პერაკლეს ისტორიის“ იდენტიფიკაციისათვის, ვინაიდან უხტანესი არსად თავის წყაროზე არ მიუთითებს. გარდა ამისა, განსახილველ ცნობებს შორის მან წინააღმდეგობაც დაინახა: თუ მე-5 თავში უხტანესი გარკვევით წერს, რომ სმბატი სომეხთა მარზპანი იყო, როგორც ადრეც გითხარითო, 1 თავში („ადრე გითხარით“) ასევე აშკარად ვრკანის მარზპანს უწოდებს. იქვე ხ. თოროსიანი ამ ბოლო წინადადების სრულიად განსხვავებულ გაგებას იძლევა და ახალ სომხურად ასე თარგმნის: „...*ჰაქიე მსბქიქე თხრ შაქათი^ა იქიქან მარჟყანსქ თსრიოქსიანს ქამანსაქ...*“ („...სომეხთა უხუცესების უფლის სმბატ მარზპანის ბატონობის დროს...“). ამიტომ ფიქრობს ხ. თოროსიანი,

²³² «*სქეხიქი შათიოქსინ*», გვ. 19.

²³³ *ჩარქბხაქ სქეხიქი მასქინ*, გვ. 465.

რომ სადავო წინადადება უხტანესთან შემდეგნაირ შესწორებას მოითხოვს: „... სმბატმა, რომლის შესახებაც გითხარით, რომ ვრკანის მარზპანი იყო...“²³⁴.

ამ საკამათო საკითხის განხილვისას ჩვენ მთლიანად ვერც ერთი მხარის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

1). „...*ჩი თსრიოქსიან თხიან შამგათაჲ ქიქან მარცყანსი ჯაიცი შსხაგ` სსაჲ კაქიო ნაქრათხითოქსიან ჯაიცი სკრანამ*“ ჩვენ ქართულად ასე ვთარგმნეთ: „...დიდ სომხეთში უფალ სმბატ ვრკანის მარზპანის ბატონობისას სომეხთა პატრიარქის საყდარი დაიკავა აბრაამმა“. მოცემული თარგმანი ბუნებრივია და ტექსტზე ძალდატანებას არ მოითხოვს, განსხვავებით წინა ორისაგან. მაგრამ საკითხი ახლა ის არის, შეიძლებოდა თუ არა უხტანესს სმბატ ვრკანის მარზპანი დიდი სომხეთის უფლად წარმოედგინა აბრაამის ტახტზე ასვლის მომენტში ისე, რომ მისთვის „სომხეთის მარზპანი“ არ ეწოდებინა? ვფიქრობთ, სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი.

ვინ მოიწვია კრებები დვინში კათალიკოსის ხელდასასამებლად? უხტანესთან ვკითხულობთ: „სწორედ ამ დროს განიზრახა სმბატ ვრკანის მარზპანმა სომეხთა ქვეყნის ნახარარებთან და წარჩინებულებთან ერთად, რომ მოიწვიოს ეპისკოპოსთა კრება სომეხთა მამამთავრის დასამტკიცებლად. შეიკრიბნენ მისივე ბრძანებით...“²³⁵.

„როცა განმტკიცდნენ ისევ წერილითა და აღსარებით, რომელიც მიიღო და ვასცა კეთილმსახურმა და ყოვლადქებულმა სმბატ მარზპანმა, რომელიც თუმცა სომეხთა ქვეყნის მეფე არ იყო, მაგრამ უმეფობის დანაკლისს ავსებდა თავისი ყველაფერზე მზრუნველობით, ყველაფერში დავითის მსგავსად, რომელიც წინ უძღოდა ისრაელის ხალხს“²³⁶. „სმბატი მფარველი და შემწეა სომხეთისა..., რომელმაც მაშინ სომხეთში უხელმწიფობისას შეავსო მეფისა და პატრიარქის უყოლობა“²³⁷.

ვფიქრობთ, ციტატებს კომენტარი არა სჭირდებათ. მათ უხტანესის ფანტაზიის შედეგად ვერ მივიჩნევთ. საკმარისია გულმოდგინედ ვადავიკითხოთ „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცული მიმოწერა, რომ ნათელი გახდეს: სმბატ ვრკანის მარზპანი სომხეთში ჩასულია ირანიდან სპეციალური მისიით და იგი უმადლეს ხელისუფლებას

²³⁴ სქს რქს ნუ ყყ თ თ მ ქ ე, გვ. 81-82.

²³⁵ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 95.

²³⁶ იქვე. გვ. 95-97.

²³⁷ იქვე. გვ. 97.

წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ სომეხეთში ამ ხანებში, სე-
ბოსის ცნობით, სპარსელი მარზპანები იხსენებენ²³⁸.

2. უხტანესის თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ მისმა ავტორ-
მა ძალიან კარგად იცის, რომელი მხარის მარზპანია სმბატ ბაგრა-
ტუნი. მას საიდან გაჩნდა მის ნაშრომში წინადადება: „სმბატმა,
რომლის შესახებაც გითხარით, რომ სომეხთა მარზპანი იყო...“?
ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, „რომლის შესახებაც გითხარით“, გუ-
ლისხმობს ზემოთ უკვე განხილულ ცნობას, რომელშიც სმბატი
მხოლოდ ვრკანის მარზპანად არის დასახელებული. ასეთ ვითარე-
ბაში, ხ. თოროსიანის ცდა „სომეხეთი“ „ვრკანით“ შესწოროს,
არ გვეჩვენება ისეთ მკრეხელობად, როგორც ეს გ. აბგარიანმა ჩა-
თვალა. საქმე ის არის, რომ უხტანესის „ისტორიის“ ჩვენამდე
მოდწეულ ნუსხაში გვაქვს ანალოგიური შეცდომა. 52-ე თავში უხ-
ტანესი კომენტარს უკეთებთს კირონ კათალიკოსის მეორე ეპისტო-
ლეს აბრაამ კათალიკოსისადმი და წერს:

*„Այս სրեսიւն և հինգ նպիս-
կոպոսունք՝ որ ի Վրկան՝
չեն ուղղախաւ և գիտուն, այդ
մին նգ և ուղղախաւ“:*

„ეს ოცდათხუთმეტი ეპისკო-
პოსი, რომლებიც ვრკან-
შია, არ არიან მართლმადიდე-
ბელნი და მეცნიერნი და ეგ ერ-
თი მოსე გამოვიდა მართლმადი-
დებელი?“²³⁹.

მკითხველი ადვილად მიხვდებოდა, რომ უხტანესს ფაქტიურად
ციტატა მოაქვს კირონ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლედან. გა-
დავშალოთ „ეპისტოლეთა წიგნი“:

*„...სրեսიւն և հինգ նպիսկո-
պოսուն են ի Վրկս, Մովսէսդ
այդ ուստի գտաւ միայն ուս-
ալ և ուղղախաւ...“*

„... ქ ა რ თ ლ შ ი ოცდათხუთ-
მეტი ეპისკოპოსია, ეგ მოსე სა-
იდან აღმოჩნდა ერთი მეცნიერი
და მართლმადიდებელი...“²⁴⁰.

ცხადია, უხტანესის „ისტორიის“ გადამწერს აურევია *Վիրք*
და *Վրկան* ერთმანეთში. ასეთი შეცდომა არც *Հայք*-ისა და *Վրկան*-ის
შემთხვევაშია გამორიცხვული.

3. როგორც გ. აბგარიანმა, ისე ხ. თოროსიანმა სამართლიანად
მიაქციეს ყურადღება, რომ სმბატ ბაგრატუნის „სომეხთა მარზპანს“

²³⁸ იხ. Ս ե բ ո ս ի ն պիսկոպոսի Պատմութիւն. § VII.

²³⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 145.

²⁴⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

უწოდებს ასოლიკიც, მაგრამ ამ ფაქტიდან მათ ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნები გააკეთეს. ხ. თოროსიანის აზრით, ასოლიკის ამ მოწმობას უხტანესის ცნობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან ეს ავტორები ერთმანეთს არ იცნობდნენ²⁴¹. გ. აბგარიანი კი ვარაუდობს, რომ უხტანესი ასოლიკის თხზულებით სარგებლობს, რისი მოწმობაც უნდა იყოს აგრეთვე უხტანესას პირველ წიგნში დატული სპარსულ მეფეთა სიის შეხვედრა ასოლიკის ასეთ-სავე სიასთან²⁴².

უხტანესისგან ასოლიკის „ისტორიით“ სარგებლობა რომ დადასტურდეს, უნდა დამაკმაყოფილებლად დასაბუთდეს მისი თხზულების დათარიღება არა X ს-ის ბოლო ოცეულით, არამედ 1004 წლის მომდევნო დროით, ვინაიდან ასოლიკის ნაწარმოები სწორედ ამ თარიღით მთავრდება. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი პ. პეეტერსის ვარაუდის შესახებ და ისიც ვთქვით, რომ მისი არგუმენტაცია საკმარისი არ უნდა იყოს უხტანესის მოღვაწეობის ხანის გადასაწევად. საჭირო იყო გ. აბგარიანს უხტანესის მიერ ასოლიკით სარგებლობის თეზისის წამოჭრასთან ერთად მთელი ეს პრობლემა ხელახლა განეხილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო ბუნებრივი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ასოლიკი სარგებლობს უხტანესით, თუმცა ამ ვარაუდსაც ძნელი დაბრკოლებების დაძლევა მოუხდებოდა, ვინაიდან ეს ავტორები დაახლოებით ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ და შესაძლოა ერთმანეთს ამიტომ არ ახსენებენ.

უხტანესთან გვაქვს სპარსეთის მეფეთა აქემენიდური და პართული დინასტიების ორი სია²⁴³. უხტანესის აქემენიდური დინასტიის სია საგრძნობლად განსხვავდება ასოლიკის ასეთივე სიისაგან²⁴⁴. უხტანესის სია უფრო სრულია. მასში შეტანილია ისეთი მეფეებიც, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე თვეს მეფობდნენ, განსხვავებულია ზოგჯერ მეფობის ხანგრძლივობა, სახელთა დაწერილობა, ზედწოდებათა თარგმანები. ამასთანავე, უხტანესთან გვაქვს არა მარტო სია, როგორც აქვს ასოლიკს, არამედ შიგადაშიგ დამატებით ცნობებსაც ვხვდებით. ორივე ისტორიკოსის აქემენიდური დინასტიის სიების შედარებამ ძველად სომხურ ენაზე არსებულ ქრონოლოგიურ თხზულებებთან გვიჩვენა, რომ უხტანესი სიტყვა-

²⁴¹ ხ. თოროსიანი, *შეხუთი ასოლიკი...* გვ. 82.

²⁴² ფ. Աբգարյան. *Դարձեալ Մեքեոսի մասին*, გვ 465.

²⁴³ Աւխոյանէս, I, § 22, 49.

²⁴⁴ Ստեփանոսի Տարոնացւոյ Ասորիկան Պատմութիւն օրինգերական, Ս. Պետ., 1885, გვ. 28.

გარემოება უნდა იყოს გ. აბგარიანის თეზისის ერთ-ერთი განმამტკიცებელი მომენტი: ძნელი წარმოსადგენია, რომ უხტანესი „ჭერაკლეს ისტორიის“ სახელწოდებით სებეოსის დღეს ჩვენთვის ცნობილ ნაწარმოებს გულისხმობდეს და მის მთავარ ცნობებს თავისი ობიექტის შესახებ სრულიად გვერდს უვლიდეს. მაგრამ თუ ასეთ ვარაუდს დაუფშვებდით, ისიც უნდა დაგვეშვა, რომ უხტანესისათვის „ისტორიის“ წერის პროცესში უცნობი ყოფილა როგორც იოანე დრასხანაკერტელის, ისე ასოლიკის თხზულება. ასოლიკის „მსოფლიო ისტორიას“ უხტანესი რომ არ იცნობდა, ამაში ეჭვი არ გვეპარება. რაც შეეხება იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიას“, ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ უხტანესის ნაწარმოებში მისი კვალი უნდა ჩანდეს.

დავუბრუნდეთ ისევ ასოლიკის ცნობას სმბატ ბაგრატუნის ვრკანის მარზპანად დანიშვნის შესახებ. სრულიად უეჭველია, რომ მისი წყარო ამ საკითხში არის სებეოსი ან იოანე დრასხანაკერტელი (ან, შესაძლოა, ისტორიკოსი ორივეს ითვალისწინებს). იმდენად აშკარაა ამ სამი ისტორიკოსის ცნობებს შორის შეხვედრა. მცირეოდენი განსხვავებები კი იმის ბრალია, რომ ასოლიკი თვითონაც ისტორიას წერს და თავს უფლებას აძლევს წყაროდან სიტყვა-სიტყვით არ გადმოიწეროს. თუ ასეა, უნდა დავუშვათ, რომ ასოლიკმა თვითონ შეარქვა სმბატს „სომხეთის მარზპანი“, რადგან როგორც სებეოსთან, ისე იოანე დრასხანაკერტელთან საუბარია მხოლოდ მისი ვრკანის მარზპანად დანიშვნის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემოთ მოყვანილ ტექსტს ზუსტად იმეორებენ ასოლიკის მომდევნო ხანის ისტორიკოსებიც, მაგრამ ყველგან ერთსა და იმავე ფრაზას ვკითხულობთ: „...მისცა ხოსრომ მას (სმბატს) ვრკანის ქვეყნის მარზპანობა“. და ეს მაშინ, როცა ჩამოთვლილი ისტორიკოსები ასოლიკის თხზულებასაც კარგად იცნობენ²⁵⁷.

ამის შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ ის, რომ „ვრკანის მარზპანი“ „სომხეთის (ან სომეხთა) მარზპანი“ შეცვლილია ასოლიკის „მსოფლიო ისტორიის“ შედარებით გვიანდელ ხელნაწერში. მაგრამ რას უნდა გამოეწვია გადამწერის ასეთი ჩარევა ტექსტში?

ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, რომ სმბატი, როგორც მის თანამედროვეებს, ისე გვიანი ხანის სომეხ მწიგნობრებს, წარმოდგენილი ჰყავდათ (ასეც იყო რეალურად) სომხეთის

უმალეს განმგებლად, როდესაც იგი დროებით დაბრუნდა სამ-
შობლოში. გარდა ამისა, სებეოსის ცნობით მას ხოსრომ მიანი-
ჭა თავის სამფლობელოს ყველა მარზპანზე უზენაესობა²⁵⁸. ასეთი
გაგებით შეიძლებოდა იგი, გარკვეული უზუსტობის დამწებით,
სომხეთის მარზპანადაც მიეჩნიათ. გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვაპყნთ,
რომ წყაროების მიხედვით, ხოსროს სმბატი შემთხვევით არ დაუ-
ნიშნავს შინცდამაინც ვრკანის მარზპანად. იქ სომხობა სახლეპუ-
ლა და, თანაც იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ საჭირო გამხდა-
რა შექმნა მთელი საეპისკოპოსოსი, რომელიც დღინია პატრიარქს
დაეშორჩილებოდა. ჩვენთვის ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა ამ
ცნობის ისტორიულ ღირებულებას. მთავარი ის არის, რომ ნუს-
ხის გადამწერს, რომელმაც იქნება კარგად აღარც იცოდა, რას
ნიშნავდა ტერმინი „მარზპანი“, შეეძლო სომხებით დასახლებული
ვრკანის მარზპანისათვის „სომეხთა მარზპანი“ ეწოდებინა; მით
უფრო, რომ, სებეოსის მიხედვით, სპარსეთის სხვა პროვინციე-
ბის (განსაკუთრებით კი „დიდი სომხეთის“) მარზპანთა მარზპანიც
სმბატ ბაგრატიუნი იყო. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანე-
ლობდით, როდესაც სომხური ტექსტის ქართულად თარგმნისას
Հայոց մարզպան-ის შესაძლო შესატყვისებიდან („სომხეთის“
და „სომეხთა“) „სომეხთა მარზპანი“ ავირჩიეთ.

ამრიგად, მივედით შემდეგ დასკვნამდე: 1. უხტანესის ტექსტი
არ იძლევა საკმარის საფუძველს დასამტკიცებლად, რომ მის მერ
წყაროდ დასახელებული „პერაკლეს ისტორია“ და სებეოსის სა-
ხელით ცნობილი ისტორია სხვადასხვა თხზულებაა. იუშეცა იგი
ასეთ შესაძლებლობას არც გამოიჩინავს. 2. სტეფანოს ტარონელი
ანუ ასოლიკი არ უნდა იყოს უხტანესის წყარო, მიუხედავად მათი
ცალკეული ცნობების შეხვედრებისა.

4

იოანე დრასხანაკერტილის „სომხეთის ისტორია“

იოანე დრასხანაკერტილის „სომხეთის ისტორიის“ უხტანესის
მერ წყაროდ გამოყენების გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია.

ვაშობთ სხვა ისტორიკოსებისგან განსწავლით, რომლებაც ჩვენს ქვეყნის შემწენი არიან ამ საქმეში, ვინაიდან სხვა მიზეზიც გავივით ჭართველთა გამოყოფისა საისტორიო წიგნებიდან“.

ვინ არიან ეს „სხვა ისტორიკოსები“? ცხადია, მათ უხტანესი სომხებად არა თვლის, რადგან თავის „ქვეყნის შემწეებად“ მიანიხნია საეკლესიო განხეთქილების საკითხებში. ვინაიდან ტექსტში აქცენტი ალბანეთის ეკლესიასთან ურთიერთობაზე მოდის. უნდა ვიფიქროთ, რომ უხტანესს 'ქ' ედველობაში ჰყავს ალბანელი ისტორიკოსები.

64-ე თავისათვის სათაურად უხტანესს შეურქმევია „მსჯელობა კვლავ იმავე საკითხზე სხვა ისტორიიდან“. მაშასადამე, ისტორიკოსს სურს, რომ მკითხველმა იფიქროს: 63-ე თავი დაწერილი იყო სხვა ისტორიკოსების მიხედვით, ხოლო 64-ე კი სხვა ისტორიკოსის ნაშრომს ითვალისწინებს. შთაბეჭდილება რჩება, რომ უხტანესი ლაპარაკობს სულ ცოტა სამი ისტორიკოსის შესახებ მაინც. მაგრამ 64-ე თავის პირველივე წინადადებით ცხადი ხდება, რომ ისტორიკოსმა ვერ შესძლო ბოლომდე შეეყვანა თავისი განზრახვა: ღავერწმუნებინეთ, რომ რამდენიმე თხზულება უჭერს მხარს იმას, რაც მან უნდა გვიამბოს. იგი წერს: „ორივენი ისინი არიან, რომელთა ბეჭითმა შრომამ გაგვაბედინა გვეუწყებინა ერთი და იგივე ფიქრი“. მაშასადამე, 63-ე და 64-ე თავები ორი ისტორიკოსის თხზულების მიხედვით ყოფილა დაწერილი. ვნახოთ ქვემოთ.

უხტანესის თხზულების 65-ე თავის სათაურია: „თუ როდის ირწმუნეს ქრისტე ალბანელებმა სომხებზე ადრე — მათივე ისტორიიდან“. ტექსტი კი ასე იწყება: „მოვისმინე რა ის, რაც სანდოდ გვაუწყეს ალბანელთა ისტორიკოსებმა (რადგან ისტორია ჰემარიტია) თავისი ქვეყნის ნამდვილი, ძირითადი და პირველი გამორწმუნების შესახებ...“ უხტანესს მხედველობაში აქვს 63-ე და 64-ე თავები, რომლებშიც მოთხრობილი იყო ალბანელთა „პირველი გამორწმუნების“ ისტორია. ამრიგად, უკვე ნამდვილად ვიცით, რომ 63-ე, 64-ე და 65-ე თავები დაწერილია ალბანელი ისტორიკოსების თხზულებათა მიხედვით. უხტანესამდე მოღვაწე ისტორიკოსებს შორის „ალბანელის“ ან „ალბანთა ისტორიკოსის“ სახელით მხოლოდ ერთი ვიცით — მოსე კალანკატუელი. შევედაროთ უხტანესისა და მოსე კალანკატუელის თხზულებათა სათანადო თავები ერთმანეთს.

ბერძენების [კამათის] შესახებ სომეხებთან ცხრაბარისხიანი საეპლესიო წუგობლების უქონლობის გამო. სომეხთა ცდა, რომ ალბანელთა [კათალიკოსი] გახადონ თავიანთი ძველმეცნიერ არქივისკოპოსი, რომელსაც ალბანელები არ დაემორჩილნენ. სივნიელთა მოცეცვა სომეხთაგან ალბანელებისაკენ და ხელდასხმისა და ზეთის [მათგან] მიღება

პართველთა გაგოუოფის მიერ მიზაზის შესახებ, რომელიც კირონის წინააღმდეგობის გამო მოხდა

რომაელებზე მეფობისას, მარკიანემ, მოხიბლულმა ცოლის პოლქერიანესგან და ნახუცარი ნესტორიანისგან, დაარღვია მართლმადიდებლური სარწმუნოების განსაზღვრება ქალკედონური კრებით, რომლის შემდეგ მისმა მიმდევრებმა მრავალჯერ იღავეს სომეხთა შესახებ, რომ თავისთან გაეთანაბრებინათ, ზან წერილით და მრავალჯერ პირის-პირ შეკრებებით: მოუწოდეს ერთხელ კონსტანტინეპოლში, ორჯერ თეოდოსიოპოლში და ცდილობდნენ მოეგოთ ისინი, როგორც შემცდარნი. თუმცა მეფის ბრძანებით შეტად გაწვრთნილნი ბერძენთა მჭევრმეტყველნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ელჩურ მჭრელენაზე ორატორობით გაიმარჯვებ-

დნენ. მაგრამ ამასთან პასუხიც მოისმინეს, ვინაიდან განახლებული იყო სომხეთში საეკლესიო მოძღვრებანი და იყვნენ ბერძნული ენის მცოდნენი. სომხები ბრალს სდებდნენ იოანე მაირაგომელს, რომ ბერძენთა მხარესაა და [სომხებს] ეწინააღმდეგებაო. მისი ბრალდების მიზეზი იყო ვინმე სოლომონ მარტომყოფი, რომელიც შემდეგში სომეხთა კათალიკოსი გახდა. მან ჰკითხა თავის მოძღვარს სოლომონს, რომელიც მაქენელთა [მონასტრის] მამა იყო, [ხოლო] მან წერილობით ასე აცნობა: „სომეხნი არ დამარცხებულან სარწმუნოების გამო, არამედ ფრიად დიდი ბრალი დაედოთ, ბერძნებმა რომ თქვეს, ღმერთმა ცხრახარისხიანი ეკლესია დააწესაო როგორც ზემოთ ზეცაში, ისე — მიწა მოადგილეები ქვემოთ დედამიწაზე და შიგნით საყდარში: პატრიარქი, რომელიც მამამთავარია, არქიეპისკოპოსი, რომელსაც ეწოდება თავი ეპისკოპოსთა და კათალიკოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკვანი, კერძო დიაკვანი, წიგნის მკითხველი, მეფსალმუნე. ყველა ამათ ერთად შეუძლიათ ხელი დაასხან მამამთავარს, ხოლო [მამამთავარს შეუძლია ხელი დაასხას] ყველას. თუ ქეშმარიტად გწამთ, აღიარეთ, ვინ არის თქვენი პატრიარქი, რადგან [ასეთი] მხოლოდ ოთხი იყო ქვეყანაზე: ალექსანდრიის — მარკოზის საყ-

მაშინ, როცა სპარსელებსა და ბერძნებს ერთმანეთში ჰქონდათ გაყოფილი სომხეთი, სომხებსა და ბერძნებს შორის გამოძიება მიმდინარეობდა ეკლესიის მოწესრიგების შესახებ ციური ცხრა ხარისხის მგავსად, ბერძნები ეკამათებოდნენ და ეტრაბახებოდნენ სომხებს, რომ ჩვენ ცხრახარისხიანი ეკლესია გვაქვს და თქვენ — არაო; ჩვენი ეკლესია ციური ცხრა ხარისხის მიხედვით არის განწესებული, როგორც არის ესენიო: პატრიარქი, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, კერძო დიაკვნები, კლერიკოსნი, წიგნის მკითხველნი.

დარი, ანტიოქიის — მათესი, რომის — ლუკასი, ეფესოს — იოანესი; ქვეყნის ოთხივე კუთხის მიხედვით, ედემის ოთხტოტიანი მდინარის მიხედვით, ოთხი მახარებლის მიხედვით, მოსეს ოთხი კანონის მიხედვით (რადგან მეორე კანონი ცალკე ითვლება). ჩვენ უვლას ვემორჩილებით. დემორჩილეთ თქვენც ერთ მათგანს, ან უვლას, რომ ერთი სარწმუნოების ვიყოთ. თქვენმა წმიდა გრიგორმა მთავარეპისკოპოსად ხელდასხმა კესარიის მიიღო და მას შემდეგ დღემდე [ასეა]. თქვენ თუ სხვა ეკლესიის მართლმადიდებლები ხართ, ამისგან გამოყოფილის, მაშინ გვიჩვენეთ პატრიარქი, რომელსაც ემორჩილება თქვენი არქიეპისკოპოსი, რომელიც დღემდე ჩვენს ხელქვეით იყო. ხოლო, თუ პატრიარქი არა გყავთ და არც სხვა სამღვდლო ეკლესიისა სრულიად, აშკარად უზაბნეული მწვალებლები ხართ არიოზთან, სხვა ხუჯასტანელებთან და ბოროტმადიდებლებთან ერთად. ამას ვერ უპასუხეს სომხებმა, რადგან ასეთი ვითარებით იქცეოდა მათი ეკლესია“.

როცა გამეფდა, იუსტინიანემ გადაიტანა წმიდა იოანე მახარებლის ნაწილები კონსტანტინეპოლში, დაამტკიცა იქ სამამთავრო საყდარი, ხოლო ძირითადი საყდარი დარჩა ეფესოში. ასევე მათეს [ნაწილები] გადაიტანა ანტიოქიიდან იერუსალემში და თან ამბობდა — „დიდი მეფის ქალა-

მაშინ ამბავი მოიტანეს იქ ჩვენებმა მათი დაწესების შესახებ: „ჩვენცა გვაქვს დაწესებული იგივე ეკლესიის ხარისხები, რომელიც წმიდა გრიგორმა გარდამოგვცა და სხვათა ვაწესებთ ღმრთის ნებით, რადგან მოციქულებრივია ჩვენი თაღვოსის საყდარიც და იმის შემდეგ წმიდა გრიგორისიც, რომელიც ჩვენი მეორე მოციქული და იმავე დროს განმანათლებელიც იყო“.

ქიაო“, ხოლო ძირითადი დატოვა ანტიოქიაში. მაშინ აღიძრა ყველა გულზვიადი და სადაც მოციქული იყო აღსრულებული, ყველა საყდარი საპატრიარქოდ აღიარეს. როდესაც მათ ეს წესი დადეს, ჩვენ შესახებაც იწყეს ლაპარაკი.

სომხეთი სპარსელებსა და ბერძნებს ჰქონდათ გაყოფილი და უფალი მოსე იჭდა წმიდა გრიგორის საყდარზე დვინში. ბერძენთა მხარეში მის საწინააღმდეგოდ დასვეს ვინმე იოანე მისსავე მახლობლად. სამამამთავროს გაყოფა უარყვეს სივნიეთის უფლებმა და არცერთ მათგანს არ დაემორჩილნენ თავისი ეპისკოპოსის, მხნე პეტრეს ბრძანებით, რომელმაც აღსასსრულს მიაწია რა, უბრძანა თავის სამწყუსოს, რომ ხელდასხმა და კურთხევის ზეთი მიიღონ ალბანელთაგან სანამ შეერთდებოდეს წმიდა გრიგორის საყდარი. ამიტომ ვრთანეს ხელი დაესხა სივნიეთის ეპისკოპოსად ზაქარია ალბანელთა მამამთავრისაგან. ამასთან ერთად წლითი-წლამდე კურთხევის ზეთს სივნიელნი აღ-

როგორც მრავალჯერ გითხარით, მაშინ სომხეთი სპარსელებსა და ბერძნებს ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი. უფალი მოსე წმიდა გრიგორის საყდარზე იჭდა დვინში. ბერძენთა მხარეში მისი საყდრის საპირისპიროდ ვინმე იოანე დასვეს მასთან ახლოს. ხოლო გაყოფილი სამამთავრო საყდარი უარყვეს სივნიეთის უფლებმა და წინააღმდეგობის გამო არ დაეთანხმნენ რომელიმეს დამორჩილებოდნენ მხნე პეტრე ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელმაც აღსასსრულს მიღწეულმა უბრძანა თავის სამწყუსოს ხელდასხმა და მირონის კურთხევა ალბანელთაგან მიეღო, სანამ წმიდა გრიგორის საპატრიარქო საყდარი გაერთიანდებოდა. იმ დრო-

ბანელთაგან იღებდნენ, ვიდრე არ აღმოიფხვრა წინააღმდეგობა და არ შეაერთა აბრაამმა სამამთავრო საყდარი.

რაც შეეხება ცხრახარისწიანობას, მთავარმა საეკლესიო მოღვაწეებმა, სობხების ამპარტავანი ხასიათის მიხედვით, თვითნებური სურვილით ვანაწესეს აბრაამი — პატრიარქად, ალბანელი — არქიეპისკოპოსად, ქართველი — მიტროპოლიტად. აღშფოთდა ქართველთა, რომელსაც კირონი ერქვა და საწინააღმდეგო კამათი დაიწყო. ხოლო წმიდა მამამთავარი აბრაამი ამბობდა, რომ ალბანელები ქართველებზე ადრე იყვნენ ქრისტიანები [და] მთავარეპისკოპოსობა მათ შეეფერებათ. ამ კამათსა და მართლმადიდებლური სარწმუნოების ძიებაში მიიქცნენ ქართველები და გახდნენ ქალკედონიტები. ბერძენი სარდლებისაგან გაღიზიანებული (შეგულიანებული) სომხები ითხოვდნენ ალბანელებზე უპირატესობას, რასაც ალბანელები არ

დან აქამდე ხელდასხმასა და მირონს სივნიელები ალბანელთაგან იღებდნენ, სანამ არ ამოიფხვრა წინააღმდეგობაო, ამბობს ისტორიკოსი.

ამის გამო არ მოვიდა ალბანელთა კათალიკოსი იმ კრებაზე, რომელზედაც ხელი დაასხეს აბრაამს, ვიდრე არ გააერთიანა აბრაამი თავისი საპატრიარქო საყდარი. ცხრახარისწიანი საეკლესიო წესის დასადგენად უმთავრეს და დაადგინეს პატრიარქად აბრაამი, ალბანელი — არქიეპისკოპოსად, ქართველი — მიტროპოლიტად. ქართველი კირონი არ დაეთანხმა იმ რიგს, რომელიც დაადგინეს, აღშფოთდა და საწინააღმდეგო კამათი დაიწყო. მამამთავარი აბრაამი ამბობდა, რომ ალბანელები ქართველებზე ადრე იყვნენ ქრისტიანები და მთავარეპისკოპოსობა მათ შეეფერებათ. ამ კამათსა და მართლმადიდებლური სარწმუნოების ძიებაში ქართველები მიიქცნენ და ქალკედონიტები გახდნენ სა-

დაემორჩილნენ, არამედ გამოაჩინეს ვინმე პირველი მოციქული მოსული ალბანეთში. სახელად ელიშე, უფლის მოწაფეთაგანი, უფლის ძმის იაკობისგან ხელდასხმული, რომელსაც იქ უქადაგია და უფრო ადრე, ფიდრე სომხეთში, აღუშენებია ეკლესია, პირველი დედა ეკლესია აღმოსავლეთში — გისოხ ეკლესია — დააფუძვნა და თვითონ მას მიეზარა. [ალბანელები] სომხებისგან თავის თავს მიუბრუნდნენ, რომ არ ყოფილიყვნენ უისმეს ხელმწიფების ქვეშ.

ხოლო სომხებმა ბერძენთა ტრაპანის გამო, რომლებიც ცდილობდნენ დაემცირებინათ თადეოზ მოციქულის განსასვენებელი და [ამბობდნენ], რომ არა გყავთ მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტიო, განიზრახეს მიტროპოლიტად გაეზნადათ სამარდაპეტოს ეპისკოპოსი, მიეცათ მისთვის ჯვარი და პატივი, მხოლოდ ეპისკოპოსის ხელდასხმის [უფლების] გარეშე. მან ითხოვა, რომ მასთან ერთი ან ორი ეპისკოპოსი ყოფილიყო, მაგრამ მთავრები არ დაეთანხმნენ, რადგან ეშინოდათ, ვათუ სხვა რაიმენაირად გაიყოს შერთებულნი საყდარიო.

უხტანესის წყარო, რომ მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორია“, ექვი არ უნდა იყოს, იმდენად ბევრია სიტყვასიტყვითი დამთხვევები. მიუხედავად ამისა, შესადარებელ ტექსტებში საგრძნობ გამსხვავებებსაც ვხვდებით.

ტანასი და კირონის ჩაგონებით. ამავე დროს მავრიკე კეისრისა და ბერძენი სარდლები საგან გაღიზიანებულნი (შეგულიანებულნი) იყო ის ურცხვი კირონი და თავისთვის ალბანელებზე უპირატესობას ითხოვდა, რასაც არ დაემორჩილნენ ალბანელები, გამოაჩინეს ვინმე ალბანეთში ადრე მოსული მოციქული, სახელად ელიშე, რომლის დახმართა ადრე მინდოდა. ეს იყო მხსნელი მოციქულთაგანი, ხელდასხმული უფლის ძმის იაკობის მიერ.

ამას ერწმუნა სომეხთა პატრიარქი, სამართლიანად მიიჩნია და მისცა ეპისკოპოსობა ალბანელთა სახლს და მიტროპოლიტობა სივნიელთა სახლს. ხოლო კირონი მაშინ გასცილდა და დიდმა მამამთავარმა აბრამმა გააერთიანა თავის ხელქვეით ალბანეთი და სივნიეთი, და იმიერიდან განდნენ ერთი მწყემსის ერთი სამწყსო, მორჩილნი წმიდა გრიგორის წმიდაზეციური საყდრისა.

მოსე კალანკატუელთან დაცული სოლომონ მაქენელის მონათხრობით სომხებმა ბერძნების ბრალდებას, თქვენი ეკლესია სამოციქულო არ არის და ცხრახარისხიანი ეკლესია არა გაქვთო, ვერაფერი უპასუხეს, „რადგან ასეთი ვითარებით იქცეოდა მათი ეკლესია“. უხტანესის მიხედვით კი მოუხერხებიათ პასუხის გაცემა: ჩვენი ეკლესია სამოციქულოა, რადგან თადეოსის საყდარი აქ არის, ხოლო გრიგოლ განმანათლებელი მეორე მოციქული იყო და ყველა ხარისხი დაგვიწესაო. საგულისხმოა, რომ უხტანესს მოსე კალანკატუელის სიტყვები, რომელიც ვნებოდა ყველა იმ საყდარს, რომლებიც მოციქულთა საფლავებზე იყვნენ დაფუძნებულნი და თავს საპატრიარქოებად აცხადებდნენ, გადატანილი აქვს სომხურ ეკლესიაზე (შდრ. „*სნუგაზირ საყა გირაჲ რან ჯ რირან მსრიჲს ქთა გყარაჲს ზიგა გნსიჲ, և ასხს...*“).

როგორც ვხედავთ, უხტანესმა თავის წყაროში სხვა ამოიკითხა, ხოლო სხვა კი დაწერა, მაგრამ თანამიმდევრობა ვერ დაიცვა. მას ბერძენთა ბრალდების უსაფუძვლობის დამტკიცებაც სურდა და ქართველთა გამოყოფის ცხრახარისხიანობის დაწესებით ახსნასაც ცდილობდა, ტრადიციის მიხედვით. მას შემდეგ, რაც ისტორიკოსმა სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლებს ათქმევინა, თავი დანვე გვქონდა ყველა ხარისხით, თხრობა ასე გააგრძელა: „ცხრახარისხიანი საეკლესიო წესის დასადგენად სომხურ ეკლესიას უმთავრეს და დაადგინეს პატრიარქად აბრაამი, ალბანელი — არქიეპისკოპოსად, ქართველი — მიტროპოლიტად“. მაშასადამე, ცხრახარისხიანი ეკლესია სომხებს თავი დანვე კი არა ჰქონიათ, არამედ VII ს-ის დამდეგს დაუწესებიათ. ამის შემდეგ უხტანესი წერს, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი ალბანელებთან შედარებით უპირატესობას და არქიეპისკოპოსობას ითხოვდა. ალბანელებმა დაასაბუთეს მათი ეკლესიის სიძველე ქართულთან შედარებით და არქიეპისკოპოსობის პატივი შეინარჩუნეს. მიტროპოლიტობა სივნიელებმა მიიღეს.

მოსე კალანკატუელის თხზულების სათაურიც კი მაშინვე ცხადყოფს, რომ უხტანესი თავის წყაროს დიდად დაცილდა. როგორც ვნახეთ, მოსეს მიხედვით სომხები ცხრახარისხიანი ეკლესიის გამო ბერძნებთან კამათში დამარცხებულან, რადგან ასეთი წყობა არ აღმოჩენიათ. ხოლო როცა „თვითნებურად“ მოინდომეს „აბრაამი პატრიარქად, ალბანელი — არქიეპისკოპოსად, ქართველი — მიტროპოლიტად“ — განეწესებინათ, მათ წინ

აღუდგა არა მხოლოდ ქართლის კათალიკოსი, არამედ — ალბანეთისაც. სომხეთის ეკლესია ალბანეთისაზე უპირატესობას ითხოვდა. ალბანელებმა დაასაბუთეს თავისი ეკლესიის სიძველე სომხურთან შედარებით და შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. ბერძენთა თავდასხმებისაგან თავდასაცავად სომხები იძულებული შეიქნენ მიტროპოლიტად სამარდპეტოს ეპისკოპოსი გამოეცხადებინათ.

უხტანესის ვარიანტი გამოძახილს ვერ პოულობს მთელს ძველ სომხურ მწერლობაში, მიუხედავად იმისა, რომ განხილულ საკითხს ვრცლად ეხებიან მამტოც ელივარდელის ეპისტოლე გეორგ კათალიკოსისადმი²⁶², სტეფანოს ორბელიანი²⁶³, ანანია სანაინელი²⁶⁴, ჰავლე სამოსატელი²⁶⁵ და სხვ. ეს ისტორიკოსები მოსე კალანკატუელის მონათხრობს თითქმის მთლიანად იმეორებენ.

სტეფანოს ორბელიანი წერს: „სომხები სარწმუნოების გამო დაუმარცხებელნი დარჩნენ, მაგრამ იმაში კი ძლიერ დამარცხდნენ და დამუნჯდნენ, ბერძენებმა რომ თქვეს: ღმერთმა წმიდა ეკლესია ცხრა ხარისხით დააწესა... ქვეყანაზე განსაზღვრა ოთხი საყდარი და საპატრიარქო... მთელი ქვეყანა ვემორჩილებით ამ საყდრებს, და მათ ხელქვეით განაწესა ეკლესიათა რვა ხარისხი. ხოლო სად არის თქვენი პატრიარქი, რომლის ხელქვეითაც განწესებულა ეგ არქიეპისკოპოსიო და სხვა. ან გვიჩვენეთ, ან თუ არა გყავთ, დემორჩილეთ ერთს ოთხი საყდრიდან. თუ არა, სრული მწვალებელი ხართ და მოკლებულნი ყოველგვარ ღვთიურ მადლსაო. აი, ამ სიტყვებით ფრიად ძლეულნი აღმოჩნდნენ სომხები“. სტეფანოსის მიხედვით ამ კამათის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა სომხებმა კრება მოიწვიეს და ცხრახარისხიანი ეკლესიას დაწესება სცა-

²⁶² Թուխთუ Էրանելյոն Մառտոյի, Նախ քան զկարողիկոսութիւն, սո Տէր Գեորգ Հայոց կարողիկոս վասն Սիւնեաց խաչի, քէ է՞ր աղագաւ ոռւսւ: „Արարաւ“, 1902, გვ. 748-753.

²⁶³ Սոսիսնիս Օբբէլեան, Պատմութիւն Մահանդիւն Սիսական, Թիփ., 1911, გვ. 100-107.

²⁶⁴ Լ. Մելիქსե-տ-ბեგო, „Ռրդիլո մեարեա սոմեթա մոძվարնի“ და մათի շինաթա, Եղ. 1928, გვ. 112-120.

²⁶⁵ Զ. Թարոնელის, Եղեցի, Թաճնաճաճ յՅիտ, Գամոյւքեմելիա, Թագրամ Լուրերատրիս მიხედვით մասში მოსე კალანკატუელის თხზულებისგან განსხვავებული არაფერი არ უნდა იყოს. იხ. Ն. Ակիւնեան. Կիւրիւն կարողիկոս վրաց, გვ. 249; Լ. Մելիქსե-տ-բեგո, „Ռրդիլո մեարեա...“, გვ. 161; მისივე. Տաճարտեղոս ისტորիის წերիլոմითი წყարոբիս թղթլիկայի, თ., 1949, გვ. 249.

დეს²⁶⁶. კიდევ უფრო ახლოს არის მოსე კალანკატუელის ვერსიასთან ანანია სანაინელი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კავკასიაში ცხრაზარისხიანი ეკლესიის ისტორიას უხტანესამდელი თუ მომდევნო ხანის ისტორიკოსები (სულერთია ალბანელები იქნებიან თუ სომხები) ერთნაირად გადმოგვცემენ. განსხვავდება მხოლოდ უხტანესის ვერსია, რომელიც უეჭველად მოსე კალანკატუელის „ისტორიის“ შესაბამისი თავის მიხედვით არის შეთხზული.

განსხვავება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხშია, რომლის გარკვევასაც აძნელებს მოსე კალანკატუელის თხზულების ხელნაწერთა ჩვენებებს შორის უთანხმოება. მ. ემინის გამოცემის მიხედვით, „ბერძენი სარდლებისაგან გაღიზიანებული სომხები ითხოვდნენ ალბანელებზე საკადრის უპირატესობას, რასაც ალბანელები არ დაემორჩილნენ, არამედ გამოაჩინეს ვინმე პირველი მოციქული, ალბანეთში მოსული, სახელად ელიშე, ... რომელსაც იქ ადრე უქადაგია და ეკლესია აღუშენებია, ვიდრე სომხეთში... ალბანელები სომხებისაგან თავის თავს მიუბრუნდნენ, რომ არ ყოფილიყვნენ ვისმეს ხელმწიფების ქვეშ. ხოლო სომხებმა ბერძენთა ტრაბახის გამო, რომლებიც ცდილობდნენ დაემცირებინათ თადეოზ მოციქულის განსასვენებელი და ამბობდნენ, რომ არა გყავთო მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, განიზრახეს მიტროპოლიტად სამარღბეტოს ეპისკოპოსის დამა“²⁶⁷.

სურათი საცხებით ლოგიკურია: ბერძენთა ბრალდებით გაღიზიანებული სომხები მოისურვებენ ცხრაზარისხიანი ეკლესიის შექმნას, რათა მათი ეკლესიის სათავეში პატრიარქის ყოფნა გამართლონ. ამ მიზნით ალბანეთის კათალიკოსს აცხადებენ არქიეპისკოპოსად, ხოლო ქართლისას — მიტროპოლიტად. ქართლის კათალიკოსი განდგება და საერთოდ მონოფიზიტობას ზურგს შეაქცევს. ალბანეთის ეკლესია ასაბუთებს, რომ თვითონაც სამოციქულოა და უფრო ძველიც, ვიდრე სომხური. ამიტომ ისიც არ ემორჩილება სომხეთის პატრიარქს. სომეხთა პატრიარქი იძულებული ხდება მიტროპოლიტად ერთ-ერთი თავისი ხელქვეითი ეპისკოპოსი გამოაცხადოს.

მ. ემინის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორ ხელნაწერს ეყრდნობა, ზუსტი უნდა იყოს. ასეთსავე ჩვენებას იძლევა

²⁶⁶ Ս տ Ի Կ ա Ն ի ս Օ Ր Բ Ե Լ Ե Ս Ո. გვ. 102.

²⁶⁷ Մ Ո Վ Ի Լ Է Ս Կ Ի Պ Կ Ա Ն Կ Կ Թ Ի Լ Ե Ս Գ Ի. გვ. 311-312.

მაშ საიდან გაჩნდა მეორე ვერსია? საქმე ის არის, რომ ამ ციკლის ყველაზე ადრინდელ წყაროში (მაშტოც ელივარდელის ეპისტოლე გეორგ კათალიკოსისადმი), რომელიც დაწერილი უნდა იყოს 898 წლის წინ (ახლო ხანებში), იგი უკვე დადასტურებულია ოდნავ განსხვავებული რედაქციით:

„როდესაც აღესრულა მოსე და გააერთიანა სომხეთის საპატრიარქო აბრაამმა, შეშურდა ქართველს, რომელსაც კირონი ერქვა და კამათი დაუწყო აბრაამს. ამბობდა, ქართველები უფრო ძველ-მორწმუნე არიან, ვიდრე ალბანელები და ეგ ეპისკოპოსობა ჩვენ გვეკუთვნისო. მისგან (აბრაამისგან, ზ. ა.) უგულვებელყოფილი მიიქცა და ქალკედონიტი გახდა ბერძენთა ლაშქრისგან, რომელიც აგულიანებდა მას სწრაფი შემოჭრით, ყური არ ათხოვა პატრიარქს და მოითხოვა ალბანელებზე ხარისხით უპირატესობა“²⁷².

როგორც ვხედავთ, ცხრახარისხიანი საეკლესიო წყობის შემოდებისა და მასთან დაკავშირებული საკონფლიქტო სიტუაციების შესახებ კავკასიის მონოფიზიტურ ეკლესიებში ორი ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული ვერსია არსებობდა: სომხური და ალბანური. მათ შორის განსხვავება უკვე ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმოშობილი. სომხური ვერსიის მიხედვით ქართული (ქალკედონური) ეკლესია არ დაემორჩილა ახალ იერარქიულ სიტემას და მოითხოვა თავისი საყდრის ხარისხით ალბანურზე წინ დაყენება. ალბანური ვერსიით კი ალბანეთის ეკლესიამ სომხურისაგან დამოუკიდებლობა მოისურვა როგორც კავკასიაში ყველაზე უფრო ძველმა და მოიპოვა კიდევ. ეს ორი ვერსია მონოფიზიტური ბანაკის კვლავ გაერთიანების შემდეგ ერთმანეთში აირია და მთლიანად თანამიმდევრული საბოლოოდ არცერთი აღარ აღმოჩნდა. ასე, სტეფანოს ორბელიანის ვერსიამ სულ შეიცვალა სახე, ვინაიდან იგი ერთდროულად უხტანესაც ეყრდნობა და მოსე კალანკატუელსაც, ამავე დროს ეროვნული ეკლესიის ინტერესებსაც ითვალისწინებს. მისი მიხედვით, ქართველებს უცდიათ თავი ალბანელებზე წინ დაყენებინათ იერარქიულად: „როცა ალბანელებმა შეიტყვეს ქართველთა გაამპარტავება, გამოაჩინეს მათაც ვილაც მოციქული, სა-

²⁷² Թուխո ხրանելոյն Մաշտոցի, նախ քան զկարուղիկսուրիսին, առ Տէր Ինորգ Լայոց կարուղիկս վասն Սիւնաց խաչի. ԻԷ. Է՞ր աղագաւ ուուսւս: „Արարատ“, 1902, გვ. 748-753.

ხელად ელიშე, რომელიც ალბანეთში უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე სომხეთში, ააშენა ეკლესია და ხელი დაასხა ეპისკოპოსს“. ასეთ ცნობას სტეფანოს ორბელიანი სრულიად მოულოდნელი დასკვნით ამთავრებს: „ისინიც (ალბანელები, ზ. ა.) სომხებთან ერთდროულად მოიქცნენ“²⁷³.

დავასკვნით: 63-ე თავის წერისას უხტანესი წყაროდ იყენებს მოსე კალანკატუელის „ისტორიის“ II ნაწილის 48-ე თავს, რომელსაც მნიშვნელოვნად უცვლის სახეს თავისი შეხედულებებისა და სომხურა ეროვნული ვერსიის გათვალისწინებით. მთელი ძველი სომხური საისტორიო მწერლობიდან მხოლოდ უხტანესი ამტკიცებს, რომ სომხურ და ალბანურ ეკლესიას შორის არავითარი კამათი არა ყოფილა და ალბანელებმა მაშინვე სცნეს თავი დეინის საპატრიარქოს არქიეპისკოპოსებად, თუმცა იგი ამ მხრივაც ბოლომდე თანამიმდევრული არ არის.

2.

თავისი თხზულების 64-ე თავის წყაროდ უხტანესი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „სხვა ისტორიას“ ასახელებს. ამან აფიქრებინა კ. დოვსეტს, რომ იგი უნდა გულოსხმობდეს არა მოსე კალანკატუელის (დასხურანელის) „ალბანთა ისტორიას“, არამედ სხვა რაღაც თხზულებას, რომელიც საერთო წყარო უნდა ყოფილიყო ორივე ისტორიკოსისათვის²⁷⁴. ნ. აკინიანს კი, ვფიქრობთ, სამართლიანად, შიაჩნია, რომ უხტანესის წყარო ამ შემთხვევაშიც მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ 48-ე თავია²⁷⁵.

მართლაც, უხტანესი კვლავ იმეორებს იმას, რაც მოსე კალანკატუელს უწერია 48-ე თავში, მაგრამ იმავე კორექტივებით, რაც გააკეთა 63-ე თავში: ბერძნებმა ყველა საყდარს, სადაც მოციქული იყო აღსრულებული, აღუთქვეს პატრიარქობა. რადგან ალბანელებს სომხებთან საერთო სარწმუნოება ჰქონდათ და წინამძღვრად გრიგოლ განმანათლებლის ჩამომავალი ჰყავდათ (თუმცა ზოგი ამბობდა მოციქული ელიშე ალბანეთში უფრო ადრე მოვიდაო), სომხებმა „მისცეს მათ პატივი ყოფილიყვნენ სომეხთა არქიეპისკოპოსები“, ხოლო მიტროპოლიტობა სიენიელებს უბოძეს. ასე და-

²⁷³ Ս տ Ե փ ա ն ի ս Օ Ր Բ Է Լ Խ Ա Ն, გვ. 104.

²⁷⁴ The History of the Caucasian Albanians, გვ. 177, შუნ. 1.

²⁷⁵ Ե. Ա Լ Ի Կ Ե Ն Ա Ն, Մ ի Վ խ Ե Դ Խ ա Խ ի Ր ա Ն ց Ի Կ ի Յ լ ա Բ Կ ա ղ ա Ն Կ ա ռ ի լ ա ճ ց Ի, և ի ր պ ա տ ա լ ի լ Ի Ն Ա ղ ի Ն ա Ն Ի ց, Հ Ա, 1935, გვ. 15.

აწესეს მათ ცხრახარისხიანი სამწყსო ერთი მწყემსით სათავეში და მოკვეთეს ეკლესიიდან ქართველები.

ამ ამბის მოთხრობისას უხტანესი რომ მოსე კალანკატუელის თხზულებას ეყრდნობოდა, მოწმობს შემდეგი ტექსტუალური შეხვედრები.

მოსე კალანკატუელი

უხტანესი

„ხოლო რა დაინახეს სივნიეთის უფალთა ღმრთისმოშიშობა და მის მცნებათა მორჩილება, ეკლესიების ჩამღვდელთა დიდად განსწავლულობა და ყოველმხრივ მართლმადიდებლობა, მისცეს მათ სომეხთა მიტროპოლიტობის პატივი და ჭვრის ნიშნის პატივით განადიდეს...“

„...ნახეს, აგრეთვე, სივნიეთის უფალთა ღმრთისმოშიშობა და სანდობა სარწმუნოებაში დიდად განსწავლულობა და ყოველმხრივ მართლმადიდებლობა, და მისცეს მათ სომეხთა მიტროპოლიტობის პატივი და ჭვრის ნიშნით განადიდეს ისინი.“

ამრიგად, უხტანესი იყენებს მოსე კალანკატუელის ტექსტს (ხშირად სიტყვასიტყვით), მაგრამ ძირფესვიანად უცვლის მას საერთო აზრს: ალბანურ ეროვნულ ვერსიას სომხური ეროვნული ეკლესიის სამსახურში აყენებს, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „თავისი ქვეყნის შემწედ“ აქცევს ალბანელ ისტორიკოსს. ასეთ ვითარებაში ისტორიკოსისათვის წყაროზე ზუსტი მითითება, რა თქმა უნდა, არ იქნება ხელსაყრელი. ამიტომვე ცდილობს იგი დაგვარწმუნოს, რომ რამდენიმე წყაროს იყენებს და ყველა ეს წყარო „შემწეა“ მისი ეკლესიისა.

3.

უხტანესის ისტორიის 65-ე თავი სიტყვასიტყვით იმეორებს მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ მე-6 თავს²⁷⁶. განსხვავებები მხოლოდ ვარიანტულია. მოსე კალანკატუელის ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მიზანია დაამტკიცოს, რომ ალბანელები სომხებზე აღრე გაქრისტიანდნენ და ამიტომ ალბანური ეკლესია ავტოკეფალობას იმსახურებს. როგორც ჩანს, ალბანური ეკლესიის ეს

²⁷⁶ იხ. A. Manandian, Beiträge zur Albanischen Geschichte, Leipzig, 1897, გვ. 21-22.

ამოცანა კარგად ესმის უხტანესსაც და ცდილობს მის მიჩქმალვას. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ უხტანესს სურდა მკითხველისათვის ჩაეგონებინა, თითქოს ალბანური ეკლესიის სომხურთან შედარებით უფრო სიძველის თეორიას მხოლოდ ზოგიერთი ალბანელი იზიარებდა, თუმცა მის წყაროში სრულიად ამის საწინააღმდეგო ეწერა. და აი, უხტანესის თხზულების 65-ე თავის სათაურმა უკვე ზუსტად ასახა ის სულისკვეთება, რომლითაც გაუღენთილია მოსე კალანკატუელის ნაწარმოები და განსაკუთრებით ის თავები, რომლებსაც უხტანესი ეყრდნობა: „თუ როდის ირწმუნეს ქრისტე ალბანელებმა სომხებზე ადრე — მათივე ისტორიიდან“. ბუნებრივია, ასეთი სათაურის მქონე პარაგრაფს უნდა მოყოლოდა იგივე დასკვნა, რაც მოყვა ანალოგიურ შემთხვევაში ალბანურ ეროვნულ ვერსიას: ალბანური ეკლესია უარს ამბობდა სომხეთის არქიეპისკოპოსობაზე, ვინაიდან თავს კათალიკოსობისა და ავტოკეფალიის ღირსად თვლიდა. უხტანესმა კი დაასკვნა: „ხოლო ამის გამო ჩვენმა მამამთავარმა აბრაამმა შესაფერისად ჩათვალა არქიეპისკოპოსობა ალბანელთა სახლისთვის მიეცა და მიტროპოლიტობა — ქართველთა სახლისთვის“.

4.

უხტანესის „ისტორიის“ 69-ე თავი თითქმის მთლიანად იმეორებს მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ 47-ე თავს. მასში არ არის მხოლოდ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკის რეზიუმე, რომელიც თავისი შეხედულებების მიხედვით გადაკეთებული დაცული აქვს მოსე კალანკატუელს. უხტანესს არც სჭირდება აღნიშნული რეზიუმე, ვინაიდან მისი ნაწარმოების მომდევნო თავი მთლიანად დათმობილი აქვს აბრაამის ენციკლიკას.

არსებითი განსხვავება მოსე კალანკატუელისა და უხტანესის ცნობებს შორის გვექვს მხოლოდ ტექსტის დასაწყისში. შევედაროთ ისინი ერთმანეთს.

მოსე კალანკატუელი

უხტანესი

„რომაელთა წელთაღრიცხვის 43-ე წელი იყო, როცა განათლდნენ სომხები სარწმუნოებით. ალბანელთა განათლება

„რომაელთა წელთაღრიცხვის 43-ე წელი იყო, როცა განათლდნენ სომხები სარწმუნოებით, ალბანელთა განათ-

270 წლით ადრე მოხდა. სომეხთა მორწმუნეობის 180 წელი რომ შესრულდა, ქალკედონის კრების გამო ბაბკენ კათალიკოსის დროს შედგა კრება. ბერძნებმა და მთელმა იტალიამ, სომხებმა, ალბანელებმა და ქართველებმა ერთად დაწყველეს ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი რომაელთა კეთილსამსახური მეფეების ზენონისა და ანასტასის მბრძანებით. 87 წლის გასვლის შემდეგ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს ქართველები გამოეყვნენ სომხებთან ერთობას კირონის მიერ, აგრეთვე ბერძნები და იტალია მათთან ერთად. ხოლო ალბანელებმა არ დაარღვიეს მართლმადიდებლობა და სომხებთან ერთობა“²⁷⁷.

ლ ე ბ ა ზ ე 270 წლით ადრე. სომეხთა მორწმუნეობის 180 წელი რომ შესრულდა, ქალკედონის ქვეყნის წარმწყვდი კრების გამო შედგა კრება ბაბკენ სომეხთა კათალიკოსის დროს. ბერძნებმა და მთელმა იტალიამ, სომხებმა, ალბანელებმა და ქართველებმა ერთად დაწყველეს ბოროტმადიდებელი ქალკედონის კრება რომაელთა კეთილსამსახური მეფეების ზენონისა და ანასტასის ბრძანებით. 87 წლის გასვლის შემდეგ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს ქართველები გამოეყვნენ სომხებთან ერთობას წყეული კირონის მიერ, აგრეთვე ბერძნები და იტალია მათთან ერთად. ხოლო ალბანელებმა არ დაარღვიეს მართლმადიდებლობა და სომხებთან ერთობა“²⁷⁸.

განსხვავება თვალშისაცემია. მოვე კალანკატუელის მიხედვით ქრისტიანობა ალბანელებმა მიიღეს სომხებზე 270 წლით ადრე. უხტანესთან პირიქით: სომხები გაქრისტიანდნენ ალბანელებზე 270 წლით ადრე. წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია ისეთია, რომ უხტანესთან შეგნებულ შესწორებას გულისხმობს. გასარკვევი ახლა ის არის, ცვლილება მოვე კალანკატუელის ტექსტში უხტანესმა შეიტანა, თუ მისი თხზულების გადამწერმა.

ვფიქრობთ, შესწორება უხტანესს არ უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა იგი ამ საკითხს უყურადღებოდ არა ტოვებდა. 64-ე თავი, როგორც აღვნიშნეთ, მას კალანკატუელის მიხედვით აქვს დაწერილი, მაგრამ იქ, სადაც ეწერა ალბანეთში ელიშეს მიერ ქრისტიანობის ადრე ქადაგების შესახებ, ისტორიკოსს ჩამატებული აქვს სიტყვები: „თუმცა ზოგი მათგანი ამბობდა“. 65-ე თავის სათაურში უხტანე-

²⁷⁷ Մ ո Վ Ս Է Ն Կ ա դ ա Ն Կ ս տ ո լ ա գ ի, გვ. 306.

²⁷⁸ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 203-205.

სი პირდაპირ ამბობს: „თუ როდის ირწმუნეს ქრისტე ალბანელებმა სომხებზე ადრე“, მაგრამ მაშინვე უმატებს: „მათივე ისტორიიდან“. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ისტორიკოსს არ უნდა მკითხველმა იფიქროს, თითქოს თვითონაც იზიარებს აზრს ალბანელთა სომხებზე ადრე გაქრისტიანების შესახებ, მაგრამ ტექსტს კი უცვლელად ტოვებს. უხტანესის ტექსტში შეტანილი ცვლილება რომ მექანიკურია, ნათლად ჩანს ქრონოლოგიიდანაც: მაშინ ხომ ალბანელთა მოქცევა VI ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდებოდა! ასეთ შეცდომას კი არ დაუშვებდა ისტორიკოსი, რომელიც VI-VII სს-ის მიჯნაზე კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შესახებ წერდა ნაშრომს.

გვინდა მოკლედ შევჩერდეთ მოსე კალანკატუელისა და უხტანესის ქრონოლოგიაზე.

„რომელთა წელთაღრიცხვის 43-ე წელი იყო, როცა განათლდნენ სომხები სარწმუნოებით“, — წერენ ისტორიკოსები, ეს თარიღი არის ამოსავალი მთელი მომდევნო ქრონოლოგიისათვის. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოსე კალანკატუელი და უხტანესი აქ გულისხმობენ ქ. რომის დაარსებიდან (753 ძვ. წ. ა.) 100 წლიანი ციკლის დასრულების წელს (247)²⁷⁹. ამდენად, სომხეთის ქრისტიანობაზე მოქცევის თარიღი რომელთა წელთაღრიცხვის მიხედვით, იქნება 290 წელი. მიღებული თარიღიდან ამოსვლით, ალბანელთა გაქრისტიანება უნდა განისაზღვროს 20 წლით (29—270=20), ბაბგენის კრება დვინში —470 (290+180=470), ხოლო საეკლესიო განხეთქილება —557 (470+87=557) წლებით. ეს ყველა თარიღი დიდად სცილდება სინამდვილეს.

მ. ბროსესთვის „რომელთა წელთაღრიცხვის“ სისტემა, როგორც ჩანს, უცნობი იყო. ამიტომ სხვა საშუალებებით ცეცხლა ქრონოლოგიის დადგენა:

1. დვინის კრება აბრამ კათალიკოსის დროს, რომელზეც მოხდა განხეთქილება, მისი აზრით, შედგა 596 წელს. მაშასადამე, ბაბგენის კრება უნდა შემდგარიყო 509 წელს (596—87=509), სომეხთა მოქცევის თარიღი იქნება 329 წ. (509—180=429), ხოლო ალბანელთა განათლებისა—59 წ. (329—270=59). ასეთი ანგარიშით „რომელთა წელთაღრიცხვის“ საწყის თარიღად მივიღეთ 286 წ. (329—43=286). ასეთ გამოთვლას, მ. ბროსეს აზრით, ეწინააღმდე-

²⁷⁹ The History of the Caucasian Albanians, გვ. 173. შენ. 1; B. Mac Dermot, The conversion of Armenia in 294. A. D.: Revue des études arméniens, Paris, 1970, გვ. 295.

გება ის გარემოება, რომ ბაბგენ კათალიკოსის დროს შემდგარ კრებას სპეციალისტები 491 წლით ათარიღებენ.

2. თუ დავუშვებთ (ტექსტის გარკვეული შესწორებით), რომ 270 წელი ალბანელთა მოქცევის თარიღია, მაშინ იგივე წელი იქნება „რომაელთა წელთაღრიცხვის“ საწყისიც, სომეხთა მოქცევა დათარიღდება 313 წლით, ბაბგენის კრება კი—493 წლით, ხოლო საეკლესიო განხეთქილება 580 წლით. ეს ქრონოლოგია მიუღებელია მ. ბროსესათვის, რადგან ეწინააღმდეგება სხვა ცნობებს.

3. შეიძლებოდა ამოსავლად მიგველო ბაბგენის კრების თარიღი—491 წელი, დადგენილი მ. ჩამჩენის მიერ. მაშინ სომეხთა მოქცევის თარიღი იქნებოდა 311 წელი, ალბანელთა განათლებისა 41 წელი, ხოლო განხეთქილებისა — 578 წ. „რომაელთა წელთაღრიცხვის“ საწყის თარიღად კი, ასეთ შემთხვევაში 268 წელი უნდა მიგვეჩინა²⁸⁰.

მ. ბროსეს მიერ დაანგარიშებული ქრონოლოგია უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე ის ქრონოლოგია, რომელსაც სპეციალისტები „რომაელთა წელთაღრიცხვის“ 247 წლიდან ამოსვლით იღებენ. აღნიშნული „სიახლოვე“ განსაზღვრა ამოსავლად ისეთი თარიღების აღებამ, რომლებიც შედარებით უფრო უახლოვდებიან კავკასიის ეკლესიათა ისტორიის მეცნიერულ ქრონოლოგიას. მაგრამ ამავე გარემოებამ განსაზღვრა მისი ქრონოლოგიის ფაქტიურად უსარგებლობაც: 1. სხვადასხვა ამოსავალმა თარიღმა სხვადასხვა ქრონოლოგია მოგვცა. 2. ვერ გამოიძებნა „რომაელთა წელთაღრიცხვის“ თარიღი, რომელიც ქვაკუთხედად დაედებოდა მთელს ქრონოლოგიას.

კავკასიური ტრადიციის მიხედვით ალბანეთის გაქრისტიანება მიეწერება თადეოს მოციქულის (ქრისტეს 70 მოწაფეთაგანი) მოწაფეს სახელად ელიშეს. ქრისტეს უშუალო მოწაფეებმაც კი (12-მა მოციქულმა), ლეგენდის მიხედვით, მისიონერული მოღვაწეობა დაიწყეს მათი მოძღვრის ჯვარცმის შემდეგ. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ მოსე კალანკატუელმაც და უბტანესმაც. ამიტომ ისინი ვერავითარ შემთხვევაში ალბანეთის მოქცევის თარიღად 20 წ. ჩვ. წ. ვერ მიიჩნევდნენ. სომხური ტრადიციის მიხედვით ელიშეს მოძღვარი თადეოსი სომხეთში აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით 40 წელს²⁸¹, ხოლო მისი მოწაფე ელიშე კვლავ იერუსალიმში

²⁸⁰ M. Brosset. Additions et Eclaircissements à l'Histoire de la Géorgie, St. Pétersb., V. გვ. 120.

²⁸¹ იხ. Симеон Ереванци, Джамбр, М., 1958, გვ. 76. საეკლესიო ისტორიებში თადეოსის სომხეთში მოღვაწეობას 35-43 წწ-ებით განსაზღვრავენ იხ.

დაბრუნდა. აქ მან ხელდასხმა მიიღო „უფლის ძმის იაკობის მიერ“ და წილად ზედა აღმოსავლეთში ქადაგება. ჩავადა ალბანეთში და იქ დააარსა (ქ. გისს) პირველი ეკლესია, რის შემდეგაც წამებით დაასრულა სიცოცხლე. თუ გავითვალისწინებთ საერთო ალბანურ-სომხური ტრადიციის მიხედვით მოვლენათა თანამიმდევრობას, აღწერილი ამბავი დაახლოებით 50-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

ვნახოთ ახლა, რომელი სისტემით უნდა დავიანგარიშოთ მოსე კალანკატუელისა და უხტანესის თხზულებებში მოცემული ქრონოლოგია, რომ ალბანეთის მოქცევის თარიღი დაახლოებით I ს-ის 50-იან წლებზე მოვიდეს. ერთადერთი ასეთი სისტემა არის ე. წ. დიოკლეთიანეს ერა, რომელიც იანგარიშება მისი რომის იმპერატორის ტახტზე ასვლის დღიდან — 284 წ-ის 29 აგვისტო²⁸².

თუ დავუშვებთ, რომ „რომაელთა წელთაღრიცხვა“ დიოკლეთიანეს ერას გულისხმობს, მაშინ სომხეთის „სარწმუნოებით განათლების“ თარიღი ზემოთ გადმოცემული ქრონოლოგიის მიხედვით იქნება $284 + 43 = 327$ წ., უფრო ზუსტად 326 წ. (ვინაიდან ქრონოლოგიაში ლაპარაკია „43-ე წელზე“), ხოლო ალბანთა მოქცევა დათარიღდება $326(327) - 270 = 56(57)$ წ.

საგულისხმოა, რომ დიოკლეთიანეს წელთაღრიცხვიდან ამოსვლით კავკასიის ეკლესიის ისტორიის დანარჩენი უმნიშვნელოვანესი თარიღებიც წესრიგში მოდიან.

როგორც ცნობილია თანადროული დოკუმენტების მიხედვით ბაბეც კათალიკოსის სახელით ცნობილი კრება შედგა დვინში 506 წელს. მოსე კალანკატუელისა და უხტანესის ქრონოლოგიით: $327(326) + 180 = 506(507)$. დამთხვევა აბსოლუტურია, ხოლო რომის დაარსების ათასწლიანი ციკლიდან ამოსვლით ვიღებდით 470 წელს. ამავე დროს ტექსტში ნათქვამია, რომ კრებამ ქალკედონის კრება დავმო ზენონ და ანასტასი კეისრების ბრძანებით, ხოლო ზენონი და ანასტასი ბიზანტიის კეისრის ტახტზე ისხდნენ შესაბამისად 474-491 და 491-518 წწ.-ში. რადგან ისტორიკოსები ორივე კეისრის შესახებ ერთდროულად ლაპარაკობენ, ცხადია, ისინი გულისხმობენ ანასტასი კეისრის ბრძანებით კრებაზე ზენონის

Մ. Օրմաճեան, Ազգայաբանութիւն, გვ. 32; მისივე, Армянская церковь, М., 1913, გვ. 11.

²⁸² იხ. История армян, გვ. 346, ქ. პატკანიანის შენიშვნა: „Вероятно автор рззумеет здесь эру Диоклещианову, или аера Martyrum.“

ერთმანეთის გამოპრიცხავი ჩვენებების შეთანხმებას, რის გამოც მის თხზულებაში ხშირია ფაქტობრივი წინააღმდეგობები.

სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების თარიღები სპეციალისტების შრომებში 219-314/315 წლებს შორის მერყეობს²⁸⁷. ასეთი კარდინალურად განსხვავებული შეხედულებები შედეგია არა მარტო მკვლევართაგან ერთი და იმავე მონაცემების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა, არამედ თვითონ ცნობებს შორის არსებული წინააღმდეგობებისაც. მოსე კალანკატუელისა და უხტანესის ქრონოლოგიის დიოკლეტიანეს ერაზე გაწყობით ჩვენ სომხეთის მოქცევის თარიღად მივიღეთ 326 (327) წელი.

325 წელს შედგა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც ნიკეის კრების სახელს ატარებს. ძველი სომხური საეკლესიო მწერლობის ცნობით, კრებას ესწრებოდა გრიგოლ განმანათლებლის შვილი არისტაკესი, რომელიც ამავე წლის მიწურულს დაბრუნდა სომხეთში და თან ჩაიტანა კრების განსაზღვრებები, რომლებიც გარკვეული დამატებებით დაამტკიცა სომხეთის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ²⁸⁸. 325 წლის ბოლოს, თუ 326 წლის დასაწყისში გარდაიცვალა გრიგოლ განმანათლებელი და სომხეთის კათალიკოსის ტახტი არისტაკესმა დაიკავა. ჩვენი ვარაუდით, მოსე კალანკატუელის და უხტანესის ქრონოლოგია სომხეთის „სარწმუნოებით განათლებას“ სწორედ არისტაკესის ნიკეის კრებიდან დაბრუნებით განსაზღვრავენ. ასეთი ტრადიცია ძველი სომხური მწერლობისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. ამისი ნათელი დადასტურებაა ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის 506 წლით დათარიღებული ეპისტოლე სპარსელი მართლმადიდებლებისადმი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩვენც საჭიროა, რომ ცთუნების გარეშე ვახაროთ
ნიკეას შეკრებილ ნეტარ მამათაგან
გამოსვლა წმიდა სარწმუნოებებისა, 318

²⁸⁷ იხ. ბოლო ხანებში გამოქვეყნებული ნაშრომები: P. Ananian, La date et le circonstance della concecratione di S. Grigorio Illuminatore: Le Muséon, 74, 1961, გვ. 43-73, 317-360. იგივე სომხურად, Պ. ԱՆԱՆԻԱՆ, Ս. Գրիգոր Լուսավորչի ծննդաօրհանի և լուսավորչության ժամանակը: «Քաղաքացի», 1959, № 1-2; აქვე შეიძლება მანამდე გამოთქმული შეხედულებებისა და ლიტერატურის გაეცნობა; B. Mac-Dermot, The conversion of Armenia...; C. Toumanoff, The Third-Century Armenian Arsacids, Revue des études arméniennes, VI, 1959.

²⁸⁸ იხ. Հովհաննու Խմաստասերի Հայոց կաթողիկոսի Մակս Ժողովոց, որ եղև ի Հայք: Գիրք ըրբոց, გვ. 220.

ეპისკოპოსისგან შეწყნარებული სახით, რომლებსაც ღმრთის მადლით შეუერთდა ჩვენი ნეტარი მამამთავარი არისტაკეცი, მიიღო წმიდა მამათაგან სრულად ქვემარტების სარწმუნოება და მოიტანა ნამდვილად ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მიიღეს მისგან სომეხებმა. იმ სარწმუნოებით გავნათლდით და მისგან მომდინარეობს დღემდე სომეხთა ქვეყნის მამამთავრობის ხელდასმება და მასშივე მტკიცე ნება“²⁸⁹.

დაახლოებით ამასვე ამბობს ბაბეჯ კათალიკოსის მეორე ეპისტოლე სპარსელ მართლმადიდებელთადმი, იმ განსხვავებით, რომ მასში მოხსენებულია გრიგოლ პართელიც:

„ღმერთშემოსილმა მხნე კაცებმა და მათმა მსგავსმა სამგზის ნეტარებმა... და ბრწყინვალე მამამ ჩვენმა არისტაკეს — წმიდა გრიგოლის სიმართლის თესლმა, მიზეზმა და დასაბამმა სომეხთა ღმრთის სიყვარულისა და შევებისა — ამათ ყველა შეკრებილმა წმიდანმა, სამების მასპინძლებმა, მოწამეობით დაამტკიცეს ძველი და ახალი აღთქმანი საზოგადოდ კათოლიკე ეკლესიაში. ამ სარწმუნოებით ვცხოვრობთ, როგორც მოვწერეთ კიდეც აღრე...“²⁹⁰.

ამავე ტრადიციის კვალი შემონახა ანტიმონოფიზიტურმა (ქალკედონურმა) მწერლობამაც: *Narratio de rebus Armeniae*, რომელიც ბერძნულად სომხურიდან არის თარგმნილი, სომხეთის ეკლესიის ისტორიას ნიკეის კრებიდან იწყებს²⁹¹. 326 წლიდან ანგარიშობს სომეხთა გაქრისტიანებას, აგრეთვე „*Պատասխանի առ Հայս*“-ის კომენტარების ავტორი²⁹².

²⁸⁹ ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის: „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3, გვ. 148.

²⁹⁰ იქვე, გვ. 152, იხ. აგრეთვე ივ. ჯაფარიძის შვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 109-110.

²⁹¹ *La Narratio de rebus Armeniae*. § 1.

²⁹² ზ. ალექსიძე, არსენი ვაჩხაძის „ღოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში: კრ. „მრავალთავი“, თბ., 1971, გვ. 138. დაახლოებით ასეთივე თარიღი გამოუდის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ავტორს: იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 86.

ამრიგად, დიოკლეთიანეს წელთაღრიცხვით თუ ვიანგარიშებთ, მისე კალანკატუელისა და უხტანესის ქრონოლოგია საკმაოდ მისაღებ თარიღებს მოგვცემს და წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდება მთელ რიგ ძველ სომხურ წყაროებთან.

6

შუშანიკის მარტვილობა

უხტანესის თხზულების 67-ე თავი მიძღვნილია შუშანიკის წამებათა აღწერისადმი. ისტორიკოსი თავიდანვე მიუთითებდა, რომ გამოიყენა როგორც წერილობითი წყაროები, ისევე ზეპირსიტყვიერი მასალა („გაუწყებ, რაც წიგნით და ზეპირ მისწავლია“)²⁹³.

ჩვენ დრომდე მოაღწია შუშანიკის მარტვილობის ქართული და სომხური ვერსიების ვრცელმა და მოკლე რედაქციებმა. უხტანესის ტექსტის გაცნობა მაშინვე ნათელს ხდის, რომ ავტორი მარტვილობის ტექსტებით სარგებლობს. ამიტომ გასარკვევი რჩება შემდეგი საკითხები: 1. შუშანიკის წამების რომელ ვერსიას და რედაქციებს იცნობს ისტორიკოსი. 2. ჰქონდა თუ არა მას ხელთ ისეთი თხზულება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. 3. რა დაუმატა უხტანესმა მისთვის ლიტერატურულად ცნობილ წყაროებს ცურტავის მცხოვრებთაგან გამოკითხვით.

პირველ ყოვლისა ვნახოთ, რა აქვს უხტანესს განსხვავებული ჩვენამდე მოღწეული მარტვილობათა წიგნებისგან. მნიშვნელოვნად ახალი უხტანესთან არის მხოლოდ იმ ციხის სახელი, რომელშიც ექვსი წლის განმავლობაში იტანჯებოდა შუშანიკი. ისტორიკოსი მას უფრეთს უწოდებს. ამ ერთადერთი მონაცემის საფუძველზე პ. პეტერსმა დაასკვნა, რომ უხტანესს ციხის სახელწოდება ამოღებული უნდა ჰქონდეს ისეთი სომხური რედაქციიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია²⁹⁴. ვინაიდან უხტანესის ვერსია საგრძნობლად განსხვავდება დღეს ჩვენთვის ცნობილი სხვა სომხური

²⁹³ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 199.

²⁹⁴ P. Peeters, Saint Sousanik, გვ. 293, 302.

ვერსიებისაგან, მკვლევარმა ივარაუდა, რომ მთლიანად 67-ე თავი ისტორიკოსს დაწერილი აქვს აწ დაკარგული სომხური „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით. პ. პეეტერსმა ისიც აღვიღაღ შეამჩნია, რომ უხტანესის 67-ე თავი შინაარსობრივად უფრო ახლოს არის ამავე მარტვილობის ქართულ ვრცელ რედაქციასთან, ვიდრე სომხურთან, მაგრამ დასკვნა ამ ფაქტიდან რამდენადმე მოულოდნელი გააკეთა: მისი აზრით, იაკობ ხუცესის ავტორობით ცნობილი ქართული „მარტვილობა“ XI-XII სს-შია შეთხზული და ეყრდნობა იმავე სომხურ თხზულებას, რომელიც წყაროდ ჰქონდა უხტანესს და ჩვენამდე არ მოუღწევია²⁹⁵.

იძლევა თუ არა საკმარის საფუძველს უფრეთის ციხის მოხსენიება, რათა უხტანესისათვის რაღაც უცნობი სომხური წყარო ვივარაუდოთ შუშანიკის მარტვილობის აღწერისას? ვფიქრობთ, არა, ვინაიდან: 1. უხტანესის მოთხრობა „შუშანიკის მარტვილობის“ ჩვენთვის ცნობილი ტექსტებისაგან მხოლოდ ამ ერთი ცნობით განსხვავდება. 2. პ. პეეტერსის მიერ ნავარაუდები უცნობი რედაქცია არ აისახა არცერთ სხვა სომხურ თხზულებაში, რომელიც მიძღვნილია შუშანიკისადმი. 3. უხტანესი, თავისივე განცხადებით, წერილობითის გარდა ზეპირსიტყვიერ ცნობებსაც ეყრდნობა. რადგან სხვა ყველა ცნობა წერილობითაც არის დადასტურებული, ზეპირი მასალისათვის გვრჩება მხოლოდ იმ ციხის სახელწოდება, სადაც მარტვილი იყო გამოკეტილი ექვსი წლის განმავლობაში. ისტორიკოსი სწერს თხზულების დამკვეთს:

„მაგრამ შენ აქ ნუ მაგინებ, თითქოს ეს რაღაც ზედმეტი მოგწერე, ო სიბრძნისმოყვარევე, რადგან მსურდა რამდენიმე სიტყვით ცურტავის მრავალი მოსახსენებელი მეცნობებინა შენთვის, ვინაიდან საჭირო იყო და იმსახურებდა, რომ გვერდი არ აგვექცია მისი ზეპურობისათვის, რადგან დასაბამიდან სამეუფო სამკვიდრებელი და განსასვენებელი იყო წმიდა შუშანიკისი; სადაც ჭერაც არიან ადგილნი მისი მოწამეობის ვნებათა და მისი წმიდა და პატიოსანი ნეშტის განსასვენებელი, სადაც მრავალჯერ მივსულვართ და ვმთხვეულვართ წმიდა ადგილს“²⁹⁶.

ცხადია, ხალხს, რომელსაც ახსოვდა მარტვილობის ადგილები, ეხსომებოდა მათი სახელებიც. არც ის არის გამორიცხული, რომ

²⁹⁵ P. Peeters, Saint Sousanik, გვ. 312-303.

²⁹⁶ უ ხ ტ ა ნ ე ს ; გვ. 75-77.

უფრეთის ციხე უხტანესის დროს ჯერ კიდევ ფეხზე მდგარიყო და ისტორიკოსს მისი სახელი თავისი მეგზურებისგან შეეტყო. 4. მსგავს გლოსებს უხტანესი თავის თხზულებაში სხვაგანაც აკეთებს. მაგალითად, როდესაც ქორს (ჩორს) ახსენებს, იგი იქვე განმარტავს: „რომელიც არის დარბანდი“²⁹⁷; გისის (გესის) ეკლესიასთან შემდეგ გლოსას იძლევა: „რომელიც მდებარეობს ამარასუს ქვემო წელზე, გავარში, რომელსაც გოროზუ ეწოდება, მახლობლად ქალაქ პარტავის ველისა, რომელსაც ფაიტაკარანი ჰქვია“²⁹⁸. არცერთი ეს განმარტება უხტანესის წყაროში (მოსე კალანკატუელის „აღბანთა ისტორია“) არა გვხვდება, მაგრამ ამის გამო არავენ ეძებს სხვა რამ უცნობსა და დაკარგულ ტექსტს.

უხტანესის თხზულების 67-ე თავისა და შუშანიკის მარტვილობის ვერსიების მიმართების საკითხს სპეციალურად შეეხო ილ. აბულაძე. მან, ვფიქრობთ, სამართლიანად, ივარაუდა, რომ შუშანიკის წამების აღწერისას უხტანესი წყაროდ იყენებს იაკობ ხუცესის ნაწარმოებს „მარტვლობაჲ შუშანიკისი“. ი. აბულაძის ამ მოსაზრებაზე ჩვენ მივიუთითეთ „ეპისტოლეთა წიგნისთვის“ დართული გამოკვლევის ერთ-ერთ სქოლიოში²⁹⁹, რის გამოც პ. მურადიანმა დაუყოვნებლოვ გააკეთა შემდეგი შენიშვნა: „В действительности у И. Абуладзе ничего подобного не сказано“³⁰⁰. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ ილ. აბულაძის ნაშრომიდან აქ საკმაოდ ვრცელ ციტატას მოვიყვანთ:

„მისი (უხტანესის, ზ. ა.) მონათხრობიდან მართლაც ის ირკვევა, რომ სომხურ წამებებს გარდა ის სხვა წყაროებსაც იცნობს. ეს წყარო კი ჩვენი აზრით იაკობის სახელით ცნობილი თხზულება ან მისი მსგავსი რამე ჩანს. უფრო კი იაკობისაა საგულისხმეო ქართულად (ხაზი ჩვენია, ზ. ა.), რადგან საფიქრებელია, რომ ქართულის მსგავსი თუ მისგან ნათარგმნი წამება უკვე უხტანესის დროისათვის პირვანდელი სახით აღარ იქნებოდა ცნობილი. მას კი ქართულის გაცნობა შეეძლო (ხაზი ჩვენია, ზ. ა.), თუნდ იმავე

²⁹⁷ უხტანესი, გვ. 198.

²⁹⁸ იქვე, გვ. 191.

²⁹⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 016, შენ. 19.

³⁰⁰ К критике III послания католикоса Авраама, გვ. 54, შენ. 33.

გზით, როგორც სხვა ქართულად დაცულ დოკუმენტს გაეცნო... ეს გზა იყო თარგმანი, რომელიც მისთვის შეუხსრულებია ქართულის კარგად მცოდნე ვინმე კირაკოს ხუცესს. თარგმანი ამ შემთხვევაში შეჭლებოდა ზეპირი ცოფილიყო. ერთი სიტყვით, იაკობის ნაწარმოები გვგონია ის ისტორია ანუ უწყება შუშანიკისა (ხაზი ჩვენია, ზ. ა.), რომელშიაც ყოფილა მოთხრობილი (*საჰი ხსკ ქ ქარიალ სასამილქსანს*): «მოითრია იგი ფოლორცთა და უბანთა ზედა, და შემუსრა კუერთხითა, და სცა პირსა და ყბასა, ვიდრემდის მრავალთა დღეთა არარაჲ ეძლო ხილვად თუალთა მათ დაბუშტებითა. და მერე საკრველთა, რკინათა და საპყრობილესა [იყო]. ადგილთა მათ სიმყრალქ და სინოტივქ საპყრობილისაჲ მის უმეტქსრე იყო, დაუტეო თქუმად იგი, რომელი გრწყილისა და მატლთაგან მას ზედა მოიწია შექირვებაჲ, რომელი ითხრობის მისსა მას უწყებას». აქ ჩამოთვლილი მომენტები უმთავრესად ცნობილია იაკობ ხუცესის ნაწარმოებით, რომლითაც უსარგებელია კიდევაც უხტანესს (ხაზი ჩვენია, ზ. ა.)“. „ერთი სიტყვით, იაკობის მიერ გამოთქმული ქართული ვრცელი წამების წიგნი შუშანიკისა ჩანს წყაროდ უხტანესისთვის (ხაზი ავტორისა, ზ. ა.)...“³⁰¹.

ამრიგად, ილ. აბულაძის აზრით, უხტანესი იცნობს შუშანიკის მარტვილობის როგორც სომხურს, ისე ქართულ ვერსიებს. ისტორიკოსის მიერ ქართული ვერსიის ცოდნა მკვლევარს დასაბუთებელი აქვს, ხოლო სომხურის შესახებ არაფერს ამბობს.

შეგუდაროთ დეტალურად უხტანესის ცნობები შუშანიკის მარტვილობის ვრცელ ქართულ და სომხურ რედაქციებს³⁰². სომხურ მოკლე რედაქციას აქ არ შეევეხებით, ვინაიდან უხტანესის ნაწარმოების 67-ე თავს მასთან საერთო არაფერი აქვს.

301 მარტვილობა შუშანიკისი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1938, გვ. 044-045.

302 ტექსტებს ვაღარებთ ელ. აბულაძის ზემოთ მითითებული გამოცემის მიხედვით. სომხური მარტვილობისთვის ვიძლევიტ ილ. აბულაძის მიერ ძველი, ქართულით შესრულებულ თარგმანს.

1. უბტანესი: შუშანიკი „შიმშილითა და წყურვილით თვითონ განილეოდა, მღვიძარებითა და ფსალმუნებით დღისით და ღამით არა ცხრებოდა ღმრთის კურთხევაში“. „... უფრო და უფრო მხნევედებოდა თავის იაჭირვებაში, რომელსაც ითმენდა ნაირ-ნაირი მოღვაწეობით, პურის უჭმელობით, წყლის წყურვილით, მღვიძარებით, ცრემლითა და დაუცხრომელი ფსალმუნებით დღე და ღამე“.

იაკობ ხუცესი

სომხური ვრცელი რედაქცია

„რამეთუ ექუსი წელი ციხესა შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღვძარებითა, ზედგომითა, თაყუანის ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებლად“ (X, 25-27).

„ხოლო წმიდამან შუშანიკ... დიდითა გულს მოდგინებითა კელთა აღიხუნა და ვითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასე-რგასისნი იგი ფსალმუნნი და ისწავლნა, რომლითა იგი დღმ და ღამმ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა „ცრემლით“ (XII, 1-5).

„...რამეთუ მოედლუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედოდენ გემოჲ იხილა“ (XII, 13-14).

„...უღლადებდი და ვეტყოდი, ვათარმედ, «ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმიძიმებ კორცთა მაგათ ზედა...

„და ესრეთ მითვე ბორკილითა და ურვითა, სიყმილითა, წყურვილითა და იწროებითა ექუსი წელი საბყრობილესა მას შინა აღასრულა. და ექუს წელ არა დასცხრა შჯულისა მის განკრძალვისაგან, რომელსა შინა მკნდა და ილუწიდა მარხვითა და ლოცვითა, მღვძარებითა და ცრემლითა [და] დაუცხრომელითა ფსალმუნებითა დღე და ღამე, გუემული თავად და მწართა საკრველითა, ქრთილისა პურიითა და მარტოთა წყლითა კმაყოფილი. და მარხვათა შინა წმიდისა აღვსებისათა შვდევულთა შინა არა არაჲსა გემოჲ იხილის, გარნა შაბათსა და დღესა კვირაჲსა ეზიარის კორცსა და სისხლსა ცხოველყოფელისასა და მცირედ რაჲმე მხალი მიიღის“ (X, 88-97).

„...ვითარცა დელვაჲ ზღვსაჲ კლდესა სცემდა ექუს წელ, და სტანჯვიდა პირად-პირადითა

ეკოლენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დამუშრომითა ფსალმუნებითა და გალობითა (XIV, 4-8).

„ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რამ მიიღის, გარნა ხოლო დღესა კვრიაკესა ეზიარის ქორცთა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენი მხალისა შექმნული — იგიცა მცირედ — მიიღის, ხოლო პურისაჲ გემოჲ არა იხილის, ვიდრე აღვსებადმდე“ (XIV, 10-15).

ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ უხტანესის თხრობა სტილისტურად უფრო ახლოს არის სომხურ რედაქციასთან, ვიდრე ქართულთან. მიუხედავად ამისა, უხტანესს არა აქვს არცერთი ისეთი სიტყვა, რომელიც არ მოიძებნებოდეს იაკობ ხუცესთან. ვფიქრობთ, თუკი ვინმე მოინდომებს შუშანიკის ღვაწლი იაკობის თხრობის მიხედვით სულ ორი წინადადებით გადმოსცეს, იგი იმავე მიიღებს, რაც მიიღო უხტანესმა. შეიძლება ასევე აიხსნას სომხური ვრცელი რედაქციის მსგავსება უხტანესის ტექსტთან: მასშიც ხომ ის, რაც სიტყვა-სიტყვით არ ემთხვევა იაკობ ხუცესის თხზულების შესაბამის აბზაცს (დღდმარხვის შესახებ), ფაქტურად შეკუმშულად და ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით გადმოსცემს ქართული ნაწარმოების ბუნებრივ თხრობაში სხვადასხვა ადგილზე გაფანტულ მხატვრულად ცოცხალ ინფორმაციას.

ამრიგად, განხილული ტექსტები არ იძლევიან საშუალებას გადაჭრით ვთქვათ, რომელი რედაქციით სარგებლობს უხტანესი, თუმცა მისი ცნობის საერთო იერის მსგავსება სომხურ „შუშანიკის მარტილობასთან“ უფრო თვალსაჩინოა.

განსაცდელითა და იწროებითა წმიდასა მას გუემითა, საპყრობილითა, სიყმილითა, წყურითა, გრძნეულებითა... უკამურ იყო და საზრდოდ პური ქრთილისაჲ და სასუმელად წყალი აქუნდა და უფროჲს მრავალთაჲ იგი არს, რომელ თუნიერ საკმელისა იყოფვოდა“ (XIV, 10-15).

2. უბტანესი: ვარსქენმა შუშანიკი „ჯერ ათრია ქუჩებსა და გზებზე, სცემა და დაუმსხვრია მას პირი და ყბა კვერთხით იქამდე, რომ მრავალი დღის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა თვალთა დაბუშტების გამო“, შემდეგ საპყრობილეში შეაყენა.

რომ მიინცა და მიინც ქუჩებსა და გზებზე ათრევდა ვარქსენი თავის მსხვერპლს, ეს მარტვილობის არცერთ ვერსიაში ნათქვამი არ არის. ის კი ორივეგან წერია, რომ შუშანიკი მიწაზე ათრევს ეკლესიიდან სასახლემდე. უბტანესი, რომელიც ცურტავშია და იქ კითხულობს მარტვილობის წიგნებს, როგორც ვნახეთ, წმიდა ადგილებსაც ნახულობს და ხედავს, რომ ეკლესიიდან სასახლემდე გზა ქუჩებსა და გზებზე გადის. ამიტომ ასეთი დაზუსტება მოთხოვნისა, ვფიქრობთ, იმავე რიგის ზეპირი მასალის შემოტანის ცდა უნდა იყოს, როგორც ზემოთ ვნახეთ საპყრობილეს სახელთან დაკავშირებით.

იაკობ ხუცესი

„მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჯითა თვისითა დასთარგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუაღი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა...“ (VI, 14-17).

და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: «მიბრძანე და მოგბანოსი სხელი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუაღთა შენთა შთაცუეულ არს...» (VII, 14-16).

„მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: «ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოხს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსვრილ არიან...» V(II, 22-25).

სომხური ვრცელი რედაქცია

და სცემდა მას კუერთხითა სასტიკად ფრიად... ვიდრე არა დაშთა მას ზედა ადგილი მთელი კუერთხითა ცემისა გან...“ (XI, 30-40).

„და მას არა ეძლო დგომად სასტიკისა სიმსივნისაგან ყოვლისა სხეულისა და სისხლისაგან, რომელი გარემოდებულ ჰქონდა...“ (VII, 24-26).

„და ხუცესი იგი ევედრებოდა ნეტარსა მას მიღებად ჭამადისა, და მას დაღაცათუ ენება, არამედ არა ძაღვდვა სასტიკთა მათ გუემათაგან“ (VII, 43-46).

„და ეგრეთ წმიდად შუშანიკ თრევეით მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე; ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილადგილად ქუე ძეძუ დაეფინა. და თვთ ფერკნი დაიდგნის ძეძუსა ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ.

და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, არა რაჲ აღმოკდა პირსა მისსა ვაებაჲ“ (VIII, 15-23).

„და ნეტარი იგი მოითრია ქუეყანასა შიგან, ეკალთა და ძეძუთა ზედა, ქვათა და ქაცუთა. და მერმე უბრძანა ტაძრად წარყვანებაჲ და წულილ-წულილად დაებძარნეს [მას] კორცნი მისნი, რამეთუ იყო ქუეყანაჲ იგი ძეძუან, და სისხლი დამოსდიოდა მას და ქუეყანაჲ იგი სისხლითა დასხმულ იხილვიდა მხილველთაგან“ (VIII, 28-36).

„და ვითარცა მიიწია ტაძრად უშქულოჲ, იგი, კუალად გუემასა განამრავლებდა... და შუშანიკ ღვა დიდითა ძალითა და არად მიიჩნია თრევაჲ იგი, არცა კუერთხითა გუემაჲ“ (IX, 1-9).

სავსებით აშკარაა რომ უხტანესის ცნობები მთლიანად იაკობ ხუცესის თხზულებას ეყრდნობა, ვინაიდან პირისა და ყბის დამტკრების, თუ თვალის დაბუშტების შესახებ მხოლოდ მასთან შეიძლება ამოკითხვა, ხოლო სომხურ ვერსიაში მსგავსი არაფერი გვხვდება.

3. უხტანესი: „შემდეგ ჰყავდა საკრველებსა, რკინებსა და საპრობილეში; ადგილთა სიმყარაღე და სინოტივე საპრობილესი უდიდესი იყო, რომ არა ვთქვათ, რაც რწყილთაგან და მატლთაგან მასზე გაჭირვებამ მოაღწია“.

იაკობ ხუცესი: „...პრობილესი იგი ციხესა მას შინა... და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო. ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუფელი იგი მკურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამკნარნი და დამღიებულნი, ჩარადოუანნი,

პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუ-
ცებულ არა ვინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას
ციხესა შინა ექუს წელ პერობილ იყო და მძიმეთა მათ
საკრველთა შინა აღიღებდა ღმერთსა...“ (XIV,
16-28).

„და ვითარცა მეშუდე წელი დადგებოდა, მოიწია
წმიდასა და სამგზის სანატრელსა შუშანიკის ზედა
წყლულებადცა კორცთა მისთაჲ და დაუცხრომელად
შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრამ-
ლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. და წყლულებანი
დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ
იყო წყლულთა მათ...“ (XV, 1-5).

სომხურ ვერსიაში არაფერია ნათქვამი არც საპერობილისა და
მისი სანახების კლიმატური პირობებისა და არც მარტვილზე დახვე-
ული რწყილ-მატლის შესახებ. ყოველივე ეს უხტანესს ან იაკობ
ხუცესის თხზულებაში უნდა ჰქონდეს ამოკითხული, ან კიდევ ად-
გილზე ენახოს და ზეპირად მოესმინოს. მაგრამ ამ მეორე ვარაუდს
კატეგორიულად უარყოფს თვითონ ისტორიკოსის განცხადება, რომ
ამის „შესახებ მის ისტორიაშია ნათქვამი“—ო.

4- უხტანესი: „თან ჰქონდა ერთი წიგნაკი, თავისი
სამსახურებელი, და ფსალმუნს იმითი აღასრულებდა“.

იაკობ ხუცესი

„ქოლო წმიდამან შუშანიკ...
ქელთა აღიხუნა დავით-
ნი და მცირედთა დღეთა შემდ-
გომად ასერგასისნი იგი ფსალ-
მუნნი დაიხწავლნა“
(XII, 1-3).

სომხური ვრცელი რედაქცია

„...და ემოსა მას შინაგან ძა-
ძაჲ და გარეგან პალეკარტი ან-
ტიოქიისაჲ და უცნ სასთაული
მცირე ზალენისაჲ და ლოც-
ვათა წიგნი მცირე
სასთულნი თ“ (XIV, 16-20).

სომხური ვერსია უახლოვდება უხტანესის ცნობას იმით, რომ
ორივე მცირე ზომის წიგნის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ უხტა-
ნესს, ისევე როგორც იაკობ ხუცესს, მხედველობაში აქვს „დავით-
ნი“, ხოლო სომხურ რედაქციას — ლოცვანი. უხტანესი და იაკობ
ხუცესი გვაუწყებენ წიგნით „ფსალმუნის აღსრულების“ შესახებ,
ხოლო სომხური რედაქცია ლოცვანის ძილის დროს სასთუმლად
გამოყენების შესახებ.

5. უხტანესი: „როცა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას მოეფინა, ვინც მასთან სანახავად მიდიოდა, მისგან კეთილმსახურების ქადაგებას სწავლობდა, და მრავალი სწეული და ავაღმყოფი მასთან მისვლით იკურნებოდა“.

იაკობ ხუცესი

„და მიერთ განითქუა ყოველსა ქართლსა საქმშ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რაჲ ვის უქმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სწეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა აღხილვაჲ“ (XI, 1-5).

სომხური ვრცელი რედაქცია

„ჰამბავსა სიმენისა მისისასა მოვიდოდეს ხილვად მრავალნი მამანი და დედანი, აღმთქუმელნი და მსოფლითნი, სმენად მისგან ქცევათა უბიწოებისა და სიმართლისათა. და იგი ასწავებდა მრავალთა დატევებად სოფლისა ამის და რაჲცა რაჲ სოფელსა ამას შინა არს, და შედგომად წარუვალისა მის ცხორებისა. და მრავალთა უღონოთა ლოცვითა მისითა მოსცა უფალმან მოხედვაჲ: უშვილოთა შვილი, ეშმაკეულთა კურნებაჲ, სწეულთა და პირად-პირადთა საღმობათა სიმრთელშ, და ყოველთა შეჭირვებულთა ნუგეშინის ცემაჲ“ (XI, 1-15).

სრულიად აშკარაა, რომ უხტანესი იაკობ ხუცესის თხზულების მიხედვით წერს ციტირებულ წინადადებას³⁰³. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მხოლოდ მათთან ვკითხულობთ შუშანიკის ამბის „მთელ ქართლს“ მოფენის შესახებ, მაშინ, როცა სომხურ ვერსიაში „ქართლი“ საერთოდ არა გვხვდება.

უხტანესის, იაკობ ხუცესისა და სომხური ვრცელი „მარტვილობის“ ტექსტების შედარების შემდგომ შეიძლება შემდეგი საერ-

³⁰³ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განხილული პასუი იაკობ ხუცესის თხზულებაში გვიან (IX—XII სს.) უნდა იყოს ჩართული (გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯის უღაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობის თარიღისათვის: „მაცნე“, 1970, № 5. გვ. 219-222). თუ ეს ვარაუდი სწორია, ჩანართის ზედა თარიღი X ს-ის I ნახევარს არ გადმოსცილებდა.

თო დასკვნები გამოვიტანოთ: შუშანიკის მარტვილობის აღწერი-
სა უხტანესისთვის მთავარი წყაროა იაკობ ხუცესის თხზულება.
შეიძლება ვივარაუდოთ აგრეთვე, რომ ისტორიკოსი იცნობს შუშა-
ნიკის მარტვილობის ვრცელ სომხურ რედაქციასაც. ეს უკანასკნე-
ლი დასკვნა უეჭველი არ არის, რადგან მსგავსების შემთხვევითო-
ბის ალბათობა საკმაოდ დიდია. უხტანესის მიერ გამოყენებული
„ზეპირი“ მასალა წამების ადგილების საკუთარი თვალით ნახვის
შთაბეჭდილებებით და შუშანიკის საპყრობილე ციხის სახელწოდე-
ბის ცოდნით უნდა ამოიწურებოდეს.

მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავის-
თავად (უხტანესის წყაროს გამოსავლენად), არამედ სწორედ იმ
ახალი კითხვების გამო, რომელსაც ისინი წამოჭრიან ჩვენს წინაშე.

რატომ დასკვირდა ანანია ნარეკელს, ამ გამოჩენილ საეკლესიო
მოღვაწესა და მწიგნობარს, უხტანესისგან შეეტყო შუშანიკის წამე-
ბის შესახებ დეტალები, თუკი მის დროს უკვე არსებობდა სომხურ
ენაზე „მარტვილობის“ ვრცელი რედაქცია? რომ უხტანესი შუშანი-
კის თავდადასავალს თავისი სურვილით არა ყვება და სპეციალური
დავალება აქვს საამისოდ მიცემული, ეს ნათლად ჩანს მისი თხზულე-
ბის 67-ე თავის პირველივე სიტყვებიდან: „ამიერიდან მივაწვეთ
შენ საწადელ უწყებას მძლე და წმიდა მარტვილის შუშანიკის შესა-
ხებ, მის კეთილმოწამეობას, რომელიც ქრისტეს ღმრთისმსახუ-
რებისა და წრფელი აღსარების გამო ეწია“.

რა იცოდა სომხურმა საეკლესიო წრეებმა შუშანიკის შესახებ
უხტანესის მოღვაწეობის ხანაში? არცერთ საისტორიო თხზულე-
ბაში თვით უხტანესამდე შუშანიკის სახელიც კი არა გვხვდება ჩვენ
დღეს და ვერსად ამოუკითხავს რაიმე ვერც ისტორიკოსს. ამიტომ
დასკვირდა მას ეთქვა: „ეპისტოლეთა წიგნში“ აღმოვაჩინეთ
ეს წმიდა მამათაგან და მოძღვართაგან მოხსენებული მისი სიმხნე
და მამათა სჯულის მცნების დაცვა“. იქვე უხტანესი კონკრეტუ-
ლად მიუთითებს, რომელ წერილებში („რომელიც მისწერეს კირონ
კათალიკოსს ჯერ ვრთანეს მოძღვარმა და შემდეგ აბრაამ სომეხთა
კათალიკოსმა“) აღმოაჩინა შუშანიკის შესახებ ცნობები და იმასაც,
თუ რა აღმოაჩინა (ვრთანესი და აბრაამი წერდნენ კირონს: „შენ
მოშალე წმიდა შუშანის მსახურება, რომელიც ცურტავის ეკლე-
სიაში იყო დაწესებული და დამტკიცებულიო“).

უხტანესი თავის კომენტარებში, შესაძლებლობის ფარგლებში,
იძლევა მოკმედი პირების ჩამომავლობის შესახებ ცნობებსაც. შუ-
შანიკის შესახებ ამ მხრივ იგი დუმს, თუმცა, სულ მცირე, იაკობ
ხუცესის მიხედვით ის მაინც ეცოდინებოდა, რომ მარტვილი „იყო

ასული ვარდანიის სომეხთა სპაჰეტისაჲ“. ის გარემოებაჲ, რომ ანანია ნარეკელი მოწადინებულია შეიტყოს შუშანიკის მარტვილობის შესახებ, მოწმობს, რომ მას სცოდნია ვინ იყო შუშანიკი. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ X საუკუნეში სომხურ საეკლესიო წრეებში შუშანიკის ვინაობა კი ცნობილი იყო, მაგრამ მარტვილობის პერიპეტები უცნობი (ან ნაკლებ ცნობილი) რჩებოდა.

აი, ამის შემდეგ უფრო გარკვევით შეიძლება ვიმსჯელოთ, უხტანესი იაკობ ხუცესის თხზულებას ქართულ ენაზე კითხულობს (ან უკითხავენ), თუ სომხურად არსებობდა მისი ზუსტი თარგმანი? ვფიქრობთ, პასუხი ამ კითხვაზე უკვე გაცემულია: უხტანესი იაკობ ხუცესის ნაწარმოებს დედანში იცნობს. ხოლო მას რომ ქართული მასალის გაცნობა შეეძლო, თბილისში იქნებოდა თუ ცურტავში, ეს ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ის, რაც ჩვენ აქ წარმოვადგინეთ, არის მხოლოდ უხტანესის ჩვენებებით მიღებული შთაბეჭდილება, შემაგრებული სათანადო ტექსტების შედარებით. მაგრამ საკითხი უფრო რთულია და მოითხოვს საბოლოო პასუხებისათვის ბევრი ისეთი საკითხის შესწავლას, რომელიც დღეს ჩვენ საკვლევ ობიექტს დიდად დაგვააცილებდა.

ზეპირი წყაროები

ზეპირი გადმოცემების კრიტიკის პრინციპები

1. უხტანესმა ზეპირი წყაროების გამოყენების აუცილებლობის შესახებ მითითება ანანია ნარეკელისგან მიიღო³⁰⁴. „ისტორიის“ დამკვეთმა ზოგადად თვითონვე განუსაზღვრა მკვლევარს, როგორი უნ-

304 იხ. აქვე, გვ. 238.

და ყოფილიყო წყაროდ გამოყენებული გადმოცემების ხასიათი და რა ნიშნით უნდა შეერჩია მას ინფორმაცია. „ჩვენ გვევალებოდა მოგვეთხრო თქვენთვის სარწმუნო მოხუც კაცთაგან გადმოცემული ძველი ცნობები“ — შეახსენებს უხტანესი ანანიას³⁰⁵.

მაშასადამე, შეკვეთა ასეთია: „ისტორიკოსმა უნდა გამოიყენოს ისეთი „ძველი ცნობები“, რომლებსაც იგი შეიტყობს „სარწმუნო მოხუც კაცთაგან“. მაგრამ როგორ განსაზღვროს, რომელი მოხუცი უნდა მიიჩნიოს „სარწმუნოდ“ და რომელი — არა? რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ცნობების სიძველე? ასეთი რთული ზოგადი წყაროთმცოდნეობითი პრობლემები უკვე თვითონ უნდა გადაეჭრა უხტანესს, თუ სურდა თავისი მძიმე ამოცანის ღირსი ყოფილიყო.

2. ზეპირი გადმოცემების გამოყენების შესახებ დავალება მიღებულია. მიუხედავად ამისა, უხტანესმა მაინც საჭიროდ მიიჩნია დაესაბუთებინა მკითხველისათვის, რომ ისტორიის წერისას ასეთი წყაროების გამოყენებაც შეიძლება. კვლევის ასეთი მეთოდის სისწორეს, ისტორიკოსის აზრით, განსაზღვრავს „წმიდა წერილების“ ტრადიცია და მოციქულთა მოწმობანი: „ხოლო ამან ჩვენამდე გადმოცემით მოაღწია და არა წერილობით, მაგრამ გაუწყეთ, რადგან წმიდა წერილებსა და მოთხრობებსაც ჩვეულებად აქვთ გარეშეთა დამოწმება. მოციქულიც ამასვე გულისხმობს თავის წერილში ტიმოთესადმი: «ჯერ-არს მისსა, რაჟთა წამებაჲცა კეთილი აქუნდეს გარეშეთაგან»³⁰⁶. დასაბუთება სავსებით შეეფერება იმ საუკუნეს, რომელშიც მოღვაწეობდა უხტანესი. მთავარი კი ის არის, რომ ისტორიკოსს თვითონ დასაბუთების საჭიროება კარგად ჰქონდა შეგნებული. როგორც ჩანს, ამას მოითხოვდა მისი მკითხველი წრეც.

3. ზეპირი გადმოცემების დამოწმება შეიძლება, მაგრამ ყველასი? არ შეიძლება, მაგალითად, იმ თქმულებების გამოყენება, რომლებიც უბრალო ხალხშია დაცული. ქართლის კათალიკოსი ხომ დალუბა „მდაბითა (ყახჩიქ) საიგავე სიტყვამ: ვჴამოთ და ვსვათ, რადგან აღრე მოვკვდებით“³⁰⁷. და აი, უხტანესი შეეცდება ინფორმაციის სიზუსტეს სოციალური თვალსაზრისითაც შეხედოს. იგი მოისურვებს დაამტკიცოს თავისი კვლევის მეთოდის უპირატესობა;

305 უხტანესი, გვ. 185.

306 იქვე, გვ. 183.

307 იქვე.

ამ თვალსაზრისით, თუნდაც ყველაზე უფრო მაღალი რანგის ისტორიკოსის მეთოდთან შედარებით. უხტანესი კვლავ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ მიმართავს, თუმცა წყაროს არ ასახელებს.

მოსე ხორენელი

„ჩვენ უნდა გავიგეოროთ, თუმცა კი ძალიან მოკლედ, ზოგი ძველი ზეპირი თქმულება, რომელთაც ყვებოდნენ ერთმანეთს შორის დიდი ხნის წინათ ბერძენთა ბრძენნი. ჩვენამდე ამ თქმულებებმა მოაღწიეს გორგის, ბანანად წოდებულის და, აგრეთვე, მესამე — ვინმე დავითის მეშვეობით. ერთი მათგანი, ფილოსოფიაში გაწვრთნილი, ასე ამბობდა: «მოხუცნო! როცა ვიყავით ბერძენთა შორის სიბრძნეში გასაწვრთნელად, შევესწარ ერთხელ ბრძენთა და მეცნიერთა შორის კამათს გეოგრაფიისა და ხალხთა განყოფის შესახებ. ზოგი სხვაგვარად განმარტავდა წიგნთა თქმულებებს და ზოგი კი სხვანაირად. ხოლო ვინც მათ შორის სრულქმნილი იყო, სახელად ოლიმპაოდორეს, ასე თქვა: მოგითხრობთ ზეპირ თქმულებებს, რომლებმაც ჩვენამდე გადმოცემით მოაღწია, რომელთაც სოფლელთაგან მრავალნი მოგვითხრობენ დღემდე. ქსისუთარიოსისა და მისი შვილების შესახებ იყო ერთი წიგნი, ხოლო ეხლ არასად არა ჩანს. მასში, როგორც ამბობენ, ასეთი რამ იყო მოთხრობილი...»³⁰⁸.

უხტანესი

„ვინმე სრულქმნილთაგანმა, რომლის სახელსა და სიტყვებს იხსენიებს ერთი ისტორიკოსი, თქვა ასე: «სახელად ოლიმპიოსმა (resp. ოლიმპიოსოს) თქვა, მოგიხრობთ ზეპირ თქმულებებს, რომლებმაც ჩვენამდე გადმოცემით მოაღწია, რომელთაც სოფლელთაგან მრავალნი მოგვითხრობენ დღემდე»; და კიდევ: «ზოგი სხვაგვარად განმარტავდა წიგნთა თქმულებებს და ზოგი სხვანაირად». ხოლო ჩვენ გაუწყეთ არა სოფლელთა და მდაბიოთა იგავებიდან, არამედ — ფრიად სიბრძნისმოყვარე კაცთაგან გაგებულო, ვინაიდან ჩვენ გვევალეობოდა თქვენთვის მოგვეთხრო სარწმუნო მოხუც კაცთაგან გადმოცემული ძველი ცნობები (თუმცა წერილობით ჭერ კიდევ დაუმტკიცებელი)»³⁰⁹.

³⁰⁸ Մ ո լ լ ի ս է ս ի ո Ր Է Ն ա ջ ի, გვ. 22-23.

³⁰⁹ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 183-185.

უხტანესმა მოსე ხორენელის ცნობას ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ იმავე დროს არსებითი მნიშვნელობის რედაქცია გაუქვთა, რომლის შედეგადაც მივიღეთ: 1. ოლიმპიოსი (resp. ოლიმპიოდორე) გამოსაყენებლად ვარგისად თვლიდა „მდაბიო ხალხისგან“ გაგებულ თქმულებებს. 2. იგი იყენებდა ისეთ თქმულებებსაც, რომლებსაც ზოგი სხვა შეფასებას აძლევდა და ზოგი სხვას. 3. უხტანესმა შეამოკლა მოსე ხორენელის ტექსტი და ამით მკითხველს დაუკარგა ოლიმპიოდორეს მითითება თავის წყაროზე. სინამდვილეში, მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, მოსე ხორენელის მიხედვით ოლიმპიოდორე ლაპარაკობდა არა წარმოშობით ზეპირი თქმულებების, არამედ დაკარგული წიგნის შესახებ, რომლის შინაარსიც ხალხში ზეპირად იყო დაცული. უხტანესი კი პირიქით, იწერს ისეთ გადმოცემებს, რომლებიც მანამდე არ იყო წერილობით ფიქსირებული.

ოლიმპიოდორესგან განსხვავებით, უხტანესი „მდაბიოთა და სოფლელთა“ გადმოცემებს კი არ ეყრდნობა, არამედ იყენებს „სიბრძნისა და კითხვისმოყვარე მოხუცების“ მიერ გადმოცემულ „ძველ ცნობებს“³¹⁰. ამას მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ არჯუმენტმა მის „ისტორიას“ მკითხველ წრეებში შესაფერისი ავტორიტეტი უნდა მოუხვეჭოს. უხტანესის „ისტორია“ მონოფიზიტი საეკლესიო წრისათვის საკითხავად არის განსაზღვრული. უეჭვებლია, ამავე წრეს ეკუთვნოდნენ „სიბრძნისა და კითხვის მოყვარული“ მოხუცებიც.

რატომ ანიჭებდა ასეთ დიდ მნიშვნელობას უხტანესი გამოსაკითხი პირების შერჩევისას მათ სოციალურ ფიზიონომიას? იმიტომ, რომ იგი წერდა მონოფიზიტური ეკლესიისათვის „სასარგებლო“ და „შესაწყენარებელ“ ისტორიას და ასეთი საკითხებისადმი შედარებით ინდიფერენტულად განწყობილი მშრომელი საზოგადოების ფენებში დაცული გადმოცემები ამ მხრივ, ჩანს, უამოუსადეგარი იყო.

4. როგორც ზემოთ ვნახეთ, უხტანესის მიხედვით ოლიმპიოდორეს მიერ გამოყენებულ ზეპირ წყაროებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა: ისინი არ გამორიცხავდნენ სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას. მაშასადამე, თუ სურდა თავისი წინაპარი „სრულყოფილი“ ისტორიკოსის მეორე მთავარი ნაკლი გადაეღაბა, თვითონ უხტანესს ისეთი გადმოცემები უნდა შეერჩია, რომელთა შესახებაც ორი აზრი არ იქნებოდა. როგორ უნ-

³¹⁰ იხ. აგრეთვე, უხტანესი, გვ. 51.

და მიეღწია ასეთი სიზუსტისათვის? ის, რომ იგი ინფორმატორებად იყენებდა „სიბრძნისა და კითხვის მოყვარე მოხუცებს“ სიზუსტის გარკვეულ გარანტიას იძლეოდა, მაგრამ არა საკმარისს. ბოლოსდაბოლოს, რას უშველიდა „სიბრძნისმოყვარე“ მოხუცს კითხვის სიყვარული, თუ კი ისტორიაში შესატანი ლეგენდები ჯერ კიდევ არ იყო წიგნში ჩაწერილი?

აი, აქ უკვე ისტორიკოსმა თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ: გადმოცემების თვისობრივი ხასიათის განსასაზღვრავად მიმართა რაოდენობრივ ანალიზს. უხტანესის რწმენით, ინფორმაცია მამინ არის „სარწმუნო“, თუ მას იმეორებს არა ორი ან სამი, არამედ მრავალი მთქმელი. ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა მრავალი მთქმელისგან ერთი და იგივე ისტორია მრავალჯერ მოისმინო, რომ დარწმუნდე მის სისწორეში. ამიტომ არ ივიწყებს არსად უხტანესი, ზეპირი გადმოცემების გამოყენებისას, სპეციალურად გაუსვას ხაზი:

„ნამდვილად შევიტყვეთ მონათხრობთაგან არა ერთის, ან ორისა და სამის, არამედ მრავალთაგან მრავალჯერ“³¹¹.

„იყო სხვა რამ მიზეზიც, რომელიც მინდოდა მეთქვა, რომელიც მრავალთაგან მრავალჯერ გამოიგია“³¹².

„რამდენადაც შეგვეძლო, ჩვენი უნარის მიხედვით გამოვიძიეთ ჭეშმარიტად მრავალთაგან“³¹³.

5. მიუხედავად ასეთი რთული პროცედურისა (რომელიც, სამწუხაროდ, არ ვიცით რეალურად ჩაატარა თუ არა ისტორიკოსმა), უხტანესის მიერ გამოყენებული ზეპირი გადმოცემების არაობიექტურობა (უკეთეს შემთხვევაში ცალმხრივი ობიექტურობა) წინასწარ იყო განსაზღვრული მათი კლასობრივ-იდეოლოგიური შეზღუდულობით. საინტერესოა, ითვალისწინებდა, თუ არა ამ გარემოებას თვითონ უხტანესი? ვფიქრობთ, მთელი განხილული მასალიდან ჩანდა, რომ მას ისტორიკოსი არა მარტო ითვალისწინებდა, არამედ კვლევასა მხედველობიდან არასოდეს კარგავდა: ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების პირ-

311 უხტანესი, გვ. 179.

312 იქვე, გვ. 51.

313 იქვე, გვ. 181.

ველი მიზეზისათვის ზეპირი გადმოცემების კრიტიკა უხტანესმა ანა-
ნია ნარეკელისადმი ასეთი მიმართვით დაიწყო: „თუმცა კი ჩვენი
სწრაფვის ნამდვილ გამოძიებას შენს შვებად და სიხარულად
ვთვლი, მაინც ერთმანეთს შევეუთანხმეთ ზემოთ სათქმელი განზ-
რახვა და სურვილი, ხოლო ჭეშმარიტად გამოკვლეული შევიწყნა-
როთ“³¹⁴.

ამრიგად, უხტანესმა წინასწარ იცის, რომ ის რაც მან გამოიკე-
ვლია, სიხარულსა და შვებას მოჰგვრის მონოფიზიტური ეკლესიის
მესვეურს. მაგრამ ობიექტური ისტორია რომელიმე, თუნდაც სახე-
ლოვანი, ბერის სიხარულს ვერ დაემორჩილება. **ს ა ჭ ი რ ო ა** სა-
თქმელისა და სურვილის ერთმანეთთან შეთან-
ხმება და მხოლოდ ასე გამოკვლეული ჭეშმარი-
ტების შეწყნარება. მაშასადამე, უხტანესმა კარგად იცის,
რომ ისტორიკოსისა და მისი მკითხველის სურვილი და საისტორიო
წყაროები შეიძლება ერთმანეთს არ ეთანხმებოდეს. იდეალური
ისტორიული ნაშრომი მხოლოდ ამათმა ჰარმონიამ უნდა მოგვცეს.

1

ლემენდა საეკლესიო განხეთქილების პირველი მიზეზის შესახებ

ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთ-
ქილების შესახებ უხტანესმა „მოხუცების გადმოცემით“ შემდეგი
შეიტყო:

სომხეთის პატრიარქის საყდარი დააკავა აბრაამ ალბათანელმა.
მისი პატრიარქობის პირველ წელს ქართლისა და ალბანეთის კათა-
ლიკოსები, რომლებიც დვინის საკათალიკოსოს არქიეპისკოპოსები
იყვნენ, გამოცხადდნენ თავისი პატრიარქის წინაშე სიყვარულისა და
მორჩილების გამოსაცხადებლად. გაიმართა სერობა. ყველა იერარქ-
მა ადგილი სუფრასთან ტრადიციის მიხედვით დაიკავა. როდესაც
დვინის სმის დრომ მოაღწია, აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა პირვე-
ლი სასმისი ალბანთა კათალიკოსს მიაერთა, ხოლო მეორე — ქართ-
ლის კათალიკოსს. განრისხებულმა ქართლის კათალიკოსმა არ ჩა-

³¹⁴ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 179-181.

მოართვა პატრიარქს სასმისი, რადგან თავი დამცილებულად მიიჩნინი. მისი არგუმენტაციით პირველი სასმისი ჯერ ქართლის კათალიკოსს ეკუთვნოდა, რადგან სამწყსო ალბანეთისაზე უფრო ვრცელი ჰქონდა, ქვეშევრდომი ეპისკოპოსებიც მას მეტი ჰყავდა და ქრისტიანობაც (გრიგოლ განმანათლებლისგან) უფრო ადრე მიეღო. აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა მშვიდობის ჩამოგდების მიზნით თავის მართლება დაიწყო, არ ვიცოდით ყველაფერი ეგ და ალბანეთის კათალიკოსს მხოლოდ მისი მხცოვანების გამო ვეცი პატივიო. ქართლის კათალიკოსი განხეთქილებისთვის მიზეზს ეძებდა და შეინახეთა ყველა ცდის მიუხედავად მიატოვა სერობა³¹⁵.

უხტანესმა ზეპირი წყაროს კრიტიკისათვის სავალდებულო პროცედურა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, თავისი შეხედულების შესაბამისად ზუსტად დაიცვა. ამიტომ იგი დარწმუნებულია, რომ საეკლესიო განხეთქილების მიზეზი „ნამდვილად შეიტყო“: „ერთადერთი მიზეზი ჩვენგან ამდენი ხალხის გამოყოფისა იყო ერთი სასმისი, რადგან თუ შეეყრება, კაცის მოკვლა ერთ სატკივარსაც შეუძლიან“³¹⁶.

მეტი სიზუსტის მისაღწევად უხტანესმა ამ გადმოცემის საერთო განწყობილება შეუდარა „ეპისტოლეთა წიგნს“ და დარწმუნდა, რომ სერობისას მომხდარი განხეთქილება ლოგიკური გაგრძელება იყო ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მიმოწერისა:

„რამდენადაც შეგვეძლო ჩვენი უნარის მიხედვით, გამოვიძიეთ ჭეშმარიტად მრავალთაგან, როგორც ზემოთ ვთქვით, მაგრამ ზოგიერთი კითხვისმოყვარისაგან სარწმუნო შევიტყუეთ, რაც ვფიქრობ საკმარისია, რადგან წინა წერილები (resp. ნაწილები), რომლებიც თავანთ ეპისტოლეთაში მოთხრობილია «ეპისტოლეთა წიგნში», ჩვენც ჩვენი შესაძლებლობისა და გაგების მიხედვით გავიაზრეთ და წერილობით იგივე გაუწყუეთ, რადგან ის წერილები (resp. ნაწილები) იყო ურთიერთთან კამათის, ხოლო ეს არის საბოლოოდ განდგომის მიზეზთა შესახებ, ვინაიდან იქ ჩაისახა ტკივილი და აქ იშვა უსჯულოება“³¹⁷.

უხტანესმა კვლევის სწორი გზა აირჩია, მაგრამ ეს იყო მხოლოდ სწორი გეზი. პრაქტიკულად მან მცდარი შედეგები მიიღო. ცხრა სა-

315 იქვე, გვ. 183.

316 იქვე, გვ. 185.

უკუნის შემდეგ, როდესაც ივ. ჯავახიშვილმა შეუდარა „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები უხტანესისეულ ლეგენდას, გააკეთა ერთადერთი შესაძლო დასკვნა: „Это устное предание с начала до конца недостоверно и не соответствует действительности. Недостоверно, потому, что никакого свидания между Авраамом и Киррином не происходило; Это можно неопровержимо доказать на основании переписки“³¹⁷. სპეციალისტმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ ივ. ჯავახიშვილის არგუმენტაციაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია და ჩვენ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ შეიძლება უხტანესი ვერ მიხვდა „ეპისტოლეს წიგნის“ მიხედვით, რომ კავკასიის ეკლესიის იერარქებს აბრაამის კათალიკოსად არჩევის დროს თავი არ მოუყრიათ ღვინში? ვნახოთ მისი ნაშრომის 35-ე თავი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სომხეთის კათალიკოსის არჩევის ისტორიას.

„როცა მოვიდოდნენ და შეიკრიბებოდნენ ეპისკოპოსები და მონასტერთა უხუცესები დაუყოვნებლივ, ზეგარდმო ღმრთის დიად ნებათა ბრძანებით ჩინებულნი და მიღწეულნი სულიერ ქორწილს, უნდა დამტკიცებინათ თავიანთი მამამთავარი, რომელსაც სული წმიდა ამოირჩევდა. ხოლო როცა მოვიდნენ და შეიკრიბნენ საერთოდ ყველანი — ეპისკოპოსები და მონასტერთა უხუცესები, სოფლის მღვდლები, მთავრები და მდაბიონი— აღივსო ქორწილი ღირსეულ მებნახეთა მიერ. ხოლო კირიონი არ იყო მოწვეული ქორწილზე, რადგან მოძულეებული აღმოჩნდა ორნაირი წარწყმედის გამო, რომელიც მოეწია მას სატკივართაგან, ადრევე რომ ჩასახოდა, რომლითაც იშვა უსჯულოება. ხოლო აღბანელთა კათალიკოსი, რომელიც მაშინ სომეხთა კათალიკოსის არქიეპისკოპოსი იყო, რაღაც წინააღმდეგობის გამო არ მოვიდა კრებაზე, რის მიზეზსაც შემდეგ გეტყვით“³¹⁸.

როგორც ვხედავთ, უხტანესმა კარგად იცის, რომ სომხეთის კათალიკოსის არჩევნებს არ დასწრებიან ქართლისა და ალბანეთის

317 იქვე, გვ. 181.

318 И. А. Джавахов, История церковного разрыва, гв. 531.

318 უხტანესი, გვ. 103-105.

კათალიკოსები. მან მათი დაუსწრებლობის მიზეზებიც იცის: ქართლის კათალიკოსი ქალკედონიტობის გამო არ იყო მიწვეული, ხოლო ალბანეთისას რაღაც საწინააღმდეგო ჰქონდა დვინის საპატრიარქოსთან, რის შესახებაც ისტორიკოსი შემდეგ აპირებს ლაპარაკს.

როგორ დაემართა უხტანესს, ამ ფრთხილსა და დაკვირვებულ მკვლევარს, ასეთი აშკარა კონფუზი? საქმე ის არის, რომ მისი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ სამი ნაწილისაგან (*ყაჰარანჯი*) შედგება. ისტორიკოსი თვითეულ ნაწილს დაამთავრებდა თუ არა, მაშინვე უგზავნიდა ნარეკელს და მთლიანად თხზულების დასრულებას არ უტყდიდა. 35-ე თავი (რომელშიც ნათქვამია, რომ ქართლისა და ალბანეთის კათალიკოსები სომხეთის კათალიკოსის არჩევნებს არ დასწრებიან) მეორე ნაწილშია, ხოლო 62-ე თავი (რომელშიც მოთხრობილია ლეგენდა სომხეთის კათალიკოსის კარზე სერობისას მომხდარი კონფლიქტის შესახებ)—მესამეში. როდესაც უხტანესმა დაასრულა მეორე ნაწილი და გაუგზავნა ადრესატს, მას მესამე ნაწილისათვის ჯერ მასალაც კი არა ჰქონდა შეგროვილი. წერის პროცესში მის წინაშე საკითხები სულ სხვაგვარად დადგა, ხოლო ის, რაც უკვე ჰქონდა ნათქვამი მეორე ნაწილში, ისტორიკოსს ეტყობა აღარ გაახსენდა.

გავიხსენოთ ახლა, რის თქმას შეგვპირდა უხტანესი 35-ე თავში ალბანეთის კათალიკოსის დვინში სომხეთის კათალიკოსის არჩევნებზე დაუსწრებლობის შესახებ. ისტორიკოსმა პირობა შეასრულა და 63-ე თავში მოსე კალანკატუელის ცნობებზე დაყრდნობით აუწყა ანანია ნარეკელს: „როგორც მრავალჯერ გითხარით, მაშინ სომხეთი სპარსელებსა და ბერძნებს ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი... ამის გამო არ მოვიდა ალბანელთა კათალიკოსი იმ კრებაზე, რომელზეც ხელი დაასხეს აბრაჰმს“³¹⁹.

ამრიგად, უხტანესის თხზულების 35-ე თავი გვაუწყებს, რომ სომხეთის კათალიკოსის არჩევნებს ქართლისა და ალბანეთის კათალიკოსები არ დასწრებიან. 62-ე თავის მიხედვით, იგივე კათალიკოსები სომხეთის კათალიკოსის არჩევის გამო გამოიღო სუფრას მისხდომიან. ხოლო 63-ე თავი ისევ გვიმტკიცებს, რომ ალბანეთის კათალიკოსი არჩევნებს არ დასწრებია. თუ აქამდე ცნობილი იყო, რომ საეკლესიო განხეთქილების პირველი მიზეზის შესახებ ლეგენდა სინამდვილეს არ შეეფერებოდა, ახლა ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ უხტანესმა თავისი სწორი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და წყაროთა კრიტიკას თავი ვერ გაართვა.

319 უხტანესი, გვ. 187.

უბტანეს საეკლესიო განხეთქილების მიზეზებთან დაკავშირებით სხვა წინააღმდეგობებიც დარჩა გადასალახი. განხეთქილების მეორე მიზეზად, თავისი წყაროების თანახმად, მან დაასახელა ცხრა-ხარისხიან ეკლესიაში ალბანეთის კათალიკოსისათვის არქიეპისკოპოსის, ხოლო ქართლის კათალიკოსისათვის მიტროპოლიტის ხარისხის გადაწყვეტა: ქართველმა თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია, რომ იერარქიაში უპირატესობა ალბანელს მიანიჭეს. ცხადია, ასეთი ღონისძიება მხოლოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოს შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო და სომხეთის კათალიკოსს, როგორც კავკასიის ეკლესიათა უმაღლეს იერარქს, კარგად უნდა სცოდნოდა თავისი ქვეშევრდომი სამწყსოები.

განხეთქილების პირველი მიზეზი კი რას გვეუბნება: ქართლის კათალიკოსმა სერობაზე თავი დაჩაგრულად მიიჩნია იმის გამო, რომ პირველი სასმისი ალბანთა კათალიკოსს მიაერთეს და გამოაცხადა: მე მასზე წინა ვარ უფლებით, რადგან სამწყსოც უფრო დიდი მაქვს, ეპისკოპოსებიც მეტი მყავს, სარწმუნოებაც ჩვენ უფრო აღრე მივიღეთ და პირველი სასმისი მე მეკუთვნოდაო. აქ მოსალოდნელი იყო, რომ ისტორიკოსი აბრაამ კათალიკოსს ათქმევინებდა: იმიტომ მივართვი პირველი სასმისი ალბანეთის კათალიკოსს, რომ იგი ჩემ სამწყსოში არქიეპისკოპოსია, ხოლო შენ მიტროპოლიტი ხარო. არაფერი მსგავსი. ჩვენდა გასაოცრად აბრაამი ამშვიდებს კირონ ქართლის კათალიკოსს: არ ვიცოდი შენი უპირატესობების შესახებ და „ეს პატივი მას განსადიდებლად კი არ მივაგე, და არც სხვა რამით ჩამითვლია შენზე უპირატესად; არამედ — მოხუცებულობის გამო“³²⁰.

პირველი მიზეზის განხილვისას უბტანესი არც ამბობს რამეს ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების სხვადასხვა იერარქიული მდგომარეობის შესახებ, პირიქით, იგი ხაზგასმით წერს: „...აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს, როცა იგი თავის საპატრიარქო საყდარზე დაჯდა, მოვიდნენ მასთან ქართველთა და ალბანთა კათალიკოსები, რადგან მაშინ წმიდა გრიგორის საყდრის არქიეპისკოპოსობის პატივი ჰქონდათ“³²¹.

ამრიგად, წინააღმდეგობები ასეთია: საეკლესიო განხეთქილების პირველი მიზეზის მიხედვით, ქართლისა და ალბანეთის კათალიკოსები აბრაამის არჩევამდე უკვე იყვნენ დვინის საკათალიკოსოს არქიეპისკოპოსები, ამიტომ ისინი გამოცხადდნენ თავისი მწყემსმთავრის ხელისდამსხმელ კრებაზე; მეორე მიზეზის თანახმად, დვინის

³²⁰ უბტანესი, გვ. 183.

³²¹ იქვე. გვ. 181.

კრებამ, რომელმაც კათალიკოსად აკურთხა აბრაამი, მხოლოდ მაშინ მიანიჭა მიტროპოლიტობა ქართლის კათალიკოსს, ხოლო არქიეპისკოპოსობა — ალბანეთისას. ალბანეთის კათალიკოსი კრებას არ ესწრებოდა, რადგან არ ემორჩილებოდა სომხეთის კათალიკოსს. ქართლის კათალიკოსის შესახებ არაფერია ნათქვამი. თვითონ კრების ისტორიის (35-ე თავი) ცნობით: ქართლის კათალიკოსის ქალკედონიტობა უკვე ცნობილი იყო და ამიტომ კრებაზე საერთოდ აღარ მიიწვიეს. მაშასადამე კრებას მისთვის მიტროპოლიტობა არ მიუნიჭებია. ალბანეთის კათალიკოსი დვინის საკათალიკოსოს არქიეპისკოპოსი კი იყო, მაგრამ მას მაინც არ ემორჩილებოდა და კრებას არ დასწრებია. მაშასადამე იგი კრებას არქიეპისკოპოსად არ გამოუცხადებია.

ლეგენდები კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების ორი მიზეზის შესახებ ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისგან. უხტანესის თხზულებაში ნაჩვენები წინააღმდეგობები გვიჩვენებს, რომ მათი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. უფრო მეტიც, შემონახული წერილობითი წყაროები X ს-შიც კი ურყევდა საფუძველს ამ ლეგენდებს. ამდენად, ასეთი ლეგენდებით კავკასიის ეკლესიების იერარქიული სტრუქტურის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია. სამაგვიეროდ, მათ ფასდაუდებელი ღირებულება აქვთ იმ კლერიკალური წრეების ტენდენციების შესასწავლად, რომელთა წიაღშიც ისახებოდნენ დავითარდებოდნენ.

2

ლეგენდა პეტრე მკისტოპოსის შესახებ

უხტანესმა ქართლში მოისმინა და მოკლედ ჩაიწერა ლეგენდა ვინმე პეტრეს შესახებ, რომელსაც ქართველები მეტსახელად „მგელს“ უწოდებდნენ. ლეგენდის მიხედვით პეტრე მგელი ქართველ მთავრებს (*ჩქსანღ*) მოუკლავთ კანგარის მთაზე³²².

უხტანესის ცნობით ირკვევა, რომ ქართლში პეტრეს ვინაობის შესახებ განსხვავებული აზრები ყოფილა. ერთნი ამბობდნენ, რომ გადმოცემა ეხება პეტრე ანტიოქელს, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ პეტრე ანტიოქელი და საეკლესიო განხეთქილების მონაწილე

³²² უხტანესი, გვ. 147.

მონოფიზიტი პეტრე ერთი და იგივე პიროვნებაა. უხტანესმა გადაჭრით უარყო მეორე ვერსია. მისი აზრით, „მგელს“ ბერძნები უწოდებდნენ პეტრე ანტიოქელს, რომელსაც საეკლესიო განხეთქილების მონაწილე პეტრესგან მთელი 150 წელი აშორებს. ისტორიკოსმა მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიასაც იძლევა: პეტრე ანტიოქელი მარკიანე კეისრის (450-457) თანამედროვე იყო, ხოლო მეორე პეტრე — მავრიკესი (582-602). უხტანესის არგუმენტაცია პრინციპში სწორეა, ოღონდ მცირე დაზუსტებას მოითხოვს: მარკიანე-მავრიკეს წყვილის მაგიერ ორი პეტრეს მოღვაწეობის თარიღები ზენონისა (474-491) და ფოკას (602-610) ზეობით უნდა განისაზღვროს.

ჩვენამდე მოაღწია ქართულმა ლეგენდამ პეტრე მკაწრვალის შესახებ როგორც ცალკე თხზულების სახით³²³, ისე ვახუშტი ბატრიონის. გადმოცემით³²⁴. ლეგენდის ანარეკლი შემონახულია, აგრეთვე, ეფთიმე გრძელისა და სოსთენის გაპაექრებაში³²⁵. მისი შინაარსი ასეთია:

კონსტანტინეპოლის პატრიარქის საყდარი ეკავა „წმიდა, უბიწო და მართალ“ კაცს, სახელად პეტრეს (პეტროს). ერთ-ერთი ეამის წირვის დროს პატრიარქს წმიდა ბარძიმი სისხლით აევესო. გამოირკვა, რომ წმიდა საიდუმლო შეურაცხყო დედოფალმა, რომელსაც „შემთხვია არაწმიდებაჲ ბუნებითასა წესისაებრ დედათასა“. „განძვნებულმან“ პატრიარქმა „დაკრულა“ დედოფალი, რის გამოც იგი გააძევეს კონსტანტინეპოლიდან. პატრიარქყოფილი აუშხებდრდა საერთოდ ბერძნულ სჯულს, წავიდა სომხეთში და იწყო მონოფიზიტობის ქადაგება... შემდეგში მან ანტიოქიის პატრიარქის საყდარიც დაიკავა, თუმცა იქიდანაც გააძევეს. დაბრუნდა კვლავ სომხეთში და მოინდომა მიქელ ქართლის კათალიკოსის გამონოფიზიტებაც. წამოვიდა ქართლში, გაჩერდა კანგარის მთასთან და გამოუძახა ქართლის კათალიკოსს თავისი სჯულის საზიარებლად ან საყდრიდან გადასაყენებლად. მიქელი მოჩვენებით დაემორჩილა. შეკრიბა ეპისკოპოსები, მღვდლები და მორწმუნე საეროანი. ყოველ მათგანს ფარულად ქუდში ქვა ედო. ასე მიეახლნენ ქართველი სამღვდელონი პეტრე მკაწრვალს. პეტრემ გაუწოდა მიქელს სამთხვევად თავისი ნესამოსელის სახელო, მიქელმა დაითრია იგი, დაავდო მიწაზე და დასცა ქვა თავში. კათალიკოსს მიბაძეს დანარჩენებმაც და ასე ჩა-

³²³ „პეტრეს მკაწრვალისა და ალაქისათჳს თხრობაჲ“: *Л. Мелниксет-Беков*, *Грузинский извод сказания о посте „Араджавор“*, *ХВ*, 1917, *V*, *В. II*, *გვ.* 85-96; იხ. აგრეთვე „საქართველოს სამოთხე“, *გვ.* 629-633.

³²⁴ ბ ა ტ რ ი ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება*, *IV*, 1973, *გვ.* 101, *შენ.* 1.

³²⁵ საქართველოს სამოთხე, *გვ.* 618.

ქოლეს „მგელი იგი“. მონოფიზიტებმა მოინდომეს ღამე გაეთიათ წამებულის გვამთან, ხოლო ღმერთმა მათ გამოუცხადა ეშმაკები მგლის სახით.

თ. უორდანიას და ლ. მელიქსეთ-ბეჯს სპეციალურად დასჯი-
დათ დაესაბუთებინათ, რომ თხზულებაში ლაპარაკია პეტრე ანტიო-
ქელის შესახებ, თუმცა იგი ნაწარმოებში კონსტანტინოპოლის პატ-
რიარქად არის გამოცხადებული³²⁶. მათ, როგორც ჩანს, გამორჩათ
მხედველობიდან, რომ ტექსტში პირდაპირ არის ნათქვამი პეტრეს
ანტიოქიის პატრიარქობის შესახებაც: „... რომელი აღვიდოდა
საყდარსაცა ზედა ანტიოქელთასა და ბოროტთა
მათ წუალებათა მისთათჳს წმიდათა მამათა მიერ შეიჩუნა და განი-
კუეთა და საყდრისაგან თჳსისა განიღვენა“³²⁷.

როგორც ვხედავთ, ქართული ტრადიცია იცნობს მხოლოდ პეტ-
რე ანტიოქელის კანგარის მთასთან ჩაქოლვის ლეგენდას. მაშ საი-
დან გაჩნდა ვერსია უფრო გვიანი ხანის პეტრეს ჩაქოლვის შესახებ?
უხტანესმა მართალია უარყო ორი პეტრეს იგივეობა, მაგრამ
საკითხი მაინც ბუნდოვნად დატოვა: ნამდვილი არავენ იცისო. მან
ისიც თქვა, რომ „მგელი“ პეტრე ანტიოქელს ერქვა, მაგრამ ორიო-
დე სტრიქონით ზემოთ უკვე ჰქონდა ნათქვამი: ქართველები ეშუქ-
რებოდნენ პეტრეს ჩვენი ხელით მოკვდები, რადგან „მგლურად“
დაგვესხი თავს „წერილითა და მცნებითო“. მაშასადამე, უხტანესმა
მთლიანად მაინც არ გამორიცხა ასეთი ვერსიის შესაძლებლობა.
მართლაც, უფრო გვიან კორაკოს განძაკელმა უხტანესის ტექსტი
ისე გაიგო, თითქოს „მგელი“ სწორედ განხეთქილების მონაწილე
ეპისკოპოსს შეაჩქვეს ქართველებმა. „ამას ყოველივეს ქეშმარი-
ტად გასწავლის უხტანეს ეპისკოპოსისი, რადგან მან
ყველაფერი სრულად დაწერა, ეპისტოლეები და პასუხები, გონიე-
რი საუბარი პეტრე ეპისკოპოსისისა, რომელიც მაცნე იყო
უფალ აბრამისა კირონთან და რომელსაც ქართველებმა
გაბედულების გამო მგელი უწოდეს“³²⁸.

მხითარ გომის წერილში „ქართველთა შესახებ“ უკვე ვხვდე-
ბით ამ ლეგენდის სომხური ვარიანტის ლიტერატურულ დადასტუ-
რებას. თუ უხტანესისათვის პეტრე ეპისკოპოსის მოკვლის ისტორია
მხოლოდ ქართლში მოსმენილი ზეპირი გადმოცემა იყო, მხითარ გო-
მის, ანანია სანაინელისა და სტეფანოს ორბელიანისათვის იგი
უკვე ისტორიული ფაქტია.

³²⁶ თ. უორდანიას, ქრონიკები, 1, გვ. 316-318; Л. Меликсет-Бек-
ков, Грузинский извод..., გვ. 97.

³²⁷ ХВ, V, II, გვ. 93-94.

³²⁸ ს ქ ი ა ს კ ი უ წ ა ნ ძ ა ს კ ხ გ ი. გვ. 46.

მხითარ გომი: „[კირონ ქართლის კათალიკოსი] გამოეყო ჩვენგან აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს. კიდეც და კიდეც მოუწოდეს მას, მაგრამ არ დაემორჩილა. შემდეგ წარავლინა [აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა] თავისი კარის ეპისკოპოსი პეტრე, რომ თუ არ დამორჩილდებოდა [კირონი], მოეხსნა იგი. ხოლო მან თავისი ნებით მოიწიშველა სამოსელი [და] მისცა [პეტრეს], შემდეგ ფარულად [მკვლელები] დაადევნა, რომ მოკლან იგი ქვით და თვითონ გაეშურა ქალკედონის კრებასთან საზიარებლად. ბოროტი გონება ეზიარა ბოროტ ნებას და ჩაიქოლა პეტრე ორი მოწამითურთ კანკურაქის მთასთან“³²⁹

ანანია სანაინელი: „[აბრაამმა] მოუწოდა [კირონს] ერთხელ და ორჯერ — არ დაემორჩილა. შემდეგ მიუვლინა კარის ეპისკოპოსი პეტრე, რათა, თუ ვერ დააჯერებს, რომ დაემორჩილოს, მოხსნას თანამდებობიდან. იგი წავიდა, ვერ შესძლო დარწმუნება [და] მოიხურვა მისი თანამდებობიდან მოხსნა. ხოლო იგი თავისი ნებით განწიშველდა მაღლისაგან და მისცა მას სამამამთავრო სამოსელი... პეტრემ აიღო [სამოსელი] და წამოიღო აბრაამ მამამთავართან, ხოლო კირონმა ავაზაკები მიუგზავნა მას [და] მოკლეს იგი—როცა მიაღწია კანგარს, ჩაქოლეს პეტრე“³³⁰.

სტეფანოს ორბელიანი: „გამოეყო ქართლი [სომეხეთს]... თუმცა პეტრე ეპისკოპოსი მრავალჯერ ემუდარა და სამიებელსაც უწყალობებდა, მაგრამ [კირონი] არ დაემორჩილა [და] შემდეგ მოიკვეთა აბრაამისგან. [კირონმა] მოიხსნა ვარშამანგი და წამოსასხამი, მისცა პეტრეს და უთხრა: «თქვენი თქვენ გქონდეთ». შემდეგ შეშინდა, უკან დაადევნა ფარულად [მკვლელები], და მოაკვლევინა პეტრე ორი დიაკვით კარგარის მთასთან“³³¹.

გავადევნოთ თვალი, რა სახე მიიღო ლეგენდამ უხტანესიდან მოკიდებული სტეფანოს ორბელიანამდე.

უხტანესის მიხედვით, პეტრე იყო „საეპისკოპოსო სახლის კარის ეპისკოპოსი“ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს. ცნობა ბუნდოვანია: არა ჩანს, რომელი ქვეყნის საეპისკოპოსო იგულისხმება (თუმცა უფრო სომეხეთი უნდა ვივარაუდოთ) და არც ის არის გასაგებები, რა ხარისხია „საეპისკოპოსო სახლის კარის ეპისკოპოსი“. თუ აქ ტექსტი გვიან არ არის დამახინჯებული გადამწერთაგან, უნდა

³²⁹ **Քուրդ Մխիթար Վարդապետի**, որ **Գույն կոչվար:** „Արարատ“. 1900. 23. 503.

³³⁰ **ლ. მელიქსეთ-ბეგი**, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარი“, 63. 113.

³³¹ **Սոսիսյան Թրեխյան**, 63. 104-105.

ვივარაუდოთ, რომ უხტანესმა თვითონ არ იცოდა კარგად, ვის შე-
სახებ ლაპარაკობდა. აბრაამ კათალიკოსმა პეტრე ეპისკოპოსს გა-
ტანა ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსთან. პეტრეს თან
ახლდნენ სომეხი წარჩინებულები. ეს არ იყო პეტრეს პირველი ვი-
ზიტი ქართლში, რადგან ქართლის წარჩინებულები უკვე „მეორედ
ემუქებოდნენ“. „ნუ მიდი-მოდინხარ ჩვენს შორის (ქართველთა და
სომეხთა), სარწმუნოების საქმეთა გამო, თორემ ჩვენი ხელით მოკ-
ვდებიო“. ბოლოს მათ მართლაც ასრულეს მუქარა და პეტრე მოკ-
ლეს კანგარის მთაზე.

XII-XIII სს-ის ისტორიკოსების მიხედვით, პეტრე აბრაამ სო-
მეხთა კათალიკოსის კარის ეპისკოპოსია. იგი ქართლში სპეციალუ-
რი მისიით არის ჩამოსული: თუ არა სცნობს ქართლის კათალიკოსი
მონოფიზიტობას, უნდა მოხსნას იგი თანამდებობიდან. კირონი არ
დაემორჩილა პეტრეს, თავისი ნებით მოიხსნა საპატრიარქო შესამო-
ტელი და ჩააბარა წარმომადგენელს იმ ეკლესიისა, რომლისგანაც
მიღებული ჰქონდა იგი. პეტრემ სამოსელი წაიღო დვინში, მაგრამ
კირონმა ფარულად მკვლელები დაადევნა და კანგარის მთასთან
ჩააქოლენია.

ლეგენდის განვითარების ტენდენცია სრულიად აშკარაა. X-
XIII სს-ის მონოფიზიტურ საეკლესიო წრეებში შეიქმნა კავკასიის
ეკლესიების ისტორიის თავისებური მოდელი, რომელიც მოითხოვ-
და დასაბუთებას საეკლესიო განხეთქილებამდე მათი სტრუქტურულ-
ლი ერთობლიობისა დვინის კათალიკოსით სათავეში. ასეთი თვალ-
საზრისის განსამტკიცებლად განხეთქილების თანადროულ წყარო-
ებს ერთი არსებითი ნაკლი ჰქონდათ: მიმოწერის მიხედვით, სომხე-
თის პატრიარქს არც კი უცდია ესარგებლა თავისი უფლებით, გადა-
ეყენებინა ხარისხიდან ურჩი ქვეშევრდომი, რაც სრულიად გაუგე-
ზარია მცხეთის საკათალიკოსოს დვინზე აუკარქიული დამოკიდებუ-
ლების შემთხვევაში³³². და აი, გაჩნდა ლეგენდა პეტრე ეპისკოპო-
სის ასეთი მისიით ქართლში ჩამოსვლისა და მისი ტრაგიკული აღ-
სასრულის შესახებ.

ცხადია, ასეთი ლეგენდა ქართლში არ დაიბადებოდა. ქარ-
თულმა ლეგენდამ პეტრე ანტიოქელის მოკვლის შესახებ თავისე-
ბური მასალა მისცა მონოფიზიტურ საეკლესიო წრეებს უკვე ახალი

³³² შესაძლოა ასეთი კონტარაგუმენტი ქართული ეკლესიის ისტორიული
ავტოკეფალის დამკველებმა ადრევე წამოაყენეს, რამაც გამოიწვია განხილული
ლეგენდის ასეთი რედაქციით ჩამოყალიბება მონოფიზიტი მწერლებისაგან. ყო-
ველ შემთხვევაში იგი მხედველობიდან არ გამოპარვია ჩვენს დროში ივ. ჯავა-
ხიშვილს. იხ. ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 329.

ლეგენდის დასამუშავებლად სხვა ხანისა და სხვა მოღვაწეების შესახებ. მაგრამ ვინ არის ამ ახალი რედაქციის ლეგენდის გმირი პეტრე ეპისკოპოსი?

უხტანესთან პეტრე სამჯერ არის მოხსენიებული. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, უხტანესი სამი პეტრეს შესახებ ლაპარაკობს.

1. პირველად პეტრე ეპისკოპოსი გვხვდება უხტანესის თხზულების პირველსავე თავში. როდესაც ქართლში კათალიკოსი გარდაიცვალა, მოსე სომეხთა კათალიკოსმა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსსა და დვინის კათოლიკე მონასტრის უხუცესს კირონს ხელი დაასხა კათალიკოსად და „გააყოლა იგი პეტრე ეპისკოპოსს, რომელიც ქართველთა ქვეყნიდან იყო, და სხვა მასთან მოსულ ერისთავებს დიდი პატივით“³³³. ამ ცნობიდან აშკარაა, რომ პეტრე ხარისხით ეპისკოპოსია, ხოლო ეროვნებით ქართველი, ამასთანავე იგი ჩადის ქართლიდან სომხეთში და უკანვე ბრუნდება.

2. მეორედ პეტრე ეპისკოპოსი გამოჩნდება მოსე ცურტაველისა და ვრთანეს ქერდოლის მიმოწერაში. ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე, ვრთანესის ეპისტოლემ პეტრესადმი. ეს პეტრეც ქართველია, თუმცა მოწოდებებს თავიანთ თანამოაზრედ მიაჩნიათ. უხტანესის პიხედვით. კირონ ქართლის კათალიკოსმა დაუშალა პასუხის გაცემა „პეტრესაც, რადგან იგი მოშურნე იყო საღმრთო მცნების დამცველი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სარწმუნო ჩვენი (სომეხთა) მხარისა, თუმცაღა თვითონ ტომით და ქვეყნით მათაგანი იყო.“³³⁴. თავის დროზე გამოითქვა ვარაუდი, რომ პეტრე უნდა ყოფილიყო სამთავნელი³³⁵, ან თბილელი ეპისკოპოსი³³⁶.

ფიქრობთ, არსებობს ყველა საფუძველი პირველ ორ პეტრეში ერთი პიროვნება დავინახოთ, თუ კი პირველი პეტრეს რეალურობა სანდოა.

3. მესამედ პეტრე ეპისკოპოსი გამოჩნდება აბრაამ კათალიკოსის მეორე და მესამე ეპისტოლეებში. მაგრამ ეს ადგილები „ეპისტოლეთა წიგნით“ ჩვენთვის კარგად ცნობილ დოკუმენტებში თვითონ უხტანესის დანამატია.

აბრაამის პირველ ეპისტოლეს კირონისადმი უხტანესმა სათაურად გაუკეთა: „აბრაამ სომეხთა კათალიკოსის პირველი ეპისტოლე,

³³³ უხტანესი, გვ. 23.

³³⁴ იქვე, გვ. 83.

³³⁵ М. Сабинин, История грузинской церкви до конца VI века, СПб 1877, გვ. 135.

³³⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 238.

მოსე ეპისკოპოსის თხოვნით, კირონ ქართლის კათალიკოსს, გადაცემული პეტრე ეპისკოპოსისა და სხვა აზნაურთა მიერ³³⁷.

„ეპისტოლეთა წიგნი“ ამავე ეპისტოლეს სათაურია: „სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამის პირველი ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს“.

აბრაამის მეორე ეპისტოლე უხტანესთან შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „დანარჩენს მაგ პეტრე ეპისკოპოსისგან შეიტყო“.

იგივე სიტყვები გამეორებულია აბრაამის მესამე ეპისტოლეშიც. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეპისტოლეთა დედნებში პეტრე ეპისკოპოსის ხსენებაც არ არის. ჩანს, უხტანესი მკითხველს სპეციალურად ამზადებს, რომ შემდეგ გაანართლოს გადმოცემა პეტრე ეპისკოპოსის შუამავლობის შესახებ.

საბოლოოდ ჩვენი დასკვნა ასეთია: ვფიქრობთ, პეტრე ეპისკოპოსის აბრაამის მიერ ქართლში გამოგზავნისა და კანგარის მთასთან მისი ჩაქოლვის შესახებ ლეგენდა უხტანესის შემდეგ გაჩნდა სომხურ ნაწერლობაში. ქართლში, როგორც ჩანს, X ს-ში უკვე არსებობდა ლეგენდა პეტრე ანტიოქელის კანგარის მთასთან მოკვლის შესახებ. ამ ლეგენდით პეტრე ანტიოქიიდან სომხეთში გაიქცა, ხოლო სომხეთიდან ქართლში ჩამოვიდა. სომხეთიდან ქართლში მისი ჩამოსვლის ისტორია მოიხმინა, ჩანს, უხტანესმა, როცა იგი თბილისსა და ცურტავში „ეპისტოლეთა წიგნის“ გმირების შესახებ ცნობებს ეძებდა და დაუკავშირა იმ პეტრეს, რომლისადმი ეპისტოლეც კრებულში შემონახული იყო, და რომლის ვინაობაც მისთვის უცნობი იყო. მიუხედავად დაშვებული შეცდომისა, უხტანესი მაინც კრიტიკულად მოექიდა თავისსავე ვერსიას და ნაკლი აღმოუჩინა. გვიანი ხანის ისტორიკოსებმა უხტანესის შენიშვნებს ყური აღარ ათხოვეს და კავკასიის ეკლესიების ისტორიის მონოფიზიტური მოდელის გასაძლიერებლად პეტრე ანტიოქელის შესახებ არსებული ქართული ლეგენდა უკვე მთლიანად პეტრე ეპისკოპოსზე გადაიტანეს³³⁸.

³³⁷ უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 123..

³³⁸ როგორც ჩანს, სომხურ საეკლესიო წრეებში აღრიდანვე არსებობდა გადმოცემა პეტრე ანტიოქელის კანგარის მთასთან ორი დიაკვნიტურთ მოკვლის შესახებ. ოლონდეს ვერსია მკვლელობას ქართლი კათალიკოს არ უკავშირებდა, იხ. ზიქე რიუიე, გვ. 328; Грузинский извод, გვ. 101. განხილულ ლეგენდებს ისტორიული ღირებულების ვარაუდ თელის ნ. აკინიანი იხ. სიქიჩინ კარიქიკლი ურავ, გვ. 271; პრ. აქარიანი შეცდომით პეტრე ეპისკოპოსს პეტრე სვინელს უკავშირებს, იხ. ჯაიე ანბანანინსხიქი ჩაუარაინ, IV, გვ. 242. ლ. მელიქსეთ-ბევის შესაძლებლად მიაჩნია ისეთი სომეხი ეპისკოპოსის არსებობა, რომელსაც მართლაც გადახდა ზემოთ მოთხრობილი ისტორია და ქართველები პეტრე ანტიოქელის ანალოგიით „მგელს“ უწოდებდნენ, იხ. Грузинский извод, გვ. 102.

პირთა, გეოგრაფიულ და მთნიკურ სახელთა საძიებელი

- აარონ მექნუნთა ეპისკოპოსი 95, 99, 107, 215
 აბას ალბანთა კათალიკოსი 343
 აბას უხუცესი 109
 აბგარიანი გ. 12, 348, 349, 351, 353, 354, 357
 აბელ უხუცესი 356
 აბელიანი მ. 304, 305, 323, 339
 აბიღენოსი 347
 აბრაამ კათოლიკე მონასტრის უხუცესი 109
 აბრაამ რშტუნთა ეპისკოპოსი 95, 99, 261
 აბრაამ სომეხთა კათალიკოსი (ალბათანელი) 15, 16, 17, 21, 37, 39, 41, 47, 49, 89, 95, 101, 103, 105, 107, 111, 113, 115, 119, 121, 123, 125, 127, 129, 131, 133, 135, 141, 143, 147, 149, 163, 165, 167, 169, 173, 177, 181, 187, 189, 193, 199-201, 203, 205, 212, 230, 239, 241, 244, 246-249, 263-269, 271, 272, 274, 275, 280-290, 292, 294-299, 302, 303-307, 309, 311, 312, 316-319, 324, 325, 326-330, 332, 333, 335, 336, 342-345, 352, 353, 356, 365, 366, 367, 371, 374-376, 379, 392, 398, 399, 400, 402, 403, 405-409.
 აბრაამ ფარბის უხუცესი 109
 აბრაამიშვილი გ. 391
 აბულაძე ილ. 230, 233, 384, 385
 აგათანგელოსი 341
 აღამ 185, 310
 აღონცი ნ. 236, 293, 301, 336, 337, 339, 340
 აღსუნელი 18, 139
 ავანი 109, 263
 ათანახე ალექსანდრიელი 220
 ააონის ივერთა მონასტერი 177
 აირარატი 21, 408
 აკინიანი ნ. 213, 222, 224, 225, 228, 229, 234, 237, 293, 299, 322, 330, 331, 333-335, 340, 372, 409.
 აკსიგომი 234
 ალბათანი (ალბათანი) 105, 356, 393
 ალბანეთი (ალბანთა ქვეყანა, ალბანელთა სახლი) 10, 12, 13, 75, 117, 119, 189, 193, 211, 212, 237, 240, 265, 266, 290, 301, 342, 343, 356, 359, 360, 366, 368, 369, 371, 372, 375, 377, 378, 379, 398, 399, 401-403
 ალბანეთის ეკლესია 246
 ალბანელნი 63, 67, 105, 139, 181, 187, 189, 191, 203, 205, 224, 230, 332, 341, 343, 344, 360, 361, 364, 365, 366, 367, 368-372, 374-379, 384, 399, 400, 402
 ალექსანდრე მაკედონელი 67, 171, 346, 347
 ალექსანდრია 341, 362
 ალექსიძე ზ. 11, 246, 317, 330, 381
 ალიხი 226
 ალქი 109
 ამარასუ 189, 384
 ამატუნნი 95, 99, 107

აშერ-კავკასია 226, 230, 232, 300, 302, 306
ამპელიუსი 337, 338
ამფილოქიოსი 337, 338
ანანია ნარეკელი 213, 225, 227, 228, 229, 235, 238, 246, 248, 292-294, 398, 401
ანანიანი ბ. 349
ანანია ხანინელი 368, 369, 405-406
ანასიანი ა. 333
ანასტასი კეისარი 14, 15, 89, 93, 205, 257, 375, 378
ანასტასი წმიდა, ეკლესია იერუსალიმში 143
ანისი 234
ანტიოქია 91, 341, 363, 364, 390, 404, 405
ანძვევლნი 95, 99, 107
აპაღუნნი 109
აპრევზ-ხოსრო (აპრევზ-ხოსრო) 21, 95, 97, 99, 105, 263, 348, 379
არაგაწოტნი 25, 47, 53
არამ 23
არამუნნი 109
არანი 191
არგინა 225, 229, 235, 237
არიელთა ტომი 177
არიელთა ქვეყანა 127, 153, 173, 274
არიოზი 99, 109, 177, 262, 363
არისტაკეს სომეხთა კათალიკოსი 380, 381
არიჭი 109
არნა 95, 99, 109
არსენი ვაჩეს ძე 381
არსენი ხაფარელი 304
არტავაზდის აპარანნი 109
არტაზის გავარი 193
არქანოსი 171
არშაკუნიანნი 27
არწაფნი 109
ასოლიკი (სტეფანოს ტარონელი) 212, 213, 227, 228, 234, 237, 354-358
ასურეთი 341
ასურიელი 139
ატრნერსე 75, 77, 149, 153, 161, 251, 283

აფსცი 133, 283, 284
აფხაზეთი 67
აქემენიდები 354
აშუმანი 153
ასურიანი 219, 235
აპარიანი პრ. 224, 227, 409

ბაბგენ (ბაბკენ) სომეხთა კათალიკოსი 131, 135, 141, 203, 337, 338, 340, 375—378, 380, 381
ზაბელას ჰოვანავანქის წინამძღვარი 47, 51, 53, 109
ბაბილონი 73
ბაგარანი 109
ბაგრატუნი იხ. სმბატ ბაგრატუნი
ბაგრევანდი 109
ბანანა იხ. გორგი 395
ბარტეო მღვდელი 215, 225, 235
ბახენი 95, 99, 101, 105, 107, 203
ბატონიშვილი ვახუშტი 404
ბერძენთა მხარე 155, 187
ბერძენნი 33, 85, 95, 97, 103, 107, 143, 155, 157, 167, 187, 189, 203, 205, 343, 344, 348, 361, 362, 364, 366—372, 375, 379, 395, 401, 404
ბზრმპი (ბზრმპარი) 75, 77, 251
ბიზანტია 378
ბიუზანდაცი ნ. 222
ბოლნისი 139
ბოუნნი 95, 99, 107
ბროსე მ. 13, 17, 18, 213, 225, 227, 376, 377

გაბრიელ ქართლის კათალიკოსი 131, 135, 139, 307, 313
ვაგიკ ვასპურაკანელი 302, 303
გაილი მღ. 21, 23
გარნი 109
გარნიკ ცურტავის ეპისკოპოსი 133, 283, 284
გაჩენაგეტ მღ. 67
გაჩიანი 14, 25, 67, 89

გეროგ სომეხთა კათალიკოსი 368, 371
გიგ დაშტკარანი 99, 101, 109, 147, 151
გისი (გესი, გისო) ქალაქი, ეკლესია
169, 193, 366, 378, 384
გიულხანდანიანი ა. 333
გოლთნი 95, 99, 107
გორგი ბანანად წოდებული 395
გოროზუ გაგარი 189—191, 384
გრიგოლ (გრიგორ) განმანათლებელი
21, 41, 45, 49, 51, 55, 57, 61, 65,
75, 79, 81, 101, 105, 111, 115, 125,
131, 137, 143, 149, 153, 161, 163,
177, 181, 187, 189, 205, 222, 255,
263, 276, 289, 290, 291, 292, 295,
299, 300, 302, 303, 304, 307, 340,
341, 356, 363, 364, 366, 367, 372,
380, 381, 399, 402
გრიგოლ მაგისტრისი 230
გრიგოლ ნარეკელი 228, 229, 231
გრიგორ ანძეველთა ეპისკოპოსი 95, 99,
107
გრიგორიანი მ. 332
გრიგორის არიკის უხუცესი 109
გრიგორის ალბანეთის კათალიკოსი 189
გუგარეთი 246
გუგარელნი 67, 346

დავით ბიბლ. 97, 352
დავით ბოლნელი 18, 139
დავით ერევნის მონასტრის უხუცესი
109
დავით ფილოსოფოსი 395
დარბანდი 193, 384
დარემ სპარსეთის მეფე 346
დარუნი 109
დასხურანელი მოსე იხ. მოსე კალანკა-
ტრელი 372
დაშტკარანი გიგ იხ. გიგ დაშტკარანი
დვინი 16, 21, 95, 99, 101, 103, 105,
205, 242, 246, 252, 261, 268, 286,
287, 338, 352, 358, 364, 372, 376,
378, 379, 381, 398, 400, 401, 402,
403, 407, 408
დიდი სომეხთი 21, 105, 351, 352, 358
